

საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტი

ვახტანგ გურული

**საქართველო
სრულუფლებოვანი
დამოუკიდებელი
სახელმწიფოა
(1918)**

გამომცემლობა „ქართული უნივერსიტეტი“
თბილისი 2018

St. Andrew the First-Called Georgian University Of the Patriarchate of Georgia

VAKHTANG GURULI

**GEORGIA AN
INDEPENDENT
STATE
OF FULL RIGHTS
(1918)**

© Vakhtang Guruli, 2018
© Georgian University Press

ISBN 978-9941-9534-6-0

Georgian University Press
Tbilisi 2018

Грузинский Университет имени св. Андрея Первозванного Патриархии Грузии

ВАХТАНГ ГУРУЛИ

**ГРУЗИЯ
ПОЛНОПРАВНОЕ
НЕЗАВИСИМОЕ
ГОСУДАРСТВО
(1918)**

© Вахтанг Гурули, 2018

© Издательство "Грузинский Университет"

ISBN 978-9941-9534-6-0

Издательство "Грузинский Университет"
Тбилиси 2018

ნაშრომში გაშუქებულია საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლის ისტორია (1917-1918 წწ.). ისტორიული პროცესი წარმოდგენილია კავკასიაში, რუსეთსა და ევროპაში მიმდინარე მოვლენებთან კავშირში. ნაშრომი ეყრდნობა ავტორის მიერ მოძიებულ საარქივო დოკუმენტებსა და მასალებს, გამოქვეყნებულ დოკუმენტურ პუბლიკაციებსა და მონოგრაფიებს.

რედაქტორი: პროფესორი **სერგო ვარდოსანიძე**

რეცენზენტები: ისტორიის დოქტორი **ლევან ჯიქია**,
ისტორიის დოქტორი **გვანცა ბურდული**

© ვახტანგ გურული, 2018

© გამომცემლობა „ქართული უნივერსიტეტი“

ISBN 978-9941-9534-6-0

ექვნი

1921 წელს სამშობლოდან გასახვეწილი

ქართველების სსონას

წინასიტყვა

1861 წელს ილია ჭავჭავაძემ თავისუფლების უკვდავი იდეა შემდეგი სიტყვებით გამოხატა: „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს.“ მაშინ ილია 24 წლისა იყო. 36 წლის შემდეგ, 1907 წელს ქართველი ერის მამა და საქართველოს უგვირგვინო მეფე ამ იდეის მტრებმა მოკლეს, უკვდავი იდეა კი, ცხადია, არსებობას განაგრძობდა. 11 წელი თავისუფლების იდეის განხორციელების გზაზე ქართველმა ერმა უილიაოდ იარა. ილია ჭავჭავაძე ვერ მოესწრო აღთქმულ ქვეყანაში შესვლას, თუმცა მის მიერ აღთქმული ქვეყნის კარიბჭესთან მიყვანილმა ქართველმა ერმა 1918 წლის 26 მაისს რეალობად აქცია 57 წლის წინ დასახული იდეა: „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს.“ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის პირველი მუხლი სხვა არაფერი იყო, თუ არა ამ სიტყვების განმეორება: „ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა“.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა არ იყო ჩვეულებრივი მოვლენა. მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე ახალი, დამოუკიდებელი სახელმწიფოს გაჩენა ყველა ეპოქაში ურთულესი პროცესია, მით უფრო, პირველი მსოფლიო ომის პირობებში არსებულ სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებაში.

პირველი მსოფლიო ომის მეოთხე წელს შექმნილმა ხელსაყრელმა საერთაშორისო ვითარებამ და საკუთრივ რუსეთში მომხდარმა კარდინალურმა ცვლილებებმა (1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციამ) ხელ-

საყრელი პირობები შექმნა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის. ხელსაყრელ საერთაშორისო ვითარებაშიც კი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა შეუძლებელი იქნებოდა, რომ არა ქართული ეროვნული მოძრაობის მიერ განვლილი გზა: 1802 წლის პოლიტიკური გამოსვლა კახეთში, 1804 წლის აჯანყება აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, 1812 წლის აჯანყება კახეთში, 1819-1820 წლების აჯანყება იმერეთში, გურიასა და სამეგრელოში, 1832 წლის შეთქმულება, XIX საუკუნის 60-90-იანი წლების დიდი ეროვნული მოძრაობა. ეროვნული მოძრაობის საერთო მონაპოვარი არჩილ ჯორჯაძემ მოკლედ ასე შეაფასა: **ქართველი ერის მიერ რუსული მოქალაქეობის შეუწყნარებლობა**. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ 117 წლის განმავლობაში საქართველო არ იქცა რუსეთის იმპერიის განუყოფელ ნაწილად, გეოგრაფიულ სივრცედ, ქართველი არ იქცა რუსეთის მოქალაქედ.

1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის შემდეგ საქართველოში თანადროულად დაიწყო სამი პროცესი:

1. პროცესი, რომლის მიზანი იყო **რაიმე ფორმით საქართველოს რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში დატოვება**. ამ პროცესს მართავდა ჯერ რუსეთის დროებითი მთავრობა (1917 წლის მარტი-ოქტომბერი), ხოლო შემდეგ, 1917 წლის ოქტომრიდან, საბჭოთა რუსეთის მთავრობა. ამ შემთხვევაში რუსეთის დროებითი მთავრობისა და საბჭოთა მთავრობის დასაყრდენს წარმოადგენდა რუსეთ-ოსმალეთის კავკასიის ფრონტზე განლაგებული კავკასიის არმია, საქართველოს რუსი ეროვნების მოსახლეობა, რუსული სამღვდელოება;

2. პროცესი, რომლის მიზანი იყო **1811-1814 წლებში რუსეთის იმპერიის მიერ გაუქმებული საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა**. ამ პროცესს წარმართავდა ის ქართველი სამღვდელოება, რომელმაც ჯერ კიდევ 1905-1906 წლებში ოფიციალურ დონეზე მოითხოვა უკანონოდ გაუქმებული ავტოკეფალიის აღდგენა;

3. პროცესი, რომლის მიზანი იყო **აღდგენა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა, რომელიც XIX საუკუნის დამდეგს გააუქმა რუსეთის იმპერიამ**.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას რამდენიმე შინაგანი და გარეგანი ფაქტორი აფერხებდა, რომელთაგან აღსანიშნავია შემდეგი:

1. რუსეთის დროებითი მთავრობისა და საბჭოთა რუსეთის მთავრობის მისწრაფება შეენარჩუნებინა იურისდიქცია სამხრეთ კავკასიაში;

2. ოსმალეთის მისწრაფება ხელში ჩაეგდო სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველო და თუ შესაძლებელი იქნებოდა, სხვა რეგიონებიც (პირველ რიგში, აფხაზეთი);

3. მიმდინარე პირველი მსოფლიო ომის პირობებში დაბალანსებული პოლიტიკური ორიენტაციის შემუშავებისა და სამხედრო პოლიტიკური მოკავშირის პოვნის სირთულე;

4. საქართველოს სხვადასხვა რეგიონში (აფხაზეთში, შიდა ქართლში, ქარ-ბელაქანში, სამცხე-ჯავახეთში, აჭარაში) მიმდინარე ეთნიკური და რელიგიური კონფლიქტები, რომლებიც გარე ძალისაგან იმართებოდა და რომლის მიზანს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა წარმოადგენდა;

5. რუსეთ-ოსმალეთის კავკასიის ფრონტზე (ქალაქ ტრაპიზონიდან ვანის ტბამდე) განლაგებული რუსეთის არმია (200.000 ოფიცერი და ჯარისკაცი), რომელსაც პოლიტიკური მიზნებისათვის მარჯვედ იყენებდა როგორც რუსეთის დროებითი მთავრობა, ისე საბჭოთა რუსეთის ხელისუფლება;

6. ქართული ეროვნულ-პოლიტიკური და სოციალისტური ორიენტაციის ძალების მუდმივი კონფრონტაცია, პარტიული ინტერესების ეროვნულ-სახელმწიფოებრივზე მაღლა დაყენება.;

7. პრორუსულ და პროდასავლურ პოლიტიკურ ძალთა დაპირისპირება, საქართველოს მომავლის განსხვავებული ხედვა.

1917-1918 წლებში ყველა ეს სირთულე დაძლეული იქნა და ღირსეულ ქართველთა ნანატრი ოცნება 1918 წლის 26 მაისს აღსრულდა, – აღდგა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა.

* * *

წინამდებარე ნაშრომი ემყარება ჩვენ მიერ საქართველოს ეროვნულ არქივში მოძიებულ დოკუმენტებსა და მასალებს, ქართველი და უცხოელი ავტორების მიერ გამოქვეყნებულ გამოკვლევებს. ნაშრომის სპეციფიურობის გამო ჩვენ საშუალება არ გვქონდა სათანადო პასუხი გაგვეცა რუსი, აფხაზი და ოსი ისტორიკოსებისათვის, რომლებიც უხეშად აყალბებენ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის ისტორიას. თავს იმით ვიიმედებთ, რომ ქართველმა ისტორიკოსებმა თავის დროზე დასაბუთებულად უარყვეს ისტორიის გამყალბებელთა მცდარი კონცეფციები.

**თავი I. 1917 წლის თებერვალ-მარტის
რევოლუცია. სამხედრო-პოლიტიკური ვითარება
საქართველოში**

(1917 წლის თებერვალი – 1918 წლის იანვარი)

§1. 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუცია

1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუცია რუსეთში, ერთი შეხედვით, მოულოდნელად მოხდა, სინამდვილეში კი იგი წლების განმავლობაში მწიფდებოდა. 1905-1907 წლების რევოლუციამ მხოლოდ ნაწილობრივ გადაჭრა რევოლუციის გამომწვევი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პრობლემები. მიუხედავად ამისა, შესაძლებელი იყო იმპერიაში გარკვეული სტაბილიზაცია დაწყებულიყო და სახელმწიფოებრივი ცხოვრებაც ნორმალურ რიტმში ჩამჯდარიყო. ეს პერსპექტივა რუსეთს პირველ მსოფლიო ომში ჩაბმამ მოუსპო. ომმა ქვეყანა უმძიმეს მდგომარეობაში ჩააგდო, ხოლო ფრონტებზე დიდმა წარუმატებლობებმა საბოლოოდ გაუტეხა სახელი მონარქიას. 1916 წლის ბოლოს აშკარა გახდა, რომ ოპტიმისტური განცხადებებით გერმანიისა და მისი მოკავშირეების წინააღმდეგ დაწყებული ომი მარცხით დამთავრდებოდა.

1. სახალხო მღელვარება პეტროგრადში 1917 წლის 23-26 თებერვალს.

რევოლუცია რუსეთში მოულოდნელად დაიწყო. მოულოდნელი იყო იგი არა მარტო ხელისუფლებისათვის, არამედ ოპოზიციისთვისაც, აღარაფერს ვამბობთ რუსეთის მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობაზე.

1917 წლის 22 თებერვალს (7 მარტს) რუსეთის იმპერატორი ნიკოლოზ II ქალაქ **მოგილიევი** გამგზავრა, სადაც უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკი იმყოფებოდა. იმპერატორის მატარებელს ყველა სადგურზე მოზვიემ ხალხი ხვდებოდა. პეტროგრადიდან გამგზავრების წინ ნიკოლოზ II-ს ეჭვიც კი არ ჰქონია იმისა, რომ მალე დედაქალაქში მისი საწინააღმდეგო გამოსვლები დაიწყებოდა.

გამოსვლები პეტროგრადში იმპერატორის გამგზავრებიდან მეორე დღესვე – 1917 წლის 23 თებერვალს (8 მარტს) დაიწყო. იმ დღეს გაფიცულთა რაოდენობამ 128 ათასს მიაღწია. 23 თებერვალს (8 მარტს) პოლიტიკური მოთხოვნები მომიტინგეებსა და დემონსტრანტებს არ წამოუყენებიათ. 23 თებერვალს (8 მარტს) დაწყებული გაფიცვისას პეტროგრადის ზოგიერთ რაიონში (მაგალითად, ვიბორგის მხარეს), დემონსტრანტებმა დაარბიეს მალაზიები და შეაფერხეს ტრანსპორტის მოძრაობა. იყო პოლიციის გა-

ნიარალების შემთხვევებიც. იმავე დღეს, საღამო ხანს, დემონსტრანტებმა პოლიციის კორდონები გაარღვიეს და პეტროგრადის ცენტრში გაიჭრნენ. ამ დროისათვის **თავრიდის სასახლეში** მიმდინარეობდა სახელმწიფო სათათბიროს სხდომა (მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს მორიგი სესია 1917 წლის 14 თებერვალს გაიხსნა). სათათბიროს დეპუტატები განიხილავდნენ დედაქალაქში შექმნილ მდგომარეობას. სათათბირო მთავრობისაგან ითხოვდა, გადამწყვეტი ღონისძიებები გაეტარებინა სურსათის მომარაგების გაუმჯობესების მიზნით. საღამო ხანს პოლიციამ პეტროგრადის ცენტრი დემონსტრანტებისაგან განმინდა. შინაგან საქმეთა მინისტრ **ალექსანდრ პროტოპოპოვის** (1866-1918) მოთხოვნით პეტროგრადის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალმა გენერალმა **სერგეი ხაბალოვმა** (1858-1924) მოსახლეობის დამშვიდების მიზნით გამოაქვეყნა მიმართვა, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ პური დედაქალაქში საკმაო ოდენობით იყო.

23 თებერვლის გამოსვლების დასრულების შემდეგ ხელისუფლებამ ჩათვალა, რომ ვითარება დედაქალაქში მის კონტროლს ექვემდებარებოდა. **არც პოლიტიკური პარტიების ლიდერებმა, არც ოპოზიციამ და არც სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატებმა არ იცოდნენ, თუ როგორ განვითარდებოდა მოვლენები.** ოპოზიციის ყველაზე რადიკალურმა ნაწილმაც კი ლოდინის ტაქტიკა აირჩია. ასევე მოიქცნენ ექსტრემისტი-რევოლუციონერებიც. რუსეთის ბოლშევიკთა ლიდერი **ვლადიმირ ლენინი** (1870-1924) ემიგრაციაში იმყოფებოდა და არ უწყობდა, თუ რა ხდებოდა რუსეთში. ციმბირის გადასახლებაში იმყოფებოდა იოსებ ჯუღაშვილი (სტალინი). რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის **რუსეთის ბიუროსა** და რსდმპ (ბ) **პეტროგრადის კომიტეტს** მუშებსა და ჯარისკაცებში თითქმის არავითარი გავლენა არ ჰქონდათ. არც რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის **მენშევიკურ ფრაქციას** ჰქონდა მაღალი რეიტინგი, მაგრამ ბოლშევიკებთან შედარებით მენშევიკებს ძლიერი პოზიცია ეჭირათ იმით, რომ მათ თავიანთი დეპუტატები ჰყავდათ მეოთხე სახელმწიფო სათათბიროში. სრულ მზადყოფნაში იყვნენ **კონსტიტუციური დემოკრატები (კადეტები), 17 ოქტომბრის კავშირი (ოქტაბრისტები), სოციალისტ-რევოლუციონერები (ესერები) და ანარქისტები.**

1917 წლის 24 თებერვალს დილიდან ჯარის ნაწილებმა პეტროგრადის ცენტრალური ნაწილის დემონსტრანტებისაგან დაცვის მიზნით კორდონების მოწყობა დაიწყეს. 24 თებერვალს შუადღისათვის უკვე გაფიცული იყო 200 ათასი კაცი, გაფიცულთა რაოდენობა სულ უფრო იზრდებოდა. გაფიცულ მუშებს სტუდენტებიც შეუერთდნენ. პოლიციამ და ჯარმა ვერ

აღკვეთა დემონსტრანტების გაჭრა ქალაქის ცენტრისაკენ. მიტინგებზე გამოსული პეტროგრაძის გარნიზონის ჯარისკაცები და კაზაკები გმობდნენ ომს, უდიერად იხსენებდნენ იმპერატორსა და მის მინისტრებს. 24 თებერვალს მიმდინარე მინისტრთა საბჭოს სხდომაზე გამოითქვა აზრი, რომ ის, რაც დედაქალაქში ხდება, სულაც არ ეხება მთავრობას. მთავრობის წევრთა აზრით, წესრიგის დაცვა პეტროგრაძში პეტროგრაძის სამხედრო ოლქის სარდლის გენერალ **სერგეი ხაბალოვისა** და შინაგან საქმეთა მინისტრ **ალექსანდრ პროტოპოპოვის** საზრუნავი იყო.

ნიკოლოზ II-ს პეტროგრაძში მიმდინარე დემონსტრაციებისათვის თავდაპირველად დიდი ყურადღება არ მიუქცევია. 1917 წლის 25 თებერვალს, მას შემდეგ რაც იმპერატორი გაეცნო პეტროგრაძიდან სერგეი ხაბალოვის მიერ გაგზავნილ დეპეშას და რამდენიმე მინისტრის მოხსენებას, პეტროგრაძის სამხედრო ოლქის სარდლს ასეთი შინაარსის ბრძანება გაუგზავნა: „**ხვალვე აღკვეთთ დედაქალაქში უწესრიგობა, რომელიც დაუშვებელია გერმანიასა და ავსტრიასთან ომის პირობებში**“. დეპეშის მიღებისთანავე სერგეი ხაბალოვმა შესაბამისი განკარგულებები გასცა.

26 თებერვალს, კვირას, პეტროგრაძის ცენტრალური რაიონები და გარეუბნებიდან ცენტრისაკენ მიმავალი გზები ჯარის ნაწილებმა დაიკავეს. ამ დღეს დემონსტრანტთა რაოდენობა შედარებით მცირე იყო. მათი უმრავლესობა შეგროვდა ალექსანდრ III-ის ძეგლთან. 26 თებერვალს, 17 საათზე, ნევის პროსპექტზე დემონსტრანტებს ჯარმა ცეცხლი გაუხსნა. იმპერატორის ძეგლთან შეკრებილ მომიტინგეთაგან დაიჭრა და დაიღუპა 30 კაცი. მოკლულები და დაჭრილები იყვნენ ქალაქის სხვა ადგილებშიც. 26 თებერვალსავე მოხდა მეტად ღირსშესანიშნავი მოვლენა – **პეტროგრაძის ზოგიერთ რაიონში ჯარისკაცებმა დემონსტრანტებსა და მომიტინგეებს არ ესროლეს**. პავლოვსკის გვარდიული პოლკის მეოთხე ასეულმა უარი განაცხადა, გზა გადაეღობა ყაზანის ტაძრისაკენ მიმავალი დემონსტრანტებისათვის. გადაწყდა მეოთხე ასეულის პოლიციით შეცვლა. ეს ჯარისკაცებმა არ დაუშვეს და ცეცხლი პოლიციას გაუხსნეს. **ჯარის დაუმორჩილებლობა ხელისუფლებისათვის ცუდის მომასწავებელი იყო**.

2. მონარქიის დამხობა (1917 წლის 27 თებერვალი – 3 მარტი). 1917 წლის 27 თებერვალი რევოლუციის გადამწყვეტი დღე იყო. **სულ უფრო მზარდმა მუშათა გამოსვლებმა, დემონსტრანტებისა და მომიტინგეების შეუპოვრობამ და სიკვდილის საფრთხის წინაშე შეუდრეკელობამ შეცვალა პეტროგრაძის გარნიზონის ჯარისკაცთა განწყობილება**. ბრძანების შესრულებისას ჯარისკაცები ყოყმანობდნენ, ამკარად თანაუგრძნობდნენ ქუჩაში გამოსულ

ხალხს. პეტროგრადში განლაგებული პოლკების უმრავლესობა გვარდიული იყო. გვარდია რუსეთის არმიის ელიტარულ სამხედრო ნაწილს წარმოადგენდა. ომის წლებში პეტროგრადის გარნიზონში მდგომარეობა საგრძობლად შეიცვალა. სათადარიგო ბატალიონებში ბევრი ისეთი ჯარისკაცი ირიცხებოდა, რომელთაც ფრონტზე მიღებული ჭრილობების შემდეგ ხანმოკლე შევებულება მიიღეს და მალე ისევ მოქმედ არმიაში უნდა დაბრუნებულიყვნენ. **ამ ჯარისკაცებმა თავის დროზე გამოცადეს ომის საშინელება და აღარც ფრონტზე დაბრუნება სურდათ და აღარც ომი.** სათადარიგო ბატალიონების ჯარისკაცთა განწყობილება გვარდიულ პოლკებსაც გადაედო. სათადარიგო ბატალიონების გარდა, გვარდიულ პოლკებთან შექმნილი იყო ე.წ. „სასწავლო ასეულები“, სადაც ფრონტისათვის უმცროს ოფიცრებს ამზადებდნენ. სასწავლო ასეულების კურსანტთა შორის ბევრი იყო ფრონტზე ხანგრძლივი დროით ნამყოფი ჯარისკაცი. ფრონტის საშინელებანი მათაც კარგად იცოდნენ და ამიტომ სულაც არ ჩქარობდნენ მოქმედ არმიაში დაბრუნებას. ომის საწინააღმდეგო განწყობილება დღითიდღე იზრდებოდა სასწავლო ასეულების კურსანტთა შორისაც, რაც ასევე გავლენას ახდენდა გვარდიის სულისკვეთებაზე.

1917 წლის 27 თებერვალს დილით **ვოლინის გვარდიული პოლკის** სასწავლო ასეულში ჯარისკაცთა ამბოხება დაიწყო. ჯარისკაცებმა მოკლეს ოფიცერი, ხელთ იგდეს იარაღი და ქუჩაში გამოვიდნენ. მათ აგიტაცია გააჩაღეს **ლიტვისა და პრეობრაჟენსკის გვარდიული პოლკების** ჯარისკაცთა შორის. მალე პეტროგრადში ჯარისკაცთა მასობრივი გამოსვლები დაიწყო. 27 თებერვლის დილას დედაქალაქში უკვე 25 ათასი ჯარისკაცი იყო ამბოხებული, საღამოს მათი რიცხვი 70 ათასამდე გაიზარდა, რაც პეტროგრადის გარნიზონის ნახევარს შეადგენდა. ამბოხებული ჯარისკაცები არბევდნენ საპოლიციო უბნების შენობებს, დაიწყო ოფიცრებისა და პოლიციის მოხელეთა დევნა, ბევრი მათგანი ქუჩაშივე დახვრიტეს. ამბოხებულებმა დაარბიეს მაღაზიები, სურსათის საწყობები, არსენალები, ხელთ იგდეს იარაღი. მალე აჯანყებულთა ხელში აღმოჩნდა **საოლქო სასამართლო და ციხეები (საპყრობილები).** გათავისუფლებულ პატიმართა შორის მცირე რაოდენობით იყვნენ რევოლუციონერები, უმრავლესობა სისხლის სამართლის დამნაშავეებს წარმოადგენდა.

27 თებერვალს სრულიად აშკარა გახდა, რომ ხელისუფლება უსუსური იყო წინ აღდგომოდა მასობრივ სახალხო გამოსვლებს. პეტროგრადის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის გენერალ **სერგეი ხაბალოვის** ბრძანებები არ სრულდებოდა. სულ უფრო მცირდებოდა ხელისუფლების ერთგული

ჯარების რაოდენობა. 27 თებერვალს ამბოხებულ ჯარისკაცთა ნაკადმა მოსკოვის გვარდიული პოლკის კორდონი გაარღვია, **ფინეთის ვაგზალს** მიაღწია და იქ მყოფ მუშებს შეუერთდა. 27 თებერვალს, შუადღისას, ამბოხებულ ჯარისკაცთა და მუშათა კოლონებმა **თავრიდის სასახლეს** მიაღწია, სადაც შეკრებილი იყვნენ მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს წევრები და პოლიტიკური პარტიების ლიდერები. თავრიდის სასახლეში თავი მოიყარეს სამხედრო ნაწილებიდან, ფაბრიკებიდან და ქარხნებიდან გამოგზავნილმა წარმომადგენლებმაც. სოციალისტების წინადადებით შეიქმნა **პეტროგრადის მუშათა დეპუტატების საბჭოს დროებითი აღმასრულებელი კომიტეტი**. მის შემადგენლობაში შევიდნენ სოციალ-დემოკრატები და სოციალისტ-რევოლუციონერები: **ნ. ჩხეიძე, ა. კერენსკი, მ. სკობელევი, ნ. სუხანოვი, ნ. კაპელინსკი, ე. სოკოლოვსკი, პ. კრასიკოვი, პ. ალექსანდროვიჩი, ვ. გვოზდევი, ნ. სოკოლოვი, ვ. გრინევიჩი, გ. პანკოვი, პ. ზალუცკი, ა. შლიაპნიკოვი**. დროებითი აღმასრულებელი კომიტეტის 15 წევრიდან მხოლოდ ორი (პ. ზალუცკი და ა. შლიაპნიკოვი) იყო ბოლშევიკი.

27 თებერვლის საღამოს, თავრიდის სასახლეში შედგა პეტროგრადის მუშათა დეპუტატების საბჭოს დროებითი აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა. განიხილეს ქვეყნის თავდაცვისა და სურსათით მომარაგების საკითხი. იმავდროულად თავრიდის სასახლეში მიმდინარეობდა იმპერატორის მიერ წინა დღეს დათხოვნილი **მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატების არაოფიციალური სხდომა**. სათათბიროს დეპუტატების ნაწილმა ნიკოლოზ II-ის 1917 წლის 26 თებერვლის ბრძანებულება – აპრილის ბოლომდე სათათბიროს მუშაობის შეწყვეტის შესახებ – მხოლოდ 27 თებერვალს, თავრიდის სასახლეში გამოცხადების შემდეგ შეიტყო. სათათბიროს დეპუტატების ერთი ნაწილი, მათ შორის **ალექსანდრ კერენსკი**, იმპერატორის ბრძანებულების ბოიკოტსა და სათათბიროს სესიის გაგრძელებას მოითხოვდა. ბოლოს შესაძლებელი გახდა კომპრომისი. გადაწყდა, შექმნილიყო საგანგებო ორგანო ასეთი სახელწოდებით – **„დედაქალაქში წესრიგის დაცვისა და პიროვნებებსა და დანესებულებებთან ურთიერთობის სახელმწიფო სათათბიროს დროებითი კომიტეტი“**. სახელმწიფო სათათბიროს დროებით კომიტეტს სათავეში ჩაუდგა მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარე **მიხაილ როძიანკო**. კომიტეტის შემადგენლობაში შევიდნენ: **პ. მილიუკოვი, ნ. ნეკრასოვი, ა. კონოვალოვი, ს. შიდლოვსკი, ვ. შულგინი, ი. დმიტრიუკოვი, მ. კარაულოვი, ვ. ლვოვი, ვ. რჟევსკი**. სახელმწიფო სათათბიროს დროებით კომიტეტში რევოლუციური დემოკრატიის წარმომადგენლების სახით შევიდნენ ასევე სოციალ-დემოკრატი მენშევიკი **ნიკოლოზ**

(კარლო) ჩხეიძე და ტრუდოვიკი ალექსანდრ კერენსკი. ნ. ჩხეიძე და ა. კერენსკი პეტროგრადის მუშათა დეპუტატების საბჭოს დროებითი აღმასრულებელი კომიტეტის სხდომებსაც ესწრებოდნენ და სახელმწიფო სათათბიროს დროებითი კომიტეტის სხდომებსაც.

სახელმწიფო სათათბიროს დროებითი კომიტეტი ცდილობდა ხელში აეღო მთელი ძალაუფლება პეტროგრადსა და მთელს რუსეთში. დროებითმა კომიტეტმა, პირველ რიგში, კონტროლი დაამყარა ტელეგრაფსა და პეტროგრადის რკინიგზის ვაგზლებზე.

რუსეთის მინისტრთა საბჭო **ნიკოლაი გოლიცინის** თავმჯდომარეობით 1917 წლის 27 თებერვალს სასწრაფოდ შეიკრიბა თავის საგანგებო სხდომაზე. გადაწყდა, ავადმყოფობის მიზეზით, შინაგან საქმეთა მინისტრ **ალექსანდრ პროტოპოპოვის** გადაყენება. მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, ჯერ კიდევ ერთგული ჯარების სათავეში პოპულარული სარდალი ჩაეყენებინათ. მინისტრთა საბჭოს სხდომაზე განისაზღვრა ხალხის წინაშე პასუხისმგებელი ახალი მთავრობის შემადგენლობა.

27 თებერვალს ნიკოლოზ II-მ პეტროგრადის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი გენერალი **სერგეი ხაბალოვი** გადააყენა და მის ნაცვლად დანიშნა გალიციის ბრძოლების (1916 წ.) გმირი, სახელგანთქმული გენერალი **ნიკოლაი ივანოვი**. იმპერატორმა გენერალი ნ. ივანოვი საგანგებო უფლებებით აღჭურვა და, პეტროგრადის სამხედრო ოლქის ჯარების გარდა, ფრონტიდან მოხსნილი ჯარებიც დაუქვემდებარა. ნიკოლოზ II-მ მიუღებლად მიიჩნია მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილება ახალი მთავრობის შექმნის შესახებ. აშკარა იყო, რომ **მოგილიევში** მყოფი იმპერატორი ძალზე ცუდად იყო ინფორმირებული პეტროგრადსა და, საერთოდ, ქვეყანაში განვითარებული მოვლენების შესახებ.

ცნობები პეტროგრადიდან მოგილიევში ძალზე დაგვიანებითა და არასრული სახით მიდიოდა. ნიკოლოზ II-მ პეტროგრადში დაბრუნება გადაწყვიტა. 1917 წლის 28 თებერვალს, დილით ადრე, მოგილიევიდან ორი მატარებელი გავიდა, პირველში ნიკოლოზ II იმყოფებოდა, მეორეში – იმპერატორის ამალა. **ზოგიერთი თანამედროვე მიიჩნევდა, რომ ნიკოლოზ II-ის მოგილიევიდან პეტროგრადში გამგზავრება იყო საბედისწერო შეცდომა, რადგან განყდა კავშირი იმპერატორს, უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკს, ცარსკოე სელოსა და პეტროგრადს შორის.** ასეთი აზრი შეიძლება სიმართლეს მოკლებული არ იყოს, მაგრამ ნიკოლოზ II-ისათვის მოგილიევში დარჩენა და ტრაგიკული მოვლენებისათვის შორიდან ცქერა აუტანელი იქნებოდა.

1917 წლის 28 თებერვლის დილიდან 1 მარტის დილაამდე **მოგილიევი-**

იდან გამოსული ორივე მატარებელი შეუფერხებლად მიემართებოდა **პეტროგრადისაკენ**. 1917 წლის 1 მარტს, დილით ადრე, სადგურ **მალია ვიშერასთან** მიიღეს ცნობა, რომ გზის გაგრძელება სახიფათო იყო. ცნობის მიხედვით, სადგურები **ლიუბანი** და **ტოსნო** აჯანყებული ჯარების მიერ იყო დაკავებული (შემდგომში გაირკვა, რომ ეს ცნობა არასწორი იყო). პეტროგრადამდე 150 ვერსი რჩებოდა, კავშირი არც უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკთან და არც ცარსკოე სელოსთან აღარ არსებობდა. ნიკოლოზ II-მ გადაწყვიტა, **ფსკოვში** გამგზავრებულიყო, სადაც იმ დროს ჩრდილოეთის ფრონტის შტაბი იმყოფებოდა. იმპერატორს იმედი ჰქონდა, რომ ფსკოვიდან ტელეგრაფის საშუალებით გაერკვეოდა ვითარებაში. შემოვლთი გზით (ბელოგოე – სტარაია რუს – დნო) ნიკოლოზ II 1917 წლის 1 მარტის საღამოს **ფსკოვში** ჩავიდა.

სანამ ნიკოლოზ II გზაში იმყოფებოდა (1917 წლის 28 თებერვლის დილა – 1 მარტის საღამო), ქვეყანაში დიდი ამბები მოხდა. 1917 წლის 28 თებერვალს ეჭვი აღარავის ეპარებოდა, რომ **რუსეთი რევოლუციის ცეცხლში გაეხვია**. აჯანყებული ჯარისკაცები მთელს პეტროგრადს აკონტროლებდნენ. მათ ხელში იყო **პეტრე-პავლეს ციხე, საადმირალო, ტელეგრაფი, ვაგზლები, არსენალები, ზამთრის სასახლე** და სხვა მნიშვნელოვანი ობიექტები. რუსეთის მინისტრთა საბჭო **ნიკოლაი გოლიცინის** თავმჯდომარეობით გადადგა, მინისტრთა ნაწილი დააპატიმრეს. შინაგან საქმეთა მინისტრი **ალექსანდრ პროტოპოპოვი** ჯერ იმალებოდა, ხოლო შემდეგ თავრიდის სასახლეში გამოცხადდა და აჯანყებულებს ჩაბარდა.

ხელისუფლება ორი ორგანოს – მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს დროებითი კომიტეტისა და პეტროგრადის მუშათა საბჭოს დროებითი აღმასრულებელი კომიტეტის ხელში იმყოფებოდა. თანხმობა ორ საგანგებო ორგანოს შორის თავიდანვე არ ყოფილა. სახელმწიფო სათათბიროს დროებითი კომიტეტი მიიჩნევდა, რომ აუცილებელი იყო ხალხის წინაშე პასუხისმგებელი მთავრობის შექმნა. გარდა ამისა, უნდა მიეღწიათ უფლისწულ **ალექსის** სასარგებლოდ ნიკოლოზ II-ს ტახტიდან გადადგომისათვის. არასრულწლოვანი ალექსის ტახტზე ასვლის შემთხვევაში რეგენტად უნდა დანიშნულიყო ნიკოლოზ II-ის უმცროსი ძმა, დიდი მთავარი **მიხაილ ალექსანდრეს ძე**.

აჯანყებული ჯარისკაცების განწყობილება სულ უფრო რადიკალური ხდებოდა. **ცხადი იყო, რომ ჯარისკაცებს კომპრომისები და ზომიერი ოპოზიციის პოლიტიკა ძალზე აღიზიანებდათ**. ისინი მზად იყვნენ ყოველივე აღევავათ პირისაგან მიწისა. აჯანყებული ჯარისკაცებისა და მუშების მს-

არდაჭერის იმედი ჰქონდა მუშათა დეპუტატების საბჭოს დროებით აღმასრულებელ კომიტეტს.

1917 წლის 28 თებერვლიდან 1 მარტამდე **მიხაილ როძიანკო** მუდმივ კავშირში იმყოფებოდა უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკთან, ფრონტებისა და ფლოტების მთავარსარდლებთან და ინფორმაციას აწვდიდა მათ პეტროგრადში შექმნილი ვითარების შესახებ. უმაღლესი მთავარსარდლობის შტაბის უფროსი გენერალი **მიხაილ ალექსეევი**, რომელიც მოგილიევიდან ნიკოლოზ II-ის გამგზავრების შემდეგ მთავარ ფიგურად იქცა, სულ უფრო მეტად რწმუნდებოდა, რომ სახელმწიფო სათათბიროს დროებითი კომიტეტი ერთადერთ რეალურ ძალას წარმოადგენდა. მ. ალექსეევი მ. როძიანკოს პოლიტიკის გატარებას შეუდგა.

1917 წლის 1 მარტს, გვიან საღამოს, მიხაილ ალექსეევი ფსკოვში მყოფ ნიკოლოზ II-ს ტელეგრაფით აცნობა, რომ აუცილებელი იყო შექმნილიყო მთავრობა, რომელიც ხალხის წარმომადგენლების წინაშე პასუხისმგებელი იქნებოდა. მ. ალექსეევის მხარს უჭერდა ჩრდილოეთის ფრონტის მთავარსარდალი გენერალი **ნიკოლაი რუზსკი**. ეს უკანასკნელი აღნიშნავდა, რომ მის აზრს იზიარებდნენ სხვა ფრონტების მთავარსარდლებიც. ნიკოლოზ II-მ გაიზიარა მ. ალექსეევის შეხედულება და 1 მარტს, ღამით, გენერალ **ნ. ივანოვს** ასეთი შინაარსის ტელეგრამა გაუგზავნა: „გთხოვთ, ჩემს ჩამოსვლამდე და ჩემთვის მოხსენების წარდგენამდე არავითარი ზომები არ მიიღოთ“. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ **ნიკოლოზ II-მ უარი თქვა ძალისმიერი მეთოდებით პეტროგრადში წესრიგის აღდგენაზე და დაეთანხმა სახელმწიფო სათათბიროს დროებით კომიტეტს**.

1917 წელს 1-2 მარტის ღამით ქვეყანაში ხელისუფლების ბედი მოულოდნელად სულ სხვაგვარად გადაწყდა. **მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს დროებით კომიტეტსა და პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს შორის მოლაპარაკებისას მიაღწიეს შეთანხმებას რუსეთის დროებითი მთავრობის შექმნის შესახებ**. დროებითი მთავრობის თავმჯდომარის კანდიდატურის შერჩევისას არჩევანი შეაჩერეს ერობათა კავშირის თავმჯდომარეზე, თავად **გიორგი ლვოვზე**, რომელიც იმხანად მოსკოვიდან პეტროგრადში ჩავიდა.

დროებითი მთავრობის ფორმირების პროცესში 1917 წლის 1-2 მარტის ღამით სახელმწიფო სათათბიროს დროებითი კომიტეტის თავმჯდომარე **მიხაილ როძიანკო** ესაუბრა ჩრდილოეთის ფრონტის მთავარსარდალს, გენერალ **ნიკოლაი რუზსკის**. ნ. რუზსკიმ მ. როძიანკოსთან საუბრის შინაარსი უმაღლესი მთავარსარდლობის შტაბის უფროსს, გენერალ **მიხაილ ალექ-**

სევეს, გადასცა. მალე ნ. რუზსკიმ მ. როძიანკოს აცნობა, რომ ნიკოლოზ II თანახმა იყო ხალხის წარმომადგენლების წინაშე პასუხისმგებელი მთავრობის შექმნისა. ნ. რუზსკიმ მ. როძიანკოს ისიც აცნობა, რომ იმპერატორმა გენერალ ნ. ივანოვს დამსჯელი ღონისძიებების გატარება აუკრძალა. სრულიად მოულოდნელად მ. როძიანკომ ნ. რუზსკის განუცხადა, რომ დინასტიის საკითხი სხვაგვარად დადგა – **ითხოვდნენ იმპერატორის გადადგომას**. ეს რომ **მიხეილ ალექსეევი** შეიტყო, გადანწყვიტა ენერგიულად ემოქმედა და თავის თავზე აელო ნიკოლოზ II-ის ტახტიდან გადაყენება. თავისი ინიციატივით მ. ალექსეევი დაუკავშირდა ყველა ფრონტისა და ფლოტის მთავარსარდლებს, რათა გაეგო მათი აზრი ნიკოლოზ II-ის ტახტიდან გადადგომის შესახებ. ყველა ფრონტის მთავარსარდალმა, ასევე ბალტიის ზღვის ფლოტის სარდალმა მხარი დაუჭირა უფლისწულ **ალექსის** სასარგებლოდ ნიკოლოზ II-ის ტახტიდან გადადგომას. მ. ალექსეევის შეკითხვა უპასუხოდ დატოვა შავი ზღვის ფლოტის სარდალმა, ვიცე-ადმირალმა **ალექსანდრ კოლჩაკმა**. იმპერატორის ბიძამ, კავკასიის ფრონტის მთავარსარდალმა, დიდმა მთავარმა **ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემაც** იმპერატორს შვილის სასარგებლოდ ტახტიდან გადადგომა ურჩია. არმიის ზედაფენის პოზიციას არ შეიძლებოდა გავლენა არ მოეხდინა ნიკოლოზ II-ზე. **1917 წლის 2 მარტს ნიკოლოზ II-მ ტახტიდან გადადგომის გადაწყვეტილება მიიღო**. ფსკოვში სასწრაფოდ შეადგინეს დეპეშები მ. როძიანკოსა და მ. ალექსეევის სახელზე იმის თაობაზე, რომ ნიკოლოზ II ტახტიდან გადადგა. დეპეშების გაგზავნა შეაფერხა ფსკოვში ნიკოლოზ II-თან **ალექსანდრ გუჩკოვისა და ვასილი შულგინის** ჩასვლამ, რომლებმაც გადადგომის წინადადებით მიმართეს მეფეს.

1917 წლის 2 მარტს გვიან ღამით ნიკოლოზ II შეხვდა ა. გუჩკოვსა და ვ. შულგინს. მოულოდნელად იმპერატორმა პოზიცია შეცვალა და განაცხადა: **ჩემი შვილი ავადაა, ამიტომ მე გადადგომის გადაწყვეტილება უნდა მივიღო მის მაგივრადაც, რადგან არ შემიძლია დავცილდე შვილს**. ნიკოლოზ II-ის ასეთმა განცხადებამ საქმე გაართულა. ჯერ კიდევ იმპერატორ პაველ I-ის დროს მიღებული ტახტის მემკვიდრეობის შესახებ კანონის ძალით, ტახტზე მყოფ იმპერატორს შეეძლო გადამდგარიყო, მაგრამ არ შეეძლო თავისი მემკვიდრის ნაცვლად გადადგომის გადაწყვეტილების მიღება, თუნდაც მემკვიდრე მცირეწლოვანი ყოფილიყო. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ნიკოლოზ II-ის მიერ უფლისწულ **ალექსის** სახელით გადადგომის შესახებ გადაწყვეტილების მიღება არალეგიტიმური იქნებოდა. ბოლოს, გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილმა ნიკოლოზ II-მ გადაწყვეტილება ისევ შეცვა-

ლა და ტახტიდან თავისი უმცროსი ძმის **მიხაილ ალექსანდრეს** ძის სასარგებლოდ გადადგა. **ტახტიდან გადადგომის შესახებ მანიფესტს ნიკოლოზ II-მ ხელი მოაწერა 1917 წლის 2 მარტს 23 საათსა და 40 წუთზე.**

მანიფესტზე ხელის მოწერის შემდეგ ნიკოლოზ II-მ ალექსანდრე გუჩკოვის თხოვნით ხელი მოაწერა ბრძანებულებებს: **გიორგი ლევიის** მთავრობის თავმჯდომარედ, დიდ მთავარ **ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის** უმაღლეს მთავარსარდლად და გენერალ **ლავრ კორნილოვის** პეტროგრადის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლად დანიშვნის შესახებ. 1917 წლის 3 მარტს, ღამის პირველ საათზე, ტახტიდან გადამდგარი ნიკოლოზ II ფსკოვიდან **მოგილიევი**მ გაემგზავრა.

1917 წლის 3 მარტს, დილით, პეტროგრადში მყოფ ნიკოლოზ II-ის უმცროს ძმასთან, დიდ მთავარ **მიხაილ ალექსანდრეს ძესთან** გამოცხადდა ახალი ხელისუფლების წარმომადგენლობითი დელეგაცია (გ. ლევი, მ. როძიანკო, ა. კერენსკი და სხვები), რომელთაც მალე შეუერთდნენ ა. გუჩკოვი და ვ. შულგინი. მათ მიხაილ ალექსანდრეს ძეს ურჩიეს, **დამფუძნებელი კრების მიერ რუსეთის სახელმწიფო სისტემის განსაზღვრამდე ტახტზე არ ასულიყო. გარკვეული ყოყმანის შემდეგ მიხაილ ალექსანდრეს ძემ ხელი მოაწერა მანიფესტს, რომლის ძალითაც იგი უარს ამბობდა რუსეთის ტახტზე.**

1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის შემდეგ ხელისუფლების სათავეში მოსული **დროებითი მთავრობა** მოღვაწეობას შეუდგა.

1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციამ რუსეთში მონარქიული წყობილება დაამხო და საფუძველი დაუდო დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობას. ამიერიდან ყველაფერი იმაზე იყო დამოკიდებული, თუ როგორ გამოიყენებდნენ რუსეთის ახალი პოლიტიკური ლიდერები იმ შანსს, რომელიც მათ ისტორიამ მისცა.

* * *

1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის შემდეგ საქართველოში თანადროულად დაიწყო სამი პროცესი:

1. პროცესი, რომლის მიზანი იყო **საქართველოს რაიმე ფორმით რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში დატოვება**. ამ პროცესს მართავდა ჯერ რუსეთის დროებითი მთავრობა (1917 წლის მარტი-ოქტომბერი), ხოლო შემდეგ, 1917 წლის ოქტომბრიდან, საბჭოთა რუსეთის მთავრობა. ამ შემთხვევაში რუსეთის დროებითი მთავრობისა და საბჭოთა მთავრობის დასაყრდენს წარმოადგენდა რუსეთ-ოსმალეთის კავკასიის ფრონტზე გან-

ლაგებული კავკასიის არმია, საქართველოს რუსი ეროვნების მოსახლეობა, რუსული სამღვდლოება;

2. პროცესი, რომლის მიზანი იყო **1811-1814 წლებში რუსეთის იმპერიის მიერ გაუქმებული საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა**. ამ პროცესს წარმართავდა ის ქართველი სამღვდლოება, რომელმაც ჯერ კიდევ 1905-1906 წლებში ოფიციალურად მოითხოვა უკანონოდ გაუქმებული ავტოკეფალიის აღდგენა;

3. პროცესი, რომლის მიზანი იყო **XIX საუკუნის დამდეგს რუსეთის იმპერიის მიერ გაუქმებული საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა**.

ამ პროცესებს წარმართავდნენ ეროვნულ-პოლიტიკური ძალები, რომლებიც განსაკუთრებით გააქტიურდნენ XX საუკუნის დამდეგიდან.

§2. სამხედრო-პოლიტიკური ვითარება საქართველოში 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის დროსა და რევოლუციის შემდეგ (1917 წლის გაზაფხული-შემოდგომა)

1. ვითარება საქართველოში 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის შემდეგ. 1917 წლის 3 მარტს რუსეთის უმაღლესმა მთავარსარდალმა ნიკოლაი რომანოვმა კავკასიის არმიის მთავარსარდალად ნიკოლაი იუდენიჩი დანიშნა, რომელიც მანამდე კავკასიის არმიის შტაბის უფროსი იყო.

იმპერატორის ტახტიდან გადადგომა და ახალი ხელისუფლების ორგანიზების პროცესი ბევრ სირთულესთან იყო დაკავშირებული. ამას დაერთო კავკასიის არმიის ახალი მთავარსარდალის დანიშვნა. გამორიცხული არ იყო მოვლენათა სტიქიური განვითარება, უწესრიგობის დაწყება არმიასა და სამოქალაქო მოსახლეობაში. 1917 წლის 3 მარტს სამოქალაქო საქმეებში კავკასიის მეფისნაცვლის თანაშემწემ გენერალ-ლეიტენანტმა **ვლადიმირ ოროლოვმა** (1868-1927) დეპეშა გაუგზავნა თბილისის გუბერნატორს, პოლკოვნიკ **ალექსანდრ მანდრიკას** (1876-1928), რომელშიც ჩამოყალიბებული იყო შექმნილ ვითარებაში წესრიგის დაცვის მიზნით გასატარებელი ღონისძიებები. დეპეშა ასეთი შინაარსისა იყო:

1. პეტროგრადში შეიქმნა დროებითი მთავრობა, რომლის პატრი-

ოტულ-სახელმწიფოებრივ დანიშნულებას შეადგენს რევოლუციური მოძრაობის ჩახშობა და რომლის ხელში იქნება მთელი ძალაუფლება, სანამ კანონიერი მთავრობა არ აღსდგება;

2. შექმნილ ვითარებაში ყველა თანამდებობის პირი და დანესებულება ვალდებულია ადგილებზე ყოველმხრივ დაუჭიროს მხარი დროებით მთავრობას, რათა სიმშვიდე და წესრიგი აღსდგეს, სახელმწიფოებრივი ცხოვრება კალაპოტში ჩადგეს;

3. სიმშვიდისა და წესრიგის დამყარება განსაკუთრებით აუცილებელია კავკასიაში, სადაც მიმდინარეობს საბრძოლო მოქმედებები და სადაც რუსეთის არმიამ ბრწყინვალე გამარჯვებები მოიპოვა;

4. უავგუსტესი მეფისნაცვალი (დიდი მთავარი ნიკოლაი რომანოვი – ვ. გ.) აუცილებლად მიიჩნევს, რომ თქვენ გამონახოთ ყოველგვარი საშუალება, რათა ადგილებზე შენარჩუნებული იქნას წესრიგი და სიმშვიდე. ამ მიზნით თქვენ უნდა მიიწვიოთ თბილისის ქალაქის თავი, ქალაქის მამასახლისი, საზოგადოებრივი ორგანიზაციების გავლენიანი წარმომადგენლები, სხვადასხვა ერის, დიდი ფაბრიკებისა და ქარხნების მუშათა წარმომადგენლები და მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის კავკასიის მეფისნაცვლის სახელით სთხოვოთ სათანადო ყურადღებით მოეკიდონ სიმშვიდის დაცვას და დაარწმუნოთ ისინი, რომ რუსეთს უკეთესი მომავალი ექნება. ამ მიზნით აუცილებელია მათი თანადგომა ექსცესებისა და დემონსტრაციების თავიდან ასაცილებლად. წესრიგისა და სიმშვიდის შენარჩუნება აუცილებელია, რათა რუსეთის არმიამ ომი წარმატებით დაასრულოს;

5. 1917 წლის 3 მარტს კავკასიის მეფისნაცვალმა თბილისში მიიღო მართლმადიდებელი და სხვა ეკლესიების სამღვდელოება, რომელთაც მეფისნაცვალს სიმშვიდისა და წესრიგის დაცვაში სრული თანადგომა აღუთქვეს;

6. ქალაქ თბილისის სათათბიროში გაიმართება საგანგებო სხდომა, სხდომის მონაწილეებს ქალაქის თავი გააცნობს კავკასიის მეფისნაცვლის თხოვნას სიმშვიდისა და წესრიგის დაცვაში სათათბიროს თანადგომის შესახებ. თბილისის სათათბიროს სხდომის გადანყვეტილება კავკასიის ყველა ქალაქის სათათბიროს ეცნობება, რათა ამ გზით შემუშავდეს ერთიანი გეგმა;

7. კავკასიის მეფისნაცვალმა თავისთან მიიწვია ყველა პოლიტიკური მიმართულების პრესის წარმომადგენელი, რათა მათ მხარი დაეჭირათ კავკასიაში წესრიგის დაცვისათვის;

8. თბილისში ამ პროცესების მართვის პასუხისმგებლობა ეკისრებოდა

თბილისის გუბერნატორ ალექსანდრ მანდრიკას. კონკრეტულად, მას შემდეგი მითითებები მიეცა:

ა) იმ დემონსტრაციებისა და მანიფესტაციებისათვის, რომლებიც საფრთხეს არ უქმნიდნენ სიმშვიდესა და წესრიგს, ხელისუფლებას წინააღმდეგობა არ უნდა გაენია და მხოლოდ მათი მშვიდობიანად დასრულებისათვის ეზრუნა;

ბ) იმ დემონსტრანტებისა და მანიფესტანტების წინააღმდეგ, რომლებიც აშკარად ისახავდნენ მიზნად სიმშვიდისა და წესრიგის დარღვევას, ძალა, განსაკუთრებით კი შეიარაღებული პოლიცია და ჯარი, მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში უნდა გამოეყენებინათ. უკიდურეს შემთხვევად მიჩნეული იყო ისეთი ვითარება, როცა დემონსტრანტები და მანიფესტანტები მშვიდობიან მოწოდებებს არ დაემორჩილებოდნენ და საფრთხე რეალური გახდებოდა.

9. თუ თბილისის გუბერნატორი სიმშვიდისა და წესრიგის დაცვის პროცესში პეტროგრადიდან, მეოთხე სახელმწიფო სათათბიროსაგან, რაიმე მითითებებს მიიღებდა, ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობებინა გენერალ-ლეიტენანტ ვლადიმირ ორლოვისათვის.

ნიკოლაი რომანოვი, რომელიც ჯერჯერობით კავკასიის მეფისნაცვლის მოვალეობასაც ასრულებდა, ცდილობდა თბილისში მოვლენათა რადიკალიზაცია არ დაემუა. 1917 წლის 5 მარტს სამოქალაქო საქმეებში მეფისნაცვლის თანაშემწემ, გენერალ-ლეიტენანტმა ვლადიმირ ორლოვმა თბილისის გუბერნატორ პოლკოვნიკ ალექსანდრ მანდრიკას მეფისნაცვლის სახელით აცნობა, რომ წესრიგის დაცვის მიზნით პოლიტიკურ პარტიებს, მათ შორის სოციალ-დემოკრატებსაც, დაყრდნობოდა.

რუსეთის არმია და სამხედრო-საზღვაო ფლოტი სულ უფრო და უფრო იხრწნებოდა, რასაც ძალზე განიცდიდნენ უმაღლესი მთავარსარდალი ნიკოლაი რომანოვი, უმაღლესი მთავარსარდალის შტაბის უფროსი მიხაილ ალექსეევი, მთელი სამეფო ოჯახი. 1917 წლის 5 მარტს დიდმა მთავარმა **სერგეი მიხაილის ძე რომანოვმა (1869-1918)** თბილისში ნიკოლაი რომანოვს აცნობა, რომ სამეფო ოჯახის წევრები, დიდი მთავრები, მოგილევი, უმაღლესი მთავარსარდალობის ბანაკში აპირებდნენ შეკრებას და იქვე ინვევდნენ ნიკოლაი რომანოვსაც. ნიკოლაი რომანოვი რუსეთში გასამგზავრებლად მზადებას შეუდგა. 1917 წლის 6 მარტს მან მოწოდებით მიმართა კავკასიის მოსახლეობას, რათა დაეცვათ სიმშვიდე და წესრიგი. სავალალო ვითარება შეინიშნებოდა კავკასიის არმიაში, ოფიცერთა და ჯარისკაცთა ურთიერთობა ხშირად ფიზიკური ანგარიშსწორებით მთავრდებოდა. 1917 წლის 6 მარტს ნიკოლაი რომანოვს აცნობეს, რომ ცარსკოე სელოში მის მისაღებად

ყველაფერი მზად იყო. ნიკოლაი რომანოვს ცარსკოე სელოში დარჩენა მოცილიეში გამზავრებამდე შეეძლო.

1917 წლის 6 მარტს კავკასიის მეფისნაცვალმა ნიკოლაი რომანოვმა ვლადიმირ ორლოვის ნაცვლად სამოქალაქო საქმეებში მეფისნაცვლის თანამემნის მოვალეობის აღმასრულებლად **ვ. ვ. ალიშევსკი** დანიშნა.

2. ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის (ოზაკომის) შექმნა. 1917 წლის 2 მარტს რუსეთის იმპერატორ ნიკოლაი II-ის ტახტიდან გადადგომის შემდეგ, როცა ქვეყანას ახალი ხელმწიფე-იმპერატორი არ ჰყავდა, სამართლებრივი თვალსაზრისით, კავკასიაში მეფისნაცვლის (მეფის მოადგილის) თანამდებობის არსებობა აღარ შეიძლებოდა. წარმოუდგენელი იყო ის, რომ რუსეთში უმალლესი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება 1917 წლის 3 მარტიდან დროებითი მთავრობის ხელში იყო, ხოლო კავკასიას ძველი ხელისუფლების წარმომადგენელი – მეფისნაცვალის განაგებდა. მეფისნაცვლის თანამდებობის გაუქმება და სამხარეო ხელისუფლების ახალი ორგანოს შექმნა გადაუდებელ საჭიროებას წარმოადგენდა. რუსეთის დროებითმა მთავრობამ და მისმა თავმჯდომარემ, გიორგი ლვოვმა, ეს საქმე **ალექსანდრ კერენსკის** (1881-1970) მიანდეს. რამდენიმედღიანი კონსულტაციების შემდეგ დროებითმა მთავრობამ შექმნა ამიერკავკასიის სამხარეო ხელისუფლების ორგანო – **ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი (ოზაკომი)**. ოზაკომი ასეთი შემადგენლობით დამტკიცდა: თავმჯდომარე – რუსეთის მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს წევრი, კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის წევრი **ვასილი ხარლამოვი** (1875-1957), წევრები – ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ლიტერატურათმცოდნე და კრიტიკოსი, საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის წევრი **ივანე (კიტა) აბაშიძე** (1870-1917 წლის 17 დეკემბერი), რუსეთის მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს წევრი მუსავატის პარტიიდან **მემედ იუსუფ ჰაჯიბაბაჯაფაროვი** (1885-1938), რუსეთის მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს წევრი, დაშნაკთა პარტიის წევრი **მიქაელ პაპაჯანიანი**, იგივე **მიხეილ პაპაჯანოვი** (1869-1929), რუსეთის მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს წევრი **პაველ პერევერზევი** (1871-1944). 1917 წლის 8 მარტს რუსეთის დროებითი მთავრობის თავმჯდომარე გიორგი ლვოვმა თბილისის ქალაქის თავს **ალექსანდრე ხატისოვს** (1874-1945) დეპუტით აცნობა, რომ პეტერბურგიდან თბილისში გამოემგზავრნენ ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის წევრები: ვასილი ხარლამოვი, ივანე (კიტა) აბაშიძე, მემედ იუსუფ ჰაჯიბაბაჯაფაროვი, მიქაელ პაპაჯანიანი, პაველ პერევერზევი. ოზაკომის წევრები მგზავრობას რამდენიმე დღე მოუწოდნენ. მოგვიანებით ოზაკომის შემადგენლობა

შეიცვალა: კიტა აბაშიძის ნაცვლად ოზაკომის წევრი გახდა ქართველი სოციალ-დემოკრატი აკაკი ჩხენკელი, ხოლო პიოტრ პერევერზევი დროებითი მთავრობის მინისტრად აირჩიეს. ასე რომ, ოზაკომი ასეთი შემადგენლობით მუშაობდა: **ვასილი ხარლამოვი, აკაკი ჩხენკელი, მემედ იუსუფ ჰაჯიბაბა ჯაფაროვი, მიქაელ პაპაჯანიანი.**

3. საგუბერნიო ხელისუფლების ლიკვიდაცია საქართველოში. სიმშვიდე არც სამოქალაქო მოსახლეობაში შეინიშნებოდა. 1917 წლის 13 მარტს თბილისის გუბერნატორმა **ალექსანდრ მანდრიკამ** მაზრების უფროსებს აცნობა, რომ თბილისის გუბერნატორი და ვიცე-გუბერნატორი გადაყენებული იყვნენ თანამდებობიდან და ქალაქში მთელი ძალაუფლება თბილისის დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს აეღო ხელში. 14 მარტს ქუთაისის გუბერნატორმა **ალექსანდრ გუდოვიჩმა** (1869-1919) დეპუტატთა აცნობა თბილისს, რომ მისი გუბერნატორის თანამდებობაზე დარჩენა საზიანო იქნებოდა ხალხის ინტერესებისთვის. ცხადია, გუბერნატორის გადაწყვეტილება სულაც არ იყო ნებაყოფლობითი – თუ იგი არ გადაგებოდა, თბილისის გუბერნატორის ბედს გაიზიარებდა.

4. ვითარება ამიერკავკასიაში ნიკოლაი რომანოვის რუსეთში გამგზავრების შემდეგ. 1917 წლის 31 მაისს კავკასიის არმიის მთავარსარდლად ნიკოლაი იუდენიჩის ნაცვლად ინფანტერიის გენერალი **მიხაილ პრუჟევალსკი** (1859-1934) დაინიშნა.

1917 წლის აგვისტოს ბოლოს ინფანტერიის გენერალმა **ლავრ კორნილოვმა** (1870-1918), თანამოაზრე გენერლებისა და ოფიცრების ჯგუფთან ერთად, სახელმწიფო გადატრიალების მოწყობა და სამხედრო დიქტატურის დამყარება გადაწყვიტა. დროებითმა მთავრობამ გენერალ ლავრ კორნილოვის გამოსვლის ლიკვიდაცია შეძლო. კავკასიის არმიის გენერლებისა და ოფიცრების ჯგუფმა მხარი დაუჭირა გენერალ ლავრ კორნილოვს.

1917 წლის აგვისტოში კავკასიის არმიაში სულ უფრო გაძლიერდა ჯარისკაცთა დეპუტატთა საბჭოების გავლენა. სხვადასხვა სამხედრო ნაწილის ჯარისკაცთა დეპუტატთა საბჭოების მუშაობას კოორდინაციას უწევდა **ჯარისკაცთა დეპუტატთა საბჭოების ამიერკავკასიის სამხარეო ცენტრი**, რომლის პარალელურად მოქმედებდა **კავკასიის არმიის კომიტეტი**. პირველი ორგანო მეტწილად პოლიტიკური საკითხებით იყო დაკავებული, ხოლო მეორე – სამხედრო საკითხებით. ჯარისკაცთა დეპუტატთა საბჭოების ამიერკავკასიის სამხარეო ცენტრთან შეიქმნა **დროებითი რევოლუციური კომიტეტი**, რომელმაც 1917 წლის 31 აგვისტოს ფრონტსა და ზურგში

მოქმედ ჯარისკაცთა დეპუტატთა საბჭოებს რევოლუციური კომიტეტების შექმნისაკენ მოუწოდა. მოწოდებაში აღნიშნული იყო:

1. 1917 წლის 30 აგვისტოს გაიმართა ამიერკავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატთა საბჭოების გაერთიანებული ცენტრის კრება, რომელსაც **ევგენი გეგეჭკორი (1881-1954)** თავმჯდომარეობდა;

2. შექმნილი ვითარების გაანალიზების შემდეგ გადაწყდა **კავკასიის დროებითი ცენტრალური რევოლუციური კომიტეტის** შექმნა. კომიტეტის შექმნასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა ევგენი გეგეჭკორს დაევალა;

3. კრების გადაწყვეტილებით, კავკასიის დროებით ცენტრალურ რევოლუციურ კომიტეტში უნდა შესულიყო ყველა რევოლუციური და საზოგადოებრივი ორგანიზაცია: სოციალ-დემოკრატი მენშევიკების, სოციალ-დემოკრატი ბოლშევიკების, სოციალისტ-რევოლუციონერების, სოციალისტ-ფედერალისტების და დაშნაკიტუტუნის წარმომადგენლები. კრებამ აირჩია სამხედრო საქმეთა კომისია, სამოქალაქო საქმეთა კომისია, დაპატიმრების კომისია. გარდა ამისა, კრებამ კავკასიის ფრონტზე განლაგებულ რუსეთის არმიის სამხედრო ნაწილებში **კომისრები** დანიშნა;

4. 1917 წლის 30-31 აგვისტოს ღამით დააპატიმრეს გენერალ ლავრ კორნილოვის გამოსვლის მონაწილეები. ჩხრეკისას ამოღებული მასალით დადგინდა, რომ სამხედრო გადატრიალება კავკასიის არმიის ც მზადდებოდა. საქმეს დაჩქარებული ტემპით იძიებდნენ;

5. კავკასიის დროებითი ცენტრალური რევოლუციური კომიტეტი კავკასიის არმიის ოფიცრებსა და ჯარისკაცებს არწმუნებდა, რომ სამხედრო დიქტატურის დამყარების წარუმატებელი ცდის შემდეგ პეტროგრადში წესრიგი სუფევდა.

1917 წლის 6 სექტემბერს თბილისში ცნობილი გახდა, რომ რუსეთის უმაღლეს მთავარსარდლად დროებითი მთავრობის თავმჯდომარე ალექსანდრ კერენსკი, ხოლო უმაღლესი მთავარსარდლის შტაბის უფროსად მიხაილ ალექსეევი დანიშნა. 1917 წლის 9 სექტემბერს კავკასიის დროებითი რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარე ევგენი გეგეჭკორმა ცირკულარული დეპეშა დააგზავნა, რომელიც ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის რეორგანიზაციას ეხებოდა. ცირკულარში აღნიშნული იყო:

1. გენერალ ლავრ კორნილოვის ამბოხების დროს ამიერკავკასიის განსაკუთრებულმა კომიტეტმა (ოზაკომმა) მთელი ძალაუფლების საკუთარ ხელში ალება სცადა;

2. ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი რეორგანიზაციას

საჭიროებდა: კომიტეტის შემადგენლობაში უნდა შეეყვანათ რევოლუციური და სოციალისტური პარტიების წარმომადგენლები;

3. კავკასიის დროებითი რევოლუციური კომიტეტი ოზაკომის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით დაუკავშირდა რუსეთის დროებით მთავრობას, მიღწეული იქნა შეთანხმება, რომ ოზაკომი რეორგანიზაციამდე მუშაობას გააგრძელებდა თავისი ძველი შემადგენლობით. მოსახლეობას მისთვის საინტერესო ყველა საკითხის ირგვლივ კვლავ ოზაკომისთვის უნდა მიემართა.

ევგენი გეგეჭკორის ცირკულარულ დეპეშასთან დაკავშირებით ოზაკომის თავმჯდომარე ვასილი ხარლამოვმა თბილისის გუბერნიის კომისარს დეპეშა გაუგზავნა, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ლავრ კორნილოვის ამბოხების დღეებში ამიერკავკასიაში შექმნილი ის ორგანიზაციები, რომლებიც ძალაუფლების ხელში აღებას აპირებდნენ, ლიკვიდირებული იქნენ.

რუსეთის დროებითი მთავრობა ანარქიასთან ბრძოლაში უძღური აღმოჩნდა. მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკა მიუღებელი იყო მოსახლეობისათვის. განსაკუთრებით არაპოპულარული გახდა ომის გამარჯვებამდე მიყვანის მონოღება. 1917 წელს რუსეთ-გერმანიის ფრონტზე სერიოზულმა მარცხმა, რასაც რუსეთის არმიაში დიდი მსხვერპლი მოჰყვა, კიდევ უფრო დაძაბა ქვეყანაში არსებული პოლიტიკური და სოციალური ვითარება. რუსეთი შიმშილობის ზღვარზე იმყოფებოდა, დროებითი მთავრობა კი უპერსპექტივო ომს განაგრძობდა. შექმნილი ვითარებით კარგად ისარგებლეს რევოლუციურმა პარტიებმა, პირველ რიგში, სოციალ-დემოკრატიამ ბოლშევიკებმა და არმიასა და მოსახლეობაში დროებითი მთავრობის საწინააღმდეგო აგიტაცია გააჩაღეს.

5. საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა. 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციამ, რომელსაც თან სდევდა რუსეთში პოლიტიკური რეჟიმის ლიბერალიზაცია, შესაძლებელი გახადა 1811-1814 წლებში გაუქმებული საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა. უნდა აღინიშნოს, რომ ქართველმა სამღვდელოებამ უფრო ადრე და უფრო უკეთესად შეძლო ორგანიზება, ვიდრე ეროვნულ-პოლიტიკურმა ძალებმა. ეს შემთხვევითი არ იყო. ჩვენმა სამღვდელოებამ ჯერ კიდევ XX საუკუნის დამდეგს (1905-1906 წლებში) შეძლო ავტოკეფალიის აღდგენის იდეის გარშემო დარაზმვა და ავტოკეფალიის აღდგენის კანონიერების შესახებ უაღრესად საყურადღებო დოკუმენტების შექმნა.

1917 წლის 12 (25) მარტს ქართველი სამღვდელოება მცხეთის სვეტ-

იცხოვლის საპატრიარქო ტაძარში შეიკრიბა და მიიღო ეპოქალური მნიშვნელობის გადაწყვეტილება:

„1. ამა დღიდან (ე.ი. 12 მარტიდან) გრძელდება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია; 2. დროებით, კათალიკოსის ამორჩევამდე, ეკლესიის გამგედ ინიშნება გურია-ოდიშის ეპისკოპოსი ლეონიდი და 3. საქართველოს ეკლესიის მმართველობა ევალება აღმასრულებელ კომიტეტს, რომელშიც შედიან როგორც სასულიერო, ისე საერო პირები“.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის აქტი, რომელიც სვეტიცხოველში შეკრებილ სამღვდელოებას და ქართველი საზოგადოების წარმომადგენლებს ეპისკოპოსმა ლეონიდმა წაუკითხა, ასეთი შინაარსისაა:

„1917 წელსა, მარტის 12 დღესა, მცხეთის წმიდათა ათორმეტთა მოციქულთა სრულიად საქართველოს საკათალიკოსო ტაძარსა შინა, დღესა კვირიაკესა, შემოვკრბით ჩვენ, სრულიად საქართველოს ეკლესიის მწყემსთ-მთავარნი, სამღვდელონი კრებულნი და ერისაგანთა წარმომადგენელნი და, შემდგომად ლიტურგიისა და კეთილდღეობისათვის ახლისა მთავრობისა სავედრებლის პარაკლისის შესრულებისა, გულისხმა ვჰყავთ სახელმწიფოსა შინა რუსეთისასა მომხდარნი ძირითადნი ცვლილებანი და ახლისა მთავრობისა დაფუძნებაი, ეგრეთვე სახელძღვანელონი დებულებანი ამა მთავრობისანი, საკუთრივ მის მიერ სინდისისა და სარწმუნეობის თავისუფლების აღსარებაი (მუხ. 3). ამასთანავე განვბჭეთ, ვითარმედ: ა) ეკლესიასა ქართველთასა აქუნდა, თანახმად მსოფლიო კრებათა კანონებისა, ავტოკეფალური არსებობაი, რომლისა მოსპობაი ანუ გაუქმებაი არავის ძალუდგა, თვინიერ მსოფლიო კრებისა, გარნა მას შინა სრულიად არაკანონიერად შეწყვეტილ იქნა ავტოკეფალური მართვა-გამგეობაი; ბ) რუსეთსა შინა დამყარდა ახალი სახე სახელმწიფოს მართვა-გამგეობისაი და მას აღარ შეესაბამების ქართველთა ეკლესიის უფლებაშეჩერებულად ყოფნაი; ამისთვის უცილობელად ვსცანიით და ერთხმად და ერთსულად განვაჩინეთ:

ა) ამიერიდგან აღდგენილად ჩაითვალოს საქართველოსა შინა ავტოკეფალური საეკლესიო მართველობაი, ხოლო, ვიდრე კანონიერად აღორჩეოდეს კათალიკოსი საქართველოს ეკლესიისა, მოსაყდრედ მისა დაინიშნოს ყოვლად სამღვდლო ლეონიდი, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი, და მასთან, განსაგებელად ეკლესიისა, დაწესდეს დროებითი მართველობაი საქართველოს ეკლესიისაი, სასულიეროთა და საეროთა პირთაგან შემდგარი.

ბ) ვინაიდან საქართველო ქვაკუთხედად თვისისა არსებობისა აღიარებს სრულსა სოლიდარობასა რუსეთის ახალსა მთავრობისა თანა, განჩინებაი ესე ეცნობოს მთავრობის თავმჯდომარეს უფალს როძიანკოს

(იგულისხმება მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარე მიხაილ როძიანკო – ვ. გ.), მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს თავად ლვოვს, სინოდის ობერპროკურორს უფალს ლვოვს და კავკასიის კომისარიატს (იგულისხმება ამიერკავკასიის კომისარიატი – ვ. გ.) – ტფილისში“.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას ვიტებსკიდან მიესალმა გადასახლებაში მყოფი ეპისკოპოსი კირიონი: „გილოცავთ ავტოკეფალიას, ხუნდები აეხსნა ივერიის ეკლესიას, რადგან დამონებული იყო ჩვენი ეროვნული სინამდვილე, მდაბიო ერად იყო ქცეული ქართველი ხალხი, იგი ტანჯვის ცრემლებს ღვრიდა, ეხლა კი სიხარულის ცრემლს ვაფრქვევთ. გაუმარჯვოს თავისუფალი ქვეყნის თავისუფალ ეკლესიას“.

რუსეთის დროებითმა მთავრობამ და რუსეთის ეკლესიის უწმინდესმა სინოდმა არ სცნეს საქართველოს ავტოკეფალიის აღდგენა. ცხადია, ავტოკეფალიის აღდგენას არ შეურიგდებოდა საქართველოს ეგზარქოსი. 1917 წლის 13 მარტს საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის კომიტეტის თავმჯდომარე ეპისკოპოსი ლეონიდი დროებითი მმართველობის კომიტეტის მდივნის დავით დავიდოვის (დავითაშვილის) თანხლებით ამიერკავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტში (ოზაკომში) მივიდა და ამიერკავკასიის ხელისუფლების ორგანოს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის აქტი გადასცა. ოზაკომში ვიზიტისას ეპისკოპოსს ლეონიდს განუცხადეს: ოზაკომი მონოდებულია დაიცვას არსებული წესწყობილება, ხოლო მცხეთაში მიღებულ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აქტს ახალი ფორმა შემოაქვს ეკლესიის ცხოვრებაში, რის გამოც არანაირი დამოკიდებულება საქართველოს ეკლესიასა და ოზაკომს შორის არ შეიძლება არსებობდესო. ამ განცხადების შემდეგ ეპისკოპოსი ლეონიდი დარწმუნდა, რომ აუცილებელი იყო ისეთი დოკუმენტის შემუშავება, რომელიც განსაზღვრავდა დამოკიდებულებას საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის კომიტეტსა და ოზაკომს შორის. ამ დოკუმენტის შემუშავების მიზნით სასწრაფოდ შეიკრიბა დროებითი მმართველობის კომიტეტი, რომელშიც შედიოდნენ: ეპისკოპოსი **ლეონიდი ოქროპირიძე** (კომიტეტის თავმჯდომარე და კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრე), ეპისკოპოსი **ანტონ გიორგაძე**, ეპისკოპოსი **პიროს ოქროპირიძე**, პროტოპრესვიტერი **კორნელი კეკელიძე**, დეკანოზი **ნიკიტა თალაქვაძე**, მღვდელი **პოლიექტოს კარბელაშვილი**, მღვდელი **ვასილ კარბელაშვილი**, მღვდელი **კალისტრატე ცინცაძე**, მღვდელი **ქრისტიანოვრე ციციქოშვილი**, მღვდელი **გაბრიელ ყუბანეიშვილი**, დიაკონი **ტიმოთე ბაკურაძე**; საერო პირნი: **ვასილ ბარნოვი**, **ანტონ ნატროშვილი**, **სოფრომ მგალობლიშვილი**, **გრიგოლ ყიფ-**

შიძე, იპოლიტე ვართაგავა, სერგო გორგაძე, გიორგი ყაზბეგი, შიო დედაბრიშვილი, პართენ გოთუა, მიხეილ მაჩაბელი, სარგის კაკაბაძე, ზურაბ ავალიშვილი, ივანე ჯავახიშვილი. დროებითი მმართველობის კომიტეტის წევრთა უმრავლესობამ პროტესტი გამოთქვა ოზაკომის პოზიციის მიმართ.

1917 წლის 14 მარტს ეპისკოპოსები ლეონიდი, ანტონი და პიროსი საქართველოს ეგზარქოს **პლატონ როჟდესტვენსკის** რეზიდენციაში მივიდნენ და განუცხადეს, რომ მცხეთაში მიღებული საქართველოს ავტოკეფალიის აქტის საფუძველზე იგი გადაყენებული იყო ეგზარქოსის თანამდებობიდან. პლატონ როჟდესტვენსკიმ ქართველ ეპისკოპოსებს ასე უპასუხა: მე ყოველივე ამას პეტერბურგში წმინდა სინოდს შევატყობინებ დეპეშით, რასაც 3-4 დღე დასჭირდება და სინოდის განკარგულების თანახმად მოვიქცევით. ამასთან ერთად, ეგზარქოსმა აღნიშნა: ძალას ნუ დამატანთ, რადგან ეს თქვენი საქმისათვის კარგი არ იქნება, ისიც ნუ დაგავინწყდებათ, რომ მეც უმწეო არა ვარ, რუსი ჯარისკაცებიც და მთავრობაც მომხრედ მყავსო. ეგზარქოსს იმედი ჰქონდა, რომ რუსეთის ეკლესიის უწმინდესი სინოდი და რუსეთის დროებითი მთავრობა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას არ დაუშვებდნენ, ხოლო თბილისში ვითარების დაძაბვის შემთხვევაში, მის მხარეს დადგებოდა რუსეთის ჯარი, რუსი სამღვდლოება და რუსი ეროვნების მოსახლეობა.

წ3. ქართული ეროვნული მოძრაობის კონსოლიდაცია (1917 წლის აპრილი – ნოემბერი)

რუსეთის 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციამ, რომელსაც მოჰყვა იმპერიის ნგრევა, ხელსაყრელი პირობები შექმნა იმპერიაში მცხოვრები „ნებაყოფლობით“ შეერთებული თუ დაპყრობილი ერების თვითგანსაზღვრისათვის. ამავე დროს, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლას რამდენიმე ფაქტორი ართულებდა.

პირველი. მსოფლიო ომის მესამე წელსაც კი არ შეიძლებოდა იმის პროგნოზირება, თუ როგორ შეიცვლებოდა სამხედრო-პოლიტიკური სიტუაცია, როგორ განვითარდებოდა საომარი ოპერაციები მსოფლიო ომის ფრონტებზე. აქედან გამომდინარე, შეუძლებელი იყო რამდენადმე რეალური საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციის შემუშავება, საიმედო, ძლიერი

მოკავშირის პოვნა, რის გარეშეც წარმოუდგენელი იყო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა.

მეორე. რუსეთის სახელმწიფოს ინტერესები რუსეთის იმპერიის ნები-სმიერი სამართალმემკვიდრისაგან (კონკრეტულ შემთხვევაში – რუსეთის დროებითი მთავრობისაგან) აუცილებლად მოითხოვდა კავკასიის გეო-პოლიტიკურ რეგიონში პოზიციების დაცვას. კავკასიის დაკარგვით რუსე-თის სახელმწიფო კარგავდა პოზიციებს მახლობელ აღმოსავლეთში.

მესამე. კავკასიის გეოპოლიტიკურ რეგიონში თავისი სასიცოცხლო ინტერესები ჰქონდა ორ ისლამურ სახელმწიფოს, ოსმალეთსა და ირანს. ირანი 1917 წლისათვის არ წარმოადგენდა სერიოზულ ძალას (თუმცა საქა-რთველოსათვის მაინც საშიში იყო); რაც შეეხება ოსმალეთს, მსოფლიო ომის სამმა წელმა აშკარა გახადა მისი აგრესიული მისწრაფებანი ამიერკა-ვკასიაში და, კერძოდ, საქართველოში. ცხადი გახდა ბრძოლის ის ფორმე-ბიც, რომლებითაც თურქეთი ვარაუდობდა რეგიონში დამკვიდრებას.

მეოთხე. მსოფლიო ომის პირობებში ევროპის ქვეყნები კავკასიის გეო-პოლიტიკურ რეგიონში რუსეთ-ოსმალეთის დაპირისპირებაში ვერ ერეო-დნენ, ამ დაპირისპირებაში წონასწორობის გარანტიად ვერ გამოდიოდნენ. მეორე მხრივ, საქართველოს წონასწორობის დარღვევის არცერთი ვარი-ანტი (რუსეთის ან ოსმალეთის სასარგებლოდ) არ აღევადა ხელს. რუსეთის წასვლა ამიერკავკასიის რეგიონიდან აქ ოსმალეთის უცილობელ და საფუძ-ვლიან დამკვიდრებას ნიშნავდა, ხოლო ოსმალეთის პოზიციების შესუსტება ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა რუსეთს აქტიური პოლიტიკის წარმოები-სათვის.

მეხუთე. მოვლენათა იდეალური სცენარით განვითარების შემთხვევა-შიც კი (რუსეთისა და ოსმალეთის ერთდროული წასვლა ამიერკავკასიიდან), საქართველო დიდი სიძნელეების წინაშე დგებოდა. დიდი სახელმწიფოების წასვლა რეგიონიდან დაუყოვნებლივ ბიძგს მისცემდა აქ მცხოვრები ერების ჰეგემონისტურ მისწრაფებებს, სხვადასხვა ეროვნებისა და აღმსარებლობის ხალხების დაპირისპირებას – პოლიტიკურ, რელიგიურ და ეთნიკურ კონ-ფლიქტებს, სეპარატისტულ მოძრაობებს. ყველა ერი შეეცდებოდა თავისი ისტორიული ტერიტორიის საზღვრების მოხაზვას, რაც უმეტეს შემთხვევა-ში, თუ შეუძლებელი არაა, წარმოუდგენლად ძნელი იყო, რადგან რუსეთის მიერ კავკასიის დაპყრობის შემდეგ დემოგრაფიული სიტუაცია აქ კარდი-ნალურად შეიცვალა. ძნელი იქნებოდა იმ კრიტერიუმების შემუშავებაც, რომლებიც საფუძვლად დაედებოდა კავკასიაში ეროვნულ-სახელმწიფოე-ბრივ გამიჯვნას.

მეექვსე. შეუძლებელი იყო იმისი პროგნოზირებაც, თუ საბოლოოდ როგორ დამთავრდებოდა ომი, რა სახეს მიიღებდა მსოფლიოს პოლიტიკური რუკა, როგორი იქნებოდა ომის შემდეგომი პოლიტიკური სიტუაცია.

1. საქართველოს ინტერპარტიული კრებები. საქართველოს პირველი ინტერპარტიული კრება 1917 წლის აპრილის დამდეგს გაიმართა. კრებას ოქმი არ უნარმოებია, ამიტომ ბევრი დეტალი ჩვენთვის უცნობი რჩება. მეორე კრების ოქმიდან დგინდება, რომ პირველ კრებას თავმჯდომარეობდა **აკაკი ჩხენკელი**. კრებაზე დამსწრეთა პერსონალური შემადგენლობა ცნობილი არ არის, ცნობილია მხოლოდ, რომ პირველ კრებას დაესწრნენ სოციალ-დემოკრატთა, სოციალისტ-ფედერალისტთა და ეროვნულ-დემოკრატთა წარმომადგენლები. საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს პირველმა კრებამ საფუძველი ჩაუყარა შეთანხმებას საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა შორის. მეორე კრების ოქმიდან ასევე დგინდება, თუ რა საკითხებზე იმსჯელა პირველმა კრებამ. უმთავრესი იყო „ეროვნულ საკითხში შეთანხმება“. ეროვნული საკითხი ორად იქნა გაყოფილი: ა) საქართველოს ტერიტორია, ბ) ეროვნული სეიმის კომპეტენცია. პირველ საკითხზე – საქართველოს ტერიტორია – მსჯელობა პირველსავე კრებაზე დასრულდა. მეორე საკითხი – ეროვნული სეიმის კომპეტენცია – მეორე კრებისათვის გადაიდო.

საქართველოს პირველ ინტერპარტიულ კრებაზე საქართველოს ტერიტორიის შესახებ სოციალ-დემოკრატები, სოციალისტ-ფედერალისტები და ეროვნულ-დემოკრატები ძირითადად შეთანხმდნენ – ზოგადად მოიხაზა საქართველოს საზღვრები, თუმცა მისი ყველა ნაწილი ჩამოთვლილი და განსაზღვრული არ ყოფილა. საქართველოს ტერიტორია ორ ნაწილად გაიყო: უდავო და სადავო ტერიტორია. უდავო ტერიტორიად მიჩნეული იქნა ის ტერიტორია, „**სადაც ქართველობა უმრავლესობას შეადგენს, ქართველთა რეალური მოსახლეობაა.**“ სადავო ტერიტორია კრებამ ასე განსაზღვრა: „**სადავო ტერიტორია – პერიფერიებია, განაპირა რაიონებია, სადაც უმრავლესობას ქართველობა არ შეადგენს, ან ხალხის სურვილი არ ვიცით, საით მოისურვებს წასვლას.**“ კრებამ აზრი გამოთქვა საქართველოს სადავო ტერიტორიის საკითხის გადაჭრის თაობაზე: „**ამნაირ სადავო ტერიტორიის ბედი საბოლოოდ გადაჭრილი არაა. ამ ტერიტორიის საზღვრებში საქმე უნდა გადაწყდეს ადგილობრივი ხალხის შეკითხვით და რეფერენდუმით.**“ ქალაქ თბილისის შესახებ ყველა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი შეთანხმდა: „**ქალაქი თბილისი უდაო ტერიტორიის საზღვრებშია შეტანილი.**“

საქართველოს პირველი ინტერპარტიული კრების მიერ საქართველოს

ტერიტორიის საკითხის დასმა, ანუ საქართველოს საზღვრების მოხაზვის ცდა, შემთხვევითი არ ყოფილა. საქართველოს საზღვრების დადგენა ყველა შემთხვევაში აუცილებელი იყო. თუ საქართველო სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას დააპირებდა, წინასწარ უნდა ყოფილიყო დადგენილი მომავალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს საზღვრები, წინასწარ უნდა განსაზღვრულიყო ის ტერიტორია, რომლის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადებასაც აპირებდნენ. საქართველოს საზღვრების დადგენა აუცილებელი იყო იმ შემთხვევაშიც, თუ საქართველო რუსეთში ფედერაციული ან ავტონომიური ერთეულის სახით დარჩებოდა. მაგრამ რა პრინციპები უნდა დასდებოდა საფუძვლად საქართველოს ისტორიული ტერიტორიის განსაზღვრას? **საქართველოს პირველმა ინტერპარტიულმა კრებამ სერიოზული პოლიტიკური შეცდომა დაუშვა, როდესაც საქართველოს ე. წ. სადავო ტერიტორიის საქართველოს შემადგენლობაში შესვლა-არშესვლის საკითხის გადასაწყვეტად რეფერენდუმის გზა აირჩია. საერთოდ, შეცდომა იყო საქართველოს ტერიტორიის ორ ნაწილად – უდავო და სადავო ტერიტორიად გაყოფა.** საქართველოს – ანუ ქვეყნის, რომელსაც სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა დაკარგული ჰქონდა, საზღვრების დადგენისას – ინტერპარტიულ კრებას ისტორიული პრინციპით უნდა ეხელმძღვანელა, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ – საქართველოს საზღვრებზე მიეჩნია ის საზღვრები, რომლებიც არსებობდა სამეფო-სამთავროებად დაშლამდე – XV საუკუნის მეორე ნახევრამდე. რა თქმა უნდა, ამ პრინციპის დაცვას თავისი სირთულეები ჰქონდა, მაგრამ იგი ყველა შემთხვევაში ასამოქმედებელი იყო. არსებობდა საქართველოს საზღვრების დადგენის მეორე პრინციპიც – საფუძვლად რუსული ადმინისტრაციული დაყოფის მიღება: საქართველოს ტერიტორიად უნდა ჩათვლილიყო ის ტერიტორია, რომელიც რუსეთის იმპერიაში შედიოდა თბილისის გუბერნიისა და მისდამი დაქვემდებარებული ზაქათალის ოკრუგის, ქუთაისის გუბერნიისა და მისდამი დაქვემდებარებული სოხუმის ოკრუგისა და ბათუმის ოლქის სახით, აგრეთვე ყარსისა და არტაანის ოლქების სახით. ორსავე შემთხვევაში საქართველო არცერთი სხვა ხალხის ინტერესებს არ შელახავდა – ქართველ ერს პრეტენზია მხოლოდ თავის ისტორიულ ტერიტორიაზე ექნებოდა. საწინააღმდეგოდ ამისა, საქართველოს პირველმა ინტერპარტიულმა კრებამ საქართველოს ტერიტორია, როგორც ითქვა, უდავო და სადავო ნაწილებად გაყო, რითაც არაქართველ მოსახლეობას, ფაქტობრივად, სეპარატიზმისკენ უბიძგებდა.

საქართველოს მეორე ინტერპარტიული კრება გაიმართა 1917 წლის 16 აპრილს. კრებას დაესწრნენ: **ეროვნულ-დემოკრატები:** გიორგი გვაზავა,

გიორგი ჟურული, დავით (დათა) ვაჩნაძე, გრიგოლ ვეშაპიძე (ვეშაპელი), სპირიდონ კედიას, ბ. ასათიანი; **სოციალისტ-ფედერალისტები**: გიორგი ლასხიშვილი, გრიგოლ რცხილაძე, იესე ბარათაშვილი, სიმონ მდივანი, სამსონ ფირცხალავა, სამსონ დადიანი, შალვა მესხიშვილი; **სოციალ-დემოკრატები**: აკაკი ჩხენკელი, ნოე რამიშვილი, გიორგი (გოგიტა) ფალავა, გრიგოლ გიორგაძე, პავლე საყვარელიძე. კრებაზე აგრეთვე იმყოფებოდნენ მ. მაჩაბელი და ვ. თუმანიშვილი. საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს მეორე კრებას თავმჯდომარეობდა **აკაკი ჩხენკელი**, მდივნობდა **პავლე საყვარელიძე**.

როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს მეორე ინტერპარტიულ კრებას უნდა განეხილა საკითხი – ეროვნული სეიმის კომპეტენცია. კრების გახსნისას აკაკი ჩხენკელმა აღნიშნა, რომ ეროვნული სეიმის კომპეტენციის საკითხი, კამათის ნაყოფიერების მიზნით, შეიძლებოდა სამ ქვესაკითხად გაყოფილიყო: ა) საქართველოს ტერიტორიული ერთეულის კომპეტენცია, ბ) საქართველოს ტერიტორიული ერთეულის დამოკიდებულება ამიერკავკასიის ტერიტორიულ ერთეულებთან, გ) საქართველოსა და ამიერკავკასიის ტერიტორიული ერთეულების დამოკიდებულება სრულიად რუსეთის ცენტრთან. აკაკი ჩხენკელმა ასევე განაცხადა, რომ კრება კვლავ უნდა დაბრუნებოდა საქართველოს ტერიტორიის საკითხს საბოლოო გადაწყვეტილების გამოსატანად.

ეროვნული სეიმის კომპეტენციის საკითხის განხილვა დაიწყო **გიორგი გვაზავას** გამოსვლით, რომელმაც თავისი შეხედულება ასე ჩამოაყალიბა: „საქართველოს ტერიტორიალურ ერთეულს უფლებათა მინიმუმი მაინც უნდა მიენიჭოს. საერთო ზოგად სახელმწიფოური საქმეები რუსეთის ცენტრის ხელში იქმნება, დანარჩენი გადაეცემა ადგილობრივ ერთეულს. შინაური პოლიტიკური კითხვები საქართველომ თვითონ უნდა გადაწყვიტოს. ამგვარი ნყობილების მაგალითები ბევრია, თუ გინდ ავიღოთ შვეიცარია, ან ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატები. განსაზღვრა საერთო ან კერძო კითხვების დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს. ყოველივე ეს ჩამოთვლილია ავტონომიური ქვეყნების კონსტიტუციებში“. **შალვა მესხიშვილმა** და **ნოე რამიშვილმა** სთხოვეს გამომსვლელს ჩამოეყალიბებინა ეროვნულ-დემოკრატების პოზიცია ეროვნული სეიმის კომპეტენციასთან დაკავშირებით. გიორგი გვაზავამ ეროვნულ-დემოკრატების შეხედულება ეროვნული სეიმის კომპეტენციასთან დაკავშირებით შემდეგნაირად წარმოადგინა: „თუ რუსეთი ფედერატიული იქნება, ცენტრის ხელში დარჩება საყოველთაო საქმეები. ასეთია: ჯარი, ფლოტი, საერთაშორისო პოლიტიკა, საბაჟო, გა-

დასახადი, სახელმწიფო ბიუჯეტი, ზოგიერთი რკინის გზა, ტელეგრაფი, ფოსტა, ზოგი ტელეფონი, სავაჭრო პოლიტიკა, სამოქალაქო და სისხლის სამართლიდან ზოგიერთი საზოგადო კანონები, მაგალითად, შესახებ ვექსილისა, ბანკისა, ლალატისა და სხვა. სამოსამართლო პროცესის შემუშავება ცენტრს ექნება დავალებული. აგრეთვე ცენტრმა უნდა უზრუნველყოს მოქალაქეობრივი თავისუფლება. ავტონომიას ნება ექმნება მხოლოდ გააფართოვოს ეს თავისუფლება. იქ, ცენტრში უფლებათა მინიმუმ იქნება აღნიშნული, აქ, ავტონომიაში – მაქსიმუმი. ფული, წონა, ზომა ცენტრის ხელშია. დანარჩენი საქმეები და მათი შორის კანონმდებლობა ავტონომიურ ერთეულებში წყდება, გარანტია – ფედერაციაა. თუ უნიტარული რესპუბლიკა განხორციელდა, მაშინ საქართველო 1783 წ. ხელშეკრულების ნიადაგზე უნდა დადგეს. ბრძოლა წმინდა უფლებრივ ხასიათს ღებულობს. ავტონომია ამ შემთხვევაში უფრო ვრცელი და ფართე შინაარსის უნდა იყოს. მართვა-გამგეობის დაცენტრალიზაციის თვალთ თუ განვიხილავთ კითხვას, ადგილობრივ ავტონომიას შეიძლება ეყოლოს საკუთარი პრეზიდენტი. მთელი რუსეთის რესპუბლიკას ეყოლება საერთო პრეზიდენტი, რასაკვირველია (...). კანონმდებლობა საერთოა და ადგილობრივი. ადგილობრივ კანონებს ადასტურებს ცენტრის წარმომადგენელი (...). რაც შეეხება სამოსამართლო დეცენტრალიზაციას, ყოველი საქმე აქ უნდა თავდებოდეს. მომრიგებელი მოსამართლე აირჩევა. იქმნება მომრიგებელ მოსამართლეთა კრება, საოლქო სასამართლო და პალატა. სენატი აქ უნდა იყოს“.

ეროვნულ-დემოკრატიების პოზიციის მიმართ შენიშვნა გამოთქვა **გრიგოლ რცხილაძემ**: „შეუძლებელია კითხვის ისე დასმა, როგორც ამას გვაზავა შვება. ერთი განსაზღვრული დადებითი მოთხოვნილება უნდა შევიმუშაოთ და არა ორი, ორ სხვადასხვა მოსალოდნელ წყობილებისათვის — ან ფედერაცია, ან უნიტარიზმი“.

სოციალ-დემოკრატიების შეხედულება წარმოადგინა **ნოე რამიშვილმა**: „ვერ გამოვიტყვით, რათ ელიან ნაკლებს ფედერატიულ წყობილების დროს, ან რატომ მოვიტხოვთ მეტს უნიტარული რესპუბლიკის დროს. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ რუსეთი ფედერაციამდე არ მივა. ეს იქნებოდა ეკონომიურად უკან დამხვევი და პოლიტიკურად შეუძლებელი. ჩვენს კითხვას სამი რამ ახასიათებს: სასამართლო, მართვა-გამგეობა და კანონმდებლობა. სასამართლო ადგილობრივია, მოსამართლენი არჩეული და არა დანიშნული. საქმის წარმოება ქართულ ენაზე იქნება, რალა თქმა უნდა. როგორც პრინციპი კი უნდა იყოს ბრალდებულის ენის ხმარება, როგორც ეს განვითარებულ დემოკრატიებშია. მართვა-გამგეობა ადგილობრივი პირების საშვალებით.“

უმთავრესია კანონმდებლობა. ეროვნულ-დემოკრატიზაცია წინათ სთქვეს: ცენტრს მხოლოდ ჯარის, ფლოტის და სხვ. საქმე უნდა ეკითხებოდესო. ჩვენ ვამბობთ: ცენტრის ხელში უნდა იყოს უმთავრესი კანონების გამოცემა, სისხლის და სამოქალაქო სამართალი, სოციალური კანონმდებლობა, სავაჭრო პოლიტიკა და სხვ. ფედერაცია, სადაც არის, იქაც იზღუდება. იქმნება ფართო დეცენტრალიზაცია. თვით ფინლანდიაში ისმება კითხვა სავაჭრო და საბაჟო კედლების მოსპობის შესახებ. საქართველო სამეურნეო ქვეყანაა. ეს არ იქმნება სახელმწიფო, როგორც ფინლანდიაა. ეს იქმნება ფართო ადგილობრივი ეროვნული თვითმმართველობა. ჩვენ აქ სხვა ერებთან შეუთანხმებლად ვერ ვიმოქმედებთ. მეზობლებთან დამოკიდებულებას განსაზღვრული ფორმა უნდა მიეცეს. ამიერ-კავკასიის სეიმი აუცილებლად საჭირო იქმნება. ზოგიერთი კითხვები (გზა, არხი და სხვ.) ერთად გადასაწყვეტი ექნებათ აქაურ ერებს. სეიმი უთუოდ საჭიროა, თუნდაც მისი სესიები შეზღუდული და ხანმოკლე იყოს. კულტურული კითხვები ნაციონალური ერთეულის ხელში გადავა ერთიანად“.

შალვა მესხიშვილმა ნოე რამიშვილს დაუსვა კითხვა შეკითხვა: „როგორ დგება ამიერ-კავკასიის სეიმი?“ ნოე რამიშვილის პასუხი ასეთი იყო: „ამიერ-კავკასია ცხადდება ერთ მთლიან ერთეულად. მას ექმნება თავისი პარლამენტი, ანუ სეიმი შეიძლება, ის აუცილებელია ერების შეთანხმებისათვის“. **გრიგოლ რცხილაძემ** სამი შეკითხვა დასვა: „საკასაციო სასამართლო სად იარსებებს? მართვა-გამგეობის საკითხებს ადგილობრივად წყვეტენ თუ არა? რა კითხვებში ექმნება კანონმდებლობის უფლება ქართულ ტერიტორიარულ ერთეულს?“ **ნოე რამიშვილმა** პასუხს ნაწილობრივ თავი აარიდა და განაცხადა: „ამ კითხვების დეტალურად გამორკვევა აქ შეუძლებელია. საკასაციო საქმეები ზოგი ცენტრში გაირჩევა, ზოგი – ადგილობრივ. აქ მისაღებია უფრო შერეული სისტემა. უმთავრესად კი სამოსამართლო საქმეები აქვე გაირჩევა. მართვა-გამგეობა იქმნება, როგორც სხვა დემოკრატიულ ქვეყნებში. კავშირი უნდა დარჩეს ცენტრთან. დანვრილებით თუ რა სახეს მიიღებს ეს ურთიერთობა, ახლა ძნელი სათქმელია. ადგილობრივ ერთეულის კომპეტენციაში არ შევა ომი, ზავი, სამოქალაქო და სისხლის სამართალი, მუშათა კანონმდებლობა, სავაჭრო პოლიტიკა და სხვა“. **გრიგოლ ვეშაპელმა** დასვა კითხვა, რომელიც სამოქალაქო და სისხლის სამართლის კანონებს შეეხებოდა, მაგრამ კრების დადგენილებით კამათი შეწყდა. როგორც ოქმიდან ირკვევა, საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს მეორე კრება საქართველოს ტერიტორიის საკითხს აღარ დაბრუნებია.

ამრიგად, საქართველოს პირველ და მეორე ინტერპარტიულ კრებებზე

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხი არ დასმულა. ეროვნულ-დემოკრატიების აზრით, თუ რუსეთი ფედერაციული სახელმწიფო იქნებოდა, საქართველოს უნდა მიეღო ფედერაციული ერთეულის სტატუსი; თუ რუსეთი უნიტარული რესპუბლიკა იქნებოდა, საქართველოს უნდა მოეთხოვა ფართო ეროვნული ავტონომია საკუთარი პრეზიდენტით. სოციალ-დემოკრატები უარყოფდნენ როგორც ფედერაციას, ისე ავტონომიის იდეას და მიიჩნევდნენ, რომ საქართველოს უნდა ჰქონოდა ფართო ადგილობრივი ეროვნული თვითმმართველობა, მაგრამ არა უშუალოდ რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში, არამედ ამიერკავკასიის ტერიტორიული ერთეულის შემადგენლობაში, რომელიც თავისთავად რუსეთის სახელმწიფოს ნაწილი იქნებოდა.

1917 წლის 3 აგვისტოს მესამე ინტერპარტიული კრებაზე მიიღეს დადგენილება: საერთო ეროვნულ ცენტრს დაერქვას სახელად ქართველი ერის ინტერპარტიული საინფორმაციო ბიურო. ამავე კრების დადგენილებით ინტერპარტიულ ეროვნულ ბიუროში მონაწილეობის მიღება შეეძლოთ მხოლოდ პოლიტიკურ პარტიებს და თითოეულ პარტიას უნდა ჰყოლოდა ხუთი წარმომადგენელი. ეროვნულ ბიუროში მონაწილეობის შესაძლებლობის უფლება მიეცათ: „ს. - დემოკრატიული პარტია (საოლქო კომიტეტი. „ალიონი“ ამასთან ერთად). ს. - ფედერალისტები, ნ. - დემოკრატიული პარტია, ს. - რევოლუციონერები და ბოლშევიკები“.

2. საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭო. ქართველი ერის ინტერპარტიული ბიუროს დამფუძნებელი კრება გაიხსნა 1917 წლის 12 აგვისტოს. კრების თავმჯდომარედ არჩეულ იქნა **ნოე ჟორდანია**. დამტკიცდა ბიუროში მონაწილე 5 პარტიიდან ბიუროს სრული შემადგენლობა – **პლენუმი**. პარტიის წარმომადგენლები (ხუთ-ხუთი კაცი) თანაბარი რაოდენობით იქნებოდნენ ბიუროს (პლენუმის) შემადგენლობაში. ამავე კრებაზე დამტკიცდა: „ქართველი ერის ინტერპარტიულ ბიუროს ჰყავს აღმასრულებელი ორგანო, პრეზიდიუმი, ხუთი კაცისაგან შემდგარი, თითოეულ პარტიისაგან თითო კაცი. პრეზიდიუმის შემადგენლობა მუდმივია. პრეზიდიუმის წევრათ ყველას თითო კაცი ჰყავს“. ქართული ინტერპარტიული ბიუროს შემადგენლობა ასეთი იყო: **სპირიდონ კედია, გიორგი გვაზავა, გიორგი ყურული, დავით ვაჩნაძე, გრიგოლ ვეშაპელი, გიორგი ლასხიშვილი, გრიგოლ რცხილაძე, სამსონ ფირცხალავა, შალვა მესხიშვილი, იოსებ გედევანიშვილი, გრიგოლ ნათაძე, კონსტანტინე მესხი, ივანე ჩერქეზიშვილი, ალექსანდრე დგებუაძე, აკაკი ჩხენკელი, ნოე ჟორდანია, სილიბისტრო ჯიბლაძე, ნიკოლოზ ქარცივაძე, ნოე რამიშვილი.**

1917 წლის 21 აგვისტოს კრებაზე ინტერპარტიული ბიუროს მუდმივ თავმჯდომარედ არჩეულ იქნა **აკაკი ჩხენკელი**, მის მოადგილედ – **გიორგი ლასხიშვილი**, საზინდარად – **კოსტანტინე მესხი**. გადანყდა პრეზიდიუმთან დაარსებულიყო შემდეგი სექციები: **საფინანსო**, **სამხედრო**, **საშინაო** და **საგარეო საქმეთა**. თითოეული სექციისთვის უნდა ეხელმძღვანელა პრეზიდიუმის ამა თუ იმ წევრს. ამავე კრებაზე გადანყდა, რომ „ქართულ ინტერპარტიულ საინფორმაციო ბიუროს დაერქვას **ქართული ეროვნული ინტერპარტიული საბჭო**, ხოლო ბიუროს პრეზიდიუმს – **აღმასრულებელი კომიტეტი**. გადიდებულ იქნას პრეზიდიუმის შემადგენლობა (თითო პარტიიდან ერთის ნაცვლად ორი კაცი)“.

საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს 28 აგვისტოს სხდომის დღიურიდან ვიგებთ, რომ საბჭოს შემადგენლობა გაიზარდა და თითოეულ პარტიას ხუთის მაგივრად ათი მუდმივი წარმომადგენლის ყოლის უფლება მიეცა. ამავე სხდომაზე განისაზღვრა, რომ საბჭო უნდა მოწვეულიყო კვირაში ერთხელ, ყოველ შაბათს, საღამოს 8 საათზე.

ინტერპარტიული საბჭო თავის ფუნქციას ასე განსაზღვრავდა:

„1. სახელმწიფოებრივ ძალაუფლების გადასვლა მხოლოდ რევოლუციური დემოკრატიის ხელში;

2. კონტრრევოლუციასთან მედგარი ბრძოლა;

3. რესპუბლიკის აღიარება, დადასტურება და დაცვა;

4. დამფუძნებელი კრების საჩქაროდ მოწვევა;

5. ერთა თვითგამორკვევის უფლების აღიარება, თავისუფალ რუსეთში თავისუფალი ერები. ერთა უფლებების აღიარება და მათთან შეთანხმებით მოქმედება. ეროვნულ-ტერიტორიალური თვითმმართველობა. მის მოსამზადებლად და განსახორციელებლად პრაქტიკული ნაბიჯის გადადგმა. რევოლუციური მთავრობის შეთანხმებით ეროვნული საკითხი საბოლოოდ გადაიჭრება დამფუძნებელ კრებაზე;

6. წარმომადგენლობის თანხმობითი და ერთიანი გამოსვლა“.

1917 წლის 6 სექტემბერს, კრებაზე, ინტერპარტიულმა საბჭომ თავისი სამოქმედო გეგმა პროგრამის სახით ჩამოაყალიბა და პეტროგრადის დემოკრატიულ თათბირზე (1917 წლის 12 სექტემბერი) გასაგზავნად არჩეულ თავის წარმომადგენლებს (ნოე ჟორდანიას, აკაკი ჩხენკელს, სიმონ მდივანს, შალვა ამირეჯიბს) რევოლუციური მოთხოვნების დაცვა დაავალა. ეს დოკუმენტი ნათლად წარმოაჩენს ქართველ პოლიტიკოსთა განწყობილებას. ამ თვალსაზრისით საინტერესოა დოკუმენტის მე-5 მუხლი, რომელშიც საუბარია ეროვნულ-ტერიტორიულ თვითმმართველობაზე დაფუძნებულ

ერთა თვითგამორკვევის უფლების აღიარებაზე რევოლუციურ მთავრობასთან შეთანხმებით. თუ რუსეთის დამფუძნებელი კრება უარს იტყოდა ერთა თვითგამორკვევის უფლების აღიარებაზე, მაშინ საქართველოში უნდა აერჩიათ „საკუთარი საკანონმდებლო კრება“ ადგილობრივ საქმეთა განსაგებად. თუმცა მოვლენების შემდგომმა განვითარებამ (1917 წლის 25 ოქტომბრის კონტრრევოლუციური სახელმწიფო გადატრიალება და 1918 წლის 6 იანვარს ბოლშევიკების მიერ დამფუძნებელი კრების გარეკვა) ეს შეუძლებელი გახდა. საქართველოს ეროვნულ ინტერპარტიულ საბჭოში მუშაობის ნაყოფიერად წარმართვისათვის საჭირო იყო შესაბამისი ფინანსების მოძიება. ქართლ-კახეთის თავად-აზნაურთა წინამძღოლი, თავადი **კონსტანტინ აფხაზი** 1917 წლის 19 ოქტომბერს ეროვნული ინტერპარტიული საბჭოსათვის აღმოსავლეთ საქართველოს თავადაზნაურთა ქონების გადაცემის შესახებ მოხსენებით გამოვიდა. მან აღნიშნა, რომ მოსალოდნელი იყო ამ ქონების ლიკვიდაცია და გამოთქვა აზრი, რომ ეროვნული ინტერპარტიული საბჭო ჩარეულიყო საკითხის გადაწყვეტაში. განხილვა გაგრძელდა 26 ოქტომბრის სხდომაზე. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქართლ-კახეთის თავადაზნაურობის ქონება ქართველი ერის საკუთრებაში უნდა გადასულიყო. 1917 წლის 3 ნოემბრის ინტერპარტიული საბჭოს კრებაზე მდივანმა **პავლე საყვარელიძემ** წაიკითხა თავად-აზნაურთა დეკლარაცია ქართველი ერისადმი ქონების გადაცემის შესახებ. გადაწყდა, ქონების გადაცემის საკითხი 1917 წლის 19 ნოემბერს დანიშნული ეროვნული ყრილობის დღის წესრიგში შესულიყო.

3. ვითარება სამხრეთ-დასავლეთ და სამხრეთ საქართველოში (ბათუმისა და ყარსის ოლქებსა და სამცხე-ჯავახეთში) 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის შემდეგ (1917 წლის მარტი – 1918 წლის აპრილი). 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის შემდეგ ვითარება დაიძაბა სამხრეთ-დასავლეთ და სამხრეთ საქართველოში, რაც სხვადასხვა მიზეზით იყო გამოწვეული.

ვითარება ბათუმის ოლქში. 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის შემდეგ ამიერკავკასიის განსაკუთრებულმა კომიტეტმა (ოზაკომმა) ბათუმის ოლქში, ისევე, როგორც მთელ საქართველოში, დაიწყო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების – **კომისარიატების** შექმნა. 1917 წლისათვის ბათუმის ოლქი ორ ოკრუგად – ბათუმისა და ართვინის ოკრუგებად იყოფოდა. თავის მხრივ ბათუმის ოკრუგი უბნებად იყოფოდა. ეს უბნები იყო: კინტრიშის (ცენტრი ქალაქ ქობულეთში), გონიოს (ცენტრი სოფელ ზემო მარადიდში), ქვემო აჭარის (ცენტრი სოფელ ქედში), ზემო აჭარის (ცენტრი სოფელ ხულოში). ართვინის ოკრუგი შემდეგ უბნებად იყოფოდა: ართ-

ვინის (ცენტრი ქალაქ ართვინში), არტანუჯის (ცენტრი ქალაქ არტანუჯში), შავშეთ-იმერხევის (ცენტრი სოფელ სათლელ-რაბათში). ბათუმის ოლქის პოლიტიკურ ძალთა ინიციატივით კომისარიატებთან ერთად ყოველ ადმინისტრაციულ ერთეულში იქმნებოდა ხელისუფლების არჩევითი ორგანოები – **აღმასრულებელი კომიტეტები**. 1917 წლის 14 მაისს ბათუმის საოლქო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ვეგენი კრინიცკის** ინიციატივით ბათუმში ოლქის მოსახლეობის წარმომადგენელთა ყრილობა გაიმართა. ყრილობამ შეიმუშავა ბათუმის ოლქის ადმინისტრაციულ ერთეულებში აღმასრულებელი კომიტეტების საარჩევნო დებულება და დასახა საარჩევნო კამპანიის გეგმა.

ცხადია ოზაკომს არ სურდა ბათუმის ოლქში ხელისუფლების პარალელური ორგანოების შექმნა, მაგრამ იძულებული გახდა, ანგარიში გაენია მოსახლეობის სურვილისათვის და აღმასრულებელი კომიტეტების არჩევნებს შერიგებოდა. ამასთან ერთად, ოზაკომმა გადაწყვიტა კონტროლი გაენია აღმასრულებელი კომიტეტების არჩევნებისათვის და ბათუმის ოლქის ყოველ ადმინისტრაციულ ერთეულში თავისი წარმომადგენლები დანიშნა. ბათუმის ოლქში ოზაკომის რწმუნებულებად დაინიშნენ **რეჯებ ბეი ნიჟარაძე** და **კაპიტონ გოგოლაძე**, ხოლო მათ თანაშემწეებად – **ჰასან ფენდი ლორთქიფანიძე** და **ვლასა მგელაძე**. ვლასა მგელაძემ უარი განაცხადა რწმუნებულის თანაშემწედ გუშაობაზე და მის ნაცვლად **ერმალო შარაშიძე** დაინიშნა. ბათუმის ოლქის ადმინისტრაციულ ერთეულებში აღმასრულებელი კომიტეტების არჩევნები დაძაბულ ვითარებაში მიმდინარეობდა. იგი გაჭიანურდა და 1917 წლის ოქტომბერში დასრულდა, ხოლო ართვინის ოკრუგის შავშეთ-იმერხევის უბანში საერთოდ არც ჩატარებულა. დაძაბულ ვითარებაში მიმდინარეობდა არჩევნები ზემო აჭარაშიც. არჩევნების შედეგად ზემო აჭარის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ **ჯეფერ ხიმშიაშვილი**, ხოლო ქვემო აჭარის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ **დაუდ დიასამიძე** აირჩის. კინტრიშის უბნის აღმასრულებელი თავმჯდომარე **არსენ ნითლიძე** გახდა. ბათუმის საოლქო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ვეგენი კრინიცკი** ოზაკომმა ბათუმის ოლქის კომისრადაც დანიშნა.

ბათუმის ოკრუგის კინტრიშის უბნის კომისრად თავდაპირველად **ივან ევსეიჩიკი** დაინიშნა, რომელიც მალე გადააყენეს და 1917 წლის 2 სექტემბერს კომისრად **ჰაიდარ ბეი აბაშიძე** დაინიშნა. ართვინის ოკრუგის არტანუჯის უბანში თავდაპირველად სამი კომისარი დაინიშნა: **პეტროს კაიტანჯიანი**, **ლოგუა** და **ვართან მაზმანიანი**. 1917 წლის 1 სექტემბერს არტანუჯის

უბნის კომისრად **ჰაიდარ ბიბინ ზადე (ბიბინეიშვილი)** დაინიშნა, ართვინის უბნის კომისრად – **ბართლომე მეგრელიძე**, ბათუმის ოკრუგის ქვემო აჭარის უბნის კომისრად – **გიორგი ჭელიძე**.

1917 წლის 9 ივლისს გაიმართა ბათუმის საქალაქო თვითმმართველობის არჩევნები, რომელსაც წინ დაძაბული საარჩევნო კამპანია უძღოდა. სოციალ-დემოკრატებმა მიიღეს 9.577 ხმა, სოციალისტ-რევოლუციონერებმა – 10.627 ხმა. სხვა პოლიტიკურმა ძალებმა ხმების უმნიშვნელო რაოდენობა მიიღეს. არჩევნების შედეგად ბათუმის საქალაქო თვითმმართველობაში სოციალისტ-რევოლუციონერებმა 26 მანდატი მიიღეს, 24 მანდატი ერგოთ სოციალ-დემოკრატებს, დაშნაკებმა 4, კადეტებმა 2, სოციალისტ-ფედერალისტებმა 1 მანდატი მიიღეს. ბათუმის ქალაქის თავად **კონსტანტინე საბახტარიშვილი** აირჩიეს.

ვითარება ყარსის ოლქში. ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნების გამო ოზაკომს ყარსის ოლქში ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების შექმნა გაუჭირდა. ოზაკომმა ყარსის ოლქში სრულუფლებიან წარმომადგენლებად **იოსებ არღუთინსკი** და **რიზა ბეი ყარაშაროვი** დანიშნა. 1917 წლის 7 მარტს ქალაქ ყარსში ფუნქციონირება დაიწყო საოლქო აღმასრულებელმა კომიტეტმა, რომლის თავმჯდომარე **გრიგორი ძამოევი** იყო. იგი ამავე დროს ყარსის საქალაქო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეც იყო. ყარსის ოლქში აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებდა სამი კომისარი: **ალიხან კანტემიროვი, მიხაილ სიტინი** და **მაქსიმ ფიოდოროვი**. საოლქო აღმასრულებელი კომიტეტის მსგავსად ჩამოყალიბდა ოთხივე ოკრუგის აღმასრულებელი კომიტეტებიც (თავმჯდომარე და 3-3 კომისარი). 1917 წლის ივლისისათვის ოკრუგების აღმასრულებელი კომიტეტების პერსონალური შემადგენლობა ასე გამოიყურებოდა: არტაანის ოკრუგში – **კარაიძე** (აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე), **კიასუმბეკოვი** (კომისარი), **დავითიანი** (კომისარი), **ქსანფოპულო** (კომისარი); ოლთისის ოკრუგში – **გვარამაძე** (აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე), **დონსკოი** (კომისარი), **გაშიმბეკოვი** (კომისარი), **ბაბაიანცი** (კომისარი); **ყაზიზმანის** ოკრუგში – **ჩიბასი** (აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე), **სიმფოროვი** (კომისარი), **კანანოვი** (კომისარი), **იდრისი** (კომისარი); ყარსის ოკრუგში – **სარიევი** (აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე), **ალახვერდოვი** (კომისარი), **ხალილბეკოვი** (კომისარი), **კოლომინი** (კომისარი).

1917 წლის 6 ივნისს ოზაკომმა არტაანის ოკრუგში თავის რწმუნებულად ფოცხოველი მსხვილი მემამულე **ათაბეგ ქვაბლიანელი** დანიშნა, რომელიც შემდეგში გადააყენეს და მისი ადგილი **სერვერ ბეი ათაბაგმა** (ჯაყ-

ელმა) დაიკავა. ეს ის სერვერ ბეი ათაბაგია, რომელმაც შემდეგში აჯანყება დაიწყო და შეეცადა სეპარატისტული ისლამური სახელმწიფოს შექმნას სამხრეთ საქართველოში. 1917 წელს ქვაბლიანის უბნის კომისრად **ბახში ბეი მაჩაბელი** დაინიშნა. მალე გაირკვა, რომ ბახში ბეი არტანუჯის ოლქში მოქმედი ყაჩაღთა ბანდის მფარველი იყო.

ვითარება სამცხე-ჯავახეთში. 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის შემდეგ ვითარება სამცხე-ჯავახეთში დაიძაბა. თბილისის გუბერნიის ახალციხის მაზრის ცენტრ ქალაქ ახალციხის ძირძველ მოსახლეობას ქართველები შეადგენდნენ, რომლებიც ქალაქის ძველ ნაწილში, ე. წ. რაბათში ცხოვრობდნენ. მათთან ერთად რაბათში ებრაელთა თემიც ცხოვრობდა. ქალაქის ახალი ნაწილი თითქმის მთლიანად სომხებმა დაიკავეს. ახალციხის თვითმმართველობასა და პოლიციაში მნიშვნელოვანი თანამდებობები სომხებს ეკავათ. 1876-1917 წლებში ახალციხეში 9 ქალაქის თავი შეიცვალა და ყველა მათგანი სომეხი იყო. ქალაქის სათათბიროსა და გამგეობაში სომხები ბატონობდნენ. ახალციხის მაზრის ადმინისტრაციასა და პოლიციაში სომხების გარდა უმრავლესობაში ინგუშები, ლეკები და აზერბაიჯანელები იყვნენ. ახალქალაქის სამაზრო და საქალაქო მმართველობაშიც აბსოლუტურ უმრავლესობაში სომხები იყვნენ. სამცხე-ჯავახეთის ძირძველი მოსახლეობა, ქართველები, ორივე მაზრაში შევიწროვებულები იყვნენ და მაზრების მართვა-გამგეობაში თითქმის არავითარ როლს არ ასრულებდნენ. ასეთ ვითარებაში ოზაკომისაგან უყურადღებოდ მიტოვებულმა ქართველმა მუსლიმებმა ქართული ორიენტაცია ოსმალურით შეიცვალეს, ქართული გვარები გამოიცვალეს, ხოლო შვილებს სასწავლებლად ოსმალეთის ქალაქებში ან ბაქოში აგზავნიდნენ. ცხადია, შექმნილ ვითარებაში ოზაკომს სამცხე-ჯავახეთში ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების შექმნა გაუჭირდებოდა.

სამცხე-ჯავახეთში ახალი ხელისუფლების ორგანიზება სტიქიურად დაიწყო. რუსეთის კავკასიის არმიის 116-ე პოლკის ახალგაზრდა ოფიცერმა და მისმა თანამოაზრეებმა 1917 წლის მარტში შექმნეს ხელისუფლების ორგანო, რომელსაც **ახალციხის გარნიზონის სამხედრო პრეზიდენტი** უწოდეს. ახალციხის გარნიზონის სამხედრო პრეზიდენტი მხარს რუსეთის დროებით მთავრობას უჭერდა.

1917 წლის 1 ოქტომბერს ჩატარდა ახალციხის საქალაქო თვითმმართველობის არჩევნები. სოციალ-დემოკრატებმა სათათბიროში 5 მანდატი მიიღეს, დაშნაკებმა – 15, სოციალისტ-რევოლუციონერებმა – 12, რაბათში მცხოვრებმა ქართველებმა – 3 მანდატი, სომხების ეროვნულმა პარტიამ

გნჩაკმა – 1 ადგილი. ახალციხის ქალაქის თავად დაშნაკი **ზ. ზორიანი** აირჩიეს.

ოზაკომმა სამცხე ჯავახეთში ხელისუფლების ახალი ორგანოების შექმნის პროცესში იგივე შეცდომები დაუშვა, რაც ყარსის ოლქში. ახალციხის მაზრის კომისრად დაინიშნა მაზრის ყოფილი უფროსი ინგუში როტმისტრი **ომარ გუდიევი**, აწყურის ბოქაულად – ლეკი **მურსალ მუსაკიევი**, მაზრის ექიმი იყო აზერბაიჯანელი **აზიზბეგ კადიმბეკოვი**. ახალციხის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ არჩეული იქნა **ომარ ფაიკი (ყიფიანი)**, მოადგილედ კი მისივე დისშვილი – **ახმედ ბეი პეპინოვი (ფეფინაშვილი)**, მაზრის აგრონომად – **ზია ბეი ავალოვი (ავალიშვილი)**. თანამდებობებზე დანიშნულთა უმრავლესობა წინათ ოსმალეთის აგენტები და პანისლამიზმის მქადაგებლები იყვნენ. 1917 წლის შემოდგომიდან, როცა რუსეთის კავკასიის ფრონტმა დაშლა დაიწყო, ოსმალეთის აგენტებმა სეპარატისტული საქმიანობა გააჩაღეს და საცხე-ჯავახეთის საქართველოდან ჩამოცილება განიზრახეს. ახალციხის მაზრის კომისარი ომარ გუდიევი რუსეთის დროებითი მთავრობის დისკრედიტაციას ცდილობდა და მაზრას, ფაქტობრივად, დამოუკიდებლად განაგებდა. ომარ გუდიევი მაზრის სოფლებში დადიოდა და ფარულად მოსახლეობას შეიარაღებისაკენ მოუწოდებდა.

ახალქალაქის მაზრის კომისარმა ომარ გუდიევმა სასოფლო და საუბნო აღმასრულებელი კომიტეტების არჩევნები კი ჩაატარა, მაგრამ აღმასრულებელი კომიტეტის ნევრებად უმრავლეს შემთხვევაში თავისი მომხრეები გაიყვანა. კომისარმა გააუქმა აწყურის სახელმწიფო სასწავლებელი და მის ნაცვლად მუსლიმი მასწავლებლებისათვის კურსები დააარსა. მასწავლებელთა კურსებს **ომარ ფაიკი (ყიფიანი)** ხელმძღვანელობდა. იგი 40 მსმენელს პანისლამიზმისა და სეპარატიზმის პროპაგანდისტებად ამზადებდა. ომარ გუდიევის ანტიქართული საქმიანობის შესახებ ხმებმა თბილისამდეც მოაღწია. 1917 წლის ივლისში იგი დააპატიმრა ახალციხეში ჩასულმა ერთ-ერთი სამხედრო ნაწილის ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ, რამაც ადგილობრივი მუსლიმი მოსახლეობის დიდი აღშფოთება გამოიწვია. სახელგატყეხილი ადამიანების ხელში აღმოჩნდა ახალქალაქის მაზრის მმართველობაც. ახალქალაქში სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ არჩეული იქნა **მანდადოვი (მანდადიანი)**, რომელიც რევოლუციამდე ახალქალაქის მაზრის სასამართლოს მდივანი იყო. სწორედ ამ უკანასკნელის მხარდაჭერით ახალქალაქის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტი სომეხი შოვინისტების ხელში აღმოჩნდა.

1917 წლის აპრილში ბაქოს საქველმოქმედო ისლამური საზოგადოების

ინიციატივით ქალაქ ყარსში ჩამოყალიბდა „საიდუმლო ისლამური კომიტეტი“. მალე აბასთუმანში ჩატარდა სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის მუსლიმთა ყრილობა, რომლის რეზოლუციაშიც საგანგებოდ იყო აღნიშნული სამცხე-ჯავახეთის ამიერკავკასიისაგან გამოყოფის მიზანშეწონილობა. 1917 წლის შემოდგომაზე ახალციხეში გაიმართა კავკასიის მუსლიმთა (ჩრდილო კავკასიის მთიელთა, აზერბაიჯანელთა, ყარსისა და ბათუმის ოლქების) წარმომადგენელთა ყრილობა. ყრილობის მონაწილეებმა გადაჭრით მოითხოვეს საქართველოსთან ყოველგვარი კავშირის განწყვეტა. ამ საშიში მოვლენის წინააღმდეგ გაილაშქრეს ქართველმა მოღვაწეებმა. პრესაში გამოქვეყნდა ჰეიდარ ბეი აბაშიძის წერილები, რომლებსაც ფართო გამოხმაურება მოჰყვა. ბაქოს საქველმოქმედო ისლამური საზოგადოების მთავარი რეზიდენტი და პროპაგანდისტი **რიზა ბეი** იძულებული გახდა, აჭარა დაეტოვებინა.

ვითარება ლაზეთში. 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის შემდეგ საგანგებო ვითარება შეიქმნა ომის დროს რუსეთის ჯარის მიერ დაკავებულ ლაზეთსა და საერთოდ ტრაპიზონის ვილაეთში. 1917 წლის 6 აპრილს ოზაკომმა ტრაპიზონისა და მისი რაიონის დროებით კომისრად **ფიოდორ ტატარინოვი** დანიშნა. დროებითი კომისრის ხელისუფლებას სერიოზულად ზღუდავდა 1917 წლის 9 მარტს შექმნილი ტრაპიზონის გამაგრებული რაიონის ჯარისკაცთა დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი. კომიტეტს 7 წევრისაგან შემდგარი პრეზიდიუმი ხელმძღვანელობდა, რომლის თავმჯდომარეც **ბროკი** იყო.

ტრაპიზონის გამაგრებული რაიონის ჯარისკაცთა დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის და ბროკის მოღვაწეობა ადგილობრივი მოსახლეობის დიდ უკმაყოფილებას იწვევდა. აღშფოთებული მოსახლეობის სახელით ბერძენმა მიტროპოლიტმა **ხრისნაფმა** პირადად მიმართა გამაგრებული რაიონის უფროსს, გენერალ **დიმიტრი კოლოსოვსკის**. (1862-1930). ვითარება იმდენად დაიძაბა, რომ გენერალმა საგანგებო მოხსენებით მიმართა ოზაკომს. დიმიტრი კოლოსოვსკი წერდა: „არ შეიძლება დაპყრობილი ტერიტორიების, ხალხების რევოლუციური მეთოდებით მართვა, რადგან ამ ხალხებს რევოლუცია არ მოუხდენიათ.“

ტრაპიზონის ვილაეთში ვითარება დაძაბა რუსეთის დროებითი მთავრობის მიერ 1917 წლის 26 აპრილს მიღებულმა სრულიად დაუსაბუთებელმა და ტენდენციურმა კანონმა, რომლის ძალითაც ომის დროს რუსეთის ჯარის მიერ დაკავებული ოსმალეთის ტერიტორია, მათ შორის ლაზეთი, ე. წ. „თურქეთის სომხეთად“ გამოცხადდა. თურქეთის სომხეთის საბოლოო სტატუსი მომავალი საზავო ხელშეკრულებით უნდა განსაზღვრულიყო.

„თურქეთის სომხეთის გენერალურ კომისრად“ გენერალ-ლეიტენანტი **პი-ოტრ ავერიანოვი** (1867-1937) დაინიშნა, ხოლო მისი თანაშემწეები **ივანიცკი** და **ზაერიანცი** გახდნენ. 1917 წლის 1 სექტემბრიდან ე. წ. „თურქეთის სომხეთის“ ტერიტორიებთან საქონელგაცვლა აიკრძალა, რამაც მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო ადგილობრივი მოსახლეობა. ლაზები თავიანთ მოსავალს ბათუმში ყიდდნენ და იქვე ყიდულობდნენ მათთვის აუცილებელ საქონელს. ამიერიდან ბათუმის ბაზარი ლაზებისათვის დაიხურა. **მემედ ბეი აბაშიძემ** ჯერ ოზაკომის, ხოლო შემდეგ ამიერკავკასიის კომისარიატის მხარდაჭერით საქონელგაცვლის აკრძალვის გაუქმებისათვის დაიწყო ბრძოლა, მაგრამ უშედეგოდ. მემედ ბეის მხარი დაუჭირეს **ვვგენი კრინიციმ, აკაკი ჩხენკელმა** და სხვა მოღვაწეებმა. აკრძალვა გაუქმდა.

ე. წ. ოსმალეთის სომხეთის ტერიტორიაზე სომხებმა მუსლიმი ქართველების დარბევა დაიწყეს. დარბევის დაუყოვნებლივ აღკვეთა ამიერკავკასიის კომისარიატმა ვერ შეძლო.

1918 წლის მარტის მოვლენები ბათუმში. 1918 წლის მარტში ბათუმში სამხედრო და პოლიტიკური ვითარება სერიოზულად დაიძაბა, მაგრამ, საბედნიეროდ, ხელისუფლებამ შეძლო ქალაქში წესრიგის აღდგენა და შეინარჩუნა დასაღუპავად განწირული სამხედრო-საზღვაო ფლოტიც.

1917 წლის დეკემბერში რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ქუთაისის კომიტეტის დადგენილებით, დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა რაიონიდან მობილიზებულთა ძალებით შეიქმნა ე. წ. „**საზღვაო ასეული**“. ოფიციალურად მას „ცენტროფლოტის დამცავი რაზმი“ ეწოდებოდა. რაზმი განლაგებული იყო ბათუმის ნავსადგურის ტერიტორიაზე და იგი ფორმალურად სამხედრო-საზღვაო კომიტეტს ექვემდებარებოდა (სწორედ ამიტომ უწოდებდნენ ამ რაზმს „საზღვაო ასეულს“). „საზღვაო ასეული“ პარტიული ხაზით რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ბათუმის კომიტეტს ექვემდებარებოდა, სამხედრო თვალსაზრისით – ხელმძღვანელ შტაბს.

„საზღვაო ასეული“ შეიქმნა სოციალ-დემოკრატი მენშევიკების წაბადვით, რომელთაც 1917 წლის შემოდგომაზე ბათუმელი მუშებისაგან შექმნეს დისციპლინირებული და კარგად შეიარაღებული გვარდია. გვარდიის შექმნა ბოლშევიკებმა თავიანთ მარცხად შეაფასეს და თავიანთი ძლიერების დემონსტრირების მიზნით შექმნეს ზემოთ ხსენებული „საზღვაო ასეული“. 1918 წლის თებერვლიდან რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა საზღვაო ასეულს დააკისრა:

1. საბრძოლო იარაღის შოვნა და მისი გადაგზავნა დასავლეთ საქა-

რთველოს სხვადასხვა რაიონში წითელგვარდიის რაზმების შესაქმნელად;

2. ფრონტიდან დემობილიზებულ ჯარისკაცთა შორის საბჭოთა ხელისუფლების სასარგებლო აგიტაცია და ამ ჯარისკაცების ორგანიზებული გადაყვანა ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში თეთრი არმიების წანააღმდეგ საბრძოლველად;

3. ფრონტიდან ბათუმის ნავსადგურში შემოსული გემების გაჩხრეკა და ანტიბოლშევიკურად განწყობილი სამხედროების განიარაღება;

4. კავშირის დამყარება ტრაპიზონში განლაგებულ სამხედრო ნაწილების ბოლშევიკურად განწყობილ ჯარისკაცებთან, რათა მათი დახმარებით ტრაპიზონის მიდამოებში არსებული კავკასიის არმიის საწყობებიდან იარაღის საბჭოთა რუსეთში გადატანა უზრუნველყოთ.

ამ დავალებების შესრულება „საზღვაო ასეულმა“ ვერ შეძლო, მაგრამ ის კი მოახერხა, რომ 1918 წლის გაზაფხულზე სამეგრელოსა და აფხაზეთში დაწყებული ბოლშევიკური აჯანყებები მნიშვნელოვანწილად უზრუნველყო შეიარაღებით. ხსენებული აჯანყებების დროს „საზღვაო ასეული“ ისე მოქმედებდა, როგორც მეხუთე კოლონა.

1918 წლის მარტის დამდეგს ბოლშევიკებმა ბათუმში ძალაუფლების ხელში ჩაგდება სცადეს. ამ შემთხვევისათვის დამრტყმელ ძალას „საზღვაო ასეული“ წარმოადგენდა. 1918 წლის 3 მარტის ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულებამ ბათუმელ ბოლშევიკებში უთანხმოება წარმოშვა. ბოლშევიკთა ერთი ნაწილი ამტკიცებდა, რომ საბჭოთა რუსეთის მთავრობის მიერ ბათუმის დათმობამ დღის წესრიგიდან მოხსნა ქალაქში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების საკითხი. ბოლშევიკთა მეორე ნაწილი კი თვლიდა, რომ საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლა უნდა გაგრძელებულიყო. სამხედრო-საზღვაო ფლოტში დისციპლინის მოშლა და სამხედრო გემების ბათუმიდან წასვლა მეტად საშიში იყო. ოსმალეთის შემოტევის შემთხვევაში სამხედრო ფლოტის გარეშე ბათუმის გამაგრებული რაიონის დაცვა შეუძლებელი იქნებოდა. ქალაქის ხელისუფლებამ ბათუმში დარჩენილი სამხედრო გემების წარმომადგენლებს შესაბამისი ანაზღაურების ფასად შესთავაზა, რომ ოსმალთა შემოტევის შემთხვევაში ქალაქის გამაგრებული რაიონის დაცვისათვის ბრძოლებში მონაწილეობა მიეღოთ. მეზღვაურებს წინადადებაზე მკაფიო პასუხი არ მიუციათ, შემდეგ კი განაცხადეს, რომ სამხედრო ფლოტი საერთოდ დატოვებდა ბათუმის ნავსადგურს.

1918 წლის 17 მარტს ბათუმში ჩავიდა **ნოე რამიშვილი**, რომელმაც 18 მარტს გამთენიისას გვარდიის დახმარებით უბრძოლველად ჩაიგდო ხელში ჯავშნიანი გემი. გემის მეზღვაურები (250 კაცი) ბათუმის ციხეში

მოათავსეს. იმავდროულად ნოე რამიშვილის ხელმძღვანელობით გვარდიამ ხელთ იგდო ნალმოსანი „სარატოვი“ და ათამდე მომცრო სამხედრო გემი 300 მეზღვაურით. 18 მარტსვე სამთავრობო ჯარმა დაიკავა ბათუმის რადიოსადგური. აუცილებელი იყო „საზღვაო ასეულს“ განიარაღება. **შალვა კილურაძის** მეთაურობით „საზღვაო ასეულს“ ალყა შემოარტყა გვარდიის რაზმმა. „ასეულმა“ იარაღის დაყრაზე უარი განაცხადა და მოლაპარაკების დაწყების წინადადება წამოაყენა. ბოლშევიკებმა დროის მოგების მიზნით დაიწყეს მოლაპარაკება, რომელიც დღის ბოლომდე გაგრძელდა. „საზღვაო ასეულმა“ ლამის სიბნელით ისარგებლა და მცირე ჯგუფებად დაშლილმა ქალაქი დატოვა. ასე დასრულდა ბოლშევიკების „საზღვაო ასეულს“ არსებობა.

4. ვითარება აფხაზეთში 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის შემდეგ (1917 წლის მარტი – 1918 წლის მაისი). 1917 წლის მარტში აფხაზეთშიც დაიწყო ახალი ხელისუფლების ორგანოების შექმნა: 10 მარტს ჩამოყალიბდა ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის (ოზაკომის) ადგილობრივი ორგანო „**საზოგადოებრივი უსაფრთხოების დროებითი კომიტეტი**“, რომელის თავმჯდომარედ საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი **ალექსანდრე შერვაშიძე** აირჩიეს. კომიტეტის შემადგენლობაში შევიდნენ: დ. ზახაროვი, ნ. თავდგირიძე, ვ. ლაკერბაია და სხვ. სოხუმის ქალაქის თავი გახდა **ბენია ჩხიკვიშვილი**. 1917 წლის 2 ივლისს გაიმართა საოლქო სასამართლოს არჩევნები, რომელშიც სოციალ-დემოკრატებმა გაიმარჯვეს.

რუსი პოლიტიკური მოღვაწეები ქართული ეროვნული ძალების წინააღმდეგ აფსუბთან ბლოკის შეკვრას ცდილობდნენ. აფხაზეთში გააქტიურდნენ ჩრდილო-კავკასიური ორიენტაციის ძალები. 1917 წლის 6 მარტს შეიქმნა ჩრდილო კავკასიის მთიელთა დროებითი ცენტრალური კომიტეტი, რომელმაც 1 მაისს ქალაქ ვლადიკავკაზში ჩრდილო კავკასიის მთიელთა პირველი ყრილობა მოიწვია. ყრილობას აფხაზეთიდან **ალექსანდრე შერვაშიძე** დაესწრო. 1917 წლის 10-17 აგვისტოს მიმდინარეობდა მთიელ ხალხთა მეორე ყრილობა, რომელმაც ჩრდილო კავკასიის მთიელების ავტონომიის ფორმით რუსეთის სახელმწიფოში შესვლას დაუჭირა მხარი. 1917 წლის 20 ოქტომბერს მთიელთა ცენტრალურმა კომიტეტმა (მთავრობამ) ცოტა ხნით ადრე შექმნილ ჩრდილოკავკასიელ კაზაკთა რადასთან ერთად ჩამოაყალიბა „**კაზაკთა, კავკასიელი მთიელებისა და სტეპების თავისუფალი ხალხების სამხრეთ-დასავლეთ კავშირი**“, რომლის შემადგენლობაში შევიდა „**სოხუმის ოლქის მთიელი ხალხი**“ და არა **სოხუმის ოლქი**, როგორც ამის დამტკიცე-

ბას ცდილობს თანამედროვე რუსული და აფხაზური ისტორიოგრაფია. 1917 წლის 16 ნოემბერს ქალაქ ეკატერინოდარში მუშაობას შეუდგა სამხრეთ-დასავლეთ კავშირის გაერთიანებული მთავრობა. სამხრეთ-დასავლეთ კავშირის წარმომადგენელი ჩეჩენი **ასლანბეი შერიპოვი** 1917 წლის შემოდგომაზე სოხუმში ჩამოვიდა და ცდილობდა აფხაზეთი სამხრეთ-დასავლეთ კავშირთან შეერთებას. ასლანბეი შერიპოვი ეროვნულ ძალთა დიდ წინააღმდეგობას ნააწყდა. ამის შემდეგ მან ტაქტიკა შეცვალა და გამოაცხადა, რომ სამხრეთ-დასავლეთ კავშირი არის პოლიტიკური და არა ადმინისტრაციული გაერთიანება, რამაც თავისი შედეგი გამოიღო. 1917 წლის 7-8 ნოემბერს გაიმართა აფხაზი ხალხის ყრილობა. ყრილობას საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს გადანყვეტილებით თბილისიდან **აკაკი ჩხენკელის** მეთაურობით ჩასული დელეგაცია დაესწრო. ყრილობამ სამხრეთ-დასავლეთის კავშირში აფხაზეთის განევრიანების გადანყვეტილება მიიღო. ყრილობამ დაამტკიცა დეკლარაცია და კონსტიტუცია, აირჩია **აფხაზეთის სახალხო საბჭო** (თავმჯდომარე **სიმონ ბასარია**). სამხრეთ-დასავლეთ კავშირთან პოლიტიკური კავშირის დამყარების მიუხედავად, აფხაზეთი ადმინისტრაციული თვალსაზრისით ამიერკავკასიის შემადგენლობაში რჩებოდა და მასზე ოზაკომის იურისდიქცია ვრცელდებოდა. აფხაზეთის სახალხო საბჭომ არაერთხელ დაადასტურა, რომ აფხაზეთი რჩებოდა ამიერკავკასიის შემადგენლობაში. იგივე დაამონმა აფხაზეთის საოლქო ყრილობამაც, რომელიც 1918 წლის 4-10 მარტს მიმდინარეობდა.

1918 წლის 9 თებერვალს თბილისში გაიმართა საქართველოს ეროვნული საბჭოსა და აფხაზეთის სახალხო საბჭოს დელეგაციების შეხვედრა. აფხაზეთის სახალხო საბჭოს მხრიდან შეხვედრას ესწრებოდნენ: ალ. შერვაშიძე, მ. ემზუარი, ნ. მარლანია, რ. ჩხოტუა, ბ. ცაგურია; საქართველოს ეროვნული საბჭოს მხრიდან – ა. ჩხენკელი, კ. მესხი, გ. გვაზავა, პ. საყვარელიძე, ნ. ქარცივაძე. აფხაზეთის სახალხო საბჭოს დელეგაცია აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებას და საქართველოსთან კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებას ითხოვდა. საქართველოს ეროვნული საბჭოს წარმომადგენლები ამ მოთხოვნას უარყოფითად შეხვდნენ და საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის ავტონომიური ერთეულის სახით შესვლის იდეა წამოაყენეს. აფხაზეთის სახალხო დელეგაცია დათმობაზე წავიდა. შეთანხმება ორ უმნიშვნელოვანეს საკითხს ითვალისწინებდა: 1. ერთიანი და განუყოფელი აფხაზეთის არსებობას მდინარე მზიმითიდან მდინარე ენგურამდე; 2. აფხაზეთის პოლიტიკური მონყობის საკითხის დემოკრატიულ საწყისებზე არჩეული საქართველოს დამფუძნებელი კრების

მიერ გადაჭრას.

1918 წლის 16-20 თებერვალს რუსმა ბოლშევიკებმა სოხუმის ხელში ჩაგდება მოახერხეს და **ეფრემ ეშბას** მეთაურობით **აფხაზეთის რევოლუციური კომიტეტი შექმნეს**. ეს ავანტიურა მარცხით დამთავრდა, –რუსი ბოლშევიკები სოხუმიდან გაიქცნენ.

1918 წლის აპრილში ოსმალეთმა აჭარისა და სამცხე-ჯავახეთის ოკუპაცია შეძლო. იმავდროულად რუსმა ბოლშევიკებმა სოხუმი დაიკავეს. აფხაზეთის სახალხო საბჭოს თავმჯდომარე და წევრების დიდი ნაწილი ბოლშევიკებმა დააპატიმრეს. 1918 წლის 17 მაისს სოხუმი საქართველოს ეროვნულმა გვარდიამ დაიკავა. მალე ბოლშევიკები აფხაზეთის სხვა რაიონებიდანაც განდევნეს. მიუხედავად ამისა, სამხედრო-პოლიტიკური ვითარება აფხაზეთში მაინც დაძაბული რჩებოდა.

§ 4. 1917 წლის 25 ოქტომბრის კონტრრევოლუციური სახელმწიფო გადატრიალება რუსეთში

1. ბოლშევიკების ტაქტიკა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში. მოვლენათა განვითარებამ გვიჩვენა, რომ გენერალ ლავრ კორნილოვის ამბოხება, თუ იგი იმთავითვე დასამარცხებლად იყო განწირული, სჯობდა საერთოდ არ დაწყებულიყო. **ამბოხების შემდგომი პოლიტიკური ვითარება ამბოხების წინანდელთან შედარებით გაცილებით მძიმე იყო.** ლავრ კორნილოვის ამბოხების ჩახშობის შემდეგ, ფაქტობრივად, გამარჯვება ალექსანდრ კერენსკისა და დროებით მთავრობას კი არ დარჩათ, არამედ – ვლადიმერ ლენინსა და ბოლშევიკებს. განხეთქილება სამთავრობო კოალიციაში (სოციალ-დემოკრატი მენშევიკებისა და სოციალისტ-რევოლუციონერების მწვავე დაპირისპირება კონსტიტუციურ დემოკრატებთან) და საბჭოების ბოლშევიზაცია ბოლშევიკებს ხელისუფლებისათვის ბრძოლის კარგ პერსპექტივას უქმნიდა. დემოკრატიულმა თათბირმა (1917 წლის 14 – 22 სექტემბერი) და მის მიერ არჩეული პრედაპარლამენტის მოღვაწეობამ ცხადყო, რომ **რუსეთის სამი წამყვანი პოლიტიკური ძალა – კადეტები, სოციალ-დემოკრატი მენშევიკები და ესერები – ვერ აცნობიერებდნენ იმ საფრთხეს, რასაც ბოლშევიკები უქმნიდნენ რუსეთს.** აქედან გამომდინარე, მათ არც ბოლშევიკების წინააღმდეგ საერთო ფრონტის შექმნაზე უფიქრიათ. დროებითი მთავრობა, კადეტები, სოციალ-დემოკრატი მენშევიკები და ესერები ვარაუდობდნენ, რომ პოლიტიკურ კრიზისს დამფუძნებელ კრებადმდე გაუძლებდნენ, დამფუძნე-

ბელი კრება კი ყველა საჭირობორტო საკითხს, მათ შორის ხელისუფლების საკითხს, გადაჭრიდა. ვ. ლენინი და ბოლშევიკები კი ასე არ ფიქრობდნენ. ისინი სწორედ დამფუძნებელი კრების მონვევამდე გეგმავდნენ ძალაუფლების ხელში აღებას.

დროებითი მთავრობა და მასში შემავალი პოლიტიკური პარტიები ხალხს ომის გამარჯვებამდე გაგრძელებისაკენ მოუწოდებდნენ, ხოლო ყველა მნიშვნელოვანი საკითხის გადაჭრას მხოლოდ დამფუძნებელი კრების მონვევის შემდეგ ჰპირდებოდნენ. ბოლშევიკები კი ომის დაუყოვნებლივ შეწყვეტისა და მწვავე ეკონომიკური და სოციალური საკითხების ასევე დაუყოვნებლივ გადაჭრის მოთხოვნით გამოდიოდნენ. ასე გრძელდებოდა თვეების განმავლობაში. დროებითი მთავრობა ვერ ხვდებოდა, რომ მასების განწყობილებით ბოლშევიკები ოსტატურად მანიპულირებდნენ, რაც დიდ საფრთხეს უქმნიდა ხელისუფლებას.

1917 წლის 1-2 სექტემბერს, ღამით, ბოლშევიკებმა მიიღეს უმრავლესობა **პეტროგრადის** მუშათა, ჯარისკაცთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოში. პეტროგრადის საბჭოს თავმჯდომარე გახდა ამერიკიდან ახლად დაბრუნებული ბოლშევიკი **ლევ ტროცკი (ლეიბა ბრონშტეინი)**. ლევ ტროცკის პოპულარობა სწრაფად იზრდებოდა. 1917 წლის 5 სექტემბერს ბოლშევიკებმა უმრავლესობა მიიღეს **მოსკოვის** მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოში. ვ. ლენინის აზრით, პეტროგრადისა და მოსკოვის საბჭოების ბოლშევიზაცია აძლევდა მათ იმის შესაძლებლობას, რომ ხელში აეღოთ ძალაუფლება. 1917 წლის სექტემბრის შუა რიცხვებში ვ. ლენინი ფინეთიდან რსდმპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტს ორ წერილს უგზავნის და დაჟინებით მოითხოვს **ხელისუფლების დაუყოვნებლივ დაპყრობას**. რსდმპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ფაქტობრივი ხელმძღვანელები **ლევ კამენევი (როზენფელდი), გრიგორი ზინოვიევი (რადომისლსკი) ნინაალმდენი იყვნენ ხელისუფლების ძალისმიერი დაპყრობისა** და იმედოვნებდნენ, რომ სრულიად რუსეთის საბჭოების II ყრილობა, რომელიც 1917 წლის 25 ოქტომბერს უნდა გახსნილიყო, ბოლშევიკებს მშვიდობიანი გზით გადასცემდა ხელისუფლებას. ვ. ლენინი არ იზიარებდა თანამებრძოლების აზრს. 1917 წლის 7 ოქტომბერს იგი პეტროგრადში დაბრუნდა და 10 ოქტომბერს მონაწილეობა მიიღო **რსდმპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის სხდომაში**. სხდომას, ვ. ლენინის გარდა, ესწრებოდნენ: **ა. ბუზნოვი, ფ. ძერჟინსკი, გ. ზინოვიევი (რადომისლსკი), ლ. კამენევი (როზენფელდი), ა. კოლონტაი, ა. ლომოვი (ოპპოკოვი), გ. სოკოლნიკოვი (ბრილიანტი), ი. სვერდლოვი, ი. სტალინი (ჯულაშვილი), ლ. ტროცკი (ბრონშტეინი) და მ. ურიცკი**. ვ. ლენინი რსდმპ (ბ)

ცენტრალური კომიტეტის წევრებს არწმუნებდა **შეიარაღებული აჯანყების გზით ხელისუფლების დამხობის აუცილებლობაში**. აჯანყების საკითხმა დიდი დავა გამოიწვია. ჯერ კიდევ 1917 წლის 22 სექტემბერს ვ. ლენინი ფინეთიდან გამოგზავნილ წერილში იმუქრებოდა: თუ შეიარაღებული აჯანყების საკითხში მას არ დაეთანხმებოდნენ, იგი გავიღოდა ცენტრალური კომიტეტიდან და აჯანყების სასარგებლოდ აგიტაციას დაიწყებდა რსდმპ (ბ) ორგანიზაციებში და პარტიის მომავალ ყრილობაზე. გარდა ამისა, ვ. ლენინის წერილი-ულტიმატუმი შეიცავდა მუქარას ცენტრალური კომიტეტის მიმართ. 22 სექტემბრის წერილი იმდენად სამარცხვინო იყო, რომ იგი ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით დაწვეს. რსდმპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1917 წლის 10 ოქტომბრის სხდომაზე ვ. ლენინმა მუქარა კვლავ გაიმეორა. **შეიარაღებული აჯანყების დაწყებას მხარს არავინ უჭერდა, მაგრამ მოხდა საოცრება: კენჭისყრის დროს მხოლოდ გ. ზინოვიევა და ლ. კამენევი ეყობა გამბედაობა და შეიარაღებული აჯანყების წინააღმდეგ გამოვიდნენ.**

საზოგადოებაში დამკვიდრდა აზრი: **ოლონდ რაიმე შეიცვალოს და თუნდაც უარესობისაკენ**. ასეთი განწყობილება ბოლშევიკების ნისქვილზე ასხამდა წყალს. რაც შეეხება ა. კერენსკისა და მის მინისტრებს, ისინი დარწმუნებულნი იყვნენ იმაში, რომ ხელისუფლებას საფრთხე ელოდა მარჯვნიდან (ბურჟუაზიისაგან) და არა მარცხნიდან (ბოლშევიკებისაგან).

ვერანაირი ინტრიგისა და შანტაჟის გზით ვ. ლენინმა რსდმპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტში უმრავლესობა ვერ მოიპოვა. ცენტრალური კომიტეტის წევრებს არა იმდენად აჯანყების წარუმატებლობა აშინებდათ, არამედ ის, თუ რა უნდა მოემოქმედათ ხელისუფლების დაპყრობის შემდეგ. ხელისუფლების დაპყრობის ავადმყოფური მისწრაფებით შეპყრობილი ვ. ლენინი ამ კითხვაზე ასეთ პასუხს იძლეოდა: **აჯანყების მიზანია ხელისუფლების დაპყრობა, რაც შეეხება პოლიტიკურ ამოცანებს და მათი განხორციელების გზებს, ძალაუფლების ხელში ჩაგდების შემდეგ განსაზღვრავთ**. სამაგიეროდ, ვ. ლენინს სერიოზული გავლენა ჰქონდა ომისა და შიმშილისაგან გაბოროტებულ ბრბოზე, მან კარგად იცოდა, თუ როგორ გამოენჯია მასის პროვოცირება.

1917 წლის 10 ოქტომბერს რსდმპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე, მართალია, შეიარაღებული აჯანყების დაწყებას დაუჭირა მხარი, მაგრამ ვითარება ისევ გართულდა 16 ოქტომბერს გამართულ ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე. რსდმპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრები ერთხმად ითხოვდნენ **შეიარაღებული აჯანყების გადადებას**, რადგან პეტროგრად-

დის ცალკეული რაიონებიდან მოსული ინფორმაციის თანახმად ქალაქის არც ერთ მუშათა რაიონში „საბრძოლო განწყობილება“ არ შეინიშნებოდა. რსდმპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის სამხედრო ორგანიზაციის ხელმძღვანელმა **ნიკოლაი კრილენკომ** განაცხადა, რომ ჯარისკაცების განწყობილება არ იყო საბრძოლო. მიუხედავად ამისა, ვ. ლენინი მაინც მოითხოვდა **შეიარაღებული აჯანყების დაწყებას** და ისიც, არაუგვიანეს 20 ოქტომბრისა. რსდმპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა ხმების დიდი უმრავლესობით მხარი დაუჭირა ვ. ლენინის წინადადებას (ცენტრალური კომიტეტის 19 წევრი მომხრე იყო შეიარაღებული აჯანყების დაწყებისა, 2 – წინააღმდეგი გამოვიდა, 4 წევრმა თავი შეიკავა). გ. ზინოვიევის წინადადებამ შეიარაღებული აჯანყების მიზანშეუწონლობის შესახებ მიიღო 6 ხმა, წინააღმდეგი იყო 15, ცენტრალური კომიტეტის 3 წევრმა თავი შეიკავა.

რსდმპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1917 წლის 16 ოქტომბრის სხდომაზე გამართული კენჭისყრის შედეგები იმაზე მიუთითებდნენ, რომ **ცენტრალურ კომიტეტში დიდი უთანხმოება და დაბნეულობა იყო**. ლევ ტროცკი ლევ კამენევსა და გრიგორი ზინოვიევს ეთანხმებოდა იმაში, რომ ხელისუფლების საკითხი, მათ შორის აჯანყებისა, რუსეთის საბჭოს II ყრილობას უნდა გადაეწყვიტა. ამავე დროს, ლ. ტროცკი მხარს უჭერდა ვ. ლენინს დროებითი მთავრობის ძალისმიერი გზით დამხობის საკითხში. ერთი სიტყვით, რსდმპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტში ერთიანობა არ იყო და არც მისი მიღწევის პერსპექტივა ჩანდა.

დროებითი მთავრობა მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. პეტროგრადში სულ უფრო მეტად ვრცელდებოდა ხმები, რომ ბოლშევიკები აჯანყებას ამზადებდნენ. 1917 წლის 17 ოქტომბერს მუშებში ძალზე პოპულარულ გაზეთ **„ნოვაია ჟიზნი“**, რომელიც ახლოს იდგა ბოლშევიკებთან, გამოქვეყნდა შემაფოთებელი ცნობა. გაზეთის მონიწევეში აღნიშნული იყო, რომ თუ ბოლშევიკები ამზადებდნენ გადატრიალებას, ეს აუცილებლად გამოიწვევდა ბოლშევიკების პარტიის, მუშათა კლასისა და რევოლუციის დაღუპვას. 18 ოქტომბერს იმავე **„ნოვაია ჟიზნი“** გამოქვეყნდა **ლ. კამენევისა და გ. ზინოვიევის** სტატია. რსდმპ (ბ) ორი ცნობილი ლიდერი, ვ. ლენინის უახლოესი თანამებრძოლი, ამტკიცებდა, რომ შეიარაღებული აჯანყების საკითხი საბჭოების II ყრილობის დასტურის გარეშე არ უნდა გადაწყვეტილიყო. ვ. ლენინმა ლ. კამენევსა და გ. ზინოვიევს **მოლაპატიები** და **გამცემლები** უწოდა, რომელთაც ბურჟუაზიას მოსალოდნელი შეიარაღებული აჯანყების შესახებ წინასწარ აცნობეს. **სინამდვილეში, შეიარაღებული აჯანყებისათვის მზადება უკვე აღარავისთვის საიდუმლო არ იყო**. ეს

საიდუმლო უკვე კარგა ხნით ადრე თვით ვ. ლენინმა გაამჟღავნა თავის წერილებში, სტატიებსა და მონოდებებში, რომლებიც ბოლშევიკურ პრესაში ქვეყნდებოდა. უნდა აღინიშნოს, რომ გრიგორი ზინოვიევი და ლევ კამენევი ბოლშევიკი ლიდერები იყვნენ და მთლიანად აგებდნენ პასუხს სახელმწიფო გადატრიალების მომზადებისათვის, თუმცა, ვ. ლენინისაგან განსხვავებით, მეტ პასუხისმგებლობას გრძნობდნენ და ავანტურისაგან თავს იკავებდნენ.

ხელისუფლების უსუსურობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ დროებითი მთავრობა მშვიდად უყურებდა პრესაში შეიარაღებული აჯანყების შესახებ მიმდინარე დისკუსიას. ა. კერენსკი თავდაჯერებით აცხადებდა: ჩვენ საჭიროზე მეტი ძალები გავვაჩნია. ამის გამო იყო, რომ მან უარი განაცხადა პეტროგრადში ფრონტიდან საიმედო სამხედრო ნაწილების შემოყვანაზე. დროებითმა მთავრობამ კარგად იცოდა, რომ ბოლშევიკების ლიდერი პეტროგრადში იმყოფებოდა, მაგრამ მისი დაპატიმრება არ უცდია. უფრო მეტიც, საგარეო საქმეთა მინისტრმა **მ. ტერეშჩენკომ** 1917 წლის 24 ოქტომბერს ამერიკის შეერთებული შტატების ელჩ **დევიდ ფრენსისთან** საუბრისას აღნიშნა: „**მე დღეს ღამით ბოლშევიკთა გამოსვლას ველოდები**“. ელჩის შეკითხვაზე, შეძლებდა თუ არა ხელისუფლება ბოლშევიკთა გამოსვლის აღკვეთას, მ. ტერეშჩენკომ უპასუხა: „**მე იმედი მაქვს, რომ შევძლებთ მის ჩახშობას**“. საგარეო საქმეთა მინისტრმა ბოლოს დასძინა: „**მე დავიღალე გაუბედაობისა და დაძაბულობისაგან**“.

შეიარაღებული აჯანყების წარმატებაში დაეჭვებული ბოლშევიკები მანაც ემზადებოდნენ გამოსვლისათვის, თუმცა არა ისეთი ტემპებით, როგორც ეს ვ. ლენინს სურდა. ჯერ კიდევ 1917 წლის 12 ოქტომბერს პეტროგრადის მუშათა, ჯარისკაცთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა შექმნა **პეტროგრადის სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი** (თავმჯდომარე ნ. პოდვოისკი, მდივანი ვ. ანტონოვ-ოვსენკო). 16 ოქტომბერს რსდმპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა ჩამაყალიბა **პარტიული ცენტრი (იგივე სამხედრო-რევოლუციური ცენტრი)**, რომლის წევრები (ი. სტალინი, ი. სვერდლოვი, ა. ბუბნოვი და სხვ.) იმავდროულად **პეტროგრადის სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის** წევრებიც გახდნენ და უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ შეიარაღებული აჯანყების მომზადებას. პეტროგრადის სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი იქცა აჯანყებისათვის მზადების ცენტრად. ამ საგანგებო ორგანოს შექმნა შემთხვევითი არ ყოფილა. **ვ. ლენინს სურდა, რომ შეიარაღებული აჯანყების დაწყება და ხელისუფლების დაპყრობა განხორციელებულიყო არა რსდმპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, არამედ პეტროგრადის საბჭოს მიერ**

შექმნილი საგანგებო ორგანოს ხელმძღვანელობით. თუმცა ცნობილი იყო, რომ პეტროგრადის სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის ხელმძღვანელ ბირთვეი – ბიუროში – მხოლოდ ბოლშევიკები და მათი თანამგრძნობი მემარცხენე ესერები შედიოდნენ.

მართალია, გარეგნულად ისე ჩანდა, რომ კონტრრევოლუციურ სახელმწიფო გადატრიალებას ვლადიმერ ლენინი ამზადებდა, სინამდვილეში, გადატრიალების იდეა იოსებ სტალინს ეკუთვნოდა და მის მომზადებასაც ის ხელმძღვანელობდა. იოსებ სტალინს ეკუთვნოდა იდეა, რომ **სახალხო რევოლუციის განხორციელებას აუცილებლად სჭირდებოდა ხალხის დიდი მასის მხარდაჭერა, სახელმწიფო გადატრიალების განხორციელება კი ხალხის მასების გარეშეც შეიძლებოდა, მცირერიცხოვანი, მაგრამ კარგად ორგანიზებული სამხედრო ძალით.** ვ. ლენინმა ეს იდეა გაიზიარა. დოკუმენტურადაა დადასტურებული, რომ 1917 წლის 25 ოქტომბრის კონტრრევოლუციური სახელმწიფო გადატრიალების წინა დღეებში ვ.ლენინი ძალზე უცნაურად იქცეოდა. 20 ოქტომბერს ვ. ლენინი ყველასაგან მოულოდნელად გაქრა და 24 ოქტომბრის საღამომდე არ გამოჩენილა. სანდო დოკუმენტური მასალებით მტკიცდება, რომ ვ.ლენინს გაუჩინარება იოსებ სტალინმა ურჩია. გაუჩინარების პერიოდში ვ. ლენინს არ დაუწერია არც ერთი წერილი, არ გაუცია არავითარი მითითება და განკარგულება. სახელმწიფო გადატრიალების სადავებები ი.სტალინმა იგდო ხელთ. თუ სად იმყოფებოდა ვ.ლენინი, ი.სტალინის გარდა, რსდმპ (ზ) ცენტრალური კომიტეტის არცერთმა წევრმა არ იცოდა. **შეთხზულია ვ. ლენინის გამოსვლა რსდმპ (ზ) 21 ოქტომბრის სხდომაზე, სადაც თითქოს მას უთქვამს: „გუშინ ნაადრევი იყო, ზეგ ვვიან იქნება“.** ვ. ლენინი იმალებოდა 20 ოქტომბრიდან 24 ოქტომბრის საღამომდე, ამიტომ 21 ოქტომბერს იგი სხდომაზე ვერანაირად ვერ იქნებოდა. **ვ. ლენინის მოულოდნელი მიმალვის, ლ. კამენევისა და გ. ზინოვიევის შეიარაღებული აჯანყების სანინაღმდეგო გამოსვლების, ნ. ბუხარინის ორჭოფობისა და ლ. ტროცკის ორპირობის გამო შექმნილ მძიმე ვითარებაში იოსებ სტალინს სახელმწიფო გადატრიალების ერთპიროვნულად მომზადება და განხორციელება გაუადვილდა.** ი. სტალინისათვის დღესავით ნათელი იყო, რომ დროებით მთავრობას დასაყრდენი სრულიად გამოცლილი ჰქონდა და მისი დამხობა დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა.

2. 1917 წლის 25 ოქტომბრის კონტრრევოლუციური სახელმწიფო გადატრიალება. პეტროგრადის სამხედრო-რევოლუციურმა კომიტეტმა, რომელსაც იოსებ სტალინი მართავდა, 1917 წლის 21 ოქტომბერს გამოსცა ბრძანება, რომლის ძალითაც პეტროგრადის გარიზონის ჯარებისათვის

იარაღი მხოლოდ სამედრო-რევოლუციური კომიტეტის განკარგულების საფუძველზე უნდა მიეცათ. ამ ბრძანების შესრულებაზე კონტროლის განხორციელების მიზნით პეტროგრადის გარნიზონის ყველა სამხედრო ნაწილში, კრონშტადტში, რეველსა და ჰელსინგფორსში მყოფ სამხედრო გემებზე სამხედრო-რევოლუციურმა კომიტეტმა თავისი კომისრები (ბოლშევიკები და მემარცხენე ესერები) დანიშნა. **ფაქტობრივად, 1917 წლის 21 ოქტომბრის შემდეგ პეტროგრადში ძალაუფლება სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის ხელში გადავიდა.**

პეტროგრადის სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის 1917 წლის 21 ოქტომბრის ბრძანება 22 ოქტომბრის დილით ტელეგრაფით გადაიცა ქალაქის გარნიზონის ყველა სამხედრო ნაწილში, ასევე კრონშტადტში, რეველსა და ჰელსინგფორსში მდგარ სამხედრო გემებზე. ტელეგრამაში აღნიშნული იყო, რომ **არცერთ ბრძანებას ძალა არ ექნებოდა, თუ მას არ დაამონებდა სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი.** 22 ოქტომბერს პეტროგრადში ბოლშევიკების მიერ ორგანიზებული მრავალრიცხოვანი მიტინგები გაიმართა. **24 ოქტომბერს პეტროგრადის სამხედრო-რევოლუციურმა კომიტეტმა მცირერიცხოვანი შეიარაღებული რაზმების თანხლებით თავისი კომისრები მთავრობის დაწესებულებათა დასაკავებლად გაგზავნა.** სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის ორი შეუიარაღებელი კომისარი სამხედრო რაზმის გარეშე გამოცხადდა **ცენტრალურ ტელეგრაფში** და მოლაპარაკების გზით ტელეგრაფის სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის კონტროლის ქვეშ გადასვლის შესახებ შეთანხმებას მიაღწია. იზმაილოვის გვარდიულმა პოლკმა ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე **ბალტიის ვაგზალი** დაიკავა, ხოლო ნითელი გვარდიის რაზმებმა ჯარებთან მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით მდინარე ნევაზე რამდენიმე **ხიდი** იგდო ხელთ (დანარჩენი ხიდები დროებითი მთავრობის ერთგული ჯარების ხელში დარჩა).

1917 წლის 24 ოქტომბერს, დღის განმავლობაში, პეტროგრადი, ფაქტობრივად, ბოლშევიკების ხელში გადავიდა. დროებითი მთავრობა თავისი არსებობის ბოლო საათებს ითვლიდა. 24 ოქტომბრის საღამოსათვის მიმალვიდან დაბრუნებულმა ვ. ლენინმა ქალაქში განვითარებული მოვლენების შესახებ არაფერი იცოდა. თანამედროვეთა მოგონებებში აღნიშნულია, რომ პანიკური შიშით შეპყრობილი ვ. ლენინი იმის გაკეთებას ითხოვდა, რაც 21-24 ოქტომბერს ი. სტალინის წინამძღოლობით სამხედრო-რევოლუციურმა კომიტეტმა უკვე განეხორციელებინა. ვ. ლენინს უნდოდა, რომ შეიარაღებულ აჯანყებას ყოველ მიზეზგარეშე საბჭოების II ყრილობის გახსნამდე გამეორჯვა. საბჭოების II ყრილობის გახსნა 1917 წლის 25 ოქტომბერს

იყო დანიშნული. თუ 25 ოქტომბრამდე ბოლშევიკები დროებითი მთავრობის დამხობას ვერ მოახერხებდნენ, ყრილობას შეიძლება ბოლშევიკების მიერ დაწყებული შეიარაღებული აჯანყება დაეგმო. მაგრამ თუ საბჭოების II ყრილობა მას შემდეგ შეიკრიბებოდა, რაც ბოლშევიკები ხელისუფლებას დაეუფლებოდნენ, ცხადია, ყრილობა იძულებული გახდებოდა ანგარიში გაენია მომხდარისათვის.

იოსებ სტალინი კარგად გრძნობდა, რომ დაბნეული, შეშინებული და ვითარებაში გაურკვეველი ვლადიმირ ლენინის სმოლნიში (აქ იყო მთავსებული პეტროგრადის სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი) გამოჩენა საქმეს ავნებდა. ვ. ლენინი ი. სტალინმა სმოლნიში მხოლოდ 24 ოქტომბრის საღამოს მიიწვია, როცა პეტროგრადი უკვე ბოლშევიკების ხელში იყო და რჩებოდა მხოლოდ სახელმწიფო გადატრიალების ბოლო, დამაგვირგინებელი ეტაპი – დროებითი მთავრობის წევრების დაპატიმრება. პეტროგრადის სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარე ნიკოლაი პოდვოისკი (1880-1948), რომელიც კომიტეტის მდივან ვლადიმირ ანტონოვ-ოვსენკოსა (1883-1938) და გრიგორი ჩუდნოვსკისთან (1890-1918) ერთად უშუალოდ ხელმძღვანელობდა პეტროგრადში არსებული სახელმწიფო დაწესებულებებისა და სხვა სტრატეგიული პუნქტების დაკავებას, იგონებს: მხოლოდ სმოლნიში გამოჩენის შემდეგ, 1917 წლის 24 ოქტომბრის საღამოს, ვლადიმირ ლენინმა მისგან შეიტყო დღის განმავლობაში მომხდარი მოვლენების შესახებ.

1917 წლის 24 ოქტომბერს პეტროგრადში ბოლშევიკებს მხარს 6-7 ათასი კაცი უჭერდა. მათ შორის იყო გვარდიული პოლკის 2500 ჯარისკაცი, 2500 კრონშტადტელი მეზღვაური, 2000 ნითელგვარდიელი და დაახლოებით 1500-2000 ჯარისკაცი დროებითი მთავრობის რეზიდენციის (ზამთრის სასახლის) დაცვიდან. ეს ძალა სავსებით საკმარისი იყო სახელმწიფო გადატრიალების განსახორციელებლად, მით უფრო, რომ პეტროგრადის მრავალრიცხოვანი გარნიზონი (160.000 ოფიცერი და ჯარისკაცი) და ქალაქის მისადგომებთან განლაგებული ჯარები (85.000 ოფიცერი და ჯარისკაცი) ნეიტრალური დარჩა. 25 ოქტომბერს გამთენიისას 3 საათსა და 30 წუთზე ბოლშევიკების მხარეზე გადასულმა კრეისერმა „ავრორამ“ ღუზა მდინარე ნევაზე ნიკოლაევის ხიდთან ჩაუშვა. კრეისერიდან გადმოსულმა მეზღვაურთა რაზმმა დროებითი მთავრობის დაცვა გარეკა და ხიდიც დაიკავა. ზამთრის სასახლე, სადაც დროებითი მთავრობა იმყოფებოდა, იზოლირებული აღმოჩნდა ქალაქისაგან.

1917 წლის 24 ოქტომბერს საღამოსათვის დროებითი მთავრობის

ხელში, ზამთრის სასახლის გარდა, იმყოფებოდა **სამხედრო სამინისტროს** შენობა, პეტროგრადის სამხედრო ოლქის ჯარების შტაბის შენობა და მარიას თეატრი, სადაც **რესპუბლიკის დროებითი საბჭო (პრედპარლამენტი)** მუშაობდა.

დროებითი მთავრობა შეეცადა პეტროგრადში წესრიგის აღდგენას. 1917 წლის 23-24 ოქტომბერს ღამით შეიარაღებული აჯანყებისაკენ მონოდების ბრალდებით დახურეს ორი ბოლშევიკური გაზეთი – „**რაბოჩი პუტ**“ და „**სოლდატ**“. პეტროგრადის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალმა პოლკოვნიკმა **გიორგი პოლკოვნიკოვმა (1883-1918)** მიიღო ბრძანება ქლაქის შემოგარენიდან დროებითი მთავრობის რეზიდენციის დასაცავად ჯარების შემოყვანის შესახებ. გამოძახებულმა ჯარებმა ზამთრის სასახლის მისაღვომების პატრულირება დაიწყეს. **ალექსანდრ კერენსკიმ** პეტროგრადის სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის წევრების დაპატიმრების ბრძანება გასცა. 1917 წლის 24 ოქტომბერს დროებითი მთავრობის თავმჯდომარე ალექსანდრ კერენსკი განცხადებით გამოვიდა პრედპარლამენტში და ბოლშევიკების მიერ დაწყებული შეიარაღებული აჯანყების ჩასახშობად მთავრობისათვის საგანგებო უფლებების მინიჭება მოითხოვა. პრედპარლამენტმა ფრაქციებში საკითხის განხილვის შემდეგ, 24 ოქტომბერს დღის მეორე ნახევარში, ხმების უმრავლესობით მიიღო რეზოლუცია, რომელიც, მართალია, გმობდა ბოლშევიკთა ექსტრემისტულ გამოსვლას, მაგრამ ამავე დროს აღიარებდა, რომ საფუძველი ბოლშევიკთა გამოსვლას დროებითი მთავრობის გაუბედავმა პოლიტიკამ მოუზადა. რეზოლუცია დროებითი მთავრობისაგან მოითხოვდა, რომ საზოგადოებრივი აზრის დამშვიდების მიზნით ომის შეწყვეტის თაობაზე დაუყოვნებლივ გაეკეთებინა განცხადება, აგრეთვე – გამოექვეყნებინა ზავის შესახებ საკუთარი მოსაზრება. გლახთა რევოლუციური გამოსვლების შეწყვეტის მიზნით რეზოლუცია ასევე მოითხოვდა ისეთი დეკრეტის დაუყოვნებლივ გამოცემას, რომლის ძალითაც მინა დამფუძნებელი კრების მონვევამდე გადაეცემოდა გლახთა კომიტეტებს. პრედპარლამენტის დადგენილება მისმა თავმჯდომარე **ნიკოლაი ავქსენტიევმა (1878-1943)** სოციალ-დემოკრატი მენშევიკებისა და ესერების ფრაქციათა ლიდერებთან ერთად 24 ოქტომბერს სალამოს ზამთრის სასახლეში მიიტანა და დროებით მთავრობას გადასცა. ალექსანდრ კერენსკი და მინისტრები აღშფოთდნენ და ნიკოლაი ავქსენტიევს გადაყენებით დაემუქრნენ. დროებითი მთავრობა პრედპარლამენტისაგან თანადგომას ელოდა, რის სანაცვლოდ, ფაქტობრივად, **პრედპარლამენტმა მთავრობას უნდობლობა გამოუცხადა.** პრედპარლამენტის წარგზავნილები

შეშინდნენ და მოთხოვნების შერბილებას დასთანხმდნენ. მიუხედავად ამისა, ცხადი იყო, რომ იმ განხეთქილების აღმოფხვრა, რომელიც კარგა ხანია, ა. კერენსკისა და რევოლუციურ დემოკრატის (სოციალ-დემოკრატ მენშევიკებს, ესერებს) შორის არსებობდა, შეუძლებელი იყო.

1917 წლის 24 ოქტომბერს, გვიან საღამოს, დროებითი მთავრობის ნევრებმა შეიტყვეს, რომ ბოლშევიკთა შეიარაღებული რაზმები ქალაქის სტრატეგიულ პუნქტებს იკავებდნენ. ამის მიუხედავად, მათ დიდ ნაწილს კიდევ სჯეროდა, რომ მდგომარეობის გამოსწორება შეიძლებოდა.

ალექსანდრ კერენსკიმ და მისმა მოადგილემ **ალექსანდრ კონოვლოვმა** 1917 წლის 24 ოქტომბრის ღამე პეტროგრადის სამხედრო ოლქის ჯარების შტაბში გაატარეს. ისინი ცდილობდნენ ბოლშევიკთა გამოსვლის ჩასახშობად საჭირო სამხედრო ძალის თავმოყრას. უშედეგოდ დამთავრდა მოლაპარაკება პეტროგრადში მყოფ **კაზაკთა ჯარის** სამ პოლკთან. კაზაკებმა განაცხადეს, რომ ისინი დროებით მთავრობას ქვეითი ჯარის მხარდაჭერის გარეშე ვერ დაიცავდნენ. კაზაკებთან წარუმატებელი მოლაპარაკების შემდეგ ა. კერენსკიმ და ა. კონოვლოვმა გადაწყვიტეს იმ ჯარების შესახვედრად წასულიყვნენ, რომლებიც თითქოსდა ფრონტიდან პეტროგრადისაკენ მოემართებოდნენ. 1917 წლის 25 ოქტომბერს, დილით, სანამ ა. კერენსკი და ა. კონოვლოვი ზამთრის სასახლეს დატოვებდნენ, რამდენიმე მინისტრმა ისევ სცადა კაზაკების გადაბირება, მაგრამ მთავრობის დასაცავად სულ კაზაკთა სამი ასეული გამოცხადდა. 25 ოქტომბრის დილისათვის ზამთრის სასახლის დაცვა ძალზე მოკრძალებულად გამოიყურებოდა: **იუნკერთა რამდენიმე ასეული, კაზაკთა სამი ასეული, ქალთა ასეულის ნახევარი – სულ 900 ჯარისკაცი და ასამდე ოფიცერი**, დაცვას არც აუცილებელი შეიარაღება გააჩნდა. მის განკარგულებაში იყო რამდენიმე ათეული ტყვიამფრქვევი, 6 ქვემეხი და 4 ჯავშნიანი მანქანა.

1917 წლის 25 ოქტომბერს, დილის 10 საათზე, პეტროგრადის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალმა **გიორგი პოლკოვნიკოვმა** უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკსა და ჩრდილოეთის ფრონტის ჯარების შტაბში ასეთი შინაარსის ტელეგრამა გაგზავნა: „**გაცნობებთ, რომ პეტროგრადში საშიში მდგომარეობაა. ქუჩის შეჯახებები, უწესრიგობა არ შეინიშნება, მაგრამ მიმდინარეობს დაწესებულებებისა და ვაგზლების დაკავება, დაპატიმრებები, არავითარი ბრძანება არ სრულდება. იუნკერები წინააღმდეგობის გარეშე აბარებენ ყაზარმებს. კაზაკები, რამდენიმეგზის ბრძანების მიუხედავად, თავიანთი ყაზარმებიდან არ გამოდიან... არის იმის საფრთხე, რომ დროებითმა მთავრობამ მთლიანად დაკარგოს ხელისუფლება. არ არსებობს არავითარი**

გარანტია, რომ დროებითი მთავრობის ხელში ჩაგდებას არ შეეცდებიან“.

1917 წლის 25 ოქტომბერს დილით დროებითმა მთავრობამ არც კი იცოდა, რომ ხელისუფლებას აღარ ფლობდა. 25 ოქტომბერს, დილის 10 საათზე, ვ. ლენინმა ხელი მოაწერა მიმართვას „რუსეთის მოქალაქეებისადმი“, რომელშიც აღნიშნული იყო: „**დროებითი მთავრობა დამსობილია**“.

1917 წლის 25 ოქტომბერს პეტროგრადში გაზეთები დიდი დაგვიანებით გამოვიდა. „**იზვესტია**“ ბოლშევიკებს აფრთხილებდა, არ გადაჩეხილიყვნენ „**უაზრო ავანტიურაში**“; „**ნოვია ჟიზნი**“ ბოლშევიკებს ურჩევდა, „**არ გაესროლათ პირველებს**“; მენშევიკური „**რაბოჩაია გაზეტა**“ იმედს გამოთქვამდა, რომ **კომპრომისის მიღწევა შესაძლებელი იქნებოდა**.

პეტროგრადი ბოლშევიკების ხელში იყო. ახლა გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა იმას, თუ ვის დაუჭერდა მხარს დედაქალაქთან ყველაზე ახლოს მყოფი **ჩრდილოეთის ფრონტის** ჯარები. არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, თუ რა პოზიციას დაიკავებდა დედაქალაქში მიმდინარე ამბების მიმართ საბჭოების II ყრილობა, რომელიც 1917 წლის 25 ოქტომბერს უნდა გახსნილიყო პეტროგრადში.

დროებითი მთავრობა ერწმუნა პეტროგრადის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალ გიორგი პოლკოვნიკოვის განცხადებას, რომ თითქოს ქალაქს ბოლშევიკების გამოსვლის ჩასახშობად საჭიროზე მეტი ძალები გააჩნდა, ამიტომაც გვიან მიიღო გადაწყვეტილება ჩრდილოეთის ფრონტიდან ჯარების გამოძახების შესახებ. ჩრდილოეთის ფრონტის მთავარსარდალმა გენერალმა **ვლადიმირ ჩერემისოვმა** მხოლოდ 1917 წლის 24-25 ოქტომბერს, ნაშუალამევს, მიიღო ა. კერენსკის ბრძანება კაზაკთა ორი დივიზიისა და კაზაკთა 23-ე პოლკის პეტროგრადში გაგზავნის შესახებ. ამასთან ერთად, ეს ძალები საკმარისი არ იყო დედაქალაქში წესრიგის აღსადგენად. 1917 წლის 25 ოქტომბერს, დილით, დროებითი მთავრობის სხდომა ა.კერენსკის გარეშე გაიმართა, რადგან იგი ზამთრის სასახლიდან წასულიყო ვითომდა ჩრდილოეთის ფრონტიდან დაძრული ჯარების შესახვედრად. მთავრობის გადაწყვეტილებით პეტროგრადში წესრიგის აღდგენა დაევალა კადეტ **ნიკოლაი კიშკინს**, რომელსაც საგანგებო უფლებები მიენიჭა. ნ. კიშკინის პეტროგრადის საგანგებო რწმუნებულად დანიშვნის შემდეგ მთავრობამ ჩრდილოეთის ფრონტიდან ჯარების გამოძახება უაზროდ და სახიფათოდ ჩათვალა, რადგან ცხადი იყო, რომ „ჯარები კიშკინს მხარს არ დაუჭერდნენ“. თავისი არათანამიმდევრული, გაუაზრებელი მოქმედებით ჩრდილოეთის ფრონტიდან მომდინარე საფრთხე ბოლშევიკებს თვით დროებითმა მთავრობამ მოუხსნა.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დროებითი მთავრობის რეზიდენციის – **ზამთრის სასახლისა** და **პეტროგრადის სამხედრო ოლქის ჯარების შტაბის** დაკავებას. ეს წინასწარ განსაზღვრავდა საბჭოების II ყრილობის განწყობილებას – ყრილობის დელეგატები მომხდარი ფაქტის მოწმენი აღმოჩნდებოდნენ. ბოლშევიკებს ეს კარგად ესმოდათ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, 1917 წლის 24 – 25 ოქტომბერს, ღამით, ზამთრის სასახლისა და სამხედრო ოლქის შტაბის ალების შანსი მათ მაინც გაუშვეს ხელიდან. ამ დროისათვის ზამთრის სასახლეს დაცვა ფაქტობრივად არ ჰყავდა, ხოლო სამხედრო ოლქის შტაბი, სადაც მთელი ღამე გაატარეს ა. კერენსკიმ და ა. კონოვლოვმა, ასევე დაუცველი იყო. აჯანყებულები ზამთრის სასახლის ალების პოლიტიკურ მნიშვნელობას ყურადღებას არ აქცევდნენ. ისინი ხედავდნენ, რომ ზამთრის სასახლის დაცვა ყოველ წუთს მცირდებოდა და, ცხადია, უაზრო მსხვერპლს ერიდებოდნენ. ვერც აჯანყების ხელმძღვანელებმა გამოიჩინეს პრინციპულობა, უფრო ზუსტად, წითელარმიელებისა და მეზღვაურების განწყობილება გაიზიარეს. ვითარება შეიცვალა 24 ოქტომბერს სმოლნიში ვ. ლენინის მისვლის შემდეგ. ბოლშევიკების ლიდერმა ზამთრის სასახლისა და სამხედრო ოლქის შტაბის სასწრაფოდ დაკავება მოითხოვა.

1917 წლის 25 ოქტომბერს, შუადღისას, აჯანყებულებმა აიღეს პრედპარლამენტის რეზიდენცია – მარიას თეატრი. პეტროგრადის სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის განკარგულებით **რესპუბლიკის დროებითი საბჭო (პრედპარლამენტი)** დაითხოვეს. 25 ოქტომბერს, საღამოს, აჯანყებულებმა დაიკავეს **პეტროგრადის სამხედრო ოლქის ჯარების შტაბის** შენობა. ყოველივე ამან დასცა ზამთრის სასახლის დამცველთა (იუნკერების, კაზაკების) საბრძოლო სულისკვეთება. მალე ზამთრის სასახლესთან დაკავებული საბრძოლო პოზიციები დატოვეს **მიხაილის საარტილერიო სასწავლებლის** იუნკერებმა და თან წაიღეს 4 ქვემეხი და 2 ჯავშნიანი მანქანა. სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის ულტიმატუმის შემდეგ ზამთრის სასახლის ტერიტორია **კაზაკებმა** და **ქალთა ასეულის** მეომრებმაც დატოვეს. დროებითი მთავრობის წევრები კარგად ხედავდნენ, რომ ზამთრის სასახლე დაცვის გარეშე დარჩა, მაგრამ მთავრობამ სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის ულტიმატუმს მაინც არ უპასუხა. ა. კერენსკის იმედი ჰქონდა, რომ ჩრდილოეთის ფრონტიდან მთავრობის დასახმარებლად წამოსული ჯარები, მათ შორის კაზაკთა სამი პოლკი, მალე მოაღწევდა პეტროგრადამდე.

სამხედრო-რევოლუციურმა კომიტეტმა **ზამთრის** სასახლის დამცველებს ულტიმატუმის განსახილველად 20 წუთი მისცა, თუმცა ამ დროის

ამონურვის შემდეგაც იერიში არ დაუწყიათ. შეტევა ულტიმატუმის მიცემიდან ორი საათის შემდეგ დაიწყო. კრეისერ „ავრორას“ სასიგნალო გასროლა იყო ნიშანი და აჯანყებულებმა ზამთრის სასახლეს შაშხანებიდან და ტყვიამფრქვევებიდან გაუხსნეს ცეცხლი. ცეცხლის საფარის ქვეშ მეზღვაურთა, ჯარისკაცთა და წითელარმიელთა ჯგუფები ზამთრის სასახლეში შეიჭრნენ, მაგრამ ისინი მაშინვე განაიარაღეს იმ იუნკერებმა, რომელთაც მთავრობა არ მიატოვეს. ამის შემდეგ იერიში შეწყდა. გვიან ღამით იერიში განახლდა. ამჯერად აჯანყებულებმა არტილერია გამოიყენეს. ზამთრის სასახლე იბომბებოდა პეტრე-პავლეს ციხე-სიმაგრიდან და გენერალური შტაბის შესასვლელთან მდგარი ორი ქვემეხიდან. სულ ზამთრის სასახლეს ორმოცამდე საარტილერიო ყუმბარა ესროლეს, რასაც სასახლე სერიოზულად არ დაუზიანებია. სამაგიეროდ, საარტილერიო დაბომბვამ დამთრგუნველი გავლენა იქონია დროებითი მთავრობის წევრებსა და სასახლის დამცველებზე. **26 ოქტომბერს, ღამის 2 საათსა და 40 წუთზე, აჯანყებულებმა ზამთრის სასახლე აიღეს.** ამ დროისათვის სასახლეს სულ 30 იუნკერი იცავდა. დროებითი მთავრობის მინისტრები შეიპყრეს და პეტრე-პავლეს ციხეში გამოკეტეს. მთავრობის თავმჯდომარე **ალექსანდრ კერენსკიმ** ზამთრის სასახლე შტურმამდე დატოვა და ჩრდილოეთის ფრონტის მიმართულებით გაემგზავრა.

1917 წლის 26 ოქტომბერს გაზეთები იუნყებოდნენ, რომ ზამთრის სასახლის იერიშის დროს აჯანყებულებმა დაკარგეს 6 კაცი, რამდენიმე ათეული კი დაიჭრა. უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს სტატისტიკა სერიოზულ უზუსტობას შეიცავდა.

ამრიგად, 1917 წლის 24-26 ოქტომბერს ბოლშევიკებმა კონტრრევოლუციური სახელმწიფო გადატრიალება წარმატებით განახორციელეს – დროებითი მთავრობა დაამხეს.

3. 1917 წლის 24-26 ოქტომბრის მოვლენების შეფასება. საბჭოთა ისტორიოგრაფია 1917 წლის 24-26 ოქტომბრის მოვლენებს უწოდებდა „დიდ ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას“, რაც სრულიად არ შეეფერება მის არსს. ჯერ კიდევ ვ. ლენინის სიცოცხლეში, 1919 წელს, რკპ (ბ) პროგრამის (კომუნისტური პარტიის მეორე პროგრამის) შემუშავებულ კომისიაში აზრთა სხვადასხვაობა წარმოიშვა იმის თაობაზე, თუ რა ეწოდებინათ 1917 წლის 24–26 ოქტომბრის მოვლენებისათვის – „**ოქტომბრის გადატრიალება**“ თუ „**ოქტომბრის რევოლუცია**“. იმხანად ვ. ლენინმა თავისი გაიტანა და ბოლშევიკების პარტიის პროგრამაში ხსენებულ მოვლენას „**ოქტომბრის რევოლუცია**“ უწოდეს. მოგვიანებით „ოქტომბრის რევოლუციას“ მიემატა „დიდი“ და „**სოციალისტური**“ და საბოლოოდ ასეთი სახე მიიღო – „**დიდი ოქ-**

ტომბრის სოციალისტური რევოლუცია“. სინამდვილეში, 1917 წლის 24–26 ოქტომბერს რუსეთში განხორციელდა **კონტრრევოლუციური სახელმწიფო გადატრიალება**, რაც ბოლშევიკების მიერ ხელისუფლების უზურპაციით დამთავრდა. ასეთი შეფასების საფუძველს იძლევა შემდეგი არგუმენტები:

პირველი. 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციამ რუსეთში დაამხო მონარქია და დაამყარა დემოკრატიული წყობილება მისთვის დამახასიათებელი ნიშნებით (პიროვნების ხელშეუხებლობა, სიტყვის, პრესის, კრების თავისუფლება, დემოკრატიული არჩევნები, თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა, კომერციული საქმიანობის თავისუფლება, კერძო საკუთრების ხელშეუხებლობა და სხვ.). 1917 წლის 24–26 ოქტომბრის მოვლენების შემდეგ ყოველივე ეს მოისპო. ეს იმას ნიშნავს, რომ განხორციელდა **1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის შედეგების ლიკვიდაცია ანუ კონტრრევოლუცია**.

მეორე. 1917 წლის 24–26 ოქტომბრის მოვლენებს არ შეიძლება ეწოდოს **რევოლუცია** იმ გაგებით, რა გაგებითაც ამ ტერმინს ჩვენ ვხმარობთ ინგლისისა (XVII ს.) და საფრანგეთის (XVIII ს.) რევოლუციების მიმართ. ეს იყო ძალაუფლების ხელში ჩაგდების მიზნით ექსტრემისტულად განწყობილი ბოლშევიკური პარტიის ზედაფენის მიერ მომზადებული და განხორციელებული **სახელმწიფო გადატრიალება** და არა ქვეყნის შიგნით მომნიჭებული სოციალური მოძრაობის კულმინაცია – რევოლუცია.

მესამე. რუსეთის დროებითი მთავრობა შეიქმნა სრულიად კანონიერად: ჯერ კანონიერმა მონარქმა ნიკოლოზ II-მ ხელი მოაწერა მანიფესტს ძმის, მიხეილის, სასარგებლოდ გადადგომის შესახებ, შემდეგ მიხეილმა უარი თქვა ტახტზე და მხოლოდ ამის შემდეგ შეუდგა დროებითი მთავრობა მოღვაწეობას. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, რომ დროებითი მთავრობის შექმნაში მონაწილეობა მიიღო რუსეთის იმპერიის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს (პარლამენტის) ქვედა პალატამ – სახელმწიფო სათათბირომ. რაც შეეხება 1917 წლის 24–26 ოქტომბერს პეტროგრადში ბოლშევიკების მიერ განხორციელებულ შეიარაღებულ აჯანყებას, პუტჩს, ამ დროს **ხელისუფლების სამართალმემკვიდრეობის პრინციპი უხეშად დაირღვა. არც დროებით მთავრობას და არც პრედაპარლამენტს უფლებამოსილება არ მოუხსნია – დროებითი მთავრობა დააპატიმრეს, ხოლო პრედაპარლამენტი გარეკეს.** ახალი მთავრობა – სახალხო კომისართა საბჭო – უკანონო იყო იმიტომ, რომ სრულიად რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატთა საბჭოების II ყრილობას არც მენშევიკებისა და მემარჯვენე ესერების მონაწილეობით და, მით უმეტეს, არც მათ გარეშე **არ ჰქონდა უფლება თა-**

ვის თავზე აელო ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ფუნქცია და შეექმნა ახალი მთავრობა.

ამრიგად, 1917 წლის 24–26 ოქტომბრის მოვლენები უნდა შეფასდეს, როგორც კონტრრევოლუციური სახელმწიფო გადატრიალება, რომელიც დამთავრდა ბოლშევიკების მიერ ხელისუფლების უზურპაციით.

§5. ვითარება ამიერკავკასიასა და საქართველოში 1917 წლის 25 ოქტომბრის კონტრრევოლუციური სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ

(1917 წლის ოქტომბერი – 1918 წლის იანვარი)

1. ამიერკავკასიის კომისარიატის შექმნა. 1917 წლის 26 ოქტომბერს ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობის აღმსრულებელმა აკაკი ჩხენკელმა და კომიტეტის წევრებმა მემედ იუსუფ ჰაჯიბაბა ჯაფაროვმა, მიქაელ პაპაჯანიანმა დეპუტა გაუგზავნეს თბილისის გუბერნიის კომისარს. რომელშიც პეტროგრადში განვითარებული მოვლენების შეტყობინების შემდეგ ოზაკომის წევრები კომისარს ასე მიმართავდნენ: „წინადადებას გაძლევთ, წესრიგისა და სიმშვიდის შენარჩუნების მიზნით გადამწყვეტი ღონისძიებები გაატაროთ, არ დაუშვათ არავითარი დარღვევა და თვითნებური გამოსვლები, მოსახლეობას აუხსენით, თუ რა საზიანოა ხელისუფლების დაპყრობის მიზნით უწესრიგობის მოწყობა, მით უმეტეს დამფუძნებელი კრების არჩევნების წინ. ოზაკომი მოქმედებს ყველა რევოლუციურ ორგანიზაციასთან კავშირში და თავის მხრივ ვითარების შესაბამისად ყველა ღონისძიებას ატარებს. ოზაკომის თავმჯდომარის მაგიერ ჩხენკელი, ოზაკომის წევრები პაპაჯანოვი, ჯაფაროვი.“

თბილისში პეტროგრადში განვითარებული მოვლენების შესახებ დანვრილებითი ინფორმაცია არ გააჩნდათ, თუმცა ბოლშევიკების მიერ სახელმწიფო გადატრიალების მოწყობის შესახებ საქმის კურსში იყვნენ. ბოლშევიკების მიერ 1917 წლის 24-26 ოქტომბერს განხორციელებულ კონტრრევოლუციურ სახელმწიფო გადატრიალებას გაემიჯნენ და ბოლშევიკების გამოსვლა დაგმეს:

1. 25 ოქტომბერს (7 ნოემბერს) – კავკასიის არმიის სარდლობამ (მთავარსარდალი ინფანტერიის გენერალი მიხაილ პრჟევალსკი, შტაბის უფროსი გენერალ-მაიორი ევგენი ლებედინსკი), გენერალიტეტმა და ოფიცრობამ;

2. 25 ოქტომბერს (7 ნოემბერს) – ამიერკავკასიის ჯარისკათა დეპუტატთა საბჭოების სამხარეო საბჭომ (თავმჯდომარე დიმიტრი დონსკოი);
3. 26 ოქტომბერს (8 ნოემბერს) – კავკასიის არმიის სამხარეო საბჭომ;
4. 3 (16) ნოემბერს – ამიერკავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატთა საბჭოების სამხარეო ცენტრმა.

ბოლშევიკების მიერ განხორციელებული სახელმწიფო გადატრიალება არ ცნო ამიერკავკასიის არცერთმა პოლიტიკურმა ძალამ, გარდა ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი ბოლშევიკებისა. 1917 წლის 24–26 ოქტომბრის (6–8 ნოემბრის) სახელმწიფო გადატრიალებისა და რუსეთის დროებითი მთავრობის დამხობის შემდეგ მის მიერ დანიშნული სამხარეო ხელისუფლების ორგანო – ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი (ოზაკომი) სამართლებრივი თვალსაზრისით აღარ შეიძლება სამხარეო ხელისუფლების სათავეში დარჩენილიყო. ამიერკავკასიის პოლიტიკურმა ძალებმა იცოდნენ, რომ საბჭოთა რუსეთის მთავრობა დიდხანს აღარ დააყოვნებდა ამიერკავკასიაში სამხარეო ხელისუფლების ახალი ორგანოს დანიშვნას. ქართველმა, სომეხმა და აზერბაიჯანელმა პოლიტიკურმა მოღვაწეებმა გადაწყვიტეს საბჭოთა რუსეთის მთავრობისათვის დაესწროთ და თვითონ შეექმნათ სამხარეო ხელისუფლების ორგანო. ამ მიზნით **კავკასიის საზოგადოებრივი უშიშროების კომიტეტის** ინიციატივით 1917 წლის 11 (24) ნოემბერს თბილისში, სახალხო სახლში, მუშაობა დაიწყო სამხარეო თათბირმა. თათბირზე წარმომადგენლები გამოგზავნეს:

1. ამიერკავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა სამხარეო ცენტრმა;
2. ამიერკავკასიის ჯარისკათა დეპუტატთა საბჭოების სამხარეო საბჭომ;
3. კავკასიის არმიის სამხარეო საბჭომ;
4. თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტმა;
5. თბილისის საქალაქო სათათბირომ;
6. კავკასიის საზოგადოებრივი უშიშროების კომიტეტმა;
7. ამიერკავკასიის განსაკუთრებულმა კომიტეტმა;
8. ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა მენშევიკებმა;
9. ქართველმა სოციალ-დემოკრატმა ბოლშევიკებმა;
10. ქართველმა სოციალისტ-რევოლუციონერებმა;
11. ქართველმა სოციალისტ-ფედერალისტებმა;
12. ქართველმა ეროვნულ-დემოკრატებმა;

13. სომეხმა დაშნაკებმა;
14. აზერბაიჯანელმა მუსავატებმა;
15. ფოსტა-ტელეგრაფის თანამშრომლებმა;
16. ამიერკავკასიის სასურსათო სამმართველომ;
17. თბილისში არსებულმა პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა.

თათბირს ესწრებოდნენ კავკასიის არმიის მთავარსარდალი, ინფანტერიის გენერალი **მიხაილ პრუვეალსკი**, კავკასიის არმიის შტაბის უფროსი, გენერალ-მაიორი **ევგენი ლებედინსკი (1873 -?)**, კავკასიის არმიის შტაბის გენერალ-კვარტერმაისტერი, გენერალ-მაიორი **ვლადიმირ ლევანდოვსკი (1873-1946)**, კავკასიის არმიის მოვლინებული ინგლისელი და ფრანგი ოფიცრები, ამერიკის შეერთებული შტატების კონსული. სულ თათბირს 100 კაცი ესწრებოდა.

თათბირი 12 საათზე **ევგენი გეგეჭკორმა** გახსნა. მან მოკლედ დაახასიათა 1917 წლის 24–26 ოქტომბერსა და შემდეგ დღეებში განვითარებული მოვლენები – ბოლშევიკების მიერ მონყობილი სახელმწიფო გადატრიალება და დროებითი მთავრობის დამხობა. ევგენი გეგეჭკორმა სახელმწიფო გადატრიალებას რუსეთის დემოკრატიის წინააღმდეგ მიმართული ქმედება უწოდა. ევგენი გეგეჭკორი საშიშ მოვლენად მიიჩნევდა იმას, რომ ბოლშევიკების მიერ განხორციელებული სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ ამიერკავკასია ცენტრალურ რუსეთს მოსწყდა როგორც ფინანსური, ისე სურსათით მომარაგების თვალსაზრისით. ამიერკავკასიის ჯარისკაცთა დეპუტატთა საბჭოების სამხარეო საბჭოს თავმჯდომარე **დიმიტრი დონსკოიმ** აღნიშნა, რომ შექმნილ ვითარებაში აუცილებელი იყო ამიერკავკასიის დემოკრატიის გაერთიანება, თუმცა განვლილმა პერიოდმა აჩვენა, რომ დემოკრატიული ძალები ორ ბანაკად გაიყო და განხეთქილება დღითიდღე ძლიერდებოდა. დიმიტრი დონსკოიმ აღნიშნა, რომ არსებობდა საშიშროება განხეთქილება კავკასიის არმიაშიც დაწყებულიყო. დიმიტრი დონსკოიმაც ყურადღება გაამახვილა იმ მოსალოდნელ უარყოფით მოვლენებზე, რომელიც რუსეთიდან ამიერკავკასიაში ფულის ნიშნების შემოდინებისა და ხორბლით მოამარაგებით შეწყვეტას მოჰყვებოდა, ხოლო ბოლშევიკების ბატონობა პეტროგრადში საფრთხეს უქმნიდა როგორც ცენტრალურ რუსეთს, ისე ამიერკავკასიას. დიმიტრი დონსკოიმ ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ ამიერკავკასიაში ხალხის ნდობით აღჭურვილი სამხარეო ხელისუფლების არარსებობა კიდევ უფრო ძაბავდა ვითარებას და დაასკვნა: ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი (ოზაკომი) თვითონ გრძნობდა, რომ ხალხის მასების მხარდაჭერა არ ჰქონდა, რის გამოც მან გადადგომის

გადანყვეტილება მიიღო და ამჯერად მხოლოდ მიმდინარე საქმეებთან დაკავშირებით საკანცელარიო სამუშაოებს ასრულებდა. თათბირზე დიმიტრი დონსკოის ამ დასკვნას კამათი არ გამოუწვევია. შემდეგ დიმიტრი დონსკოი დამფუძნებელი კრების არჩევნებს შეეხო და აღნიშნა, რომ ამიერკავკასიის მოსახლეობა და კავკასიის არმია რუსეთის დამფუძნებელ კრებაში 45 დელეგატს ირჩევდა. მომხსენებლის აზრით, უკეთესი იქნებოდა ამიერკავკასიის სამხარეო ხელისუფლების მმართველობის ფორმა დამფუძნებელ კრებას განესაზღვრა, მაგრამ ეს დროს მოითხოვდა, ხოლო სამხარეო ხელისუფლების ორგანიზება დაუყოვნებლივ უნდა მომხდარიყო. მოხსენების დასასრულს დიმიტრი დონსკოიმ აღნიშნა, ამიერკავკასიის ახალი სამხარეო ხელისუფლება დროებითი იქნება, ხოლო სამხარეო ხელისუფლების ფორმას საბოლოოდ დამფუძნებელი კრება გადანყვეტსო. დიმიტრი დონსკოის მოხსენების საფუძველზე თათბირმა ასეთი რეზოლუცია მიიღო:

1. რუსეთის დამფუძნებელ კრებაში ამიერკავკასიის მოსახლეობისა და ამიერკავკასიის ფრონტიდან დელეგატების არჩევამდე ამიერკავკასიის მმართველობა გადავიდეს **ამიერკავკასიის საზოგადოებრივი უშიშროების კომიტეტის** ხელში, რომელშიც შევლენ რევოლუციურ-დემოკრატიული, ცენტრალური, საზოგადოებრივი, ოფიციალური და ეროვნული ორგანოების წარმომადგენლები;

2. ახლად არჩეულ რუსეთის დამფუძნებელ კრებას ეთხოვოს ამიერკავკასიის სამხარეო ხელისუფლების დროებითი ორგანოს შექმნა, რომლის შემადგენლობა და ხასიათი განისაზღვროს შემდეგი პრინციპების დაცვით:

ა) ამიერკავკასიის სამხარეო ხელისუფლების ორგანოს პოლიტიკა შეუთანხმდეს რუსეთის დემოკრატიის პოლიტიკას და მასთან ერთად გადანყვიროს საერთო სახელმწიფოებრივი ამოცანები;

ბ) ავტონომიურად გადაწყდეს მხოლოდ ადგილობრივი მნიშვნელობის მიმდინარე საკითხები;

გ) ამიერკავკასიის სამხარეო ხელისუფლების დროებითმა ორგანომ მმართველობითი ფუნქცია უნდა შეინარჩუნოს დამფუძნებელი კრების მიერ რუსეთის ცენტრალური ხელისუფლების ორგანიზებამდე;

დ) ამიერკავკასიის სამხარეო ხელისუფლების დროებითი ორგანო თავის საქმიანობაში უნდა დაეყრდნოს მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატთა საბჭოებს და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს.

თათბირზე განსხვავებული რეზოლუცია არავის შეუტანია, არც დიმიტრის დონსკოის რეზოლუციის შესწორება მოუთხოვია ვინმეს. რადგან ბოლშევიკებმა თათბირი დასრულებამდე დატოვეს და ამდენად, დარბაზში მონ-

ინააღმდეგეთაგან აღარავინ იმყოფებოდა, რეზოლუციისათვის კენჭი აღარ უყრიათ. დოკუმენტში ჩაინერა, რომ რეზოლუცია ერთხმად იქნა მიღებული.

ამიერკავკასიის პოლიტიკურ ძალთა თათბირის შემდეგ, 1917 წლის 15 (28) ნოემბერს მიღებული იქნა გადაწყვეტილება სამხარეო ხელისუფლების ორგანოს – **ამიერკავკასიის კომისარიატის** შექმნის შესახებ. ამიერკავკასიის კომისარიატის შემადგენლობა ასე განისაზღვრა:

1. **ვეგენი გეგეჭკორი** – თავმჯდომარე, შრომის სამინისტროს საქმეთა კომისარი და საგარეო ურთიერთობათა სამინისტროს საქმეთა კომისარი;
2. **აკაკი ჩხენკელი** – შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმეთა კომისარი;
3. **დიმიტრი დონსკოი** – სამხერო და საზღვაო სამინისტროს საქმეთა კომისარი;
4. **ხ. ი. კარჩიკიანი** – ფინანსთა სამინისტროს საქმეთა კომისარი;
5. **შალვა ალექსი-მესხიშვილი** – სახალხო განათლების სამინისტროს საქმეთა კომისარი და იუსტიციის საქმეთა სამინისტროს კომისარი;
6. **მემედ იუსუფ ჰაჯიბაბა ჯაფაროვი** – ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს საქმეთა კომისარი;
7. **ხუდადათ ბეი მელიქ-ასლანოვი** – გზებზე მიმოსვლის სამინისტროს საქმეთა კომისარი;
8. **ა. ვ. ნურჩიევი** – მინათმოქმედების საქმეთა კომისარი;
9. **გ. გ. ტერ-გაზარიანი** – სურსათის სამინისტროს საქმეთა კომისარი;
10. **ამაზასპ (ამო) ოგანჯანიანი** – საზოგადოებრივი მზრუნველობის სამინისტროს საქმეთა კომისარი;
11. **ხალილ ბეი ჰაჯიბაბა ხას-მამედოვი** – სახელმწიფო კონტროლის საქმეთა კომისარი.

1917 წლის 18 ნოემბერს (1 დეკემბერს) ამიერკავკასიის კომისარიატმა მხარის მოსახლეობას დეკლარაციით მიმართა, რომელშიც აღნიშნული იყო:

1. ამიერკავკასიის კომისარიატი სამხარეო ხელისუფლების ფუნქციას შეასრულებდა რუსეთის დამფუძნებელი კრების მონვევამდე;
2. ამიერკავკასიის კომისარიატი დაიცავდა 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის მონაპოვარს, დაამყარებდა რევოლუციურ წესრიგს, აღკვეთდა სამოქალაქო ომის საშიშროებას;
3. ამიერკავკასიის კომისარიატი, რუსეთის რევოლუციის მიერ აღიარებული ერთა თვითგამორკვევის პრინციპიდან გამომდინარე, ხელს შეუწყობდა ამიერკავკასიაში ეროვნული საკითხის გადაჭრას;
4. ამიერკავკასიის კომისარიატი იბრძოლებდა ზავის დაუყოვნებლივ დადებისათვის;

5. ამიერკავკასიის კომისარიატი ყოველ ღონეს იხმარდა ფინანსების მოსაწესრიგებლად, არმიისა და მოსახლეობის სურსათით მოსამარაგებლად და შიმშილის თავიდან ასაცილებლად, ტრანსპორტის მუშაობის გასაუმჯობესებლად;

6. ამიერკავკასიის კომისარიატი უზრუნველყოფდა საზოგადოების უშიშროებას, ზავის დადების შემთხვევაში არმიის დემობილიზაციის ორგანიზებულად ჩატარებას, წარმოებასა და განაწილებაზე კონტროლის დამყარებას, შრომის უფლების დაცვას, დემოკრატიული ერობის შემოღებას, სასამართლოს რეორგანიზაციას, აგრარული საკითხის გადაჭრას, ამიერკავკასიაში მცხოვრები ერების მშვიდობიან თანაარსებობას.

2. რუსეთ-ოსმალეთის 1917 წლის 5 (18) დეკემბრის ერძინჯანის დროებითი ზავი. ამიერკავკასიის კომისარიატი ენერგიულად შეუდგა რუსეთ-ოსმალეთის კავკასიის ფრონტზე დროებითი ზავის დადებისათვის მზადებას. საქმეს აფერხებდა ერთი უმნიშვნელოვანესი გარემოება: ამიერკავკასიის კომისარიატი სამხარეო ხელისუფლების ორგანო იყო და მას ოსმალეთთან დროებითი ზავის დადებაზე მოლაპარაკების დაწყება რუსეთის ცენტრალური ხელისუფლების ნებართვის გარეშე არ შეეძლო. 1917 წლის 25 ოქტომბრის შემდეგ რუსეთის ყოფილი იმპერიის ტერიტორიის უდიდეს ნაწილს საბჭოთა რუსეთის მთავრობა აკონტროლებდა, რომელსაც ამიერკავკასიის კომისარიატი არ ცნობდა. ოსმალეთთან დროებითი ზავის ნებართვა ამიერკავკასიის კომისარიატს რუსეთის უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკიდან შეიძლებოდა მიეღო, მაგრამ ამ უკანასკნელმა ბოლშევიკების მიერ სახელმწიფო გადატრიალების მოწყობის შემდეგ მალე ფუნქციონირება შეწყვიტა. ასეთ გაურკვეველ ვითარებაში ინიციატივა ოსმალეთის მხარემ გამოიჩინა, რაც ამიერკავკასიის კომისარიატისათვის მოლაპარაკების დაწყების ფორმალურ საბაზს წარმოადგენდა.

1917 წლის 21 ნოემბერს (4 დეკემბერს) გაიმართა ამიერკავკასიის კომისარიატის სხდომა, რომელსაც **ევგენი გეგეჭკორი** და **აკაკი ჩხენკელი** თავმჯდომარეობდნენ. სხდომას ესწრებოდნენ **შალვა ალექსი-მესხიშვილი**, **მემედ იუსუფ ჰაჯიბაზა ჯაფაროვი**, **დიმიტრი დონსკოი**, **ხ. ი. კარჩიკიანი**, **ხუდადათ ბეი მელიქ-ასლანოვი**, **ამაზასპ (ამო) ოგანჯანიანი**, **გ. გ. ტერ-გაზარიანი**. სხდომაზე მოწვეული იყვნენ კავკასიის ფრონტის მთავარსარდალი, ინფანტერიის გენერალი **მიხაილ პრჟევალსკი** და კავკასიის ფრონტის შტაბის უფროსი გენერალ-მაიორი **ევგენი ლებედინსკი**. დღის წესრიგში იდგა ერთი საკითხი: გენერალ მიხაილ პრჟევალსკის განცხადება იმის თაობაზე, რომ მან კავკასიის ფრონტზე ოსმალეთის არმიის მთავარსარდალ **ფერიკ**

ვეპობ მეჰედ ფაშასაგან დროებითი ზავის დადების თაობაზე წერილი მიიღო. საკითხის განხილვის შემდეგ ამიერკავკასიის კომისარიატმა დაადგინა:

1. რუსეთში არ არსებობს ერთი, ცენტრალური, ყველასაგან აღიარებული ხელისუფლება, უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკი სამოქალაქო ომის პირობებში დაიშალა. შექმნილ პოლიტიკურ ვითარებაში ამიერკავკასიის კომისარიატმა დროულად მიიჩნია, დასთანხმდეს ოსმალეთის მთავარსარდლობის წინადადებას, დაუყოვნებლივ შეწყვიტოს საბრძოლო მოქმედებები კავკასიის ფრონტზე, აღარ განახორციელოს ჯარების არანაირი სტრატეგიული გადაჯგუფება, რომელიც უარყოფით გავლენას იქონიებდა მესოპოტამიაში განლაგებული ინგლისის არმიის მდგომარეობაზე;

2. წინადადება მიეცეს კავკასიის ფრონტის მთავარსარდალს, გენერალ მიხაილ პრჟევალსკის უპასუხოს კავკასიის ფრონტზე განლაგებული ოსმალეთის ჯარების მთავარსარდალს და პასუხის შესახებ საქმის კურსში ჩააყენოს მესოპოტამიაში განლაგებული ინგლისის არმიის სარდალი;

3. კავკასიის არმიასა და მოსახლეობისადმი მოწოდებაში განმარტებულ იქნას დროებითი ზავის მიზანი, რათა არმია და მოსახლეობა შეგნებულად მოეკიდოს საზავო მოლაპარაკებას;

4. ამიერკავკასიის კომისარიატის გადანყვეტილების შესახებ ეცნობოს მოკავშირე სახელმწიფოებისა და ნეიტრალური სახელმწიფოების კონსულებს.

1917 წლის 21 ნოემბერსვე (4 დეკემბერსვე), ამიერკავკასიის სხდომის დასრულების შემდეგ, გაიმართა ამიერკავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატთა საბჭოების სამხარეო ცენტრის საგანგებო სხდომა. სხდომას **ნოე ჟორდანი**ა თავმჯდომარეობდა. სხდომაზე მოხსენებით გამოვიდა ამიერკავკასიის კომისარიატის თავმჯდომარე ევგენი გეგეჭკორი, რომელმაც დამსწრეთ გააცნო დროებითი ზავის დადების თაობაზე კომისარიატის დადგენილება. გამოსვლის დასასრულს ევგენი გეგეჭკორმა განაცხადა: „ჩვენ ვესწრაფით დავდოთ დემოკრატიული ზავი.“ სამხარეო ცენტრმა ერთხმად მიიღო დადგენილება: „ამიერკავკასიის კომისარიატის მოქმედება მონონებულ იქნას.“

1917 წლის 22 ნოემბერს (5 დეკემბერს) კავკასიის ფრონტის მთავარსარდალმა გენერალმა **მიხაილ პრჟევალსკიმ** და კავკასიის ფრონტის შტაბის უფროსმა გენერალ-მაიორმა **ევგენი ლებედინსკიმ**, ამიერკავკასიის კომისარიატის დადგენილების შესაბამისად, დროებითი ზავის დადების თაობაზე კავკასიის ფრონტზე ოსმალეთის არმიის მთავარსარდალს, **ფერიკ ვეპობ მეჰედ ფაშას**, უპასუხეს. მიხაილ პრჟევალსკიმ და ლებედინსკიმ ოს-

მალო სარდალს აცნობეს, რომ თანახმანი იყვნენ საბრძოლო მოქმედებები შეწყვიტათ და საზავო მოლაპარაკება დაეწყოთ. ამასთან ერთად, ისინი ფერიკ ვეჰიბ მეჰმედ ფაშას სთავაზობდნენ, რომ ოსმალთა და რუსი სამხედრო სპეციალისტებისაგან შექმნილიყო კომისია, რომელიც დროებითი ზავის პირობებს შეიმუშავებდა. მიხაილ პრუჟევალსკიმ და ევგენი ლებედინსკიმ ოსმალთა სარდალს ისიც აცნობეს, რომ საზავო მოლაპარაკებასთან დაკავშირებით აცნობებდნენ მესოპოტამიაში განლაგებულ ინგლისის არმიის სარდალს. 22 ნოემბერსვე (5 დეკემბერს) მიხაილ პრუჟევალსკიმ და ევგენი ლებედინსკიმ დეპეშა გაუგზავნეს მესოპოტამიაში განლაგებული ინგლისის არმიის სარდალს. ტელეგრამაში აღნიშნული იყო: კავკასიის ფრონტზე განლაგებული ოსმალეთის არმიის მთავარსარდალი ფერიკ ვეჰიბ მეჰმედ ფაშა დაზავების ინიციატივით გამოვიდა. ამიერკავკასიის კომისარიატმა საჭიროდ ჩათვალა ოსმალეთის მხარის წინადადება მიეღო და საზავო მოლაპარაკება დაეწყო. მიხაილ პრუჟევალსკი და ევგენი ლებედინსკი ინგლისელ სარდალს პირობას აძლევდნენ, რომ ოსმალეთთან მოლაპარაკების დროს აუცილებლად გაითვალისწინებდნენ მესოპოტამიაში განლაგებული ინგლისის არმიის სარდალობის ინტერესებს. 22 ნოემბერსვე (5 დეკემბერს) ამიერკავკასიის კომისარიატმა საზავო მოლაპარაკებასთან დაკავშირებით მოწოდებით მიმართა კავკასიის არმიასა და მოსახლეობას. მოწოდებას ხელს აწერდა ამიერკავკასიის კომისარიატის მთელი შემადგენლობა.

კავკასიის ფრონტის მთავარსარდალმა ამიერკავკასიის კომისარიატთან შეთანხმებით დროებითი ზავის შემუშავების მიზნით შექმნილი კომისიის თავმჯდომარედ გენერალ-მაიორი **ევგენი ვიშინსკი (1873-1920)** დანიშნა. დროებითი ზავის პირობების შემუშავების პროცესში ვიშინსკის 1917 წლის 25 ნოემბერს (8 დეკემბერს) დამტკიცებული შემდეგი ინსტრუქციით უნდა ეხელმძღვანელა:

1. დაუყონებლივ უნდა შეწყვეტილიყო საბრძოლო მოქმედებები რუსეთ-ოსმალეთის კავკასიის ფრონტზე;

2. დაუშვებელი იყო სტრატეგიული გადაჯგუფების მიზნით ჯარების გადაადგილება, განსაკუთრებით კი ოსმალეთის ჯარების გადასროლა მესოპოტამია-სირიის ფრონტზე, სადაც ინგლისის არმია იყო განლაგებული. თუ ოსმალები სტრატეგიულ გადაჯგუფებას მაინც მოახდენდნენ, ეს ჩაითვლებოდა საბრძოლო მოქმედებების განახლებად;

3. ჯარებს უფლება ეძლეოდათ დისლოკაციის ადგილიდან მოეხდინათ მცირე მასშტაბის, არასტრატეგიული მნიშვნელობის გადაადგილება;

4. ომის დროს რუსეთის არმიის მიერ დაკავებულ ოსმალეთის ტერი-

ტორიაზე შექმნილ სამოქალაქო ადმინისტრაციულ ორგანოებს (ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს) იგივე უფლებები უნარჩუნდებოდათ, რა უფლებითაც სარგებლობდნენ საზავო მოლაპარაკების დაწყებამდე;

5. საზავო მოლაპარაკების მხარეები ხდებოდნენ იმ ტერიტორიის სრული ბატონ-პატრონი, როგორც სამხედრო, ისე ადმინისტრაციული თვალსაზრისით, რა ტერიტორიაც მათ სადემარკაციო ხაზის დადგენის შემდეგ მიეკუთვნებოდათ;

6. სადემარკაციო ხაზის დადგენის შემდეგ ადგილობრივ შეუიარაღებელ მოსახლეობას უფლება ეძლეოდა სადემარკაციო ხაზის მეორე მხარეზე გადასულიყვნენ;

7. თუ ადგილობრივი მცხოვრები სადემარკაციო ხაზით დადგენილ ნეიტრალურ ზონაში ჩაიდენდა ისეთ დანაშაულს, რომელიც საფრთხეს უქმნიდა ადგილობრივ მცხოვრებთა სიმშვიდეს, დამნაშავე დასასჯელად ხელშემკვრელ მხარეებს გადაეცემებოდა. თუ რომელიმე მხარე ძებნილი დამნაშავეს გადაცემას მოითხოვდა, მეორე მხარე ვალდებული იყო დაუყოვნებლივ შეესრულებინა ეს მოთხოვნა;

8. ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ სადემარკაციო ხაზის დადგენისას შენარჩუნებული იქნას ის ტერიტორია, რომელიც რუსეთის არმიას უკავია;

9. დროებითი ზავი იმოქმედებს საბოლოო ზავის დადებამდე. თუ საბოლოო ზავი არ დაიდო, ხელშემკვრელ მხარეებს უფლება არა აქვთ დაარღვიონ სადემარკაციო ხაზი. სადემარკაციო ხაზის დარღვევას წინ უნდა უძლოდეს მეორე მხარის შვიდი დღით ადრე გაფრთხილება;

10. შავ ზღვაზე დროებითი ზავის მოქმედების პირობებს დამატებითი ხელშეკრულება განსაზღვრავდა;

11. დროებითი ზავის პირობები სადემარკაციო ხაზის სქემასთან ერთად ორ ეგზემპლარად უნდა შეედგინათ და ხელშემკვრელ მხარეებს ხელმონერებით დაედასტურებინათ. ხელშემკვრელ მხარეებს გადაეცემოდათ დოკუმენტის თითო ეგზემპლარი;

12. საზავო მოლაპარაკების პროცესში და დროებითი ზავის დადების შემდეგ შესაძლებელი იყო ქურთთა ლაშქრის მხრიდან წარმოქმნილიყო საფრთხე, რადგან ქურთები არანაირ ხელისუფლებას არ ცნობდნენ. მოსალოდნელი იყო, რომ ქურთები მოინდომებდნენ იმ ტერიტორიის დაკავებას, რომელსაც ომამდე ფლობდნენ, რასაც შეიძლებოდა მოჰყოლოდა ქურთების მხრიდან ქრისტიანი მოსახლეობის დარბევა;

13. მოლაპარაკების პროცესში ქურთთა საკითხიც უნდა განხილუ-

ლიყო, ოსმალეთის მთავრობას უნდა აეღო ვალდებულება, რომ ქურთები დროებითი ზავის პირობებს დამორჩილებოდნენ. თუ ქურთები დროებითი ზავის პირობებს დაარღვევდნენ და მტრულ მოქმედებას დაიწყებდნენ, რუსეთის არმია შესაბამის ღონისძიებებს გაატარებდა.

დროებითი საზავო ხელშეკრულების დადების დროისათვის რუსეთ-ოსმალეთის კავკასიის ფრონტი ქალაქ **ტრაპიზონიდან ვანის ტბამდე** იყო გადაჭიმული და მისი სიგრძე 500 ვერსს უდრიდა. ფრონტზე განლაგებული იყო 200.000 ოფიცერი და ჯარისკაცი.

დროებითი ზავის დადების თაობაზე მოლაპარაკება ქალაქ **ერძინჯანში** დაიწყო. კავკასიის ფრონტის მთავარსარდალმა მიხაილ პრევიცალსკიმ საზავო მოლაპარაკებაზე გასაგზავნი დელეგაცია ასეთი შემადგენლობით დაამტკიცა: გენერალ-მაიორი **ვეგენი ვიშინსკი** – ამიერკავკასიის ფრონტის შტაბის უფროსი, პოლკოვნიკი **ბენზენგრი** – 156-ე ელისავეტოპოლის პოლკის მეთაური, ჯარისკაცი **სმირნოვი**, **არშაკ ჯემალიანცი**, პრიატ-დოცენტი **ბიქტორ თევზაია**, კაპიტანი **ვერდინსკი** – კავკასიის არმიის შტაბის ოფიცერი, თარჯიმანი. მოლაპარაკებაზე ოსმალეთის დელეგაცია ასეთი შემადგენლობით გამოცხადდა: პოლკოვნიკი **იუმერ ლიუტფი** – ოსმალეთის მე-3 არმიის გენერალური შტაბის უფროსი; მაიორი **ჰესრუ** – ოსმალეთის მე-3 არმიის ოფიცერი; კაპიტანი **იაკუბი** – ოსმალეთის მე-3 არმიის თარჯიმანი. დროებითი ზავის პირობების შესამუშავებლად დელეგაციები ქალაქ ერძინჯანში ჩავიდნენ და 1917 წლის 2 (15) დეკემბერს, 18 საათზე, პირველი სხდომა დაიწყო. დროებითი საზავო ხელშეკრულება ქალაქ ერძინჯანში ხელმოწერილი იქნა 1917 წლის 5 (18) დეკემბერს, 15 საათზე.

ერძინჯანის დროებითი საზავო ხელშეკრულების პირობები ასეთია:

1. ხელშეკრულება სავალდებულოდ შესასრულებელი იყო ხელშემაკრული მხარეებისათვის 1917 წლის 5 (18) დეკემბრის პირველი საათიდან და მოქმედებდა საბოლოო ზავის დადებამდე. ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების დარღვევა შეიძლებოდა მას შემდეგ, რაც მეორე მხარე ხელშეკრულების დარღვევისა და საბრძოლო მოქმედებების განახლების თაობაზე 14 დღით ადრე იქნებოდა გაფრთხილებული;

2. ხელშეკრულების ძალაში შესვლისთანავე რუსეთ-ოსმალეთის კავკასიის ფრონტზე ორივე მხარე დაუყოვნებლივ წყვეტდა საბრძოლო მოქმედებებს (ხელშეკრულების თანდართულ რუკაზე ფრონტის ხაზი იწყებოდა შავი ზღვის სანაპიროზე და გრძელდებოდა მერვან-ჩარჩალლის ჩათვლით – ვ. გ.). საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტასთან ერთად ორივე მხარეს დაუყოვნებლივ უნდა შეეწყვიტა საავიაციო ფრენები სადემარკაციო ხაზის

გასწვრივ 10 ვერსის სიგანის ზოლზე (დასაშვები იყო მხოლოდ სადემარკაციო ხაზის განათება რაკეტებითა და პროექტორებით – ვ. გ.);

3. სადემარკაციო ხაზი დანვრილებით აღინერებოდა საგანგებო დანართში წარმოდგენილი აქტითა და სქემით. შესაბამისი სადემარკაციო ხაზი დადგინდებოდა კავკასიის მე-7 საარმიო კორპუსისა და კავკასიის 1-ლი საკავალერიო კორპუსის მიერ დაკავებული პოზიციების გასწვრივ. ამ მონაკვეთზე სადემარკაციო ხაზის დადგენაში მონაწილეობა უნდა მიეღო კავკასიის მე-7 საარმიო კორპუსის, კავკასიის 1-ლი საკავალერიო კორპუსის, ასევე ოსმალეთის მხარის მიერ დანიშნული სამხედრო ნაწილების წარმომადგენლებს;

4. დროებითი საზავო ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ ხელშემკვრელ მხარეებს აღარ უნდა მოეხდინათ ჯარების ოპერატიულ-სტრატეგიული გადაადგილება, გადაჯგუფება და ტვირთის გადაზიდვა, რეზერვიდან სადემარკაციო ხაზის მიმართულებით ჯარების გადაყვანა. განსაკუთრებით დაუშვებელი იყო ჯარების გადასროლა მესოპოტამია-სირიის ფრონტის მიმართულებით. ამ პირობის დარღვევა ჩაითვლებოდა საბრძოლო მოქმედებების განახლებად. ძალაში რჩებოდა ჯარების გადაადგილების თაობაზე 1917 წლის 2 (15) დეკემბრის 18 საათამდე გაცემული ყველა ბრძანება. ყველა ბრძანება და განკარგულება, გაცემული 1917 წლის 2 (15) დეკემბრის 18 საათის შემდეგ, უნდა გაუქმებულიყო;

5. ხელშემკვრელი მხარეების ჯარებს უფლება ჰქონდათ გადაადგილებულიყვნენ იმ ტერიტორიაზე, რომელიც სადემარკაციო ხაზის განსაზღვრასთან ერთად დადგინდა. გადაადგილების მიზანი არ უნდა ყოფილიყო უკვე არსებული საჯარისო ნაწილების გაძლიერება;

6. ხელშემკვრელ მხარეებს დროებითი ზავის მოქმედების პერიოდში არ უნდა დაენციოთ საბრძოლო მოქმედებებისათვის მზადება, თუმცა უფლება ჰქონდათ საბრძოლო მზადყოფნაში ჰქონოდათ და საჭიროების შემთხვევაში შეეკეთებინათ კიდევ საფორტიფიკაციო ნაგებობანი. სასწავლო სროლები შეიძლებოდა განეხორციელებინათ შაშხანებიდან და ტყვიამფრქვევებიდან და ისიც, სადემარკაციო ხაზის 15 ვერსის მოშორებით. სასწავლო სროლების შესახებ ხელშემკვრელ მხარეებს ერთმანეთი დროულად უნდა გაეფრთხილებინათ;

7. ხელშემკვრელ მხარეებს უფლება არ ჰქონდათ სადაზვერვო მოქმედებები ეწარმოებინათ სადემარკაციო ხაზს იქით არსებულ მეორე მხარის ტერიტორიაზე;

8. ხელშემკვრელ მხარეებს, როგორც სამხედროებს, ისე ადგილო-

ბრივ მოსახლეობას, ეკრძალებოდა სადემარკაციო ხაზით დადგენილ ნეიტრალურ ზონაში შესვლა. ჯარში გასაწვევ ასაკს მიღწეული ყველა მამაკაცი, რომელიც თვითნებურად შევიდოდა სადემარკაციო ხაზით განსაზღვრულ ნეიტრალურ ზონაში, სამხედრო ტყვედ ჩაითვლებოდა. გამონაკლისი დაიშვებოდა იმ ჯარისკაცებისათვის, რომლებიც ნეიტრალურ ზონაში სასმელი წყლისათვის ან სათბობის მოსაპოვებლად შედიოდნენ. ამ შემთხვევაში ნეიტრალურ ზონაში შესვლა მხოლოდ იმ ადგილებში შეიძლებოდა, სადაც ჯარისკაცები წყლისა და სათბობისათვის დროებითი ზავის დადებამდე შედიოდნენ;

9. დროებითი ზავის მოქმედების პერიოდში წარმოქმნილი ყველა გაუგებრობა უნდა გაერჩიათ ხელშემკვრელი მხარეების წარმომადგენლებს. წარმომადგენლების შეხვედრის ადგილი ყველა კონკრეტულ შემთხვევაში პარლამენტიორთა მეშვეობით დადგინდებოდა. პარლამენტიორებს არზრუმ-რიფეიეს გზაზე უნდა ემოძრავა;

10. სადემარკაციო ხაზით დადგენილ ნეიტრალური ზონის მცხოვრებლების მიერ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, რომელსაც შეიძლება ადგილობრივი მოსახლეობის სიმშვიდე დაერღვია, დამნაშავე ხელშემკვრელი მხარეების შეთანხმებით დაისჯებოდა. ხელშემკვრელი მხარეები ვალდებული იყვნენ ერთმანეთისათვის გადაეცათ ძებნილი დამნაშავე;

11. ოსმალეთის მხარეს ყოველი ღონე უნდა ეხმარა, რათა ქურთებს დროებითი ზავის პირობები დაეცვათ. თუ ქურთები ზავის პირობებს დაარღვევდნენ, რუსეთის არმია მის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე შესაბამის ღონისძიებებს გაატარებდა;

12. ხელშემკვრელ მხარეებს უფლება ჰქონდათ წარმოედგინათ წინადადებები დროებითი ზავის ზოგიერთი მუხლის შესწორების ან საერთოდ შეცვლის შესახებ. წინადადებებს განიხილავდა ხელშემკვრელი მხარეების მიერ შექმნილი ერთობლივი კომისია. თუ რუსეთი გერმანიასა და მის მოკავშირეებთან ზავს დადებდა, ამ ზავის პირობები სავალდებულო იქნებოდა რუსეთ-ოსმალეთის კავკასიის ფრონტისათვის;

13. შავ ზღვაზე რუსეთისა და ოსმალეთის სამხედრო ფლოტებს შორის ძალაში შედიოდა დროებითი ზავი. ამ ზავის დანვრილებით პირობებს შეიმუშავებდა ხელშემკვრელი მხარეების სამხედრო-საზღვაო ფლოტების წარმომადგენელთა ერთობლივი კომისია. ხელშემკვრელი მხარეების სამხედრო-საზღვაო ძალების ხომალდებსა და საფრენ აპარატებს ეკრძალებოდათ გადაელახათ ხმელეთიდან ზღვის სივრცეზე დადგენილი 10-ვერსიანი ზოლი. ამ პირობის დარღვევა ჩაითვლებოდა საბრძოლო მოქმედებების გა-

ნახლებადა;

14. დროებითი ზავის ტექსტი შედგენილი იყო რუსულ და თურქულ ენებზე. ხელშემკვერელ მხარეებს გადაეცემოდათ ორივე ენაზე არსებული ტექსტის თითო ეგზემპლარი, ხელმოწერილი და შესაბამისი წესით დამონ-მებული.

რუსეთ-ოსმალეთის კავკასიის ფრონტზე სადემარკაციო ხაზის დანვრილებითი აღწერა და სქემა, როგორც დროებითი საზავო ხელშეკ-რულების მესამე მუხლით იყო განსაზღვრული, ცალკე დოკუმენტის სახით უნდა დართოდა ხელშეკრულების ძირითად ტექსტს. სადემარკაციო ხაზი ასე განისაზღვრა:

1. შავი ზღვის სანაპიროდან **დერსიმამდე** (ფირანდახ-დაღის და ფოხ-ტურ-დაღის მთებამდე) გადის რუსეთისა და ოსმალეთის ჯარების მონინავე პოზიციების სანგრებს შორის;
2. ფრონტის დანარჩენ მონაკვეთზე სადემარკაციო ხაზი გადიოდა შემდეგ სოფლებზე, დასახლებულ პუნქტებზე, მდინარეებსა და მთებზე:

ა) რუსებისათვის

ფირანდახ-დაღის და **ფოხტურ-დაღის** მთებიდან **აკ-ბაბას** მთაზე, **სიბლოს** (კერ სინოდის) მთაზე (სიმაღლე 2405), **აქტაშის** მთაზე, **გოშმირ-დაღის** მთაზე (სიმაღლე 2460), **შეითან-დაღის** ქედზე, **ჯორის-დაღის** ქედზე, სოფელ **ბაგჩაზე**, **სოლუნის** ხიდის ჩრდილოეთით, სოფელ **იზრაკზე** (სოფელ **ტიკნიკიდან** სამხრეთ-დასავლეთით 7 ვერსზე), სოფელ **მუჰადარი-კეიზე** (სოფელ **ნურ-კაჩაკიდან** სამხრეთ-დასავლეთით 2 ვერსზე), რუსეთის ჯა-რის **ბარიანის** პოზიციის სანგრების გასწვრივ **ვანის** ტბამდე, **ვანის** ტბაზე ტბის სამხრეთ სანაპიროს პარალელურად 5 ვერსის მოშორებით, კუნძულ **აკ-ტამარ-აღასის** ჩათვლით, მდინარე **პენდა კანის-დერასის** შესართავამდე, მთაზე (სიმაღლე 2800, სოფელ **გუმბერანიდან** ჩრდილო-დასავლეთით 3 ვერსზე), **სარი-დაღის** მთაზე (სიმაღლე 3150), **მერვანზე**. სადემარკაციო ხა-ზის შემდეგი მონაკვეთი უნდა დაედგინა კავკასიის მე-8 ცალკე კორპუსისა და ოსმალთ სამხედროების ერთობლივ კომისიას. (რუსულ დედანში: „ა) Для Русских: от горы Фирандах-даги через гору Ак-баба, гора Сиблос (Кер Синод) Даги (2405), гора Акташ, гора Гошмир-даги (2460), хребет Шейтан-даги, хребет Джорис-даг, сел. Багча, северная оконечность Солунского моста, сел. Израк (в 7 верстах к ю-з. от селения Нур-качак), правый фланг Барианской позиции и вдоль передовых окопов ея к берегу Ванского озера, затем по ванскому озеру паралельно южному берегу его, в 5 верстах от последнего,

до острова Ак-тамар-адаси (включительно), далее устье реки Пенда Карисдераси и через гору 2800 (в 3 верстах к с-з. от сел. Гумберана), гору Сарыдаг (3150), Мерване и далее, согласно решения комиссии VII кавказского отдельного корпуса.“

ბ) ოსმალებისათვის

ფოხტურ-დაღის მხრიდან **კატირ-თეფეს** მთაზე, **მარჯან-დაგლარის** მთაზე (სიმაღლე 3449), **კარიჯა-კალას** მთაზე (სიმაღლე 3200), სოფელ **მორდოკანზე** (ბელუშმერიდან სამხრეთ-დასავლეთით 6 ვერსზე), სოფელ **კიპ-ოლარზე**, სოფელ **იუკარიკაირზე** (სოფელ **ფარჯადიდან** სამხრეთ-აღმოსავლეთით 5 ვერსზე), სოფელ **მუსტაფა-ბეკინ-კალგიზე** (სანან-დაშის მთიდან 2 ვერსით სამხრეთით), სოფელ **ჩომაკზე**, სოფელ **ზაგნიზე** (კიგიდან ჩრდილო-დასავლეთით 6 ვერსზე), სოფელ **პორშალიკზე** (კიგიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 4 ვერსზე), **ავიკ-დაღის** მთაზე (სიმაღლე 2300, სოფელ **ხოსანკიდან** ჩრდილო-დასავლეთით 3 ვერსზე), **გულლარ-ჯაბოლზე** (სიმაღლე 2200), სოფელ **საგნისზე**, სოფელ **ოგნოშზე**, **შირაფენდინ-დაგლარზე** (სიმაღლე 2350), **ბინდარ-თაპასის** მთიდან სამხრეთით 6 ვერსზე, სოფელ **აშაგი-კირვაზზე**, **ბოგლან-გედიშის** უღელტეხილზე, **იუკარი-კირვაზიდან** სამხრეთით 5 ვერსზე, სოფელ **კოლზე** (სოფელ **ემარატიდან** სამხრეთით 4 ვერსზე), მდინარე **მურად-ჩაის** გაყოლებით **სოლუნის** ხიდის სამხრეთ კიდეზე, სოფელ **კირგან-კომზე** (სოფელ **ტიკინიკიდან** სამხრეთ-აღმოსავლეთით 5 ვერსზე), სოფელ **ბაზაკ-ბურზე** (სოფელ **ნურ-კაჩაკიდან** სამხრეთ-დასავლეთით 4 ვერსზე), სოფელ **მუშეგაშენზე**, **ვანის** ტბის გასწვრივ არსებულ ოსმალეთის ჯარის სანგრებზე, **ვანის** ტბის სამხრეთ სანაპიროზე მდინარე **არიჩ-დარასის** შესართავამდე, მდინარე **არიგ-დარასის** გასწვრივ სოფელ **არიგ-ვანკამდე** (აკ-ტამარის ყურიდან სამხრეთით 8 ვერსზე), **ხავალიტ-ხაბ-დაღის** მთაზე (სოფელ **გუმბერანიდან** დასავლეთით 7 ვერსზე), სოფელ **არი-კომზე** (შატანიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით), მთაზე (სიმაღლე 2400, სოფელ **აშკანიდან** აღმოსავლეთით 4 ვერსზე), **ჯულამერკზე**. (რუსულ დედანში: „ნ) Для Турок: от горы Похтур-даг через гору Катыр-тапа, гору Марджан-даглари (3449), гора Кариджа-кала (3200), селение Мордокан (в 6 верстах к ю-з. от Белумера), селение Киполар, селение Юкарикаир (в 5 верстах к юго-востоку от селения Фарджадин), селения Мустафа-Бекин-Кавги (в 2 верстах к югу от горы Санан-даш), сел. Чомак, сел. Загни (в 6 верстах к северо-западу от Киги), сел. Поршалык (в 4 верстах к северо-востоку от Киги), гора Авик-даи (2300, в 3-х верстах к северо-западу от селю Хосанк), ур. Гуллар Джаболи (2200), сел.

Сагнис, сел. Огнош, Ширафендин-Даглари (2350 в 6 верстах к югу от горы Биндар-тапаси), сел. Ашаги-кирваз, перевал Боглан-гедиш от Юкари-кирваза 5 верст к югу), сел. Кол (в 4 верстах к югу от сел. Змарат), далее вдоль Мурад-чая до южной оконечности Солунского моста. От последнего на селение Кыргна-ком (в 5 верстах юго-западу от сел. Нур-качак), сел. Мушегашен и далее Ванского озера вдоль передовых окопов. Затем южный берег Ванского озера до устья реки Арич-дараси, вдоль реки Ариг-дараси, далее на селение Ариг-Ванк (в 8 верстах к югу от залива Ак-тамар), гора Хавалит-хаб-даг (от сел. Гумберана 7 верст к западу), сел. Ари-ком (в верстах к северо-востоку от Шатана), гора 2400 (в 4 верстах к востоку от селения Ашкан), Джуламерк.“).

სადემარკაციო ხაზი ისე იქნა გავლებული, რომ იგი გადაიდა ან სოფლებსა და დასახლებულ პუნქტებზე, ან წყალგამყოფებზე. თუ წყალგამყოფები არ იყო, ორი გეოგრაფიული პუნქტი ერთმანეთს სწორი ხაზით უკავშირდებოდა. სადემარკაციო ხაზის დადგენისას მოხსენიებული სოფლები, დასახლებები, მთები, მდინარეები და სხვ. აღნიშნული იყო ოსმალეთის არმიის გენერალური შტაბის რუკაზე (მასშტაბი 1:200 000). რუსული ტექსტის დადგენისას გამოყენებული იყო იმავე რუკის ასლი. დადგინდა, რომ ოსმალეთის არმიის გენერალური შტაბის მიერ გამოცემული რუკით უნდა ეხელმძღვანელათ საზავო ხელშეკრულების დადების შემდეგ წარმოშობილი სადავო საკითხების გადაჭრისას.

3. ვითარება 1917 წლის 5 (18) დეკემბრის ერძინჯანის დროებითი ზავის დადების შემდეგ. კავკასიის ფრონტის დაშლა. ამიერკავკასიის კომისარიატსა და კავკასიის ფრონტის სარდლობას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ოსმალეთთან დროებითი ზავის დადების მიზნით მოლაპარაკების დაწყება საბჭოთა რუსეთის მთავრობასთან არ შეუთანხმებია. ამან, ცხადია, უკიდურესად გააღიზიანა საბჭოთა რუსეთის პოლიტიკური ლიდერები: ვლადიმერ ლენინი, იოსებ სტალინი, ლევ ტროცკი და სხვ. საბჭოთა რუსეთმა ბოლშევიკების მიერ განხორციელებული კონტრრევოლუციური სახელმწიფო გადატრიალებისთანავე 1917 წლის 25 ოქტომბერს (7 ნოემბერს) პირველ მსოფლიო ომის მონაწილე სახელმწიფოებს ზავის დადების წინადადებით მიმართა. ცხადი იყო, რომ იმხანად საყოველთაო ზავის დადება შეუძლებელი იყო, რამაც განაპირობა ის, რომ საბჭოთა რუსეთმა გერმანიასთან და მის მოკავშირეებთან სეპარატიული ზავის დადება გადაწყვიტა. რუსეთის ომიდან გამოსვლა ხელს არ აძლევდა ანტანტას (ინგლისს, საფრანგეთს), თუმცა საბჭოთა რუსეთმა მაინც თავისი გაიტანა და გერმანიასთან სეპარატიული ზავის დადებისათვის მზადება დაიწყო. 1917 წლის 14 (27)

ნოემბერს გერმანიამ, რომელსაც რუსეთის ომიდან გამოსვლა სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით დიდ უპირატესობას აძლევდა, საბჭოთა რუსეთის მთავრობას სეპარატიული ზავის დადების მიზნით მოლაპარაკებაზე დაეთანხმა. 19 ნოემბერს საბჭოთა რუსეთის დელეგაცია **ადოლფ იოფ-ფეს** (1883-1927) ხელმძღვანელობით ქალაქ ბრესტ-ლიტოვსკში ჩავიდა, სადაც გერმანიის აღმოსავლეთის ფრონტის სარდლობის შტაბი იმყოფებოდა. 21 ნოემბერს დაიწყო გერმანიისა და მისი მოკავშირეების მოლაპარაკება საბჭოთა რუსეთთან. მოლაპარაკება მალევე შეწყდა და მხოლოდ 2 (15) დეკემბერს განახლდა. 1917 წლის 4 (17) დეკემბერს მხარეები შეთანხმდნენ, რომ 28 დღით საბრძოლო მოქმედებებს შეწყვეტდნენ. ასე, რომ მოლაპარაკება ერძინჯანსა და ბრესტ-ლიტოვსტკში პარალელურად მიმდინარეობდა. ცხადია, ეს გარკვეულ უხერხულობას ქმნიდა იმის გამო, რომ ოსმალეთი, როგორც მხარე, ორივე მოლაპარაკებაში მონაწილეობდა. 1917 წლის 12 (25) დეკემბერს, როდესაც ერძინჯანში დროებითი ზავი უკვე დადებული იყო, ხოლო ბრესტ-ლიტოვსტკში საზავო მოლაპარაკება ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული, გენერალ-მაიორმა **ევგენი ვიშინსკიმ** კავკასიის ფრონტის გენერალ-კვარტერმაისტერის მეშვეობით გაავრცელა ცნობა იმის შესახებ, რომ ერძინჯანში საზავო მოლაპარაკებისას ბრესტ-ლიტოვსკში დაწყებული მოლაპარაკების საკითხი არ განუხილავთ.

1917 წლის 5 (18) დეკემბრის დროებითი ზავის დადების შემდეგ, კავკასიის ფრონტის სარდლობის სურვილის მიუხედავად, რუსეთის არმიის სადემარკაციო ხაზზე შეკავება შეუძლებელი იყო. მართალია, ჯარისკაცებს განუმარტეს, რომ, დროებითი ზავის დადების მიუხედავად, შეიძლებოდა საბრძოლო მოქმედებები კვლავ განახლებულიყო, მაგრამ ჯარისკაცების დიდი ნაწილი ფრონტის მიტოვებას და შინ დაბრუნებას აპირებდა. 1917 წლის 18 (31) დეკემბერს კავკასიის არმიის სარდალმა გენერალ-ლეიტენანტმა **ილია ოდიშელიძემ** (1865-1925), რომელიც 1917 წლის 2 (15) ოქტომბერს კავკასიის არმიის სარდალად დაინიშნა, კავკასიის პირველი საარმიო კორპუსისადმი საგანგებო ბრძანება გამოსცა. ბრძანებაში აღნიშნული იყო: „კავკასიის პირველი კორპუსის ნაწილები თვითნებურად ტოვებენ ფრონტს და გადიან ზურგში ისე, რომ მათი წარმომადგენლებისაგან შექმნილი კომისიის დადგენილი რიგისა და ვადების დაცვაც კი არ სურთ. ამიტომ, თუ კორპუსის ნაწილები სადმე გზაში, ან სარიყამიში ვერ იპოვიან შენობებს (ყაზარმებს – ვ. გ.), პურს და შეშას, ანდა სარიყამიშის რკინიგზას გამოუსადეგარ მდგომარეობაში ნახავენ, დამნაშავენი იქნებიან თვითონ კორპუსის ნაწილები, რადგან მათ არ ისურვეს ჩემი წარმომადგენლების

მოსმენა. მე და მეთაურთა შემადგენლობას ურჩი ნაწილების უგნურ მოქმედებაზე ყოველგვარი პასუხისმგებლობა მოხსნილი გვაქვს“. 1917 წლის 19 დეკემბერს (1918 წლის 1 იანვარს) კავკასიის არმიის ქვეითთა პირველი სათადარიგო ბრიგადის უფროსს ებრძანა ფრონტიდან შინ მიმავალი ჯარისკაცების განიარაღება.

კავკასიის ფრონტზე განლაგებულ რუსეთის არმიაში წესრიგი მოიშალა. ფრონტის სარდლობა იძულებული გახდა ამ ფაქტს შეჰგუებოდა. შექმნილ ვითარებაში, როდესაც რუსეთის არმია კავკასიის ფრონტს ტოვებდა, ამიერკავკასიის კომისარიატმა გადაწყვიტა ეროვნული სამხედრო ფორმირებების შექმნა დაენყო. ეს ფორმირებები აუცილებელი იყო იმისათვის, რომ საბრძოლო მოქმედებების განახლების შემთხვევაში ამიერკავკასია ოსმალების შემოტევისაგან დაეცვა. 1917 წლის დეკემბერში მიხაილ პრეჟვალსკიმ კავკასიის ფრონტის მთავარსარდლის უფლება-მოვალეობა მოიხსნა და კავკასია დატოვა. მთავარსარდლის მოვალეობის შესრულება გენერალ-მაიორ ევგენი ლებედინსკის დაევალა (ოფიციალურად იგი ამ თანამდებობაზე 1918 წლის 5 (18) იანვარს დაინიშნა). **ევგენი ლებედინსკი** 28 დეკემბერს გამოსცა ბრძანება, რომელიც ეროვნული სამხედრო შენაერთების შექმნის გამო კავკასიის არმიის დაშლის წესებს განსაზღვრავდა. ბრძანების შინაარსი ასეთია:

1. ის, ვისაც არ სურდა კავკასიის ფრონტზე სამსახური, გაიგზავნება იქ, საიდანაც გაიწვიეს არმიაში და დაექვემდებარება ადგილობრივი სამხედრო ნაწილის მეთაურს. ამ განკარგულების შესრულების სისტემა და წესი განისაზღვრება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ამისათვის გამოყოფილი ხელმძღვანელი პირების და დათხოვნის კომისიის მიერ;

2. ჯარისკაცების სამსახურიდან დათხოვნა განხორციელდება განსაზღვრულ პუნქტებში, რომელსაც შეარჩევს მეთაურთა შემადგენლობა და დათხოვნის კომისია;

3. სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილთაგან რაზმების შექმნა და მათთვის ეშელონების გამოყოფა მოხდება კავკასიის ფრონტის შტაბის მიერ გაცემული სახელმძღვანელო მითითებების საფუძველზე;

4. კავკასიის ფრონტის თურქესტანის მეორე კორპუსი გადაყვანილი იქნას თურქესტანში, სადაც მოხდეს სამხედრო მოსამსახურეთა არმიიდან დათხოვნა;

5. კავკასიის ფრონტის 39-ე ქვეითი და კავკასიის მე-2 მსროლელი დივიზიის ქონება გადაეცეს ფორმირების პროცესში მყოფ რუსული კორპუსის პირველ და მეორე დივიზიებს. მათვე გადაეცეთ კავკასიის ფრონტის

პირველი კორპუსის ქონება;

6. კავკასიის ფრონტის კაზაკთა პირველი დივიზია დაბრუნდეს მუდმივი დისლოკაციის ადგილზე (რუსეთში) და დაექვემდებაროს ადგილობრივ სამხედრო ხელმძღვანელობას. კაზაკთა პირველი დივიზიის ფრონტიდან გამგზავრების შესახებ დამატებითი ბრძანება გამოიცემა;

7. კავკასიის ფრონტიდან წასული სამხედრო ნაწილების შტაბების ლიკვიდაციის შესახებ ბრძანება მოგვიანებით გამოიცემა, ბრძანების გამოცემამდე შტაბებს სრული პასუხისმგებლობა ეკისრებათ სამხედრო ნაწილის ქონების დაცვაზე;

8. კავკასიის ფრონტის ავიაციის შესახებ ფრონტის გენერალ-კვარტერმაისტერთან შეთანხმებით განკარგულებას გამოსცემს ფრონტის ავიაციის ინსპექტორი;

9. რკინიგზის მუშაობაზე პასუხისმგებლობა ეკისრებათ შესაბამის ორგანოებს;

10. დივიზიის სამხედრო მეთაურებს, არა უდაბლეს დივიზიის მეთაურისა, უფლება აქვთ მიიღონ გადაწყვეტილება დასუსტებული სამხედრო ნაწილის ლიკვიდაციის შესახებ;

11. საბოლოო ზავის დადებამდე კავკასიის ფრონტის დაცვა დაეკისროთ: სომხთა, ქართველთა, მუსლიმთა, რუსთა და უკრაინელთა და სხვა ეროვნების წარმომადგენელთაგან ფორმირებულ სამხედრო შენაერთებს.

ეს ბრძანება პრაქტიკულად იმას მოასწავებდა, რომ სარდლობა კავკასიის ფრონტის დაშლას შეეგუა, თუმცა კარგად ხედავდა, რომ საბრძოლო მოქმედებების განახლების შემთხვევაში ეროვნული სამხედრო ფორმირებები დაკისრებულ ამოცანას ვერ შეასრულებდნენ. 1917 წლის 31 დეკემბერს (12 იანვარი) ევგენი ლებედინსკიმ კავკასიის ფრონტის გენერალ-კვარტერმაისტერს საგანგებო ბრძანებით ეროვნული სამხედრო ფორმირებების წესი გააცნო. ეს წესი ევგენი ლებედინსკის არ შეუმუშავებია. ამ შემთხვევაში მან მთლიანად იხელმძღვანელა ამიერკავკასიის კომისარიატის 1917 წლის 18 (31) დეკემბრის დადგენილებით, რომელსაც ხელს აწერდნენ **ევგენი გეგეჭკორი** და **დიმიტრი დონსკოი**. ბრძანებაში აღნიშნული იყო:

1. ახალი სამხედრო ფორმირებები იქმნებოდა ეროვნული პრინციპის მიხედვით;

2. გარდა სომხების, ქართველების, მუსლიმების, უკრაინელების, პოლონელების, ბერძნების, ასირიელების, ოსების ეროვნული სამხედრო ფორმირებებისა, დაუყონებლივ დაიწყო რუსული კორპუსის ფორმირება;

3. კავკასიის არმიის ოფიცრები და ჯარისკაცები, რომელთაც აღარ

სურთ კავკასიის ფრონტზე სამსახური, შესაბამის დანიშნულების ადგილზე დამატებითი განკარგულების საფუძველზე გაიგზავნებიან;

4. ეროვნულ სამხედრო ფორმირებებში ჩარიცხული ოფიცრები და ჯარისკაცები სამხედრო სამსახურში უნდა დარჩნენ საბოლოო ზავის დადებამდე;

5. ეროვნულ სამხედრო ფორმირებებში სამსახური ჩაითვლება ნამდვილ სამხედრო სამსახურად;

6. კავკასიის ფრონტზე დარჩენილი ოფიცრებისა და ჯარისკაცების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით საგანგებო განკარგულება გამოიციემა;

7. კავკასიის ფრონტზე მოხალისეთა სამხედრო სამსახური გათანაბრებულია კავკასიის არმიის ოფიცერთა და ჯარისკაცთა სამსახურთან;

8. ეროვნული სამხედრო ფორმირებების ოფიცრებსა და ჯარისკაცებს ისეთივე მატერიალური უზრუნველყოფვა ექნებათ, როგორც აქვთ კავკასიის არმიის ოფიცრებსა და ჯარისკაცებს. ეროვნული სამხედრო ფორმირებების შინაგანანქნეს განსაზღვრავენ შესაბამისი ეროვნული ორგანიზაციები.

4. რუსეთის არმიის გასვლა ამიერკავკასიიდან. 1917 წლის 5 (18) დეკემბრის ერძინჯანის დროებითი ზავის შემდეგ, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, რუსეთის კავკასიის ფრონტმა დაშლა დაიწყო. 1917 წლის დეკემბერში კავკასიის ფრონტის მთავარსარდლის თანამდებობა დატოვა ინფანტერიის გენერალმა მიხაილ პრეჟვალსკიმ, რომელიც ამ თანამდებობაზე კავკასიის ფრონტის შტაბის უფროსმა გენერალ-მაიორმა ევგენი ლეხედინსკიმ შეცვალა. ფრონტის სარდლობა პრაქტიკულად ჯარებს ველარ მართავდა და მხოლოდ იმას ცდილობდა, რომ კავკასიის ფრონტიდან რუსეთისაკენ ჯარები მინიმალური წესრიგის დაცვით მაინც გამგზავრებულიყვნენ და დიდი რაოდენობით ოფიცრებისა და ჯარისკაცების გადაადგილებას სტიქიური და უმართავი ხასიათი არ მიეღო. უფრო მეტიც, კავკასიის ფრონტის სარდლობა იმაზეც კი წავიდა, რომ ამიერკავკასიის კომისარიატის აზრს დაეთანხმა და კავკასიის ფრონტის დაშლის შემდეგ ეროვნული სამხედრო ფორმირებების შექმნა შესაძლებლად მიიჩნია. ცხადია, კავკასიის ფრონტის სარდლობა ამ ნაბიჯით ჯარის უმართავი მასისაგან რაღაც ნაწილის (ეროვნული სამხედრო ფორმირებების) გამოყოფას ცდილობდა. ეროვნული სამხედრო ფორმირებები სამხრეთ კავკასიაში დარჩებოდნენ და მათზე პასუხისმგებლობას უკვე არა ფრონტის სარდლობა, არამედ საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის და სხვა ხალხების ეროვნული საბჭოები იღებდნენ. მიუხედავად ამისა, კავკასიის ფრონტის სარდლობა მაინც დიდი პრობლე-

მის წინაშე იდგა: რუსეთში მიმავალი კავკასიის ფრონტის ჯარებისათვის უნდა გამოეყო სარკინიგზო ეშელონები და შეემუშავებინა მათი მოძრაობის გრაფიკი. ეშელონები უნდა გამოყოფილიყო როგორც ოფიცრებისა და ჯარისკაცებისათვის, ისე საკავალერიო ცხენებისა და შეიარაღებისათვის. მაროდრობის თავიდან ასაცილებლად აუცილებელი იყო ყოველი ეშელონის სურსათით მომარაგება. ყველა ეს საკითხი ასე თუ ისე მოგვარებადი იყო. იყო კიდევ ერთი საკითხი, რომლის გადაწყვეტა დიდ სიძნელებთან იყო დაკავშირებული. კავკასიის ფრონტზე განლაგებულმა სამხედრო ნაწილებმა 1917 წლის 5 (18) დეკემბრის დროებითი ზავის დადების შემდეგ შეიარაღებისა და საბრძოლო საჭურვლის, ასევე საკავალერიო ცხენების დიდი ნაწილი გაყიდეს, მაგრამ კიდევ დარჩა შეიარაღებისა და საბრძოლო საჭურვლის სერიოზული მარაგი, ასევე საკავალერიო ცხენების დიდი რაოდენობა. სამხედრო ნაწილებს ყოველივე ამის რუსეთში გატანა უნდოდათ, რაც მარტო დამატებითი ეშელონების გამოყოფის პრობლემას არ ქმნიდა. სომხეთის, საქართველოსა და აზერბაიჯანის ეროვნულ საბჭოებს არ სურდათ ფრონტიდან დაძრულ რუსეთის ჯარებს თან ჰქონოდათ შეიარაღება და საბრძოლო საჭურველი, რადგან არავინ იცოდა, თუ რას მოიმოქმედებდა დემორალიზებული და პრაქტიკულად უკვე მოროდორთა ბრბოდ ქცეული რუსეთის ჯარი. რუსეთის ჯარის შეიარაღებასთან ერთად ჯარის გადაადგილების წინააღმდეგი იყვნენ საქართველოსა და აზერბაიჯანის ეროვნულ საბჭოში. ფრონტიდან რუსეთის ჯარი დაიძვრებოდა შეიარაღებით თუ შეიარაღების გარეშე, ამას კავკასიის ფრონტის სარდლობა ველარ გადაწყვეტდა, რადგან არმის უკვე ჯარისკაცთა დეპუტატთა საბჭოები განაგებდნენ და არა გენერლები და ოფიცრები. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ პროცესს სრულიად უმართავი ხასიათი შეიძლებოდა მიეღო.

უმნიშვნელოვანესი პრობლემა იყო ისიც, თუ რა მარშრუტით მოხდებოდა კავკასიის ფრონტის ჯარების გაყვანა რუსეთში. ყველაზე მოხერხებული და უსაფრთხო იყო ჯარების გაყვანა **ალექსანდროპოლი (გიმრი) – თბილისი – ელისავეტოპოლი – ბაქოს** სარკინიგზო ხაზით. იყო მეორე სავარაუდო მარშრუტიც: **ალექსანდროპოლი (გიმრი) – თბილისი – გორი – სამტრედია – ბათუმი (ან ფოთი)**. ეს გზა მოუხერხებელი იყო იმის გამო, რომ იმხანად სარკინიგზო ხაზი აფხაზეთზე არ გადიოდა, რის გამოც რუსეთში ჯარების გაყვანა შეუძლებელი იყო. ფოთში ან ბათუმში რუსები გემებში უნდა გადამსხდარიყვნენ და ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთის ნავსადგურებამდე მიეღწიათ. ეს თავისთავად ძალზე რთული იყო, რადგანც კავკასიის ფრონტის სარდლობას არ შეეძლო ოფიცერთა და ჯარისკაცთა უზარმაზ-

არი მასისათვის ბათუმსა და ფოთში საჭირო რაოდენობით გემები დაეხვედრებინა. გასათვალისწინებელი იყო ისიც, რომ ომის შავ ზღვაზე მგზავრობა უხიფათო არ იყო.

კავკასიის ფრონტიდან რუსეთის არმიის გაყვანის ისედაც რთული პროცესი მოულოდნელად კიდევ უფრო გართულდა. საბჭოთა რუსეთის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, კავკასიის ფრონტიდან დაძრული ჯარები საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის გამოეყენებინა. შემუშავებული იქნა გეგმა, რომლის რეალიზება სომეხ ბოლშევიკ სტეფანე შაუმიანს (1878-1918) დაევალა. გეგმის განხორციელებაში სტეფანე შაუმიანს უნდა დახმარებოდნენ ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი ბოლშევიკები. გეგმა ასეთი იყო: ალექსანდროპოლიდან (გიმრიდან) რუსი ჯარისკაცებითა და ოფიცრებით დატვირთული ეშელონები თბილისში უნდა შემოსულიყვნენ, საიდანაც მათი ნაწილი ელისავეტოპოლის (განჯის) გავლით ბაქოსაკენ გაემართებოდა. როგორც კი პირველი ეშელონი ბაქოს მიაღწევდა, ბოლშევიკების გავლენის ქვეშ მოქცეული ჯარისკაცთა დესუტატთა საბჭოების დახმარებით დაიწყებოდა აჯანყება და მთელი სარკინიგზო ხაზი, მასზე მდებარე ქალაქებით (ელისავეტოპოლი, ბაქო და სხვ.), რუსების ხელში აღმოჩნდებოდა. ამის შემდეგ გაცილებით ადვილი იქნებოდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარება მთელს აზერბაიჯანში. ეშელონების მეორე ნაწილი თბილისში შემოსვლის შემდეგ დასავლეთ საქართველოსაკენ გაემართებოდა და როგორც კი პირველი ეშელონები საზღვაო ნავსადგურებს, ბათუმსა და ფოთს, მიაღწევდნენ, აქაც დაიწყებოდა აჯანყება და მთელი სარკინიგზო ხაზი მასზე მდებარე ქალაქებთან (თბილისი, გორი, ხაშური, სამტრედია, ფოთი, ბათუმი და სხვ.) ერთად რუსების ხელში აღმოჩნდებოდა, რის შემდეგაც დაიწყებოდა საქართველოს მთელი ტერიტორიის ოკუპაცია და საბჭოთა ხელისუფლების დამყარება.

ამ მოვლენის შესახებ არსებული ქართული წყაროების მიხედვით დგინდება, რომ ალექსანდროპოლიდან დაძრული ეშელონები რუსეთში თბილისი-ელისავეტოპოლი-ბაქოს გავლით არ აპირებდნენ დაბრუნებას. სტეფანე შაუმიანს გადაწყვეტილი ჰქონდა ყველა ეშელონის თბილისზე გავლით ბათუმისა და ფოთისაკენ გაეტარებინა და პირველ რიგში, საქართველოს ოკუპაცია მოეხდინა. ყოველ შემთხვევაში 1917 წლის დეკემბრის ბოლოს საქართველოს ეროვნულ საბჭოში სტეფანე შაუმიანის საიდუმლო გეგმა ამ სახით შეიტყვეს. არ არის გამორიცხული, რომ საქართველოს ეროვნულ საბჭოში სტეფანე შაუმიანის გეგმის ყველა დეტალი ზუსტად

არ სცოდნოდათ. დრო არ ითმენდა და ქართველმა პოლიტიკოსებმაც იმ ინფორმაციის გათვალისწინებით დაიწყეს მოქმედება, რასაც ეროვნული საბჭო ფლობდა. ერთი რამ თავიდანვე ცხადი იყო: ფორმირების პროცესში მყოფი პირველი ქართული კორპუსი და სახალხო გვარდია თბილისში რუსეთის ეშელონების შემოსვლას წინ ვერ აღუდგებოდა. თითქმის ყველა ეშელონში ღია ვაგონებზე განლაგებული არტილერიიდან რუსები ქალაქს ცეცხლს გაუხსნიდნენ, რის შემდეგაც შეტევაზე ქვეითი ჯარი გადმოვიდოდა. საქართველოს ეროვნულ საბჭოში შემუშავდა მეტად მახვილგონივრული გეგმა: **ალექსანდროპოლიდან ამამლის, შაგალის, უზუნლარისა და სადახლოს** გავლით დაძრული რუსეთის ჯარის ეშელონები თბილისში არ უნდა შეეშვათ. ამისათვის საჭირო იყო აეგოთ რამდენიმე კილომეტრის სიგრძის ახალი სარკინიგზო ხაზი, რომლის ერთი ბოლო თბილისიდან საკმაო მანძილის მოშორებით **ალექსანდროპოლი-თბილისის** რკინიგზასთან იქნებოდა შეერთებული, ხოლო მეორე ბოლო – **თბილისი-ბაქოს** სარკინიგზო ხაზთან. ახალი სარკინიგზო ხაზით შესაძლებელი გახდებოდა ალექსანდროპოლიდან დაძრული რუსეთის ჯარის ეშელონები თბილისში შემოუსვლელეად გასულიყვნენ თბილისი-ბაქოს ხაზზე და გზა გაეგრძელებინათ ბაქოსაკენ. ალექსანდროპოლიდან დაძრული ეშელონები რკინიგზელებთან შეთანხმებით ისე ამოძრავეს, რომ იმ ადგილს, საიდანაც მარჯვნივ ახალ სარკინიგზო ხაზზე უნდა გადაეხვიათ, ღამით მოაღწიეს. რკინიგზის ახალი ხაზი სწრაფად აიგო, თუმცა ამ გეგმას თავისი ნაკლი ჰქონდა: ბოლოს და ბოლოს რუსები ხომ გაიგებდნენ, რომ თბილისში შესვლის ნაცვლად ელისავეტოპოლში აღმოჩნდებოდნენ და შეეძლოთ მათ უკან მომავალი ეშელონები გაეფრთხილებინათ. გარდა ამისა, თბილისში რუსების ეშელონების შემოსვლის თავიდან აცილება საქართველოს დიდ საფრთხეს აცილებდა თავიდან, მაგრამ სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა აზერბაიჯანს.

დამატებით აგებული სარკინიგზო ხაზით ალექსანდროპოლიდან მომავალმა რუსეთის ჯარის ეშელონებმა გაიარეს სადგურები **ალსტაფა** და **ძეგამი** და სადგურ **შამქორთან** შეჩერდნენ. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, რუსები შეაჩერეს ელისავეტოპოლის მუსლიმთა ნაციონალური კომიტეტის დაქვემდებარებაში მყოფმა და ამიერკავკასიის კომისარიატის მიერ ელისავეტოპოლში წინასწარ გაგზავნილმა ჯავშნიანმა მატარებელმა. რუსების პირველი ეშელონი შამქორს 3 ვერსზე 1918 წლის 6 (19) იანვარს მიუახლოვდა. როგორც ჩანს, ამ დროისათვის საქართველოსა და აზერბაიჯანის ეროვნულ საბჭოებში რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად გარკვეული კოორდინაცია არსებობდა. ამას გვაფიქრებინებს ის, რომ 1918 წლის 6 (19)

იანვარს მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატთა საბჭოების ამიერკავკასიის სამხარეო ცენტრის თავმჯდომარე **ნოე ჟორდანიამ** დეპუტები დაუგზავნა მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატთა ყველა ადგილობრივ საბჭოს. ცხადია, დეპუტა მიიღეს ელისავეტოპოლშიც. აი, დეპუტის ტექსტი: „ვინაიდან რუსეთში მიმავალ სამხედრო ნაწილებს თან მიაქვთ იარაღი და თუ დროებითი ზავი წარმატებით არ დამთავრდა, ეროვნული ნაწილები შეიძლება ისე დარჩნენ, რომ საკმაო იარაღი არ ექნებათ ფრონტის დასაცავად, მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატთა საბჭოების სამხარეო ცენტრმა დაადგინა წინადადება მისცეს ყველა საბჭოს, მიიღონ ზომები მიმავალი ნაწილებისათვის იარაღის ჩამოსართმევად და ყოველი შემთხვევის შესახებ აცნობონ სამხარეო ცენტრს.“ მოგვიანებით ნოე ჟორდანიამ ამტკიცებდა, რომ ამ დეპუტაზე მას ხელი არ მოუწერია, მაგრამ ფაქტია, რომ სამხარეო ცენტრის გადაწყვეტილება არსებობდა და დეპუტაც ნამდვილად დაეგზავნა ადგილობრივ საბჭოებს. არსებობს მეორე დოკუმენტიც. ესაა ჯავშნიანი მატარებლის მეთაურ, როტმისტ **აფხაზავას** დეპუტა ელისავეტოპოლში მდგარ მუსლიმთა ცხენოსანი პოლკის მეთაურ, პოლკოვნიკ **ლევან მაღალაშვილს** (1879-1926). დეპუტა 1918 წლის 7 (20) იანვარს 15 საათზეა გაგზავნილი. აფხაზავა წერდა: „მოდის ხუთი შეიარაღებული ემელონი ქვემეხებით, შეიპყრეს საბჭოს წარმომადგენლები, მოვდივარ ჯავშნიანი მატარებლით წინააღმდეგობის გასაწევად. გთხოვთ დახმარებას ყოველი გვარეობის აიარაღით.“

1918 წლის 9-12 (22-25) იანვარს აზერბაიჯანელთა და ქართველთა ჯარმა ძირითადად სადგურ **შამქორთან**, ასევე სადგურ **ალსტაფასთან** ცხარე ბრძოლების შედეგად ერთი ცნობით 2.000, ხოლო მეორე ცნობით 5.000 რუსი ოფიცერი და ჯარისკაცი გაანადგურეს., ხელთ იგდეს 15.000 შაშხანა, 70 ტყვიამფრქვევი და 20 ქვემეხი. გადარჩენილმა რუსებმა სხვადასხვა გზით ბაქომდე ჩააღწიეს. 9-12 (22-25) იანვრის ბრძოლებში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი აზერბაიჯანის ეროვნული საბჭოს წევრებმა **ადილ ხან ზიიატხანოვმა** (1870-1957), **ასლან ბეი საფიკიურდსკიმ** (1881-1937), **მ. რუსტამბეკოვმა**, ასევე პოლკოვნიკმა **ლევან მაღალაშვილმა**.

რუსული საბჭოთა ისტორიოგრაფია და თანამედროვე რუსული ისტორიოგრაფია ამტკიცებს, რომ საქართველოს ოკუპაციის გეგმა ფრონტიდან დაძრულ რუსეთის ჯარებს არ ჰქონიათ. საწინააღმდეგოს ამტკიცებდა **იოსებ სტალინი** 1918 წლის 26 და 27 მარტს გაზეთ „პრავდაში“ გამოქვეყნებულ წერილში „ამიერკავკასიის კონტრრევოლუციონერები სოციალიზმის ნიღბით“. სტალინი წერდა: „ჩვენ ვლაპაკობთ რევოლუციურ ჯარისკაცებზე,

რომლებიც თურქეთის ფრონტიდან ბრუნდებოდნენ საზავო მოლაპარაკების დაწყების შემდეგ. ამ ჯარისკაცებს უნდა გამოეველოთ თბილისზე, ანტისაბჭოთა კოალიციის (გულისხმობს ამიერკავკასიის კომისარიატს – ვ. გ.) დედაქალაქზე. ბოლშევიკების ხელში ისინი შეიძლება სერიოზული საფრთხე გამხდარიყვნენ ამიერკავკასიის კომისარიატის არსებობისათვის. ეს საფრთხე სავსებით რეალური იყო. და აი აქ, ამ საფრთხის წინაშე, გაქრა ყველა და ყოველგვარი „სოციალისტური საჭლარუნო“. მჟღავნდება კოალიციის კონტრრევოლუციური ხასიათი. კომისარიატი და „ნაციონალური საბჭოები“ იარაღს ჰყრიან ფრონტიდან მომავალ ნაწილებს, მუხანათურად უტეხენ მათ სროლას...”

ასე დაასრულა არსებობა კავკასიის ფრონტმა. რუსეთის ჯარმა საქართველო დატოვა, მაგრამ არცთუ დიდი ხნით.

თავი II. საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა (1917 წლის ნოემბერი)

1917 წლის შემოდგომიდან საქართველოში ეროვნულ ძალთა კონსოლიდაციის ახალი ეტაპი იწყება, რაც ეროვნული ყრილობის მოწვევით დასრულდა.

1. მზადება ეროვნული ყრილობის მოსაწვევად. საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა ეროვნულმა ინტერპარტიულმა საბჭომ მოამზადა. 1917 წლის 8 ნოემბრის სხდომაზე დაისვა საკითხი იმის შესახებ, თუ რა პრინციპით უნდა ეხელმძღვანელა ეროვნულ ინტერპარტიულ საბჭოს ეროვნული ყრილობის მოწვევასთან დაკავშირებით - ტერიტორიული თუ ეროვნული. ამავე სხდომის დოკუმენტით, „ყრილობის მოწვევისას ტერიტორიული პრინციპის გათვალისწინება აუცილებლობად იყო მიჩნეული“.

ეროვნულმა ინტერპარტიულმა საბჭომ ეროვნული ყრილობის შემადგენლობის საკითხის გადაწყვეტას არაერთი სხდომა დაუთმო. საქართველოს ეროვნულ ინტერპარტიულ საბჭოსა და მის აღმასრულებელ კომიტეტს თხოვნით მიმართავდა სხვადასხვა ორგანიზაცია და დაწესებულება, რათა მათ მიერ არჩეული წარმომადგენლები ეროვნულ ყრილობაზე ყოფილიყვნენ დაშვებული. 1917 წლის 16 ნოემბერს საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება საქართველოს ინტერპარტიულ საბჭოს მიმართავს განცხადებით: „ვინაიდან საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება ერთად-ერთი სამეცნიერო დაწესებულება არის საქართველოში, ამიტომ ვთხოვთ ინტერპარტიულ საბჭოს დაუთმოს ჩვენს საზოგადოებას სამი წარმომადგენლის გაგზავნის უფლება ...“ განცხადებას ხელს აწერს **ექვთიმე თაყაიშვილი**. 1917 წლის 16 ნოემბერს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება ბაქოს განყოფილება საქართველოს ეროვნული ინტერპარტიულ საბჭოს მიმართავს: „საქართველოს ეროვნულ ყრილობაზე, რომელიც უნდა მოხდეს 19 ამა თვეს, დასასწრებლად, ბაქოს ქართველობამ ამოირჩია ორი პირი - სვიმონ კვიციანი და შიო ბატურიშვილი იმ იმედით, რომ ორივე სრულის უფლებით იქნებიან დაშვებულნი ყრილობაზე. სამართლიანობა მოითხოვს, რომ ბაქოს ქართველობას, რომელიც რიცხვით შეადგენს 10 000 სულზე მეტს, ჰყავდეს თუ მეტი არა ორი წარმომადგენელი მაინც ...“. 1917 წლის 18 ნოემბერს საკათალიკოზო საბჭოს კანცელარია ინტერპარტიულ საბჭოს მიმართავს: „საკათალიკოზო საბჭომ აირჩია საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლად

ამა წლის 19 გიორგობისთვის მოწვეულ ეროვნულ კრებაზე დეკანოზი ნიკიტა თალაქვაძე“. 1917 წლის 18 ნოემბერს ქართული საქველმოქმედო საზოგადოების მთავარი გამგეობა ინტერპარტიული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს აუწყებს: „19 ნოემბერს საერთო კრებაზე დასასწრებლად მთავარ გამგეობის მიერ არჩეულ იქმნა წარმომადგენლად პართენალ გოთუა“.

ეროვნულმა ინტერპარტიულმა საბჭომ გასცა ეროვნული ყრილობის მანდატები. მანვე გადანყვიტა ეროვნულ ყრილობაზე მოწვეული ყოფილიყო ახლად შემდგარი ამიერკავკასიის კომისარიატი, სხვადასხვა სახელმწიფოს ელჩები და უცხოელთა ეროვნული საბჭოები. საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს 1917 წლის 16 ნოემბრის აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე გადანყდა: „გაეგზავნოს დაპატიჟების წერილები მთიელების და სომხების, თათრების, უკრაინელების და პოლონელების ეროვნულ საბჭოებს. აგრეთვე უცხოელთა ელჩებს, კათალიკოსს, პრეფეკტს (კავკასიის ფრონტის მთავარსარდალ მიხაილ პორეფეკტს – ვ. გ.), კავკასიის შტაბის უფროსს (კავკასიის ფრონტის შტაბის უფროს ევგენი ლებედინსკის – ვ. გ.).“

2. საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა. საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა გაიხსნა 1917 წლის 19 ნოემბერს თბილისში.

ყრილობის შემადგენლობა. იმის გამო, რომ საქართველოს ეროვნული ყრილობის დელეგატები წინასწარ დამტკიცებული საარჩევნო კანონით არ აურჩევიათ, საქართველოს ეროვნულ ინტერპარტიულ საბჭოში გამოითქვა აზრი, რომ მიეღოთ საარჩევნო კანონი, რათა საარჩევნო კანონის საფუძველზე არჩეულ ყრილობას სრული ლეგიტიმაცია ჰქონოდა. ამ აზრის მოწინააღმდეგეები აცხადებდნენ: საარჩევნო კანონის საფუძველზე არჩეულ ყრილობას სრული ლეგიტიმაცია ექნებოდა იმ შემთხვევაში, თუ საარჩევნო კანონის მიმღები ორგანო თავად იქნებოდა ლეგიტიმური ანუ საარჩევნო კანონის საფუძველზე არჩეული. საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭო კი საარჩევნო კანონის საფუძველზე არ ყოფილა არჩეული, რის გამოც მის მიერ მიღებული საარჩევნო კანონი ვერავითარ ლეგიტიმაციას ვერ მისცემდა საქართველოს ეროვნულ ყრილობას. საბოლოოდ გადანყდა, რომ ეროვნული ყრილობის დელეგატთა საერთო რაოდენობა და ყრილობის შემადგენლობა საქართველოს ეროვნულ ინტერპარტიულ საბჭოს განესაზღვრა. გადანყდა, რომ კვოტები გამოეყოთ:

1. საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭოსათვის;
2. პოლიტიკური პარტიებისათვის;

3. მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების ცენტრისათვის;
4. ქალაქების თვითმმართველობებისათვის;
5. საგუბერნიო, სამაზრო და საოლქო აღმასრულებელი კომიტეტებისათვის;
6. ქართული ჯარისათვის;
7. კოოპერატივებისათვის;
8. მასწავლებელთა კავშირისათვის;
9. ქართული პრესისათვის;
10. კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის;
11. ვაჭარ-მრეწველთა და ბანკებისათვის;
12. თავადაზნაურობისათვის;
13. ქართული კოლონიებისათვის (უცხოეთში არსებული ქართული საზოგადოებებისათვის);
14. საქართველოს ეკლესიის საკათალიკოსო საბჭოსათვის;
15. სხვადასხვა დაწესებულებისათვის;
16. ქართველ მაჰმადიანთა და ქართველ კათოლიკეთათვის;
17. საქართველოში მცხოვრები ებრაელებისათვის;
18. აფხაზეთისათვის.

საქართველოს ეროვნულმა ინტერპარტიულმა საბჭომ დელეგატებისათვის კვოტები და კვოტებით ასარჩევ დელეგატთა რაოდენობა ისე განსაზღვრა, რომ ყრილობა განასახიერებდა სრულიად საქართველოს, ყველა კლასსა და სოციალურ ფენას, რომელთაგან უპირატესობა ინტელიგენციას ჰქონდა მინიჭებული.

საქართველოს პირველ ეროვნულ ყრილობას ესწრებოდა 329 დელეგატი გადამწყვეტი ხმით და 19 დელეგატი საათათბირო ხმით. ყრილობაზე წარმოდგენილი იყვნენ:

1. საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭო და პოლიტიკური პარტიები – 67 ხმა;
2. მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების ცენტრი – 15 ხმა;
3. ქალაქების თვითმმართველობები – 33 ხმა;
4. საგუბერნიო, სამაზრო და საოლქო აღმასრულებელი კომიტეტები – 39 ხმა;
5. ქართული ჯარი – 20 ხმა;
6. კოოპერატივები – 20 ხმა;

7. მასწავლებელთა კავშირი – 9 ხმა;
8. ქართული პრესა – 9 ხმა;
9. კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები – 35 ხმა;
10. ვაჭარ-მრეწველები და ბანკები – 26 ხმა;
11. თავადაზნაურობა – 20 ხმა;
12. ქართული კოლონიები (უცხოეთში არსებული ქართული საზოგადოებები) – 8 ხმა;
13. საქართველოს ეკლესიის საკათალიკოსო საბჭო – 1 ხმა;
14. სხვადასხვა დაწესებულება – 8 ხმა;
15. ქართველი კათოლიკეები და ქართველი მაჰმადიანები – 7 ხმა;
16. საქართველოში მცხოვრები ებრაელები – 3 ხმა;
17. აფხაზეთი – 2 ხმა.

ყრილობას დაესწრო საქართველოს კათოლიკოსი **კირიონ II**, უცხო სახელმწიფოთა და მეზობელი ერების წარმომადგენლები, ამიერკავკასიის კომისარიატი სრული შემადგენლობით, კავკასიის ფრონტის მთავარსარდალი გენერალი **მიხაილ პრჟევალსკი** და სხვები.

საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს სახელით ყრილობა გახსნა **აკაკი ჩხენკელმა**. ყრილობის თავმჯდომარედ არჩეული იქნა **ნოე ჟორდანიას**. დამტკიცდა ყრილობის დღის წესრიგი:

1. თანამედროვე მომენტი და ქართველი ერი;
2. თავადაზნაურთა ქონების შესახებ;
3. მიმდინარე კითხვები (ერობა, ჯარის ნაციონალიზაცია, სასურსათო საკითხი, ეროვნული საბჭოს არჩევნები).

1917 წლის 20 ნომბერს ყრილობის დელეგატებმა შექმნეს სამუშაო სექციები:

1. ეროვნული საკითხის;
2. საერო რეფორმის;
3. ჯარის ნაციონალიზაციის;
4. სკოლისა და უნივერსიტეტის;
5. ადმინისტრაციის;
6. იუსტიციის;
7. საფინანსო;
8. სასურსათო;
9. თავადაზნაურთა ქონების.

ნოე ჟორდანიას მოხსენების გამო მისაღები რეზოლუციის განხილვა და დამტკიცება. ყრილობის დღის წესრიგში მთავარი საკითხი იყო „თანამე-

დროვე მომენტი და ქართველი ერი“. საკითხის განხილვას და შესაბამისი დადგენილების მიღებას მიეძღვნა ყრილობის სამუშაო დროის უდიდესი ნაწილი. ინტერპარტიული საბჭოს გადანწყვეტილებით ქართველი ერისათვის ამ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხის შესახებ მოხსენების გაკეთება ნოე ჟორდანიას დაევალა. ნოე ჟორდანიამ თავისი მოხსენება ყრილობას 20 ნოემბერს წარუდგინა. მოხსენება ასე იყო დასათაურებული – **„დღევანდელი მომენტი და ქართველი ერის პოლიტიკური მდგომარეობა“**. მოხსენების შემდეგ ყრილობას უნდა მიეღო რეზოლუცია. საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობის რეზოლუცია დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტი იქნებოდა, ამიტომაც რეზოლუციის პროექტის შემუშავების მიზნით ყრილობამ შექმნა **ეროვნულ-პოლიტიკური სექცია**. ეროვნულ-პოლიტიკურ სექციაში შევიდნენ: **სოციალ-დემოკრატები**: ნოე ჟორდანია, გრიგოლ გიორგაძე, ვლადიმერ (ვალიკო) ჯუღელი, გრიგოლ ურატაძე, კონსტანტინე გვარჯალაძე, მიხეილ კლიმიაშვილი, გიორგი (გოგიტა) ფალავა, დავით ონიაშვილი; **სოციალისტ-ფედერალისტები**: გიორგი ლასხიშვილი, გრიგოლ რცხილაძე, გრიგოლ გველესიანი, იასონ ბაქრაძე, იაკობ ფანცხავა, სამსონ ფირცხალავა, დიმიტრი უზნაძე, აკაკი ფალავა; **სოციალისტ-დემოკრატები ალიონელები**: პავლე საყვარელიძე, დავით სულიაშვილი, ლეო შენგელაია, ნიკოლოზ ქარცივაძე; **სოციალისტ-რევოლუციონერები**: ივანე გობეჩია, იოსებ გობეჩია, პარმენ საბაშვილი; **ეროვნულ-დემოკრატები**: გიორგი გვაზავა, გრიგოლ ვეშაპელი, ვასილ წერეთელი, ირაკლი ამირეჯიბი, ტიციან ტაბიძე, ლევან ჯაფარიძე, დავით გურამიშვილი, შალვა ამირეჯიბი, სექციის თავმჯდომარედ ყრილობის მიერ არჩეული იქნა ივანე გობეჩია, მდივნად სექციამ აირჩია აკაკი ფალავა.

ეროვნულ-პოლიტიკური სექციის სხდომა დაიწყო იმით, რომ ნოე ჟორდანიამ წაიკითხა მის მიერ შემუშავებული რეზოლუციის პროექტი:

“ქართული ეროვნული ყრილობა, მოისმინა რა მოხსენება ნ. ჟორდანიასი შესახებ დღევანდელი მომენტისა და ქართველი ერის პოლიტიკური მდგომარეობისა, ადგენს:

1. ქართველი ერი, როგორც ამ ასი წლის განმავლობაში, სდგას რუსეთის ორიენტაციის ნიადაგზე.
2. ქართველ დემოკრატებმა დღიდან თავისი პოლიტიკური არსებობისათვის სვებედი მჭიდროდ დაუკავშირა რუსეთის დემოკრატებს და მასთან ერთად მოქმედებით ფიქრობს თავისი პოლიტიკური ეკონომიკური და ნაციონალური მისწრაფებანი განახორციელოს.
3. რუსეთის შუაგულში გაჩაღებული სამოქალაქო ომის მეოხებით

დღეს არ არსებობს ერთი ცენტრალური რევოლუციური მთავრობა, ცნობილი მთელი რევოლუციური რუსეთის მიერ. ამ გარემოებამ აიძულა ყველა განაპირა ქვეყნები და მათ შორის ამიერ-კავკასიაც თავისი შინაური საქმეები თავისი ძალ-ღონით მოავგარონ და შესაფერი დაწესებულებანი შექმნან.

4. ყრილობა მხარს უჭერს ამიერ-კავკასიის ახლად შემდგად მმართველობის დროებით ორგანოს „ამიერ-კავკასიის კომისარიატს“.

5. ადგილობრივი მიმდინარე კითხვების სათანადო გადაწყვეტა და ცხოვრებაში გატარება აუცილებლად ხდის ამიერ-კავკასიის წარმომადგენელთა კრების მოწვევას იმ დეპუტატებისაგან, რომელშიც ახლად ირჩევიან რუსეთის დამფუძნებელ კრებისათვის. რიცხვი დეპუტატებისა უნდა იქმნას გამრავლებული თანახმად პროპორციულად მიღებული ხმებისა სხვადასხვა პარტიების მიერ.

6. ყრილობა საჭიროდ სცნობს ამიერ-კავკასიის სეიმში შესდგეს ქართველ დეპუტატებისაგან ქართული ეროვნული საბჭო ნაციონალურ კითხვათა და საჭიროებათა გასარკვევათ, გასაძლოათ და ცხოვრებაში გასატარებლად.

7. ყველა ამ ადგილობრივ ძალთა თავის მოყრა არა კმარა ყველა მიმდინარე საჭიროებათა საჭიროებანი კავკასიის ფრონტის შენახვისა, კითხვა ომისა და ზავისა, სასურსათო, ფინანსებისა და სხ. ჩვენი ძირითადი ინტერესები მოითხოვენ დაუყოვნებლივ აღდგენილ იქმნას რუსეთის რევოლუციური მთავრობა და მოწვეული დამფუძნებელი კრება.

8. რუსეთის დამფუძნებელ კრებას ჩვენ მოვთხოვთ შექმნას ისეთი ნაციონალური ნორმებისას ქართველი ერისათვის, რომელიც მას მისცემს საშვალებას თავისუფალ კულტურული განვითარებისას. ასეთ ნორმად მიგვაჩნია საქართველოს ტერიტორიის სრული თვითმმართველობა საკუთარი საკანონმდებლო კრებით ადგილობრივ კითხვებზე. ტერიტორიის საზღვრები გაიმიჯნებიან დაინტერესებულ მოსაზღვრე ერების თანხმობით. საქართველოში მომწყვდეული ნაციონალური უმცირესობანი მიიღებენ სრულ უფლებებრივ გარანტიას კულტურული განვითარებისას. ყრილობა საჭიროთ აღიარებს ამ მთავარ კითხვაში მოხდეს შეთანხმება ამიერ-კავკასიის ერთა შორის საერთო ნაციონალური პლატფორმით დამფუძნებელ კრების წინაშე წარსადგომათ.

9. თუ რუსეთის სამოქალაქო ომი გაგრძელდა და დამფუძნებელი კრების მოწვევა ახლო მომავალში ვერ მოხერხდება, უნდა იქმნას მოწვეული ადგილობრივი კრებები, რომელიც ურთიერთის თანხმობით დაამყარებენ შესაფერ დემოკრატიულ და ნაციონალურ წესწყობილებას, როგორც თვი-

თოველ ეროვნულ ტერიტორიულ ერთეულში, ისე მთელ ამიერკავკასიაში.

10. საქართველოს დამფუძნებელ კრებაზე ზრუნვა და მისი მოწვევა ევალეზა ეროვნულ საბჭოს“.

ნოე ჟორდანიას მიერ შემუშავებული რეზოლუციის პროექტი პრორუსული ორიენტაციის აშკარა გამონატულეზას წარმოადგენდა. ამამვე დროს იგი ცხადად მიანიშნებდა იმაზე, რომ საბჭოთა რუსეთთან საქართველოს არანაირი კავკშირის დაჭერა არ სურდა, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ – პოლიტიკური ორიენტაცია აღებული იყო დემოკრატიულ რუსეთზე. რეზოლუციის პროექტში ხაზგასმით ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ რუსეთში დემოკრატიული წყობილების დამყარების შემთხვევაში საქართველო რჩებოდა რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში შემდეგი პირობით – „საქართველოს ტერიტორიის სრული თვითმმართველობა საკუთარი საკანონმდებლო კრებით ადგილობრივ კითხვებზე“, ე.ი. ავტონომიური ერთეულის სახით. მართალია, ნოე ჟორდანიას პროექტში არაფერი ყოფილა ნათქვამი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენაზე, მაგრამ რუსეთში დემოკრატიული წყობილების აღდგენის დაგვიანების შემთხვევაში საქართველოს დამფუძნებელი კრების მოწვევის მოთხოვნა მაინც სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისაკენ მისწრაფებად უნდა მივიჩნიოთ. ყოველ შემთხვევაში, ასეთი ქვეტექსტის ამოკითხვა შეიძლება.

ნოე ჟორდანიას მიერ შემუშავებული რეზოლუციის პროექტის აშკარა რუსოფილური პოლიტიკური განწყობილება, რა თქმა უნდა, არ მოეწონებოდათ ეროვნულ დემოკრატებს. რეზოლუციის პროექტის განხილვისას პირველი სიტყვა აიღო **გიორგი გვაზავამ**. სიტყვის დასაწყისშივე ნათელი გახდა, რომ გიორგი გვაზავასათვის მიუღებელი იყო სწორედ პრორუსული ორიენტაცია: „ზოგიერთი მუხლი პროექტისა მეხამუშება. უმჯობესია პირველი და მეორე მუხლი გაკვრით იყოს გამოთქმული“. გიორგი გვაზავას გამოსვლის შემდეგ გრიგოლ რციხილაძის წინადადებით დაიწყო რეზოლუციის პროექტის მუხლობრივი განხილვა. ნოე ჟორდანიამ ხელახლა წაიკითხა პირველი მუხლი და განმარტა, რატომ იყო ასე ცხადად გამონატული პრორუსული კურსი: „დღეს ობიექტური პირობები, გარდა პრინციპიალური მოსაზრებისა, ისეთია, რომ ჩვენ ცხადათ უნდა ვაღიაროთ რუსული ორიენტაცია. უმთავრესათ ყურადსაღებია აქ ის გარემოება, რომ ჩვენს ფრონტზე სდგას ამდენი ჯარი, რომელიც თუ ჩვენ სხვა გზას დავადექით, უკეთეს შემთხვევაში ხელს აიღებს ფრონტის დაცვაზე“. შემდეგ ნოე ჟორდანიამ წაიკითხა რეზოლუციის პროექტის მეორე მუხლი. რუსული ორიენტაცია მიუღებლად მიიჩნია **გრიგოლ ვეშაპელმაც**: „რეზოლუციებში ვილაპარაკოთ

ისეთ რამეებზე, რაც ყველას გვაერთებს, ფრონტისათვის ჩვენს რეზოლუციას იმდენი მნიშვნელობა არა აქვს. წმინდა რუსული ორიენტაცია შეგვზღუდავს, რადგანაც ჩვენის ყრილობის რეზოლუცია მარტო შინ და ფრონტზე არ გაიტანება; ამას გარეშენიც გაიგებენ და თუ ჩვენ იძულებული შევიქნებით ორიენტაცია შევცვალოთ მომავალში, მაშინ ასეთი რეზოლუცია გვაგნებს“. პირველი მუხლის მიმართ თავისი უარყოფითი დამოკიდებულება გამოხატა **გრილოვ რცხილაძემ**: „ავტორის რედაქციით პირველი მუხლი მიუღებელია, ფრონტი იფიქრებს ამათ გამარჯვება უნდათო. ეს რეზოლუცია იწერება არა ფრონტისათვის და საგარეო სახელმწიფოებისათვის, არამედ ქართველი ხალხისათვის. ჯერ ჩვენი საჭიროებანი უნდა ვალიაროთ და მერე ვსთქვათ, ვისი დახმარებით გავანაღლებთ მას“.

კენჭისყრის შედეგად პირველი მუხლი უარყოფილ იქნა, მეორე მუხლი კამათის გარეშე მიიღეს. მცირე კამათის შემდეგ მიიღეს მესამე მუხლიც. მაგრამ კამათი პირველი მუხლის შესახებ მაინც გაგრძელდა. **გიორგი გვაზავამ** განაცხადა: „საჭიროა შეთანხმება, ამიტომ ჩვენ მხოლოდ ისეთი რეზოლუცია უნდა მივიღოთ, რაც გამომდინარეობს ჟორდანისა მოხსენებიდან, რომელიც ჩვენ მოვიწონეთ. თუ დეკლარაციები წავიკითხეთ ჩვენ ავირევით, რადგანაც შემდეგმა ორატორებმა შეიძლება წინა ორატორები გააკრიტიკონ და მაშინ დასურულებელი კამათი უნდა გაიმართოს. 1 პუნქტი (ორიენტაციისა – ვ. გ.) უნდა მოიხსნას, როგორც გამომდინარე მოხსენებიდან და მომენტისა და ძალთა განწყობილების შესაფერი, უნდა დარჩეს“. სოციალ-დემოკრატები კვლავ იცავდნენ რეზოლუციის პროექტის პირველ მუხლს. **გრიგოლ ურატაძემ** განაცხადა: „ტაქტიკა გვავალებს ორიენტაცია რუსეთისა ვალიაროთ დღეს. ეს სრულებითაც არ შეგვიშლის ხელს ხვალ შეცვლილი პირობების გამო სხვა დავადგინოთ“. იგივე გაიმეორა **ვალეკო ჯუღელმა**: „პირველი მუხლი ჩვენ არ გვავალებს სამუდამოთ რუსეთის ორიენტაციას შევრჩეთ. 1 მუხლი გამომდინარეა მოხსენებიდან. თუ გვინდა საქმე გავაკეთოთ და დავაშოშმინოთ ადგილობრივი რუსული ელემენტები და პეტროგრადიც (სადაც კავკასიის გამოყოფაზე ლაპარაკობენ – ვ. გ.), ტაქტიკური მოსაზრებით დარჩეს მოტივაცია“. სოციალ-დემოკრატების დაჟინებულ მოთხოვნებს **ირაკლი ამირეჯიბმა** ასე უპასუხა: „საჭიროა ზურგს უკან მოვიხედოთ. საქართველოს მთელი აღმოსავლეთი ბრალსა სდებდა კარების გაღებაში. უნდა ვიზრუნოთ, რომ ზარალმა არ გადააჭარბოს სარგებლობას“. რუსული ორიენტაციის წინააღმდეგ გამოსვლისას **გიორგი გვაზავამ** დამატებით აღნიშნა: „აქ რალაც გაუგებრობაა. უნინ დასავლეთთან კავშირი თუ რუსეთის საშვალეებით გვექონდა, დღეს შეგვიძლიან პირდაპირ, უშვამავლო

დამოკიდებულება ვიქონიოთ დასავ. ევროპასთან. ამიტომ მხოლოდ რუსული ორიენტაცია ტაქტიკურად მიუღებელია. რა არის რუსეთი ამ მომენტში? რა შთაბეჭდილებას მოახდენს ეს ფინლანდიაზე, უკრაინაზე, ყუბანზე, მთიულეთსა და ადერბეიჯანზე და სხვაზე. ჩვენ გვინდა კავშირი რუსეთის დემოკრატიასთან, მაგრამ რუსეთის ორიენტაცია სხვაგვარად იქნება გაგებული. არ იქნება ეს სხვა ერებისათვის ბრძოლის გამოცხადება? ამიერ-კავკასიაში გარდა რუსეთისა ეზლებიან გერმანიის, საფრანგეთის, ოსმალეთის და სხვათა ინტერესები. სჯობს გაჩუმება. საკმარისია მე-2 მუხლი“. გიორგი გვაზავას დაუჭირა მხარი **შალვა ქარუმიძემ**: „უწინ რუსეთი ძლიერი იყო, დღეს იგი უსახოა. დღეს რუსეთში არა თუ არ არის, არც მოსჩანს ისეთი ძალები, რომლებმაც მოაგვარონ რაიმე. რუსეთის სალი ელემენტები სხვაგან, ევროპაში, ეძებენ ხსნას. თუ რუსეთის ორიენტაცია გვარგებს ფრონტთან, გვაზარალებს ამ ორიენტაციის მონინალმდევე ხალხებთან. თუ აქ ოსმალეთი შემოვიდა, ხომ ჯავრს ამოიყრის ჩვენზე ამის გულისათვის“.

საბოლოოდ ეროვნულ-პოლიტიკურმა სექციამ ხმების უმრავლესობით მანც მიიღო ნოე ჟორდანიას მიერ შემუშავებული რეზოლუციის პროექტის პირველი მუხლი. ამასთან, გადანყდა პირველი და მეორე მუხლის გაერთიანება.

ამრიგად, ეროვნულ-პოლიტიკურმა სექციამ, ეროვნულ-დემოკრატიების წინააღმდეგობის მიუხედავად, **პრორუსული პოლიტიკური ორიენტაცია მართებულად მიიჩნია**. იგივე დაადასტურა საქართველოს პირველმა ეროვნულმა ყრილობამაც.

ნოე ჟორდანიას მიერ შემუშავებული რეზოლუციის პროექტის სხვა მუხლებს დიდი პოლემიკა არ გამოუწვევია. მერვე მუხლის განხილვისას სოციალისტ-ფედერალისტებმა მოითხოვეს, იქ, სადაც ნათქვამი იყო **„ასეთ ნორმით მიგვაჩნია საქართველოს ტერიტორიის სრული თვითმმართველობა საკუთარი საკანონმდებლო კრებით“**, დამატებოდა **„ანუ ავტონომია“**. ამ შესწორების წინააღმდეგ გამოვიდნენ **ვალეკო ჯუღელი, გრიგოლ ურატაძე** და სხვები. სამაგიეროდ, შესწორებას მხარი დაუჭირა ნოე ჟორდანიამ, მაგრამ შესწორება საბოლოოდ მანც ვერ გავიდა. მცირე შესწორებებით მიიღეს რეზოლუციის დანარჩენი მუხლები.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ საქართველოს პირველ ეროვნულ ყრილობაზე ნოე ჟორდანიას მიერ წაკითხული მოხსენების – „დღევანდელი მომენტი და ქართველი ერის პოლიტიკური მდგომარეობა“ – შემდეგ მისაღები რეზოლუციის პროექტის განხილვამ ეროვნულ-პოლიტიკურ სექციაში ცხადად გვიჩვენა **ქართული პოლიტიკური ელიტის სიმწიფე, რთულ**

სამხედრო-პოლიტიკურ სიტუაციაში ორიენტაციის უნარი.

რა თქმა უნდა, არც ეროვნულ-პოლიტიკურ სექციას და არც საქართველოს პირველ ეროვნულ ყრილობას არ შეეძლო აბსოლუტურად ყველა კითხვაზე ცალსახად პასუხის გაცემა, ობიექტურად არ შეიძლება ყველაფრის ზუსტად გათვლა, ყველა პრობლემის ერთხელ და სამუდამოდ გადაჭრა. ამკარაა, რომ ამას ქართველი პოლიტიკოსები კარგად გრძნობდნენ, ამიტომაც ძალზე ფრთხილობდნენ, იტოვებდნენ საშუალებას, ახალი პოლიტიკური კურსის შესამუშავებლად, თუ სიტუაცია მოულოდნელად შეიცვლებოდა.

საქართველოს პირველმა ეროვნულმა ყრილობამ მოისმინა თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების თავადაზნაურთა წინამძღოლების მოხსენებები. მოხსენებებში აღნიშნული იყო, რომ თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა ყრილობის 1917 წლის 29 ოქტომბრის და ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა ყრილობის 8 ნოემბრის დადგენილებებით, ორივე გუბერნიის თავადაზნაურობის კოლექტიური ქონება, ქონებრივი უფლებები და ვალდებულებანი აღიარებული იყო ქართველი ერის ავლადიდებად. ყრილობის რეზოლუციაში აღნიშნული იყო: „ვიდრე საქართველოს თვითმმართველობის საჯარო უფლებრივი ორგანო დაარსდებოდა, საქართველოს ეროვნულ საბჭოს დაევალოს (...) ჩაიბაროს ქართველ თავადაზნაურობის წინამძღოლთა და დეპუტატთა საკრებულოდან მისი, თავადაზნაურობის, როგორც ნოდებრივი ორგანიზაციის, უძრავი და მოძრავი ქონება, ქონებრივი უფლებები და მიიღოს აგრეთვე მისი ვალდებულებანი, ჩაიბაროს თავადაზნაურობის საკრებულოთაგან საქმეები და არქივები, იკისროს ამ ქონების მოვლა პატრონობა და ვალდებულებათა აღსრულება და მიიღოს ყოველივე საშუალება, რათა თავადაზნაურობის ქონებრივი უფლებანი უკლებლივ და მთლიანად ჩააბაროს მას.“

საქართველოს ეროვნული საბჭოს არჩევა. საქართველოს პირველმა ეროვნულმა ყრილობამ 1917 წლის 22 ნოემბერს აირჩია **საქართველოს ეროვნული საბჭო**. ეროვნული საბჭოს პერსონალური შემადგენლობის (წევრები და კანდიდატები) პროექტი ნოე ჟორდანიამ შეადგინა, თუმცა პროექტმა შემდეგ გარკვეული ცვლილებები განიცადა. ნოე ჟორდანიას პროექტში ეროვნული საბჭოს 63 წევრი და 63 კანდიდატი იყო შესული. საბჭოს წევრთა პარტიული კუთვნილება ასეთი იყო: **რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტი** (ქართველი სოციალ-დემოკრატები) – 31 ადგილი; **საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია** – 10 ადგილი; **ეროვნულ-დემოკრატები**

– 9 ადგილი; საქართველოს რადიკალ-დემოკრატიული გლეხთა პარტია – 1 ადგილი; რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის ქართული ფრაქცია – 6 ადგილი; უპარტიონი – 2 ადგილი; ქართული სოციალ-დემოკრატიული ჯგუფი „ალიონი“ – 4 ადგილი. ეროვნული საბჭოს კანდიდატთა პარტიული კუთვნილება ასეთი იყო: რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტი (ქართველი სოციალ-დემოკრატები) – 32 ადგილი; საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 8 ადგილი; ეროვნულ-დემოკრატები – 9 ადგილი; საქართველოს რადიკალ-დემოკრატიული გლეხთა პარტია – 1 ადგილი; რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის ქართული ფრაქცია – 5 ადგილი; უპარტიონი – 2 ადგილი; ქართული სოციალ-დემოკრატიული ჯგუფი „ალიონი“ – 4 ადგილი.

საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობის წინ გაიმართა კრება, რომელიც მიეძღვნა ეროვნული საბჭოს შემადგენლობის საბოლოოდ განსაზღვრას. საფუძვლად მიღებული იქნა ნოე ჟორდანიას პროექტი. კრების გადაწყვეტილების თანახმად, ეროვნულ საბჭოში უნდა შესულიყო 67 წევრი და 65 კანდიდატი. როგორც ჩანს, ეროვნული საბჭოს პერსონალური შემადგენლობა კიდევ საჭიროებდა დაზუსტებას. ამაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ ეროვნული საბჭოს წევრთა სიაში დანორმირებული, მაგრამ თავისუფალი იყო 2 ადგილი, ხოლო კანდიდატთა სიაში – 4 ადგილი. გარდა ამისა, საბჭოს კანდიდატების ძირითადი სიის გასწვრივ დამატებით ჩამოწერილია 5 კაცის გვარი, რომელთაც ალბათ სია, უნდა შეევისთ. მცირე ცვლილებებით ეროვნული საბჭოს ეს შემადგენლობა დაამტკიცა კიდევ პირველმა ეროვნულმა ყრილობამ.

ყრილობის მიერ დამტკიცებული ეროვნული საბჭო შედგებოდა 68 წევრისა და 61 კანდიდატისაგან. 6 წევრი საბჭოში სათათბირო ხმით იქნა არჩეული. ეროვნული საბჭოს წევრთა პარტიული კუთვნილება ასეთი იყო: საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 10 ადგილი; რადიკალ-დემოკრატიული გლეხთა პარტია – 1 ადგილი; რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის ქართული ფრაქცია – 7 ადგილი; საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 9 ადგილი; უპარტიონი – 2 ადგილი; ალიონელები – 4 ადგილი; რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტი (ქართველი სოციალ-დემოკრატები) – 28 ადგილი; სამაჰმადიანო საქართველო (ბათუმის ოლქი) – 3 ადგილი; ზაქათალის ოკრუგი (ჭარ-ბელაქანი) – 1 ადგილი; სამხრეთ ოსეთის ეროვნული საბჭო – 1 ადგილი.

საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრთა პერსონალური შემადგენლობა ასეთი იყო:

საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია (10 ადგილი): გიორგი ლასხიშვილი, გრიგოლ რცხილაძე, შალვა მესხიშვილი, იოსებ გედევანიშვილი, სამსონ ფირცხალავა, დიმიტრი უზნაძე, იესე ბართაშვილი, იასონ ბაქრაძე, სვიმონ მდივანი, ალექსანდრე წერეთელი;

საქართველოს რადიკალ-დემოკრატიული გლეხთა პარტია (1 ადგილი): დავით ჩიქოვანი;

რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის ქართული ფრაქცია (7 ადგილი): კონსტანტინე მესხი, ვლადიმერ გობეჩია, გრიგოლ ნათაძე, ივანე ჩერქეზიშვილი, იოსებ გობეჩია, ივანე გობეჩია, ივანე ლორთქიფანიძე.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია (9 ადგილი): ნიკოლოზ ნიკოლაძე, გერონტი ქიქოძე, იოსებ დადიანი, გიორგი ჟურული, გიორგი გვაზავა, შალვა ამირეჯიბი, დავით ვაჩნაძე, სპირიდონ კედი, გრიგოლ ვეშაპელი;

უპარტიონი (2 ადგილი): კონსტანტინე აფხაზი, კონსტანტინე მაყაშვილი;

„ალიონი“ (4 ადგილი): პეტრე ქავთარაძე, ივანე გომართელი, ნიკოლოზ ქავთარაძე, პავლე საყვარელიძე;

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტი (ქართველი სოციალ-დემოკრატები) (28 ადგილი): ნოე ჟორდანია, აკაკი ჩხენკელი, სილიბისტრო ჯიბლაძე, ევგენი გეგეჭკორი, ნოე რამიშვილი, ალექსანდრე ლომთათიძე, ვლადიმერ ჯუღელი, დავით ონიაშვილი, ჰაიდარ ბეი აბაშიძე, კონსტანტინე გვარჯალაძე, ალექსანდრე მაისურაძე, ანდრია ჭიბრიშვილი, გერასიმე მახარაძე, პეტრე გელეიშვილი, რაჟდენ არსენიძე, ბენია ჩხიკვიშვილი, ნიკოლოზ ელიავა, მინადორა ტოროშელიძე, კონსტანტინე საბახტარიშვილი, სვიმონ ჯაფარიძე, გრიგოლ ურატაძე, ალექსანდრე ფარნიევი, გრიგოლ გიორგაძე, ევტროპი როგავა, მიხეილ კლიმიანოვი, ვიქტორ თევზაია, ერმილე სირბილაძე, ნოე ხომერიკი;

სამაჰმადიანო საქართველო (ბათუმის ოლქი) (3 ადგილი): ჯემალ ბეი ხიმშიაშვილი, მემედ ბეი აბაშიძე, რეჯებ ბეი ნიჟარაძე;

ზაქათალის ოკრუგი (ჭარ-ბელაქანი) (1 ადგილი): რაფიელ ივანიცკი.

სამხრეთ ოსეთის ეროვნული საბჭო (1 ადგილი): გიორგი გაგლოევი.

პირველი ეროვნული ყრილობის მიერ დამტკიცებულ ეროვნული საბჭოს კანდიდატთა სიაში 61 კაცი იყო, რომელთა პარტიული კუთვნილება

ასეთ სურათს იძლეოდა:

საქართველოს რადიკალ-დემოკრატიული გლეხთა პარტია (1 ადგილი): დომენტი არონიძე;

რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის ქართული ფრაქცია (5 ადგილი): ზურაბ ბაქრაძე, მიხეილ გავაშელი, ილია თევზაძე, ილია ქარცივაძე, ვასილ კარგარეთელი;

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია (6 ადგილი): ექვთიმე თაყაიშვილი, შალვა ქარუმიძე, იასონ ლორთქიფანიძე, ვასილ წერეთელი, დიმიტრი ჯავახიშვილი, რევაზ გაბაშვილი;

საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია (9 ადგილი): ჯ სამსონ დადიანი, თედო ლლონტი, მიხეილ საყვარელიძე, სიმონ მაჭავარიანი, შალვა მიქელაძე, ერასტი ტოროტაძე, ალექსანდრე მდივანი, გრიგოლ გველესიანი, იაკობ ფანცხავა;

უპარტიონი (2 ადგილი): გრიგოლ რობაქიძე, ფილიპე გოგიჩაიშვილი;

ალიონელები (4 ადგილი): კალენიკე ქავთარაძე, ლეო შენგელაია, ივანე ჯაფარიძე, ვარლამ ბურჯანაძე;

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტი (ქართველი სოციალ-დემოკრატები) (31 ადგილი): ნიკოლოზ ჩხეიძე, ირაკლი წერეთელი, სერგო ჯაფარიძე, ბიქტორ ყლენტი, ნიკოლოზ მაჭარაძე, ვარლამ წულაძე, ნოე ცინცაძე, ვლადიმერ ახმეტელაშვილი, კონსტანტინე ჯაფარიძე, ფილიპე ლორია, ილია ბადრიძე, დავით შარაშიძე, ვიქტორ ნინიძე, ილია ფირცხელაიშვილი, ვასილ ცაბაძე, კიტა ჩხენკელი, გიორგი ფალავა, პორფილე წირქვაძე, გიორგი აფხაზავა, ნიკოლოზ იობაშვილი, ალექსანდრე ბადრიძე, ილია გოგელია, თევდორე კიკვაძე, არსენ მამულაიშვილი, პაულე წულაია, გიზო ანჯაფარიძე, კარპეზ მოდებაძე, ალექსანდრე ჯაფარიძე, ვლადიმერ ქუთათელაძე, გიორგი ცინცაძე, იუნუს ნულუკიძე;

სამაჰმადიანო საქართველო (ბათუმის ოლქი) (3 ადგილი): ჰასან ეფენდი ლორთქიფანიძე, ისაკი ეფენდი ხალვაში, სულეიმან ეფენდი ტაბახიძე.

ეროვნულ საბჭოში, გარდა წევრებისა და კანდიდატებისა, სათათბირო ხმით არჩეული იქნა 6 წევრი. მათ შორის, **ვაჭარ-მრეწველთა** წარმომადგენლები: ნიკოლოზ წვერავა, ვასილ შერგელაშვილი, იოსებ გველესიანი; **ჯანმრთელობის სექციის** წარმომადგენლები: ალექსანდრე ლორთქიფანიძე, სპირიდონ ვირსალაძე; **ტექნიკის სექციის** წარმომადგენელი – გრიგოლ ქურდიანი.

საბოლოოდ, საქართველოს ეროვნულ საბჭოში არჩეული იქნა 66 წევრი და 61 კანდიდატი. 6 კაცი ეროვნულ საბჭოში სათათბირო ხმით იქნა არჩეული. საქართველოს ეროვნული საბჭოს თავმჯდომარედ **ნოე ჟორდანია** აირჩიეს.

საქართველოს ეროვნულ საბჭოს ისტორიამ დიდი და განსაკუთრებული მისიის აღსრულება დააკისრა.

საქართველოს ეროვნული საბჭოს პირველი კრება. 1917 წლის 26 ნოემბერს გაიმართა საქართველოს ეროვნული საბჭოს პირველი კრება. კრება გახსნა ინტერპარტიული საბჭოს თავმჯდომარე აკაკი ჩხენკელმა. კრებამ დაადგინა, რომ ეროვნული საბჭოს წევრთაგან აერჩიათ **აღმასრულებელი კომიტეტი**, რომლის შემადგენლობა 15 წევრით განისაზღვრა. საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წევრებად არჩეული იყვნენ: **სოციალ-დემოკრატებიდან** (8 წევრი) – ნოე ჟორდანია, აკაკი ჩხენკელი, ნოე რამიშვილი, სილიბისტრო ჯიბლაძე, ალექსანდრე ლომთათიძე, ალექსანდრე ფარნივეი, ჰაიდარ ბეი აბაშიძე, პავლე საყვარელიძე (“ალიონი”); **სოციალისტ-ფედერალისტებიდან** (2 წევრი) – გრიგოლ რცხილაძე, იოსებ გედევანიშვილი; **სოციალისტ-რევოლუციონერებიდან** (2 წევრი) – კონსტანტინე მესხი, ვლადიმერ გობეჩია; **ეროვნულ-დემოკრატებიდან** (2 წევრი) – გიორგი გვაზავა, გიორგი ვეშაპელი; **სამაჰმადიანო საქართველოდან** (1 წევრი) – მემედ ბეი აბაშიძე. 1917 წლის 28 ნოემბერს საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა დაამტკიცა **აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი** (სამდივნო). დადგენილებაში აღნიშნულია, რომ საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ითვლება ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმიდაც. პრეზიდიუმის შემადგენლობა 6 წევრით განისაზღვრა: თავმჯდომარე, თავმჯდომარის 3 ამხანაგი (მოადგილე), 2 მდივანი და 1 საზინადარი. პრეზიდიუმის თავმჯდომარედ **ნოე ჟორდანია** დაამტკიცეს; თავმჯდომარის მოადგილეებად – **აკაკი ჩხენკელი, გრიგოლ რცხილაძე, გრიგოლ ვეშაპელი**; მდივნად – **პავლე საყვარელიძე**; საზინადარად – **კონსტანტინე მესხი**.

საქართველოს ეროვნულმა საბჭომ შექმნა კომისიები: 1. ქონების, 2. სამხედრო, 3. საფინანსო, 4. სამოსამართლეო, 5. სასკოლო, 6. სახალხო მეურნეობის, 7. სამაჰმადიანო საქართველოს გამგებლობის, 8. საეროხო. კომისიების გამგეებად უნდა დანიშნულიყვნენ ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წევრები. 1917 წლის 3 დეკემბერს საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა კომისიის გამგეებად დანიშნა: 1. ქონების საქმეთა – **გიორგი გვაზავა**; 2. სამხედრო საქმის – **ნოე რა-**

მიშვილი; 3. საფინანსო საქმეთა – კონსტანტინე მესხი; 4. სამოსამართლო და საადმინისტრაციო საქმეთა – გრიგოლ რცხილაძე; სასკოლო საქმეთა – ალექსანდრე ლომთათიძე; სახალხო მეურნეობის და სასურსათო საქმეთა – გიორგი ლასხიშვილი; საერო და გამიჯვნის საქმეთა – აკაკი ჩხენკელი; ჯანმრთელობის დაცვის საქმეთა – პავლე საყვარელიძე; სამაჰმადიანო საქართველოს საქმეთა – აკაკი ჩხენკელი; საგარეო საქმეთა – აკაკი ჩხენკელი; სატექნიკო საქმეთა – მიხეილ საყვარელიძე; ხელოვნების საქმეთა – ვლადიმერ გობეჩია; მზრუნველობის საქმეთა – მიხეილ მაჩაბელი.

მომდევნო ხანებში პოლიტიკურ პარტიათა მოთხოვნით ეროვნული საბჭოს შემადგენლობაში ზოგიერთი ცვლილება შევიდა. 1918 წლის 11 თებერვალს საქართველოს ეროვნული საბჭოს მერვე კრებამ განიხილა ეროვნული საბჭოს რეორგანიზაციის საკითხი. მიღებული იქნა დადგენილება, რომლის ძალითაც საქართველოს ეროვნულ საბჭოს შემადგენლობაში უნდა შესულიყვნენ რუსეთის დამფუძნებელ კრებაში ამიერკავკასიიდან არჩეული ქართველი დეპუტატები „ერთი სამად გამრავლებულნი პროპორციის მიხედვით“.

3. სამხედრო-პოლიტიკური ვითარება ეროვნული ყრილობის დასრულების შემდეგ. საქართველოს პირველ ეროვნულ ყრილობაზე ეროვნულ-დემოკრატიების ბრძოლა რუსული პოლიტიკური ორიენტაციის წინააღმდეგ პროდასავლური ორიენტაციისთვის ბრძოლას ნიშნავდა. ამ პოლიტიკური კურსის მომხრეებს პირდაპირ ცივი წყალი გადასხა ანტანტის (ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი, საფრანგეთი, იტალია) დიპლომატების ვიზიტმა საქართველოში. 1917 წლის 8 დეკემბერს საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში მიიღეს ანტანტის ქვეყნების დიპლომატები, აგრეთვე გენერალი შორი. ქართველთა მხრიდან შეხვედრას ესწრებოდნენ: ნოე ჟორდანი, აკაკი ჩხენკელი, კონსტანტინე მესხი, ვლადიმერ გობეჩია, გრიგოლ ვეშაპელი, ნოე რამიშვილი, ალექსანდრე ლომთათიძე, პავლე საყვარელიძე, სილიბისტრო ჯიბლაძე, ნიკოლოზ ქარცივაძე, გიორგი გვაზავა, გრიგოლ რცხილაძე, ალექსანდრე ფარნიევი, გიორგი ლასხიშვილი, ევგენი გეგეჭკორი, დავით ნახუცრიშვილი. ანტანტის ელჩებმა პირდაპირ განაცხადეს: „ჩვენ ვცნობთ ერთს, მთლიანს რუსეთს და მის დროებითს მთავრობას, ცალკე ერებს კი – როგორც რუსეთის ნაწილებს, მით უმეტეს, რომ არც ქართველებს და არც სომხებს არა ჰყავთ თავიანთი საკუთარი მთავრობანი. ჩვენ ამიერ-კავკასიის კომისარიატი ვსცანით მთავრობათ და ურთიერთობაცა გვაქს მასთან, ამიერ-კავკასია უნდა შეუთანხმდეს სამხრეთ-დასავლეთის კავშირს, სადაც შევლენ უკრაინაცა და ციმბირიც,

მერე რუსეთი აღსდგება როგორც ფედერატიული ერთეული“. გარდა ამისა, ანტანტის დიპლომატები ქართველებისა და სომხებისაგან მოითხოვდნენ მობილიზაციის გამოცხადებას, არმიის შექმნას და ოსმალეთის მოსალოდნელი შეტევის შეჩერებას. ამასთან, იმიზეზებდნენ რა მიმდინარე მსოფლიო ომით შექმნილ სირთულეებს, ანტანტის დიპლომატები შეიარაღებითა და ჯარით დახმარებაზე უარს ამბობდნენ.

**თავი III. პითარება საქართველოს
და ამიერკავკასიაში საქართველოს
სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის
აღდგენის წინ
(1918 წლის იანვარი-აპრილი)**

1917 წლის 5 (18) დეკემბერს ერძინჯანში დადებული დროებითი ზავი მყარი ვერ იქნებოდა. ზავის დადების შემდეგ სამხედრო-პოლიტიკური ვითარება შეიცვალა. თვით დროებით ზავშიც იყო ისეთი მუხლები, რომლებიც დაზუსტებას მოითხოვდა.

§1. მოლაპარაკების განახლება ოსმალეთთან

1918 წლის 1 (14) იანვარს კავკასიის ფრონტზე ოსმალეთის არმიის სარდალმა ფერიკ ვეჰიბ მეჰმედ ფაშამ წერილით მიმართა კავკასიის არმიის სარდალს გენერალ-ლეიტენანტ ილია ოდიშელიძეს. ოსმალთა სარდალი წერდა:

1. ერძინჯანის მოლაპარაკებაზე გენერალ-მაიორმა ევგენი ვიშინსკიმ განაცხადა, რომ კავკასიის არმია მოლაპარაკებას კავკასიის დამოუკიდებელი მთავრობის (იგულისხმება ამიერკავკასიის კომისარიატი – ვ. გ.) სახელით აწარმოებდა. ეს მე დეპეშით დამიდასტურა მოლაპარაკებაზე ჩემმა ერთ-ერთმა წარმომადგენელმა პოლკოვნიკმა ომერ ლიუფტი ბეიმ, ხოლო მე მოლაპარაკების მიმდინარეობისა და დროებითი ზავის შესახებ საქმის კურსში ჩავაყენე უმაღლესი მთავარსარდალი ენვერ ფაშა;

2. უმაღლეს მთავარსარდალს ენვერ ფაშას სურს გაიგოს რა გზით იქნება შესაძლებელი აღდგეს ურთიერთობა კავკასიის დამოუკიდებელ მთავრობასთან (იგულისხმება ამიერკავკასიის კომისარიატი – ვ. გ.), რა წინადადებები ექნება კავკასიის დამოუკიდებელ მთავრობას მხარეებს შორის მშვიდობიანი ურთიერთობის დამყარების თაობაზე;

3. უმაღლესი მთავარსარდალი ენვერ ფაშა წინადადებას მაძლევს თბილისში კავკასიის დამოუკიდებელ მთავრობასთან გავგზავნო დელეგაცია, რათა უსწრაფესად აღდგეს ორივე მხრისათვის სასურველი მშვიდობა.

ვეჰიბ ფაშა ილია ოდიშელიძეს თხოვდა ზემოთ თქმულის შესახებ საქმის კურსში ჩაეყენებინა ამიერკავკასიის კომისარიატი.

1918 წლის 4 (17) იანვარს ნოე ყორდანას თავმჯდომარეობით გაიმარ-

თა ამიერკავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოების სამხარეო ცენტრის სხდომა. სხდომაზე მოხსენებით წარდგა ამიერკავკასიის კომისარიატის თავმჯდომარე ევგენი გეგეჭკორი. მომხსენებელმა აღნიშნა: ენვერ ფაშა ამიერკავკასიის კომიტეტს სამართლიანი ზავის დადებას სთავაზობს; იმავდროულად, ჩვენ შევიტყვეთ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი უუდრო ვილსონი საყოველთაო ზავის დადების ინიციატივით გამოვიდა. ევგენი გეგეჭკორმა სამხარეო ცენტრს თხოვა აზრი გამოეთქვა ენვერ ფაშას შემოთავაზებაზე. სამხარეო ცენტრმა მიიღო დადგენილების პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა, რომ ენვერ ფაშასათვის ეცნობებინათ შემდეგი:

1. ჩვენ გვსურს დავდეთ ისეთი ზავი, რომელიც მისაღები იქნება რუსეთის დემოკრატიისათვის;

2. ამიერკავკასია რუსეთის რესპუბლიკის (იგულისხმება დროებითი მთავრობის რუსეთი – ვ. გ.) შემადგენელი ნაწილია, რის გამოც ამიერკავკასიის კომისარიატს საზავო მოლაპარაკების დაწყება მხოლოდ რუსეთის დამფუძნებელი კრების თანხმობით შეუძლია;

3. რუსეთის დამფუძნებელ კრებაში ამიერკავკასიიდან არჩეული დეპუტატები ჩვენს მიერ უფლებამოსილი არიან საზავო მოლაპარაკების საკითხი დააყენონ დამფუძნებელ კრებაში. მიღებული გადაწყვეტილების შესახებ გაცნობებთ დაუყონებლივ.

1918 წლის 5 (18) იანვარს კავკასიის არმიის სამხარეო ცენტრმა რუსეთის დამფუძნებელ კრებას დეპეშით მიმართა, რომელშიც აღნიშნული იყო: „კავკასიის არმიის სამხარეო საბჭო მხურვალე სალამს უძღვნის დღეს გახსნილ სრულიად რუსეთის დამფუძნებელ კრებას, სრულ მხარდაჭერას უცხადებს რუსეთის მიწის ერთადერთ კანონიერ პატრონს და გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ ვერავითარი ძალა ვერ შეძლებს ხელი შეუშალოს დამფუძნებელ კრებას რევოლუციური დემოკრატიის ნების დაკანონებაში.“

1918 წლის 5 (18) იანვარს აკაკი ჩხენკელის თავმჯდომარეობით გაიმართა ამიერკავკასიის კომისარიატის სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ: **შალვა ალექსი-მესხიშვილი, გ. გ. ტერ-გაზარიანი, მემედ იუსუფ ჰაჯიბაბა ჯაფაროვი, ხ. ი. კარჩიკიანი, ხუდადთ ბეი მელიქ-ასლანოვი, ა. ვ. ნერუჩივი, ლ. ბებუთოვი, კ. ა. გაზარიანი, ვლადიმერ გობეჩია, ი. გ. ფირცხალაიშვილი, ხალილ ბეი ჰაჯიბაბა ხასმამედოვი, გრიგოლ რცხილაძე, დ. მიასნიკოვი.** დღის წესრიგის მეოთხე საკითხად განხილული იყო ენვერ ფაშას წინადადება საზავო მოლაპარაკების შესახებ. ზავის საკითხთან დაკავშირებით გამოითქვა შემდეგი მოსაზრება: 1. ამიერკავკასიის კომისარიატი ესწრაფვის დადოს რუსეთის

დემოკრატიისათვის მისაღები ზავი; 2. ამიერკავკასია რუსეთის რესპუბლიკის განუყოფელი ნაწილია და მას ოსმალეთთან საზავო მოლაპარაკების დაწყება მხოლოდ რუსეთის დამფუძნებელი კრების ნებართვით შეუძლია; 3. რუსეთის დამფუძნებელ კრებაში ამიერკავკასიის მიერ არჩეული დეპუტატები უფლებამოსილნი არიან დამფუძნებელ კრებაში ოსმალეთთან დასადები ზავის საკითხი დააყენონ; 4. მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატთა საბჭოების ამიერკავკასიის სამხარეო ცენტრი, ამიერკავკასიის კომისარიატს წინადადებას აძლევს ზავის თაობაზე მოლაპარაკება ანარმოს, როგორც რუსეთის დროებითი მთავრობის წარმომადგენლებთან, ისე საბჭოთა რუსეთის მთავრობის წარმომადგენლებთან. მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია:

1. ოსმალეთთან ზავის დადების საკითხი დღის წესრიგიდან მოიხსნას;

2. ამიერკავკასიის კომისარიატმა მოიწვიოს თათბირი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ: ა) ამიერკავკასიის ხალხების ეროვნული საბჭოების წარმომადგენლები (1 წარმომადგენელი ყოველი ეროვნული საბჭოდან), ბ) მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატთა საბჭოების ამიერკავკასიის სამხარეო ცენტრის პრეზიდიუმი, გ) ეროვნებათაშორისი სამხედრო საბჭოს წარმომადგენელი, დ) ამიერკავკასიის ფრონტის მთავარსარდალი, ე) ამიერკავკასიის ფრონტის შტაბის უფროსი.

რუსეთის დამფუძნებელი კრება 1918 წლის 5 (18) იანვარს უნდა გახსნილიყო. რუსეთის პოლიტიკური ძალები იმედოვნებდნენ, რომ დამფუძნებელი კრება ბოლშევიკებს 1917 წლის 25 ოქტომბრის (7 ნოემბერს) კონტრრევოლუციური გადატრიალების შედეგად მიტაცებულ სახელმწიფო ხელისუფლებას წაართმევდა. სამწუხაროდ რუსეთის დამფუძნებელმა კრებამ ბოლშევიკების სახელმწიფო ხელისუფლებიდან ჩამოცილება ვერ შეძლო. 6 (19) იანვარს ბოლშევიკებმა დამფუძნებელი კრება გარეკეს, რითაც რუსეთში დემოკრატიული წყობილების აღდგენის შანსი გაქრა.

რუსეთის დამფუძნებელი კრების გარეკვამ დამორგუნველი გავლენა იქონია ამიერკავკასიის პოლიტიკურ ძალებზე. ეჭვი არავის ეპარებოდა იმაში, რომ საბჭოთა რუსეთის მთავრობა, ბოლშევიკები ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას შეეცდებოდნენ. 1918 წლის 12 (25) იანვარს გაიმართა ამიერკავკასიის მუშათა ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატთა საბჭოების სამხარეო ცენტრის სხდომა. სხდომაზე განხილული იქნა საბჭოთა რუსეთის მთავრობის მიერ რუსეთის დამფუძნებელი კრების გარეკვის საკითხი. მიღებულ დადგენილებაში აღნიშნული იყო: „დამფუძნებელი კრების გარეკვით განყდა ის უკანასკნელი ძაფი, რომელსაც ჯერ

კიდევ შეეძლო გაეერთიანებინა სრულიად რუსეთის დემოკრატია. დამფუძნებელი კრებისათვის ბრძოლა რუსეთის ერთიანობისათვის და რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლაა. დამფუძნებელი კრების გარეკვამ კიდევ ერთხელ დატოვა ამიერკავკასიის კომისარიატი თავისი ძალების იმედად, მაშინ, როდესაც ანარქია სულ უფრო ფართოვდება და ღრმავდება. ამიერკავკასიის სასიცოცხლო ინტერესები ითხოვს დამფუძნებელ კრებაში ამიერკავკასიიდან და ამიერკავკასიის ფრონტიდან არჩეული დეპუტატების უახლოეს დღეებში შეკრებას, რათა მათ პირველ რიგში შექმნან ძლიერი ავტორიტეტული ხელისუფლება, რომელიც შესძლებს რევოლუციური წესრიგის დამყარებას და ცხოვრებაში გაატარებს მომნიშვნეულ რეფორმებს“. **ამიერკავკასიის პოლიტიკური ძალები იმთავითვე გაემიჯნენ 1917 წლის 25 ოქტომბერს (7 ნოემბერს) ბოლშევიკების მიერ განხორციელებულ კონტრრევოლუციურ სახელმწიფო გადატრიალებას, თუმცა რუსეთთან სახელმწიფოებრივი კავშირის განწყვეტის გადაწყვეტილება არ მიუღიათ.** ამის მიზეზი იყო ის, რომ მსოფლიოს ბევრი გამოჩენილი მოღვაწე მიიჩნევდა, რომ ბოლშევიკები ძალაუფლებას ძალიან მალე დაკარგავდნენ, ძალაუფლებას დაიბრუნებდა რუსეთის დროებითი მთავრობა და რუსეთის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო – დამფუძნებელი კრება გახდებოდა ქვეყნის ბედის განმსაზღვრელი. ასე ფიქრობდნენ ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი პოლიტიკური მოღვაწეებიც. 1918 წლის 6 (19) იანვარს საბჭოთა მთავრობის მიერ რუსეთის დამფუძნებელი კრების გარეკვამ მსოფლიო დაარწმუნა, რომ ბოლშევიკები ხელისუფლებას ადვილად არ დათმობდნენ. იგივე განწყობილება გაჩნდა ამიერკავკასიის კომისარიატში. ამიერკავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატთა საბჭოების სამხარეო ცენტრის 1918 წლის 12 (25) იანვრის დადგენილება ფრთხილად, მაგრამ სავსებით ცხადად მიანიშნებდა, რომ ამიერკავკასიის კომისარიატი დამოუკიდებლად იწყებდა მხარის მართვა-გამგეობას და ანგარიშს არ უწევდა საბჭოთა რუსეთის მთავრობის მისწრაფებებს.

1918 წლის 6 (19) იანვარს ბოლშევიკების მიერ რუსეთის დამფუძნებელი კრების წევრების გარეკვამ ამიერკავკასიის პოლიტიკური ძალები სერიოზული პრობლემების წინაშე დააყენა. რუსეთში კანონიერი ხელისუფლების (დროებითი მთავრობის) აღდგენის შანსი თითქმის აღარ არსებობდა. ასეთ ვითარებაში ამიერკავკასიის პოლიტიკურმა ძალებმა მიიღეს გადაწყვეტილება **ამიერკავკასიის სეიმის** მოწვევის შესახებ. შექმნილ ვითარებაში სეიმის არჩევნების ჩატარება წარმოუდგენელი იყო, ამიტომ გადაწყდა სეიმში შესულიყვნენ რუსეთის დამფუძნებელ კრებაში ამიერკავ-

ვკასიიდან არჩეული დელეგატები, რომელთაც დაემატებოდნენ პოლიტიკური პარტიების სიით წარდგენილი დელეგატები. ამიერკავკასიის საკანონმდებლო ორგანოს – სეიმის გახსნის დღედ 1918 წლის 10 (23) თებერვალი დაინიშნა. სეიმის თავმჯდომარედ **ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე** იქნა არჩეული.

1918 წლის 14 (27) იანვარს **ევგენი გეგეჭკორის** თავმჯდომარეობით გაიმართა ამიერკავკასიის კომისარიატის სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ: **აკაკი ჩხენკელი, ხ. ი. კარჩიკიანი, გ. გ. ტერ-გაზარიანი, ვლადიმერ გობეჩია, ხუდადათ ბეი მელიქ-ასლანოვი, მემედ ჰასან ჯაფარყული გაჯინსკი, კ. ა. გაზარიანი, ალექსანდრე მიასნიკიანი, პეტრე გელიშვილი, ნ. კულარევი.** მონვეული იყო გენერალი **ზაქარია მდივანი.** სხდომაზე განიხილეს ოსმალეთთან ზავის დადების საკითხი. ზავის თაობაზე მოხსენებით გამოვიდა ევგენი გეგეჭკორი, რომელმაც აღნიშნა: ამიერკავკასიის კომისარიატი დიდხანს დუმდა ზავის თაობაზე ოსმალეთის შემოთავაზებაზე, რაც შეიძლება ოსმალეთის მხრიდან გაგებული იქნას, როგორც ზავისადმი უარყოფითი დამოკიდებულება. მომხსენებლის აზრით, იმის გამო, რომ ოსმალეთში ამიერკავკასიის კომისარიატი ზავის დადების მონინალმდეგედ არ ყოფილიყო მიჩნეული, მიზანშეწონილი იყო ოსმალეთისათვის ასეთი პასუხი გაეგზავნათ: ამიერკავკასიის კომისარიატი ზავის თაობაზე მოლაპარაკებას ანარმობებს მეზობელ ხალხებთან და ამ მოლაპარაკების დასრულებამდე არ შეუძლია ოსმალეთს გარკვეული და საბოლოო პასუხი მისცეს. აკაკი ჩხენკელმა ოსმალეთისათვის გასაგზავნად პასუხთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პასუხში უნდა გატარებულიყო შემდეგი აზრი:

1. ამიერკავკასიის კომისარიატი ზავის დადების მომხრეა;
2. ამიერკავკასიის კომისარიატი უნდა მოელაპარაკოს მეზობელ ხალხებს, რომელიც სისხლ-ხორციელად არიან დაინტერესებულნი ზავის დადებით;
3. ოსმალეთის მხრიდან ზავის დადების თაობაზე შემოთავაზების მიღების დროისათვის, რუსეთში პოლიტიკური ვითარება შეიცვალა (იგულისხმება 1917 წლის 25 ოქტომბრის (7 ნოემბერი) კონტრრევოლუციური სახელმწიფო გადატრიალება – ვ. გ.), რამაც მეზობელ ხალხებთან ამიერკავკასიის კომისარიატის მოლაპარაკებას გარკვეული სირთულეები შეუქმნა;
4. ამიერკავკასიის კომისარიატს ზავის თაობაზე საბოლოო პასუხის გასაცემად სამ კვირიანი ვადა სჭირდებოდა.

ევგენი გეგეჭკორი აკაკი ჩხენკელის აზრს დაეთანხმა და აღნიშნა: აუცილებელია ოსმალეთს დაუყოვნებლივ ვუპასუხოთ, რადგან პასუხის დაგვიანება გარდა იმისა, რომ დიპლომატიური უტაქტობა იქნებოდა, ხალხი

ამიერკავკასიის კომისარიატის დუმილს ვერ გაიგებდა და მის პოლიტიკას მხარს არ დაუჭერდა.

საკითხის განხილვის შემდეგ ამიერკავკასიის კომისარიატმა დაადგინა:

1. ზავის თაობაზე ოსმალეთის შემოთავაზებას პასუხი ევგენი გეგეჭკორისა და აკაკი ჩხენკელის მიერ გამოთქმული მოსაზრებების საფუძველზე გაეცეს;

2. ეთხოვოს ევგენი გეგეჭკორისა და აკაკი ჩხენკელს შეიმუშაონ ოსმალეთისათვის გასაგზავნი პასუხის პროექტი; პასუხის პროექტს გაეცნოს ამიერკავკასიის კომისარიატი;

3. ოსმალეთისათვის გასაგზავნი პასუხის შინაარსის გასაცნობად 1918 წლის 29 იანვარს თბილისში მოიწვიონ სამხრეთ-დასავლეთ კავშირისა და უკრაინის წარმომადგენლები;

4. ოსმალეთისათვის გასაგზავნი პასუხის ტექსტის საბოლოო ვარიანტის შემუშავების მიზნით 1918 წლის 15 იანვარს 19 საათზე შეიკრიბოს ამიერკავკასიის კომისარიატი; სხდომაზე მოწვეულ იქნას ამიერკავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატთა საბჭოების სამხარეო ცენტრის პრეზიდენტი და ამიერკავკასიის ხალხების ეროვნული საბჭოების წარმომადგენლები.

როგორც ვხედავთ ამიერკავკასიის კომისარიატი ცდილობდა ოსმალეთთან მოლაპარაკებაში ყველა ანტისაბჭოთა (ანტიბოლშევიკური) ძალა ჩაერთო. ამ ძალებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო უკრაინა და კაზაკთა ჯარის სამხრეთ-აღმოსავლეთ კავშირი (კაზაკთა სამხრეთ-აღმოსავლეთი კავშირი აერთიანებდა: დონის, ყუბანის, თერგის და ასტრახანის კაზაკთა ჯარს), ასევე ამიერკავკასიის ხალხების ეროვნული საბჭოები, რომელთაც საბჭოთა რუსეთთან რაიმე ურთიერთობის დამყარება არ სურდათ.

1918 წლის 15 (28) იანვარს **ევგენი გეგეჭკორის** თავმჯდომარეობით⁷ ამიერკავკასიის კომისარიატის მორიგი სხდომა გაიმართა, რომელსაც ესწრებოდნენ: **აკაკი ჩხენკელი, ხუდადათ ბეი მელიქ-ასლანოვი, ა.ვ. ნერუჩევი, შალვა ალექსი-მესხიშვილი, მემედ იუსუფ ჰაჯიბაბა ჯაფაროვი, ხ. ი. კარჩიკიანი, ვლადიმერ გობეჩია, გ. გ. ტერ-გაზარიანი, პეტრე გელეიშვილი, მემედ ჰასან ჯაფარყული გაჯინსკი, ლ. ბებუთოვი, ი. გ. ფირცხალაიშვილი, ალექსანდრე მიასნიკიანი, ა. ერზინკიანი, კ. ა. გაზარიანი, კ. ტერ-არუთინიანი, ა. ხ. კანტემიროვი.** სხდომაზე მოწვეული იყვნენ ამიერკავკასიის ფრონტის მთავარსარდალი გენერალი **ევგენი ლეხედინსკი**, ამიერკავკასიის რუსთა ეროვნული საბჭოს წარმომადგენელი **ს. ზავალიშინი**, სომხეთის ეროვნული საბჭოს წარმომადგენლები **მიხეილ პაპაჯანოვი** და **ტ. ა. ბეკზადიანი**, საქა-

რთველოს ეროვნული საბჭოს წარმომადგენელი **გრიგოლ ვეშაპელი**, ამიერკავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა სამხარეო ცენტრის თავმჯდომარე **ნოე ჟორდანი**. ამიერკავკასიის კომისარიატის სხდომამ განიხილა ოსმალეთთან დასადები ზავის საკითხი.

ევგენი გეგეჭკორმა სხდომას გააცნო ამიერკავკასიის ფრონტზე ოსმალეთის ჯარების მთავარსარდლის მეჭმედ ვეჰიბ ფერიკ ფაშას წინადადება ზავის დადებასთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ აუცილებელი იყო ამ წინადადებაზე პასუხის გაცემა. ევგენი გეგეჭკორმა აღნიშნა, რომ სხდომის მიზანი იყო ვეჰიბ ფაშასათვის გასაგზავნი პასუხის ტექსტის შემუშავება. იქვე ევგენი გეგეჭკორმა დასძინა, რომ პასუხის ტექსტის შედგენასთან დაკავშირებით ამიერკავკასიის კომისარიატში გარკვეული უთანხმოება წარმოიშვა. კერძოდ, უთანხმოება წარმოშვა იმან, თუ რომელი ხალხების ავტონომიურ მთავრობებს უნდა მიეღოთ მონაწილეობა ოსმალეთთან დასადები ზავის პირობების განსაზღვრაში. ამიერკავკასიის კომისარიატის ნევრთა ნაწილის აზრით ზავის პირობების განსაზღვრაში მონაწილეობა უნდა მიეღო მხოლოდ ყუბანის, თერგის და დაღესტნის მთავრობებს (საქმე ეხებოდა კაზაკთა ჯარის სამხრეთ-აღმოსავლეთ კავშირს – ვ. გ.), მეორე ნაწილის აზრით – უკრაინის რადასა და სამხრეთ-აღმოსავლეთ კავშირში შემავალ ყველა სუბიექტს.

ს. ზავალიშინმა აღნიშნა, რომ ოსმალეთისათვის ეცნობებინათ შემდეგი: რუსეთის ბატონ-პატრონია დამფუძნებელი კრება და მის გარეშე საზავო მოლაპარაკების დაწყება შეუძლებელია.

ხ. ი. კარჩიანის აზრით უხერხული იყო დამფუძნებელ კრებაზე მინიშნება, რადგან გაურკვეველი იყო ამჟამად კრება მოქმედი იყო თუ არა და მითუმეტეს იარსებებდა თუ არა იგი მომავალში.

ნოე ჟორდანიმ განაცხადა, რომ უნდა გარკვეულიყო თუ რომელი ხალხების ავტონომიურ მთავრობებს მოინვევდნენ ზავის პირობების შესამუშავებლად, რადგან მათ გარეშე ზავის დადება არ შეიძლებოდა. ნოე ჟორდანი განსაკუთრებით აუცილებლად მიიჩნევდა უკრაინის ჩართვას საზავო მოლაპარაკებაში, რადგან მას შავ ზღვაზე სერიოზული ინტერესები გააჩნდა. ნოე ჟორდანიმ ისიც აღნიშნა, რომ მეზობელი ხალხის ავტონომიური მთავრობების ჩართვას საზავო მოლაპარაკებაში შეიძლებოდა ოსმალეთის პროტესტი გამოეწვია, ამ შემთხვევაში ამიერკავკასიის კომისარიატს ოსმალეთისათვის უნდა განემარტა, რომ კომისარიატი ზავს მეზობელ ხალხებთან შეთანხმების გარეშე ვერ დადებდა.

ს. ზავალიშინმა კვლავ აუცილებლად მიიჩნია იმის აღნიშვნა, რომ ზა-

ვის საკითხი რუსეთის დამფუძნებელი კრების გარეშე ვერ გადაწყდებოდა და იმავდროულად, თავის პირველ გამოსვლის ტექსტს დაუმატა: „თუ ამ დროის განმავლობაში დამფუძნებელი კრება ვერ შეიკრიბება, ამიერკავკასიის კომისარიატი თავის მოვალეობად მიიჩნევს საზავო მოლაპარაკების შესახებ საქმის კურსში ჩააყენოს დამფუძნებელი კრება“.

გ. გ. ტერ-გაზარიანმა მიზანშეუწონლად მიიჩნია ს. ზავალიშინის შესწორება, რადგან თვლიდა, რომ რუსეთის დამფუძნებელი კრების არსებობა დიდ ეჭვს იწვევდა.

ს. ზავალიშინმა თავისი აზრი დაიცვა და დაამატა: ოსმალეთისათვის გასაგზავნი პასუხის ტექსტში რუსეთის დამფუძნებელი კრების მოხსენიება ბოლშევიკების მიერ გარეკილი კრების მორალური მხარდაჭერის მაჩვენებელი იქნებაო.

ვლადიმერ გობეჩიამ აღნიშნა, რომ საზავო მოლაპარაკების პროცესში რუსეთის დამფუძნებელი კრების მოხსენიებას ოსმალეთი საზავო მოლაპარაკების გაჭიანურების მცდელობად მიიჩნევდა.

ევგენი გეგეჭკორმა განაცხადა, რომ მართალია სამართლებრივად რუსეთის დამფუძნებელი კრება ქვეყნის ბატონ-პატრონია, მაგრამ ოსმალეთისათვის გასაგზავნ ოფიციალურ დოკუმენტში დამფუძნებელი კრების მოხსენიება შეიძლება მიზანშეწონილი არც ყოფილიყო.

აკაკი ჩხენკელი მიიჩნევდა, რომ ოსმალეთთან ზავი რუსეთის დამფუძნებელ კრებას უნდა დაედო, მაგრამ ამჟამად დამფუძნებელი კრება გარეკილია და ჩვენ ამის გამო ოსმალეთთან საზავო მოლაპარაკება არ უნდა გადავდოთო. აკაკი ჩხენკელმა დასკვნის სახით აღნიშნა: „ვის უნდა ვესაუბროთ რუსეთში, ეს ჩვენი შინაური საქმეა“.

შალვა ალექსი-მესხიშვილმა აღნიშნა, რომ რუსეთის დამფუძნებელ კრებაზე მინიშნება არ შეიძლება, რადგან საეჭვოა, რომ კრება უახლოეს ხანებში შეუდგეს მუშაობას, ხოლო ზავის დადება საჩქაროაო.

ს. ზავალიშინმა ბოლოს და ბოლოს მოხსნა თავისი წინადადება და თვითონვე განაცხადა: რადგან გაურკვეველია თუ როდის შეიკრიბება დამფუძნებელი კრება, მისი მოხსენიება ოფიციალურ დოკუმენტში არ შეიძლება.

მიხეილ პაპაჯანოვმა განაცხადა: რადგან დამფუძნებელმა კრებამ რუსეთი ფედერაციულ რესპუბლიკად აღიარა ჩვენ გარკვევით უნდა განვაცხადოთ, რომ დამოუკიდებელ ქვეყანას კი არ წარმოვადგენთ, არამედ ავტონომიას.

ევგენი გეგეჭკორმა მიხეილ პაპაჯანოვის აზრი მიუღებლად მიიჩნია.

იგი თვლიდა, რომ ასეთი განცხადების გაკეთება სხვა ავტონომიებთან შეთანხმების გარეშე მიზანშეწონილი არ იყო.

კამათის დასრულების შემდეგ ევგენი გეგეჭკორმა კენჭისყრაზე დააყენა საკითხი, რამდენი დრო ეთხოვათ ოსმალეთისათვის გასაგზავნ დოკუმენტში ზავის პირობების საბოლოო ვარიანტის შესამუშავებლად. 10 ხმით 8 ხმის წინააღმდეგ გადაწყდა, რომ ზავის პირობების საბოლოო ვარიანტის შესამუშავებლად აუცილებელი დრო 3 კვირით განსაზღვრულიყო.

ამის შემდეგ განიხილეს საკითხი თუ რომელი ხალხის ავტონომიური მთავრობები მოეწვიათ ზავის პირობების შესამუშავებლად. უმრავლესობის აზრით ზავის პირობების შემუშავებაში მონაწილეობის მისაღებად სამხრეთ-აღმოსავლეთ კავშირისა და უკრაინის წარმომადგენლები უნდა მოეწვიათ. გენერალმა **ევგენი ლეხეინსკიმ** აღნიშნა, რომ რაც უფრო მეტი ავტონომიური მთავრობის წარმომადგენელი მიიღებდა მონაწილეობას მოლაპარაკებაში, ზავი მით უფრო მტკიცე იქნებოდა. **ვლადიმერ გობეჩიამ** განაცხადა, ჩვენ არ შეგვიძლია ყველა ავტონომიურ მთავრობას მოველაპარაკოთ, ამიტომ ზავი ოსმალეთთან ავტონომიურად უნდა დავდოთო. **ლ. ბებუთოვის** აზრით, მოლაპარაკების პროცესში ყირიმელი თათრების წარმომადგენელსაც უნდა მიეღო მონაწილეობა. **აკაკი ჩხენკელმა** აღნიშნა, რომ შექმნილ ვითარებაში შეიძლებოდა მოლაპარაკებაზე მიენვიათ მხოლოდ ყუბანის, თერგისა და დაღესტნის წარმომადგენლები, ხოლო დანარჩენი ავტონომიური მთავრობები საქმის კურსში ჩაეყენებინათ. აკაკი ჩხენკელის წინადადება უარყოფილ იქნა. ამიერკავკასიის კომისარიტიმა დაადგინა: 1918 წლის 1 თებერვალს თბილისში საზავო მოლაპარაკებასთან დაკავშირებით გახსნილიყო საზავო კონფერენცია, რომლის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მონვეული იქნებოდნენ უკრაინისა და სამხრეთ-დასავლეთი კავშირის წარმომადგენლები.

ამიერკავკასიის კომისარიატის 1918 წლის 15 (28) იანვრის სხდომაზე საზავო მოლაპარაკების შესახებ საკითხის განხილვის შემდეგ, იმავე დღეს, 15 (28) იანვარს კავკასიის ფრონტზე ოსმალეთის არმიის მთავარსარდალს მეჭმედ ვეჰბი ფერიკ ფაშას ამიერკავკასიის კომისარიატის სახელით ევგენი გეგეჭკორმა წერილი გაუგზავნა, რომლის შინაარსი ასეთი იყო:

1. ამიერკავკასიის კომისარიატი სინანულს გამოთქვამდა იმის გამო, რომ ზავთან დაკავშირებით ოსმალეთის არმიის მთავარსარდალის ენვერ ფაშას წინადადებას დროულად ვერ უპასუხა;

2. ამიერკავკასიის კომისარიატი ვეჰბი ფაშას თხოვდა ენვერ ფაშა დაერწმუნებია იმაში, რომ ამიერკავკასიის კომისარიატი ზავის დადების

საკითხში სრულ სოლიდარობას უცხადებდა ოსმალეთის არმიის მთავარსარდალს;

3. ამიერკავკასიის კომისარიატს არ შეეძლო გადაენწყვიტა ზავის დადების საკითხი მეზობელი ხალხების ავტონომიურ მთავრობებთან შეთანხმების გარეშე, რის გამოც დაიწყო მოლაპარაკებები ამ ავტონომიურ მთავრობებთან და როგორც კი ზავთან დაკავშირებით საერთო აზრი შემუშავებული იქნებოდა დაუყოვნებლივ ეცნობებოდა ოსმალეთის არმიის მთავარსარდალს;

4. ამიერკავკასიის კომისარიატი იმედს გამოთქვამდა, რომ ზავის პირობებთან დაკავშირებით მის მიერ მოთხოვნილი სამ კვირიანი ვადა გაგებით იქნებოდა მიღებული ოსმალეთის მხარის მიერ.

ცხადია, ზავის საბოლოო პირობების შესამუშავებლად სამ კვირიანი ვადა ძალზე მცირე იყო, ამიტომ ამიერკავკასიის კომისარიატმა აქტიური მუშაობა გააჩაღა. 1918 წლის 16 (29) იანვარს ევგენი გეგეჭკორმა უკრაინის ცენტრალური რადის თავმჯდომარესა და სამხრეთ-აღმოსავლეთ კავშირის თავმჯდომარეს შექმნილი ვითარების შესახებ აცნობა და 1918 წლის 1 თებერვალს თბილისში საგანგებო კონფერენციაზე მოიწვია, რომლის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებდნენ: ამიერკავკასიის კომისარიატი, უკრაინის ცენტრალური რადისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ კავშირის წარმომადგენლები. 17 (30) იანვარს ევგენი გეგეჭკორმა ოსმალეთთან ზავის დადებასთან დაკავშირებით შექმნილი ვითარების შესახებ საქმის კურსში ჩააყენა კავკასიაში უცხო ქვეყნების კონსულები. 18 (31) იანვარს ევგენი გეგეჭკორმა სამხრეთ-აღმოსავლეთ კავშირის თავმჯდომარის მოადგილისაგან ასეთი შინაარსის დეპეშა მიიღო: „თქვენი დეპეშა ენვერ ფაშას წინადადებასთან დაკავშირებით გადავეციტ დონის, ყუბანის, თერგ-დაღესტანის, ასტრახანის, ურალისა და ორენბურგის მთავრობებს. ყუბანის მთავრობამ უკვე გამოთქვა დადებითი აზრი. ჩემი მხრიდან ვვარაუდობ, რომ ვადა 1 (14) თებერვლამდე (იგულისხმება 1 თებერვალს დანიშნული კონფერენციის გახსნის დღე – ვ. გ.) ძალზე მცირეა, მითუმეტეს თუ გავითვალისწინებთ სადღეისოთ რკინიგზაზე შექმნილ უნესრიგობას“.

§2. 1917 წლის 5 (18) დეკემბრის ერძინჯანის დროებითი

ზავის დარღვევა

საბოლოო ზავის დადებამდე აუცილებელი იყო 1917 წლის 5 (18) დეკემბრის დროებითი ზავის პირობების დაცვა, რაც შეუძლებელი გახდა. 1918 წლის 9 (22) იანვარს კავკასიის ფრონტზე ოსმალეთის ჯარების სარდალმა **მეჰმედ ვეჰიბ ფერიკ ფაშამ** წერილით მიმართა კავკასიის არმიის სარდალ გენერალ-ლეიტენანტ **ილია ოდიშელიძეს**. წერილი სომეხთა მიერ მუსლიმი მოსახლეობის დარბევას ეხებოდა. ვეჰიბ ფაშა წერდა:

1. რუსეთის არმიის მიერ დაკავებულ ოსმალეთის პროვინციებში სომხებმა ადგილობრივი მუსლიმი მოსახლეობის დარბევა დაიწყეს;

2. ოსმალეთის არმიის კავკასიის პირველი კორპუსის ერძინჯანიდან არზრუმში გადასვლის შემდეგ, ერძინჯანის შემოგარენში მუსლიმი მოსახლეობის დარბევამ ფართო მასშტაბები მიიღო: სომხები აღარ კმაყოფილებოდნენ მუსლიმთა მკვლევლობის ცალკეული შემთხვევებით, მათ სოფლებში დაიწყეს ძარცვა და ქალებზე ძალადობა; სომხებმა ერძინჯანიდან 18 კილომეტრის მოშორებით მდებარე სოფელი ზეგკიხი გადაწვეს; სომეხ ყაჩაღთა 30 კაციანი რაზმი თავს დაესხა სოფელ კოსკას, რომელიც არდასიდან სამხრეთ-დასავლეთით 3 კილომეტრზე მდებარეობს, გააუპატიურეს ქალები, ხოლო სოფელი გადაწვეს;

3. ოსმალეთის მხარე დარწმუნებული იყო, რომ დროებითი ზავის დადების შემდეგ, 1917 წლის 19 დეკემბერს, კავკასიის ფრონტის მთავარსარდალის გენერალ მიხაილ პრჟევალსკის მიერ ჩვენთვის გამოგზავნილ წერილში მოცემული პირობა შესრულდებოდა. ამჯერად თქვენ გთხოვთ გასცეთ განკარგულება, რათა სომხების მიერ მუსლიმი მოსახლეობის დარბევა შეწყდეს.

როგორც ჩანს გენერალმა **ილია ოდიშელიძემ** სათანადო ზომების მიღება ვერ შეძლო. ამიტომ იყო, რომ 1918 წლის 29 იანვარს (11 თებერვალს) **მეჰმედ ვეჰიბ ფერიკ ფაშა** კავკასიის არმიის სარდალს წერდა, რომ სომხები კვლავ აგრძელებდნენ რუსეთის ჯარის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე მუსლიმთა რბევა-დანაიკვებას. ოსმალთა გენერალი აღნიშნავდა:

1. უცნობი იყო საით წაიყვანეს სომხებმა ქალაქ ერძინჯანში დატყვევებული 650 მუსლიმი;

2. სომეხთა რაზმმა, რომელსაც სოფელ სივასის მცხოვრები ვინმე მურადი მეთაურობდა, სოფელ კილისის მცხოვრებ მუსლიმებს უბრძანა მოედანზე შეკრებილიყვნენ. სოფლის უხუცესებმა სომხებს სთხოვეს

განემართათ თუ რაში მდგომარეობდა მოსახლეობის შეკრების მიზეზი. სომეხთა რაზმის მეთაურის მურადის განკარგულებით უზუცესები მაშინვე შეიპყრეს და სიკვდილით დასაჯეს, ხოლო მოსახლეობა ძალით გამოიყვანეს სახლებიდან, წაიყვანეს ერძინჯანში და 1.500 მუსლიმი ვეჰიბ ბეის სახლში შეკრიბეს. რის შემდეგაც სახლს ოთხივე მხრიდან ცეცხლი წაუკიდეს. ცეცხლ წაკიდებული სახლის ფანჯრებიდან გადმომხტართ სომეხები ტყვიითა და ხიშტებით ხოცავდნენ;

3. ერძინჯანში სომეხებმა ღამით გადანვეს ოსმალეთის ჯარის ყაზარმები და ავადმყოფთათვის განკუთვნილი კიდეც 3 შენობა. ყაზარმებსა და შენობებში მხოლოდ ქალები და ბავშვები იყვნენ, რომლებიც ხანძარს შეეწირნენ. იმავე დღეს ქალაქში სომეხებმა დაახლოებით 1.000 სახლი გადანვეს;

4. სომეხთა წინამძღოლმა ბაიბურთ არშაკმა სოფლების მოსახლეობას უბრძანა ბაიბურთში შეკრებილიყვნენ. შეშინებული მოსახლეობის ნაწილმა კალკიტში მყოფ რუსეთ-ოსმალეთის შერეულ სამშვიდობო მისიას თხოვა მფარველობა. დღემდე უცნობია რა ბედი ეწია მუსლიმთა ამ ნაწილს;

5. თურქესტანის 23-ე პოლკმა კესადან ტრაპეზუნდისაკენ მიმავალ გზაზე 23 მუსლიმის გვამი შენიშნა;

6. სომეხების მიერ მუსლიმთა საყოველთაო რბევა-დანაიოკებას, რომელთა შორის ახალშობილი ბავშვებიც იყვნენ, ტრაპიზონის ბაზარის გაძარცვამ და გადანვამ, თამბაქოს მარაგის მიტაცებამ, ქალაქ რიზეს გადანვამ და კიდეც სხვა მსგავსმა ფაქტებმა მაიძულა თხოვნით მომემართა თქვენთვის, რათა სომეხთა ძალმომრეობისაგან მუსლიმი მოსახლეობა დაიცვათ;

7. ინსტრუქცია, რომელიც ერძინჯანის სომეხთა რაზმის მეთაურმა მურადმა, ბაიბურთის რაზმის მეთაურს არშაკს გაუგზავნა და არშაკის პასუხმა მურადისადმი დამარწმუნა, რომ სომეხების მიერ ოსმალეთის მუსლიმი მოსახლეობის დარბევის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულია. ოსმალეთის მუსლიმი მოსახლეობის სიცოცხლის, ღირსებისა და ქონების დაცვა მხოლოდ თქვენზეა დამოკიდებული.

ვეჰიბ ფაშას წერილს ილია ოდიშელიძემ მეორე დღესვე 1918 წლის 30 (12 თებერვალს) იანვარს უპასუხა. წერილში აღნიშნულია, რომ ოსმალთა გენერლისათვის ცნობები ძალზე გაზვიადებული სახით მიუწოდებიათ. ამის შემდეგ ქართველი გენერალი ოსმალთა გენერალს ასეთ ფაქტებს აცნობებდა:

1. ქალაქ ტრაპიზონში და ქალაქიდან სამხრეთით მდებარე ტერიტორიაზე, ოსმალეები მუდმივად ესხმიან თავს ადგილობრივ ბერძენ მოსახლეო-

ბას, რაც რუსეთის ჯარისა და ადგილობრივი ქრისტიანი მოსახლეობის მხრიდან სათანადო ზომების მიღებას ითხოვდა;

2. ბაიბურთის რაიონში, ოკრუგის კომისრის მოხსენების მიხედვით, მუსლიმი მოსახლეობის ძალდატანით შეკრებას ადგილი არ ჰქონია, ხოლო ბაიბურთისა და მისი შემოგარენის მუსლიმმა მოსახლეობამ ბაიბურთის ოკრუგის კომისარს რამდენჯერმე გადაუხადა მადლობა მუსლიმებისადმი კეთილგანწყობილი დამოკიდებულების გამო;

3. რაც შეეხება 1918 წლის 15-16 (28-29) იანვარს, ერძინჯანში განვითარებულ მოვლენებს, მის შესახებ პირადად მე და პოლკოვნიკმა მორელმა თქვენ დროულად გაცნობეთ. პოლკოვნიკ მორელის მოხსენებიდან ირკვევა, რომ სომხებმა მხოლოდ 200 მუსლიმი დახოცეს;

4. რუსეთის ჯარის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მუსლიმი მოსახლეობის ინტერესების დაცვა კავკასიის არმიისა და მისი სარდალისათვის სრულებითაც არ იყო უმნიშვნელო, რის გამოც მკაცრად დაისჯებოდა მუსლიმი მოსახლეობის ყველა დამრბევი.

ოსმალეთის მხარე არ დააკმაყოფილა გენერალ ილია ოდიშელიძის პასუხმა. გამორიცხული არ არის, რომ ვეჭიბ ფაშა არასწორ ინფორმაციას ეყრდნობოდა, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ილია ოდიშელიძის პასუხიც არ ასახავდა რეალურად არსებულ ვითარებას. 1918 წლის 30 იანვარს (12 თებერვალი) კავკასიის არმიის სარდალს გენერალ-ლეიტენანტ ილია ოდიშელაძესა და კავკასიის ფრონტის მთავარსარდალს ინფანტერიის გენერალ მიხაილ პრუფევალსკის (მიხაილ პრუფევალსკი ამ დროისათვის უკვე კავკასიაში აღარ იმყოფებოდა და მის მოვალეობას გენერალი ევგენი ლებედინსკი ასრულებდა – ვ. გ.) კავკასიის ფრონტზე ოსმალეთის არმიის სარდალმა მეჭმედ ვეჭიბ ფერიკ ფაშამ აცნობა, რომ ოსმალეთმა მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება: ისე, რომ არ დაარღვიოს 1917 წლის 5 (18) დეკემბრის დროებითი ზავის პირობები, ოსმალეთის არმიის ზოგიერთი ნაწილი რუსეთის არმიის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე გადაისროლოს. ამ ცნობის მიღების შემდეგ 31 იანვარს (13 თებერვალი) კავკასიის არმიის სარდალმა გენერალმა ილია ოდიშელიძემ პოლკოვნიკ სამარცვეს უბრძანა:

1. რუსეთის ჯარის ყველა სამხედრო ნაწილი დისლოკაციის ადგილზე დარჩეს;

2. ოსმალეთის არმიის ჭარბი ძალების შემოტევის შემთხვევაში ბრძოლაში არ ჩაებას და თანდათან დაიხიოს სარეზერვო ნაწილებისაკენ;

3. ოსმალების ძლიერი შემოტევის მიუხედავად შეჩერებულიყო ჩარბორი-ახტალა-ვანის ტბის ხაზზე და უკან აღარ დაეხია.

უცნობი იყო თუ რა მასშტაბის საბრძოლო ოპერაციებს წამოიწყებდნენ ოსმალები, კონკრეტულად რომელი მიმართულებით განავითარებდნენ შეტევას. 1918 წლის 1 (14) თებერვალს კავკასიის არმიის მთავარსარდალმა გენერალ-მაიორმა ევგენი ლებედინსკიმ ვეჰში ფაშას შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა:

1. მუსლიმი მოსახლეობის დარბევის შესახებ თქვენამდე მოსული ცნობები ძალზე გაზვიადებულია;

2. მუსლიმთა დარბევის ცალკეული შემთხვევები გამონკეული იყო ქურთთა და მუსლიმთა რაზმების მიერ მართლმადიდებელი მოსახლეობის დარბევით;

3. მე არ შემიძლია ადამიანური და სხვა ჰუმანური მოსაზრებებით ავხსნა თქვენს მიერ ოსმალეთის ჯარების გადაადგილების შესახებ გაცემული ბრძანება, რომელიც ეწინააღმდეგება დროებითი ზავის პირობებს;

4. დაბეჯითებით გთხოვთ გააუქმოთ ოსმალეთის ჯარების გადაადგილების შესახებ თქვენს მიერ გაცემული ბრძანება;

5. მართალია თქვენ ოსმალეთის ჯარების გადაადგილების შესახებ ბრძანებას სიმშვიდის დამყარების პირობად მიიჩნევთ, მაგრამ სინამდვილეში ამ ბრძანებას მოყვება ვითარების დაძაბვა და მუსლიმი მოსახლეობის მდგომარეობის გაუარესება;

6. რუსეთს ოსმალეთის ტერიტორია ომის კანონების დაცვით უკავია და თუ ოსმალეთის არმია შეტევაზე გადმოვა, რუსეთის არმია მუსლიმი მოსახლეობის ინტერესებს ვეღარ დაიცავს, ხოლო დროებითი ზავის დარღვევის შედეგად მუსლიმებსა და ქრისტიანებს შორის ვითარება კიდევ უფრო დაიძაბება;

7. კავკასიის ფრონტის მთავარსარდალი ყველა ზომას მიიღებს რუსეთის ჯარის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე მუსლიმი მოსახლეობის დასაცავად.

დასასრულს ევგენი ლებედინსკი ვეჰში ფაშას დამატებით აცნობებდა: 1. კავკასიის არმიის ბაზაზე ეროვნული ნიშნის მიხედვით სამხედრო ფორმირებები შეიქმნა, ეს ფორმირებები ოსმალეთის მხარემ რუსეთის არმიის სრულუფლებიან სამხედრო ნაწილებად უნდა განიხილოს; 2. გენერალმა მიხაილ პრჟევალსკიმ კავკასიის ფრონტის მთავარსარდალის უფლება-მოვალეობა მოიხსნა და 1918 წლის 5 (18) იანვრიდან მთავარსარდალის მოვალეობას იგი ასრულებდა.

§3. ვითარება ბრესტ-ლიტოვსკის ზავის დადებამდე

1917 წლის 19 ნოემბერს (2 დეკემბერს), როგორც აღვნიშნეთ, ბრესტ-ლიტოვსკში საბჭოთა რუსეთსა და გერმანიის სამხედრო ბლოკს (გერმანია, ავსტრია-უნგრეთი, ოსმალეთი, ბულგარეთი) შორის საზავო მოლაპარაკება დაიწყო. ცხადი იყო, რომ საზავო მოლაპარაკების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი სამხრეთ კავკასიაში, საბჭოთა რუსეთსა და ოსმალეთს შორის საზღვრის დადგენა იქნებოდა. აღსანიშნავია, რომ ბრესტ-ლიტოვსკის საზავო მოლაპარაკებაზე წარმოდგენილი არცერთი ქვეყანა (საბჭოთა რუსეთი, გერმანია, ავსტრია-უნგრეთი, ოსმალეთი, ბულგარეთი) ამიერკავკასიის კომისარიატს დამოუკიდებელი ქვეყნის მთავრობად არ მიიჩნევდა და საერთოდ ამიერკავკასიას დამოუკიდებელ სახელმწიფოდ არ ცნობდა, მით უფრო, რომ ამიერკავკასიის კომისარიატი არცერთ ოფიციალურ დოკუმენტში თავს დამოუკიდებელი ქვეყნის მთავრობად არ აცხადებდა და მხოლოდ სამხარეო ხელისუფლების ორგანოდ იწოდებოდა. სწორედ ამიტომ **ამიერკავკასიის კომისარიატის წარმომადგენელი ბრესტ-ლიტოვსკის საზავო მოლაპარაკებაზე მიწვეული ვერ იქნებოდა, თუნდაც ამის სურვილი გერმანიის სამხედრო ბლოკში შემავალ ქვეყნებს გამოეთქვათ. საბჭოთა რუსეთის მთავრობა არასგზით არ დათანხმდებოდა ამიერკავკასიის კომისარიატის წარმომადგენლის მონაწილეობას საზავო კონფერენციაში, რადგან ამიერკავკასიას რუსეთის სახელმწიფოს განუყოფელ ნაწილად მიიჩნევდა.** ერთადერთი სახელმწიფო, რომელსაც საზავო მოლაპარაკებაზე ამიერკავკასიის კომისარიატის წარმომადგენლის დასწრება ხელს აძლევდა ოსმალეთი იყო. ოსმალეთის ეს პოზიცია შემდეგი მოსაზრებით იყო განპირობებული: ოსმალეთი ეცდებოდა, რომ სამხრეთ კავკასიაში საქართველოსა და სომხეთის ტერიტორიები მიეტაცებინა. ოსმალეთის შემადგენლობაში საქართველოსა და სომხეთის ტერიტორიების გადასვლა ბრესტ-ლიტოვსკის საზავო კონფერენციას კიდევ რომ დაედასტურებინა, მას არასგზით არ ცნობდა არც საქართველო და არც სომხეთი. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ოსმალეთს ბრესტ-ლიტოვსკის მოლაპარაკებაზე გადატანილი დიდი დიპლომატიური ბრძოლის შემდეგ ახალი ბრძოლების გადახდა მოუხდებოდა ამიერკავკასიის კომისარიატთან. მაგრამ თუ ამიერკავკასიის წარმომადგენელი ბრესტ-ლიტოვსკის საზავო მოლაპარაკებას დაესწრებოდა და ოსმალეთი მას სხვადასხვა გზებით აიძულებდა საზღვრების შეცვლაზე თანხმობა განეცხადებინა, მაშინ ამიერკავკასიის კომისარიატს ბრესტ-ლიტოვსკში მიღებული გადაწყვეტილების შეცვლის სამართლებრივი საფუძველი აღარ ექნებოდა. ამიტომ იყო, რომ

1918 წლის 3 (16) იანვარს კავკასიის ფრონტზე ოსმალეთის ჯარების სარდალმა **ვეჰიბ მეჰმედ ფერიკ ფაშამ** კავკასიის არმიის სარდალს გენერალ-ლეიტენანტ ილია ოდიშელიძეს აცნობა, რომ მოკავშირე სახელმწიფოების მიერ ამიერკავკასიის კომისარიატის წარმომადგენელი ბრესტ-ლიტოვსკის საზავო მოლაპარაკებაზე იყო მიწვეული. თბილისში სწორად ამოიცნეს ოსმალეთის დიპლომატიის მანევრი და ბრესტ-ლიტოვსკის საზავო მოლაპარაკებაზე ამიერკავკასიის კომისარიატის დელეგაცია არ გაგზავნეს. ეს იყო პოლიტიკურად სწორი გადაწყვეტილება, რითაც ამიერკავკასიის კომისარიატმა მომავალ საზავო ხელშეკრულებაზე პასუხისმგებლობა მოიხსნა და თავისუფალი მოქმედების უფლება დაიტოვა.

სამხედრო-პოლიტიკური ვითარება სულ უფრო და უფრო რთულდებოდა: ბრესტ-ლიტოვსკში საზავო მოლაპარაკება გაჭიანურდა, დაძაბული ვითარება იყო კავკასიის ფრონტზეც. 1918 წლის 1 (14) თებერვალს **ევგენი გეგეჭკორის** თავმჯდომარეობით გაიმართა ამიერკავკასიის კომისარიატის სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ: **აკაკი ჩხენკელი, ხალილ ბეი ჰაჯიბაბა ხან-მამედოვი, ფათალი-ხან ხოსიკი, ვლადიმერ გოზეჩია, ხუდადათ ბეი მელიქ-ასლანოვი, ხ-ი. კარჩიკიანი, შალვა ალექსი-მესხიშვილი, გ. გ. ტერ-გაზარიანი, მემედ იუსუფ ჰაჯიბაბა ჯაფაროვი, ა. ა. ერზინკიანი, გაზარიანი, გრიგოლ რცხილაძე, მემედ ჰასან გაჯინსკი, ა. ხ. კანტემიროვი, დ. მისანიკოვი.** სხდომაზე ასევე მიწვეული იყვნენ: **ნოე რამიშვილი, მისეილ პაპაჯანოვი,** ამიერკავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა სამხარეო ცენტრის პრეზიდიუმი, გლეხთა დეპუტატთა საბჭოების სამხარეო ცენტრის თავმჯდომარე, კავკასიის ფრონტის მთავარსარდალი გენერალ-მაიორი **ევგენი ლებედინსკი,** კავკასიის ფრონტის შტაბის უფროსი გენერალ-მაიორი **ვლადიმირ ლევანდოვსკი.**

ევგენი გეგეჭკორმა სხდომას მოახსენა, რომ კავკასიის ფრონტზე ოსმალეთის არმიის სარდალის ვეჰიბ ფაშას ცნობით, ამიერკავკასიის კომისარიატი, როგორც ამიერკავკასიის დამოუკიდებელი მთავრობა მოკავშირე სახელმწიფოების მიერ მიწვეული იყო ბრესტ-ლიტოვსკის საზავო მოლაპარაკებაზე. გენერალმა **ევგენი ლებედინსკიმ** დაადასტურა, რომ ანალოგიური შინაარსის დეპეშა ვეჰიბ ფაშასაგან კავკასიის ფრონტის შტაბმაც მიიღო. გენერალმა სხდომას ასევე აცნობა, რომ ვეჰიბ ფაშას ბრძანების თანახმად ოსმალეთის არმიის ნაწილებმა წინად დაწყებული გადაადგილება შეწყვიტეს, რის შედეგადაც აღდგა სადემარკაციო ხაზი.

ნოე რამიშვილმა სხდომას მოახსენა, იმის თაობაზე, რომ იგი პირდაპირი ხაზით ესაუბრა სამხრეთ-დასავლეთის კავშირის თავმჯდომარეს, და

რომ საუბრის დროს განხილული იქნა რუსეთში შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობა.

ამიერკავკასიის სხდომაზე ერთ-ერთი მთავარი საკითხი იყო 1918 წლის 1 (14) თებერვლისათვის თბილისში დანიშნული კონფერენცია, რომლის მუშაობაში ამიერკავკასიის კომისარიატის გარდა მონაწილეობა უნდა მიეღო უკრაინასა და სამხრეთ-დასავლეთის კავშირს. **მიხეილ პაპაჯანოვმა** ამ საკითხის განხილვის დროს აღნიშნა, რომ უკრაინა დამოუკიდებლად აწარმოებდა მოლაპარაკებას გერმანიასთან და ავსტრია-უნგრეთთან, ხოლო სამხრეთ-დასავლეთის კავშირი შეუძლებლად მიიჩნეოდა 1918 წლის 1 (14) თებერვლისათვის თბილისში დელეგაციის გამოგზავნას. ასეთ ვითარებაში პაპაჯანოვის აზრით ამიერკავკასიის კომისარიატმა ოსმალეთს შეიძლება მხოლოდ წინასწარი პასუხი აცნობოს, ხოლო საბოლოო პასუხის ტექსტის შესამუშავებლად დაელოდოს ამიერკავკასიის სეიმის შეკრებას (სეიმის გახსნა 1918 წლის 10 (23) თებერვლისათვის იყო დანიშნული - ვ. გ.). მიხეილ პაპაჯანოვმა ორ პუნქტიანი წინადადება შემოიტანა: 1. ზავის პირობების შესამუშავებლად შეიქმნას კომისია; 2. დაუყონებლივ გადწყდეს თუ სად გაიმართება მოლაპარაკება, შეირჩეს მოლაპარაკებაზე გასაგზავნი წარმომადგენელები და სხვ.

გენერალმა **ევგენი ლებედინსკიმ** თავის გამოსვლაში აღნიშნა: 1. რუსეთის ჯარის მიერ დაკავებულ ოსმალეთის ტერიტორიაზე ვითარება სულ უფრო და უფრო იძაბება; 2. აუცილებელია დაჩქარდეს საზავო მოლაპარაკების დაწყება; 3. აუცილებელია ქალაქ ტრაპიზონის რაიონში არსებული რუსეთის არმიის საწყობების დაცვა, სადაც მილიონობით მანეთის სამხედრო საჭურველი და სხვა საქონელია დაცული; 4. უკრაინას ამიერკავკასიაში ინტერესები არ გააჩნია, რადგან მან ამიერკავკასიიდან უკრაინული კორპუსი გაიწვია; 5. სამხრეთ-დასავლეთის კავშირი საშინაო პრობლემების გადაჭრითაა დაკავებული. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე კავკასიის ფრონტის სარდალმა დაასკვნა: დაუყონებლივ ეცნობოს ვეჰიბ ფერიკ მეჰმედ ფაშას, რომ ამიერკავკასიის კომისარიატი მზადაა საზავო მოლაპარაკების დასაწყებად.

ნოე რამიშვილი დაეთანხმა მიხეილ პაპაჯანოვსა და ევგენი ლებედინსკის ოსმალეთთან საზავო მოლაპარაკების დაუყონებლივ დაწყების თაობაზე და თავის მხრივ ასეთი წინადადებები წამოაყენა: 1. მოლაპარაკება უნდა დაიწყოს არა მარტო ოსმალეთთან, არამედ გერმანიასთან და მის მოკავშირეებთან; 2. მოლაპარაკების ტექნიკური მხარის მოგვარება მიენდოს ამიერკავკასიის კომისარიატს; 3. შეიქმნას კომისია, რომელიც მოამზადებს

და ამიერკავკასიის სეიმს წარუდგენს დირექტივებს მოლაპარაკებაზე დანიშნულ ამიერკავკასიის დელეგაციისათვის; 4. მოლაპარაკებაზე დანიშნულ დელეგაციისათვის დირექტივებს საბოლოოდ ამიერკავკასიის სეიმი დაამტკიცებს; 5. ოსმალეთთან დაწყებული მოლაპარაკების შესახებ უნდა ეცნობოს გერმანიასა და მის მოკავშირეებს, ასევე მეზობელი ხალხების მთავრობებს; 6. გერმანიასა და მის მოკავშირეებს, ასევე მეზობელი ხალხების მთავრობებს ეცნობოს: იმის გამო, რომ ბრესტ-ლიტოვსკში საბჭოთა რუსეთმა გერმანიასთან და მის მოკავშირეებთან მოლაპარაკება შეწყვიტა ამიერკავკასიის კომისარიატი, თვითონ იწყებს ოსმალეთთან საზავო მოლაპარაკებას იმ პირობით, რომ სადემარკაციო ხაზი შენარჩუნებული იქნება; 7. ამიერკავკასიის კომისარიატმა ოსმალეთს შესთავაზოს თავისი წინადადება მოლაპარაკების ადგილისა და დაწყების შესახებ.

ამიერკავკასიის კომისარიატის სხდომაზე აღინიშნა, რომ საზავო მოლაპარაკების დასაწყებად ოსმალეთის შემოთავაზებული დრო დაემთხვა ამიერკავკასიის სეიმის გახსნისა და მუშაობის დროს (ამიერკავკასიის სეიმი უნდა გახსნილიყო 1918 წლის 10 (23) თებერვალს). ეს გარკვეულ უხერხულობას ქმნიდა, რადგან საზავო მოლაპარაკებისათვის ამიერკავკასიის კომისარიატის მიერ შემუშავებული პირობები ოსმალეთთან მოლაპარაკების დაწყებამდე ამიერკავკასიის სეიმს უნდა დაემტკიცებინა. ამ საკითხზე მსჯელობის შემდეგ ამიერკავკასიის კომისარიატმა დაადგინა:

1. ოსმალეთთან საზავო მოლაპარაკებისათვის პირობებს შეიმუშავებდა ამიერკავკასიის კომისარიატი და დაამტკიცებდა ამიერკავკასიის სეიმი;

2. ოსმალეთთან საზავო მოლაპარაკებისათვის პირობების შესამუშავებლად ამიერკავკასიის კომისარიატს უნდა შეექმნა კომისია, რომელიც მოხსენებით წარსდგებოდა სეიმის წინაშე;

3. ამიერკავკასიის კომისარიატს უნდა შეექმნა კომისია, რომელიც გადაწყვეტდა თუ როდის იქნებოდა შესაძლებელი ოსმალეთთან საზავო მოლაპარაკების დაწყება;

4. ამიერკავკასიის კომისარიატს უნდა ეკისრა ოსმალეთთან წინასწარი მოლაპარაკების წარმოება, განესაზღვრა მოლაპარაკებაზე გასაგზავნი დელეგაციის შემადგენლობა და განესაზღვრა მოლაპარაკების დაწყების დრო.

მაშინ როდესაც ამიერკავკასიის კომისარიატი ოსმალეთთან საზავო მოლაპარაკებისათვის ემზადებოდა, 1918 წლის 4 (17) თებერვალს თბილისში მესოპოტამიაში განლაგებული ინგლისის ჯარების მეთაურ პოლკოვნიკ **მორელის** დეპეშა მიიღეს. მორელი იუწყებოდა, რომ ერძინჯანის რაიონში

ინგლისის ჯარებს ცეცხლი გაუხსნეს ოსმალებმა, ოსმალების თავდასხმა განმეორდა მეორე დღესაც. საბრძოლო მოქმედებების განახლება, ცხადია, უარყოფით გავლენას იმოქმედებდა მომავალ საზავო მოლაპარაკებაზე. მიუხედავად ამისა, ამიერკავკასიის კომისარიატი ზავისათვის ბრძოლას აგრძელებდა. 1918 წლის 6 (19) თებერვალს ამიერკავკასიის კომისარიატის თავმჯდომარემ ევგენი გეგეჭკორმა კავკასიის ფრონტზე ოსმალეთის ჯარების სარდალს ვეჰიბ მეჰმედ ფერიკ ფაშას დეკეშით აცნობა, რომ ამიერკავკასიის კომისარიატი მზად იყო საზავო მოლაპარაკების დასაწყებად. ევგენი გეგეჭკორი საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ ამიერკავკასიის პირობებს საზავო მოლაპარაკებისათვის ამიერკავკასიის სეიმი დაამტკიცებდა, რომლის გახსნაც 1918 წლის 10 (23) თებერვალს იგეგმებოდა, თუმცა ეს ხელს სულაც არ უშლიდა მოლაპარაკების სეიმის შეკრებამდე დაწყებას. 1918 წლის 7 (20) თებერვალს ვეჰიბ ფაშამ კავკასიის ფრონტის მთავარსარდალს გენერალ ევგენი ლებედინსკის დეკეშით აცნობა, რომ მწუხარებას გამოთქვამდა ქურთთა რაზმების მიერ ინგლისისა და რუსეთის ჯარებზე განხორცილებული თავდასხმების გამო, იმის გამო, რომ ქურთებმა სერიოზული ზარალი მიაყენეს პოლკოვნიკ მორელს. ამასთან ერთად ვეჰიბ ფაშა ითხოვდა, რომ ქურთთა რაზმების წინააღმდეგ რუსეთის ჯარების მიერ დაწყებული შეტევა შეჩერებულიყო. ვეჰიბ ფაშა ევგენი ლებედინსკის განუმარტავდა, რომ რუსეთის ჯარების შეტევით მოქმედებებს შეიძლებოდა საზავო მოლაპარაკების დაწყება გაეჭიანურებინა. 1918 წლის 9 (22) თებერვალს კავკასიის არმიის სარდალმა გენერალ-ლეიტენანტმა ილია ოდიშელიძემ კავკასიის ფრონტის სარდალს გენერალ-მაიორ ევგენი ლებედინსკის აცნობა, რომ რუსეთის ჯარების მიერ დაკავებულ ოსმალეთის ტერიტორიაზე ვითარება ძალზე დაძაბული იყო.

1918 წლის 10 (23) თებერვალს ვეჰიბ ფაშამ ამიერკავკასიის კომისარიატის თავმჯდომარეს რადიოთი აცნობა, რომ ოსმალეთის მხარე მზად იყო საბოლოო ზავის დასადებად მოლაპარაკება დაეწყო, ოსმალეთის დელეგაცია თანხმობის შემთხვევაში დაუყონებლივ გაემგზავრებოდა ბათუმში.

1918 წლის 10 (23) თებერვალს გაიხსნა ამიერკავკასიის სეიმის სხდომა. სეიმის დეპუტატებად ჩაითვალნენ ამიერკავკასიიდან რუსეთის დამფუძნებელ კრებაში არჩეული დეპუტატები, რომელთაც შემდეგ დამატნენ დელეგატები პოლიტიკური პარტიების სიით. მართალია, სეიმს ბევრი სხვა მნიშვნელოვანი საკითხი ჰქონდა განსახილველი, მაგრამ პირველი დღიდანვე ყურადღების ცენტრში ოსმალეთთან საზავო მოლაპარაკების საკითხი მოექცა. 1918 წლის 10 (23) თებერვალს გაიმართა ამიერკავკასიის სეიმისა

და ამიერკავკასიის კომისარიატის სხდომა, რომელსაც ევგენი გეგეჭკორი თავმჯდომარეობდა. ზავის საკითხთან დაკავშირებით თავისი მოსაზრება გამოთქვა **ნოე ჟორდანიამ**. მან დასვა კითხვა: როცა გერმანიამ რუსეთის წინააღმდეგ შეტევა განაახლა, შეიძლება კი საერთოდ ოსმალეთთან ზავის დადებაზე ვისაუბროთ? ნოე ჟორდანიას აზრით გერმანიასა და რუსეთს შორის ომის განახლება ოსმალეთთან ზავის დადებას გამოორიციხავდა. ნოე ჟორდანიას დაეთანხმა რუსეთის კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის წევრი **სემიონოვი**, რომელმაც აღნიშნა, რომ გერმანიასა და რუსეთს შორის ომის განახლებამ ძირეულად შეცვალა ვითარება. კავკასიის ფრონტის სარდალმა გენერალმა **ევგენი ლებედინსკიმ** თავის გამოსვლაში აღნიშნა:

1. კავკასიის ფრონტიდან რუსეთის ჯარების გასვლის შემდეგ ადგილზე დარჩა სრულიად უმნიშვნელო სამხედრო ძალა, რომელსაც არანაირი სტრატეგიული მნიშვნელობა არ გააჩნია;

2. ოსმალეთის ჯარები იკავებენ ომის დროს რუსეთის ჯარების მიერ დაკავებულ ტერიტორიას, რათა სხვადასხვა ეროვნების ხალხებისაგან ახლად შექმნილი, მეტწილად ბანდიტური მიდრეკილების, სამხედრო ფორმირებებისაგან დაიცვან მუსლიმი მოსახლეობის სიცოცხლე და ქონება;

3. კავკასიის ფრონტზე ოსმალეთის ჯარების სარდლის ვეჰიბ ფაშას ცნობით ოსმალეთის ჯარები შეტევას გააგრძელებენ მანამ სანამ უშუალოდ არ მიუახლოვდებიან რუსეთის რეგულარული ჯარების განლაგების ადგილს, რის შემდეგაც ყოველგვარ საბრძოლო მოქმედებას შეწყვეტენ;

4. იმ შემთხვევაში თუ ოსმალები შეტევას არ შეაჩერებენ, კავკასიის ფრონტის სარდლობას არ შეეძლო ოსმალეთის ჯარების წინააღმდეგ რაიმე სერიოზული სამხედრო ძალა დაეჯგუფებინა;

5. ოსმალეთის ჯარების შეჩერება ფორმირების პროცესში მყოფი ეროვნული სამხედრო შენაერთების ძალებით უიმედო იყო, რადგან ფორმირების პროცესი ძალზე ნელი ტემპით მიმდინარეობდა.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის შემდეგ გენერალმა ევგენი ლებედინსკიმ დაასკვნა: ოსმალეთის არმიის შეტევის შესაჩერებლად სამხრეთ კავკასიაში სამხედრო ძალა არ არსებობს.

დაშნაკთა პარტიის წევრმა **ხაჩატურიანმა** ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ ოსმალეთმა საზავო მოლაპარაკების დაწყებაზე თანხმობა მას შემდეგ განაცხადა, რაც გერმანიამ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ომი განაახლა. სომეხი დაშნაკი ითხოვდა ამ საკითხთან დაკავშირებით აზრის გამოთქმას. **ნოე ჟორდანიამ** ამასთან დაკავშირებით განაცხადა: საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ გერმანიის მიერ ომის განახლების შემდეგ, ოსმალე-

თის მხრიდან საზავო მოლაპარაკებაზე თანხმობა ამიერკავკასიის კომისარიატის პოზიციებს ამყარებდა და თუკი ოსმალეთი რუსეთ-გერმანიის ომის პირობებშიც ამიერკავკასიასთან ზავის დადებას დათანხმდებოდა, თანხმობა უნდა განაცხადებინა ამიერკავკასიასაც, ეს ზავი ხელს აძლევდა როგორც რუსეთს, ისე – ამიერკავკასიას. ნოე ჟორდანიამ დაასკვნა: ზავი რუსეთს კავკასიის ფრონტზე ომის წარმოების საჭიროებას მოუხსნის, ხოლო ამიერკავკასიას მშვიდობას მოუტანსო. რუსეთის კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის წევრმა **სემიონოვმა** საექვოდ მიიჩნია ოსმალეთის მისწრაფება ამიერკავკასიასთან ზავის დადების თაობაზე. რუსმა კადეტმა დასვა კითხვა: „ხომ არ მოქმედებს ოსმალეთი გერმანიასთან შეთანხმებით?“ და სხდომის მონაწილენი გააფრთხილა, რომ ზავის დადების საკითხს დიდი სიფრთხილით მოკიდებოდნენ. სემიონოვის აზრით მოლაპარაკების თბილისში დანიშვნა მიუღებელი იყო, დელეგაციების შეხვედრა სადმე ნეიტრალურ ტერიტორიაზე ან თუნდაც სტამბოლში უნდა შემდგარიყო. ბოლოს რუსმა კადეტმა აღნიშნა, თუ ოსმალეთი ზავის დადებასთან დაკავშირებით თავის პოზიციას გერმანიას უთანხმებს, ამიერკავკასიამ ზავის საკითხი რუსეთსა და მის მოკავშირეებს: ინგლისს, საფრანგეთს და ამერიკის შეერთებულ შტატებს უნდა შეუთანხმოსო. გენერალმა **ვევენი ლებედინსკიმ** აღნიშნა, რომ საზავო მოლაპარაკების თბილისში დაწყება იმას ნიშნავდა, რომ ამიერკავკასიამ თავი წინასწარ დამარცხებულად ცნო. გენერალი მიიჩნევდა, რომ საზავო მოლაპარაკება ნეიტრალურ ტერიტორიაზე უნდა დაწყებულიყო. თბილისში საზავო მოლაპარაკების წინააღმდეგ გამოვიდა **აკაკი ჩხენკელიც**. სომეხი დაშნაკის **ტიგრანიანის** აზრით მოლაპარაკება შეიძლებოდა ტრაპიზონში დაწყებულიყო, მაგრამ, რადგან იქ საშინელი ქაოსი სუფევდა, უმჯობესი იყო დელეგაციები სტამბოლში შეხვედროდნენ ერთმანეთს. რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის წევრი **გრიგოლ ნათაძე** მიიჩნევდა, რომ საზავო მოლაპარაკება შეიძლებოდა ტრაპიზონში დაწყებულიყო. ? **ფათალი-ხან ხოისკი** თვლიდა, რომ საზავო მოლაპარაკების დაწყება არ შეიძლებოდა არც თბილისში და არც ტრაპიზონში.

საზავო მოლაპარაკებასთან დაკავშირებით ამიერკავკასიის კომისარიატისა და ამიერკავკასიის სეიმის სხდომამ ასეთი გადაწყვეტილება მიიღო:

1. ამიერკავკასიის კომისარიატისა და ამიერკავკასიის სეიმის გაერთიანებულმა სხდომამ მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ საზავო მოლაპარაკება ქალაქ ტრაპიზონში დაიწყო. თუ ოსმალეთი ტრაპიზონში მოლაპარაკების დაწყებას რაიმე მიზეზით შეუძლებლად მიიჩნევს, ამიერკავკასიის კომისარიატი ოსმალეთს მოლაპარაკების დასაწყებად სხვა ადგილს შეთავა-

ზებს. ამიერკავკასიის კომისარიატის დელეგაცია თბილისიდან ტრაპიზონში 1918 წლის 17 (30) თებერვალს გაემგზავრება;

2. ამიერკავკასიის კომისარიატისა და ამიერკავკასიის სეიმის გადაწყვეტილების თაობაზე ეცნობოს სამხრეთ-დასავლეთის კავშირის თავმჯდომარეს და უკრაინის ცენტრალური რადის გენერალურ სამდივნოს.

1918 წლის 12 (25) თებერვალს ამიერკავკასიის კომისარიატის თავმჯდომარემ **ევგენი გეგეჭკორმა** კავკასიის არმიის სარდალს გენერალ ილია ოდიშელიძეს დეპუტით აცნობა, რომ ტრაპიზონში დანიშნული საზავო მოლაპარაკების თაობაზე საქმის კურსში ჩაეყენებინა კავკასიის ფრონტზე ოსმალეთის ჯარების სარდალი ვეჰიბ ფაშა. ილია ოდიშელიძეს ევგენი გეგეჭკორმა ისიც აცნობა, რომ ამიერკავკასიის დელეგაცია თბილისიდან ტრაპიზონში 1918 წლის 17 (30) თებერვალს გაემგზავრებოდა. 1918 წლის 13 (26) თებერვალს ევგენი გეგეჭკორმა ტრაპიზონში საზავო მოლაპარაკების დაწყების თაობაზე დეპუტით აცნობა უკრაინის ცენტრალური რადის გენერალურ სამდივნოს.

1918 წლის 13 (26) თებერვალს ამიერკავკასიის კომისარიატის თავმჯდომარე **ევგენი გეგეჭკორი** მოხსენებით წარსდგა ამიერკავკასიის სეიმის წინაშე. მოხსენება ამიერკავკასიის საგარეო-პოლიტიკურ მდგომარეობას ეხებოდა. მოხსენების დასასრულს ევგენი გეგეჭკორმა აღნიშნა, რომ ამიერკავკასიის კომისარიატი მუშაობდა საზავო მოლაპარაკების პირობების პროექტზე, რომლის ტექსტსაც კომისარიატი დასამტკიცებლად სეიმს წარუდგენდა. ევგენი გეგეჭკორმა სეიმის წევრებს, თხოვა დოკუმენტი სწრაფად განეხილათ და დაემტკიცებინათ, რადგან დელეგაცია ტრაპიზონში 1918 წლის 17 თებერვალს (2 მარტს) უნდა გამგზავრებულიყო. 16 (1 მარტს) ამიერკავკასიის კომისარიატის მიერ შექმნილი კომისია (თავმჯდომარე ნოე რამიშვილი) ოსმალეთთან დასადები ზავის პირობების თაობაზე ამიერკავკასიის სეიმის წინაშე მოხსენებით წარსდგა. სეიმის სხდომას თავმჯდომარეობდა **კარლო ჩხეიძე**, მდივნობდა **ა. კანტემიროვი**. ნოე რამიშვილის მოხსენების შემდეგ ამიერკავკასიის სეიმმა შემდეგი დადგენილება მიიღო:

1. შექმნილ ვითარებაში ამიერკავკასიის სეიმი სწორად მიიჩნევს ოსმალეთთან ზავის დადებას;

2. ამიერკავკასიის სეიმი საზავო მოლაპარაკებას იწყებს იმ მიზნით, რომ სწრაფად დაიდოს მუდმივი ზავი;

3. ოსმალეთთან ზავის დადებას საფუძვლად უნდა დაედოს რუსეთსა და ოსმალეთს შორის 1914 წლამდე, მსოფლიო ომის დაწყებამდე, არსებული საზღვრები;

4. საზავო მოლაპარაკებაზე ამიერკავკასიის დელეგაცია უნდა ეცადოს აღმოსავლეთ ანატოლიისათვის, მათ შორის ოსმალეთის სომხეთისათვის, ოსმალეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში ავტონომიის მიღწევას.

ამიერკავკასიის სეიმის პირობები პრინციპულად მიუღებელი იყო ოსმალეთისათვის, კერძოდ ეს ეხებოდა ამ პირობების მესამე და მეოთხე მუხლებს. ოსმალეთს სწორედ სამხრეთ კავკასიაში რუსეთსა და ოსმალეთს შორის 1914 წლამდე არსებული (ანუ ბერლინის 1878 წლის ტრაქტატი დადგენილი) საზღვრის თავის სასარგებლოდ გადასინჯვა სურდა. ცხადია, ოსმალეთი არც სომხების ავტონომიას დათანხმდებოდა.

§4. 1918 წლის 3 მარტის ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულება.

ვითარება ამიერკავკასიაში ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების დადების შემდეგ

საბჭოთა რუსეთმა, როგორც ზემოთ ავლნიშნეთ, 1917 წლის 25 ოქტომბრის (7 ნოემბრის) კონტრრევოლუციური სახელმწიფო გადატრიალებისთანავე დაიწყო ზრუნვა გერმანიასთან და მის მოკავშირეებთან „უანექსიო და უკონტრიბუციო“ ზავისათვის. საბჭოთა პოლიტიკური ლიდერების მისწრაფება მშვიდობისმოყვარე ბუნებით არ იყო გაპირობებული. საბჭოთა რუსეთს ომის წარმოება აღარ შეეძლო, დაშლილი იყო არმია, აღარ არსებობდა ომის წარმოებისათვის აუცილებელი ეკონომიკური რესურსი, ომი ძალზე არაპოპულარული იყო მოსახლეობაში. ასეთ პირობებში საბჭოთა რუსეთს ოკუპაციისა და დიდი ტერიტორიული დანაკარგების საფრთხე ემუქრებოდა. არმია იმდენად სუსტი იყო, რომ დედაქალაქის – პეტროგრადის დაცვაც კი არ შეეძლო. თუ გერმანია და მისი მოკავშირეები რუსეთის იმპერიის ევროპული ნაწილის ოკუპაციას მოახდენდნენ, სავსებით რეალური იყო საბჭოთა ხელისუფლების ლიკვიდაცია. ყოველივე ამის თავიდან აცილების მიზნით 1917 წლის 26 ოქტომბერს (8 ნოემბერს) სრულიად რუსეთის საბჭოების მეორე ყრილობამ დაამტკიცა დეკრეტი ზავის შესახებ, რომელიც ყველა მეომარ მხარეს ომის შეწყვეტისა და საყოველთაო ზავისაკენ მოუწოდებდა. ანტანტის ქვეყნებმა (ინგლისი, საფრანგეთი, ამერიკის შეერთებული შტატები), რომელთაც პირველ მსოფლიო ომში გამარჯვების იმედი ჰქონდათ, საბჭოთა რუსეთის შეთავაზება არ მიიღეს

და ომს აგრძელებდნენ. საბჭოთა რუსეთმა გერმანიასა და მის მოკავშირეებს (ავსტრია-უნგრეთს, ოსმალეთს, ბულგარეთს) საზავო მოლაპარაკების დაწყება შესთავაზა. სამაგიეროდ რუსეთთან ზავის დადება ხელსაყრელი იყო გერმანიისა და მისი მოკავშირეებისათვის. რუსეთის ომიდან გამოსვლა გერმანიასა და ავსტრია-უნგრეთს აღმოსავლეთის ფრონტზე განლაგებულ ჯარებს გამოუთავისუფლებდა, ამ ჯარებს გერმანია ინგლის-საფრანგეთის წინააღმდეგ გამოიყენებდა. რუსეთის მიერ გერმანიასთან და მის მოკავშირეებთან სეპარატიული ზავის დადებას ანტანტა წინ ვეერ აღუდგა. 1917 წლის 9 (22) დეკემბერს ქალაქ ბრესტ-ლიტოვსკში საბჭოთა რუსეთმა გერმანიასთან, ავსტრია-უნგრეთთან, ოსმალეთთან და ბულგარეთთან საზავო მოლაპარაკება დაიწყო. რუსეთის დელეგაციას **ადოლფ იოფფე** ხელმძღვანელობდა. მოლაპარაკება ძალზე დაძაბულად მიმდინარეობდა. საბჭოთა რუსეთს სურდა რაც შეიძლება ნაკლები ტერიტორიული დანაკარგითა და ნაკლები კონტრიბუციის ფასად გამოსულიყო მისთვის დამლუპველი ომიდან, გერმანია და მისი მოკავშირეები კი მაქსიმალურად ხელსაყრელი ზავის დადებას ესწრაფოდნენ. ასეთ ვითარებაში საზავო მოლაპარაკებაზე ათ დღიანი შესვენება გამოცხადდა, ხოლო 1917 წლის 17 (30) დეკემბერს საბჭოთა რუსეთის მთავრობამ მსოფლიოს ქვეყნების ხალხებსა და მთავრობებს მიმართა და საზავო მოლაპარაკებაში მონაწილეობისაკენ მოუწოდებდა. საბჭოთა რუსეთის ლიდერებისათვის იმთავითვე ცხადი იყო, რომ ანტანტა ამ მოწოდებას არ გამოეხმაურებოდა, ასეც მოხდა. 1917 წლის 27 დეკემბერს (1918 წლის 9 იანვარს) საბჭოთა რუსეთმა გერმანიასა და მის მოკავშირეებთან მოლაპარაკება განაახლა. ამჯერად რუსეთის დელეგაციას საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი **ლევ ტროცკი (ბრონშტეინი)** ხელმძღვანელობდა. მოლაპარაკება განაახლდა თუ არა, ცხადი გახდა, რომ გერმანია ადრე წამოყენებულ პირობებს არ ცვლიდა. გერმანიისა და მისი მოკავშირეების მიერ მოლაპარაკებაზე წარმოდგენილი რუკის მიხედვით, რუსეთ-გერმანიის მომავალ საზღვარს ქალაქ **რიგის** აღმოსავლეთით და ქალაქ **დვინსკის** დასავლეთით უნდა გაეყო, რაც შეეხება საზღვარს ქალაქ ბრესტ-ლიტოვსკის სამხრეთით, გერმანელების აზრით, იგი უკრაინის ცენტრალურ რადასთან მოლაპარაკების შედეგად უნდა დადგენილიყო. ლევ ტროცკიმ განაცხადა, რომ თანახმა იყო ბრესტ-ლიტოვსკის საზავო მოლაპარაკებაზე უკრაინის ცენტრალური რადის დელეგაციაც მოეწვიათ. საბოლოოდ გაირკვა, რომ გერმანიას სურდა პოლონეთის, ბალტიისპირეთის (ლიტვის, კურლანდიის, ლიფლანდიის ნაწილის, ესტლანდიის) და ბელორუსიის ნაწილის (გროდნოს გუბერნიის ნაწილის) მიღება, ანუ რუსეთს

გერმანიისათვის უნდა დაეთმო 160.000 კვადრატულ კილომეტრზე მეტი ტერიტორია. 1918 წლის 27 იანვარს (9 თებერვალს) გერმანიამ, ავსტრია-უნგრეთმა, ბულგარეთმა და ოსმალეთმა უკრაინის ცენტრალურ რადასთან საზავო ხელშეკრულება დადეს. იმავე დღეს საბჭოთა რუსეთის დელეგაციამ გერმანიასა და მის მოკავშირეებს ულტიმატუმის ფორმით მოთხოვა უარი ეთქვა ბალტიისპირეთის ტერიტორიაზე და მომავალი საზღვარი ნარვა-ფსკოვი-დვინსკის ხაზზე გასულიყო. ლევ ტროცკი ზავის დადებას აჭიანურებდა ორი მიზეზის გამო: 1. ლევ ტროცკიმ კარგად იცოდა, რომ გერმანიას სურდა რაც შეიძლება სწრაფად დაედო ზავი და აღმოსავლეთის ფრონტზე საბრძოლო მოქმედებები შეეწყვიტა; 2. ლევ ტროცკი გერმანიასა და სხვა ქვეყნებში რევოლუციის დაწყებას ელოდა, რაც გერმანიასა და მის მოკავშირეებს კაპიტულაციაზე წაიყვანდა. გერმანია და მისი მოკავშირეები ტერიტორიულ პრეტენზიებზე უარს კვლავაც არ ამბობდნენ. 1918 წლის 28 იანვარს (10 თებერვალს) ლევ ტროცკიმ განაცხადა, რომ რუსეთი გერმანიის პირობებს არ მიიღებდა. ამის საპასუხოდ 1918 წლის 18 თებერვალს გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის ჯარებმა აღმოსავლეთის ფრონტზე (რიგის ყურიდან მდინარე დუნაის შესართავამდე) შეტევა დაიწყეს. საბჭოთა რუსეთის წითელი არმია უსუსური აღმოჩნდა და ფრონტის ვერცერთ მონაკვეთზე თავდაცვის ორგანიზება ვერ შეძლო. 19 თებერვალს საბჭოთა მთავრობამ გერმანიას ზავის დადების თაობაზე მზადყოფნა შეატყობინა. მიუხედავად ამისა, გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის ჯარები შეტევას აგრძელებდნენ. გერმანიამ ზავის დადებაზე თანხმობა მხოლოდ 22 თებერვალს განაცხადა და იმაზე უფრო მძიმე პირობები წამოაყენა ვიდრე ბრესტ-ლიტოვსკის საზავო მოლაპარაკებაზე სთავაზობდა საბჭოთა რუსეთს. გერმანია და მისი მოკავშირეები პასუხს 48 საათის განმავლობაში ითხოვდნენ. ბრესტ-ლიტოვსკში სასწრაფოდ გაემგზავრა საბჭოთა რუსეთის დელეგაცია **გრიგორი სოკოლნიკოსკის (გირშ ბრილლიანტის) (1888-1939)** ხელმძღვანელობით. 1918 წლის 3 მარტს ბრესტ-ლიტოვსკში საბჭოთა რუსეთმა, გერმანიამ, ავსტრია-უნგრეთმა, ბულგარეთმა და ოსმალეთმა ხელი მოაწერეს საზავო ხელშეკრულებას.

ზავის თანახმად რუსეთმა გერმანიას დაუთმო ბალტიისპირეთი და ბელორუსიის ნაწილი, აღიარებული იქნა უკრაინისა და ფინეთის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, საბჭოთა რუსეთი ვალდებული იყო ხელშეკრულება დაედო უკრაინის ცენტრალურ რადასთან და ამავე დროს ეცნო 1918 წლის 27 იანვარს (8 თებერვალს) უკრაინის ცენტრალური რადის მიერ გერმანიასა და მის მოკავშირეებთან დადებული ხელშეკრულება.

ბრესტ-ლიტოვსკის საზავო მოლაპარაკებაზე ოსმალეთი გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის მხარდაჭერით ითხოვდა 1878 წლის ბერლინის ტრაქტატით სამხრეთ კავკასიაში რუსეთსა და ოსმალეთს შორის დადგენილი საზღვრის გადასინჯვას და გარკვეული ტერიტორიების მიღებას. საბჭოთა რუსეთი იძულებული გახდა სამხრეთ კავკასიაშიც დაეთმო ტერიტორიები. ჯერ კიდევ ბრესტ-ლიტოვსკში საზავო ხელშეკრულების გაფორმებამდე, 1918 წლის 2 მარტს საზავო მოლაპარაკებაზე საბჭოთა რუსეთის დელეგაციის მდივანმა **ლევ კარახანმა (ლეონ კარახანიანმა) (1889-1937)** თბილისს დეპეშით აცნობა, რომ რუსეთმა კავკასიაში ოსმალეთის პრეტენზიები დააკმაყოფილა და **არტანი, ყარსი და ბათუმი** დათმო. 2 მარტსვე ამიერკავკასიის კომისარიატის თავმჯდომარემ **ევგენი გეგეჭკორმა** და ამიერკავკასიის სეიმის თავმჯდომარემ **კარლო ჩხეიძემ** მსოფლიო სახელმწიფოების მთავრობებს აცნობა, რომ ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებით სამხრეთ კავკასიაში რუსეთსა და ოსმალეთს შორის საზღვრების შეცვლა ამიერკავკასიის კომისარიატისა და ამიერკავკასიის სეიმის თანხმობის გარეშე მოხდა და რომ საზღვრების საკითხს განიხილავდა ამიერკავკასიისა და ოსმალეთის საზავო კონფერენცია, რომელიც ქალაქ ტრაპიზონში იყო დანიშნული.

1918 წლის 3 მარტს ხელმოწერილი ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების **მეოთხე მუხლი** ორი აბზაცისაგან შედგებოდა. **პირველ აბზაცში** აღნიშნული იყო: რუსეთი ყველაფერს იღონებდა იმისათვის, რომ უსწრაფესად დაეტოვებინა აღმოსავლეთ ანატოლიის ტერიტორია (ოსმალეთის ეს ტერიტორია ზავის დადების დროისათვის რუსეთის ჯარებს ეკავათ – ვ. გ.) და ეს ტერიტორია წესრიგის დაცვით დაებრუნებინა ოსმალეთისათვის. **მეორე აბზაცი** გვაუწყებდა: არდაგანის (არტანის), ყარსისა და ბათუმის ოკრუგები ასევე დაუყონებლივ უნდა დაეტოვებინა რუსეთის ჯარს. რუსეთი არ უნდა ჩარეულიყო ამ ოკრუგების სახელმწიფოებრივი-სამართლებრივი ორგანიზებისა და საერთაშორისო ურთიერთობის პროცესში. ოკრუგების მოსახლეობას უფლება უნდა მისცემოდა მეზობელ სახელმწიფოებთან, განსაკუთრებით კი ოსმალეთთან, თანხმობით დაემყარებინა ახალი წყობილება. როგორც ვხედავთ ოსმალეთს უშუალოდ არ მიუღია 1878 წლის ბერლინის ტრაქტატით რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში გადასული ტერიტორია. მართალია ტერმინი ნახსენები არ ყოფილა, მაგრამ პრაქტიკულად საქმე ეხებოდა რეფერენდუმს, რომლის დროსაც მოსახლეობას უნდა გაერკვია თუ რომელი სახელმწიფოს (ოსმალეთის თუ რუსეთის) შემადგენლობაში სურდა ცხოვრება. ამ პროცესში კი ოსმალეთი

ზავის თანახმად გარკვეულ უპირატესობას მიიღებდა.

აქვე უნდა აღინიშნოს ერთი მნიშვნელოვანი დეტალის შესახებ. ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების მეოთხე მუხლის მეორე აბზაცში იხსენიება **არდაგანის (არტაანის), ყარსისა და ბათუმის** ოკრუგები. სინამდვილეში ის ტერიტორია, რომელიც სადავო იყო რუსეთსა და ოსმალეთს შორის, რუსეთის იმპერიაში და შემდეგაც ასეთი ადმინისტრაციული დაყოფით არსებობდა: **1. ბათუმის ოლქი, რომელიც ბათუმისა და ართვინის ოკრუგებისაგან შედგებოდა; 2. ყარსის ოლქი, რომელიც ყარსის, არდაგანისა (არტაანისა) და ყალიზმანის ოკრუგებისაგან შედგებოდა.** ასე, რომ ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულებაში პრაქტიკულად იხსენიებოდა 2 ოლქი (ბათუმისა და ყარსის) და 5 ოკრუგი (ბათუმის, ართვინის, ყარსის, არტაანის, ყალიზმანის).

ოსმალეთი დაუყონებლივ შეუდგა ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულებით მინიჭებული უფლების რეალიზებას. 1918 წლის 25 თებერვალს (10 მარტს) კავკასიის ფრონტზე ოსმალეთის ჯარების სარდალმა **ვეჰიბ მეჰმედ ფერიკ ფაშამ** კავკასიის ფრონტის მთავარსარდალს გენერალ-მაიორ **ევგენი ლებედინსკის** რადიოდეპეშით ყარსის, არტაანისა და ბათუმის დაცლა მოსთხოვა. იმავდროულად ვეჰიბ ფაშამ ევგენი ლებედინსკის აცნობა, რომ ოსმალეთის არმია კავკასიის ფრონტზე შეტევას იწყებდა. 1918 წლის 25 თებერვალს (10 მარტს) ამიერკავკასიის სეიმის თავმჯდომარემ **კარლო ჩხეიძემ** რადიოდეპეშით მიმართა მსოფლიო სახელმწიფოების მთავრობებს, მათ შორის ოსმალეთის მთავრობას, ასევე კავკასიის ფრონტზე ოსმალეთის ჯარების სარდალს ვეჰიბ ფაშას. რადიოდეპეშის ტექსტი გაეგზავნა იმხანად სარიყამიში მყოფ კავკასიის არმიის სარდალს გენერალ-ლეიტენანტ **ილია ოდიშელიძეს**. კარლო ჩხეიძე ოსმალეთის მთავრობისა და ვეჰიბ ფაშასაგან ითხოვდა პასუხს კითხვაზე: ოსმალეთის მიერ ბათუმის, ყარსისა და არტაანის რუსეთის ჯარებისაგან დაცლის მოთხოვნა და კავკასიის ფრონტზე შეტევის დაწყება ნიშნავდა თუ არა ოსმალეთის მხრიდან საზავო მოლაპარაკებაზე უარის თქმას, მაშინ როდესაც ამიერკავკასიის დელეგაცია უკვე ქალაქ ტრაპიზონში იმყოფებოდა. იმავე დღეს ამიერკავკასიის კომისარიატის თავმჯდომარემ **ევგენი გეგეჭკორმა** დეპეშა გაუგზავნა ტრაპიზონის საზავო კონფერენციაზე ამიერკავკასიის დელეგაციის თავმჯდომარეს **აკაკი ჩხენკელს** და ბრესტ-ლიტოვსკში 1918 წლის 3 მარტს დადებული ხელშეკრულების შესახებ აცნობა. ევგენი გეგეჭკორმა აკაკი ჩხენკელს ისიც აცნობა, რომ კარლო ჩხეიძემ ვეჰიბ ფაშას განმარტება მოსთხოვა: შექმნილ ვითარებაში ოსმალეთი აპირებდა თუ არა საზავო მოლაპარაკების დაწყებას.

ვითარება რთული და მოულოდნელობით აღსავსე იყო. ოსმალეთის

არმიის შეტევის შემთხვევაში მისი შემაკავებელი სამხედრო ძალა ამიერკავკასიის კომისარიატს არ გააჩნდა. რუსეთის ჯარის ნარჩენები თავდაცვისათვის სრულიად გამოუსადეგარი იყო, ხოლო ეროვნული სამხედრო ფორმირებები – მოუმზადებელი. 1918 წლის 26 თებერვალს (11 მარტს) 17 საათსა და 33 წუთზე გაიხსნა ამიერკავკასიის სეიმის სხდომა, რომელსაც კარლო ჩხეიძე თავმჯდომარეობდა. სეიმის სხდომაზე ამიერკავკასიის კომისარიატის თავმჯდომარემ ევგენი გეგეჭკორმა განაცხადა: ამიერკავკასიის დელეგაცია ქალაქ ტრაპიზონში 1918 წლის 23 თებერვალს (8 მარტს) საღამოს 8 საათზე ჩავიდა; დელეგაციამ ტრაპიზონში ჩასვლის შესახებ იმავე დღეს დეპუტით აცნობა სტამბოლს; დღემდე ტრაპიზონში მყოფ ამიერკავკასიის დელეგაციას სტამბოლიდან არანაირი პასუხი არ მიუღია, სტამბოლთან კავშირის დამყარება ვერ ხერხდება. ევგენი გეგეჭკორმა აღნიშნა: ასეთ ვითარებაში 1918 წლის 25 თებერვალს (10 მარტს) საღამოს, ვეპიზ ფაშასაგან ამიერკავკასიის კომისარიატმა მიიღო დეპუტები ბათუმის, ყარსისა და არტაანის დაცლისა და ოსმალეთის არმიის შეტევის განახლების შესახებ. ევგენი გეგეჭკორმა სეიმის დელეგატებს გააცნო 1918 წლის 25 თებერვალს (10 მარტს) 22 საათსა და 9 წუთზე ბათუმიდან აკაკი ჩხენკელის მიერ გამოგზავნილი დეპუტა, რომელიც იუწყებოდა: „ადგილობრივი ხელისუფლება აცხადებს: ოსმალეთის დელეგაცია გუშინ სტამბოლიდან გამოვიდა და ტრაპიზონში იქნება ხვალ 26 თებერვალს. უკვე ველოდებით 3 დღეა. როგორ ფიქრობთ თუ ოსმალეთის დელეგაცია არ ჩამოვიდა, კიდევ შეიძლება დაველოდოთ თუ დავბრუნდეთ უკან“. აკაკი ჩხენკელის დეპუტის ნაკითხვის შემდეგ ევგენი გეგეჭკორმა სეიმის წევრებს გააცნო სულ ცოტა ხნის წინ მიღებული გენერალ-ლეიტენანტ ილია ოდიშელიძის დეპუტა, რომელიც სარიყამიშიდან 1918 წლის 26 თებერვალს (11 მარტს) იყო გამოგზავნილი. ილია ოდიშელიძე თბილისს აცნობებდა, რომ მან ვეპიზ ფაშასაგან მიიღო შემდეგი შინაარსის დეპუტა, რომელიც ადასტურებდა, რომ ოსმალეთის დელეგაცია სტამბოლიდან ტრაპიზონში გაემგზავრა.

სეიმის დელეგატებმა საჭიროდ მიიჩნიეს შექმნილი მდგომარეობის შესახებ კავკასიის ფრონტის მთავარსარდალს გენერალ-მაიორ **ევგენი ლებედინსკის** გამოეთქვა აზრი. გენერალმა განაცხადა: ქალაქ ტრაპიზონსა და მის შემოგარენში ბოლო ორი-სამი დღის განმავლობაში ვითარება შეიცვალა, რუსეთის ჯარმა დატოვა სანყობები სადაც სამხედრო საჭურველისა და სურსათის დიდი მარაგია; ოსმალეთის წინადადებით შეიქმნა კომისია, რომელმაც სანყობებს მიუჩინა დაცვა, რათა აღკვეთილიყო ძარცვა და რუსებს საშუალება მისცემოდათ საბრძოლო საჭურველისა და სურსათის

მარაგი გამოეტანათ; სულ ახლახან გაირკვა, რომ ოსმალები რუსებს სანყო-ბებში აღარ უშვებენ; ტრაპიზონში დისლოცირებული რუსეთის არმიის 37-ე დივიზიის ნაწილების გარდა ქალაქში რუსეთიდან ჩავიდა 42-ე დივიზიის ნაწილი, ეს ჯარები, არსებული ცნობების მიხედვით ბოლშევიკების გავლენას არ განიცდიდნენ და ბრძოლისათვის მზად არიან.

ნოე ჟორდანიამ სეიმის სხდომაზე გამოსვლისას განაცხადა: ჩვენ იმ-თავითვე ზავის მომხრე ვიყავით, მაგრამ ოსმალეთის მიერ ამიერკავკასიის ტერიტორიის მიტაცება სასიკვდილო დარტყმა იქნება პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული თვალსაზრისით; ბათუმი საქართველოსათვის იგივეა რაც პეტროგრადი რუსეთისათვის და სმირნა ოსმალეთისათვის; უნდა მივალწიოთ იმას, რომ ოსმალეთთან საპატიო ზავი დავდეთ; ჩვენ გვსურს ოსმალეთთან, ირანთან და სხვა მეზობელ სახელმწიფოებთან მშვიდობიანი და მეგობრული ურთიერთობა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ არ დავიცვათ ჩვენი სასიცოცხლო ინტერესები და ხელი მოვანეროთ სამარცხვინო ზავს.

ცხარე პოლემიკის შემდეგ ამიერკავკასიის სეიმმა კენჭი უყარა და ერთხმად დაამტკიცა რეზოლუციის პროექტი, რომელიც ოსმალეთთან სა-პატიო ზავის დადებას ითვალისწინებდა და დაუშვებლად მიიჩნევდა ბათუ-მის, ყარსისა და არტაანის დათმობას. სეიმის გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ ეცნობა ტრაპიზონში აკაკი ჩხენკელს.

§5. ტრაპიზონის საზავო კონფერენცია.

ამიერკავკასიის სეიმმა ტრაპიზონის საზავო კონფერენციაზე წარსაგ-ზავნი დელეგაცია 1918 წლის 17 თებერვალს (2 მარტს) ასეთი შემადგენ-ლობით დაამტკიცა: **აკაკი ჩხენკელი** (თავმჯდომარე), **გ. აბაშიძე**, **მემედ ჰასან ჯაფარყული გაჯინსკი**, **მ. გაიდაროვი**, **გიორგი გვაზავა**, **რ. კაჩაზნუნი**, **გიორგი ლასხიშვილი**, **მ. მესტივეი**, **ხ. ხას-მამედოვი**, **ალექსანდრე ხატისოვი**, **ა. შეიხ-ულ-ისლამოვი**. დელეგაციის ბათუმიდან ტრაპიზონში გამგზავრება შეეყ-ოვნა 1918 წლის 17 თებერვალს (2 მარტს) ბრესტ-ლიტოვსკიდან ლევ კა-რახანის მიერ გამოგზავნილმა დეპუტატმა, რომელიც იუწყებოდა, რომ უკვე გადაწყვეტილი იყო ბათუმის ყარსისა და არტაანის ოსმალეთისათვის გა-დაცემა. აკაკი ჩხენკელი ელოდა ბრესტ-ლიტოვსკის ზავის დადების შემდეგ ოსმალეთის პოზიციის გარკვევას. 1918 წლის 22 თებერვალს (7 მარტს) ტრაპიზონის გამაგრებული რაიონის უფროსმა გენერალ-მაიორმა **დიმიტრი**

კოლოსოვსკიმ ბათუმში მყოფ დელეგაციას აცნობა, რომ 22 თებერვალს (7 მარტს) ტრაპიზონში ოსმალეთის დელეგაციის ჩასვლას ელოდებოდნენ. ამიერკავკასიის სეიმის დელეგაცია ბათუმიდან ტრაპიზონისაკენ გემით გაემგზავრა, სადაც 1918 წლის 23 თებერვალს (8 მარტს) სალამოს ჩავიდა. 27 თებერვლამდე (12 მარტამდე) ამიერკავკასიის დელეგაცია იმავე გემზე იმყოფებოდა, რომლითაც ბათუმიდან ტრაპიზონში ჩავიდა. ამის მიზეზი ის იყო, რომ ტრაპიზონის ხელისუფლება ამიერკავკასიის სეიმის დელეგაციის გამცილებელი რაზმის (50 კაცი) განიარაღებას ითხოვდა. ოსმალებმა განაცხადეს: ამიერკავკასიის სეიმის დელეგაცია ტრაპიზონში სტუმრად იმყოფება, რათა სამშვიდობო კონფერენციაში მიიღოს მონაწილეობა, რის გამოც არ შეიძლება მას შეიარაღებული რაზმი აცილებდესო. ოსმალების განცხადების საპასუხო განცხადებაში აკაკი ჩხენკელმა აღნიშნა: ტრაპიზონი ამჟერად ნეიტრალური ტერიტორიაა და სამართლებრივი თვალსაზრისით იგი არც რუსეთის და არც ოსმალეთის ტერიტორიად არ ითვლება, რის გამოც ამიერკავკასიის სეიმის დელეგაციას უფლება აქვს გამცილებელი რაზმი ახლდესო. მხარეები ვერ შეთანხმდნენ. ამიერკავკასიის სეიმის დელეგაცია ლოდინს აღარ აპირებდა და ბათუმში დასაბრუნებლად ემზადებოდა. სწორედ ამ დროს სტამბოლიდან ტრაპიზონში ჩავიდა ოსმალეთის დელეგაცია.

1918 წლის 27 თებერვალს (12 მარტს) ტრაპიზონში ერთმანეთს პირველად შეხვდნენ ამიერკავკასიის სეიმისა და ოსმალეთის დელეგაციები. პირველსავე შეხვედრაზე **აკაკი ჩხენკელმა** ოსმალეთის დელეგაციას წერილით მიმართა და სთხოვა განემარტა: კავკასიის ფრონტზე ოსმალეთის ჯარების სარდლის **ვეჰიბ მეჰმედ ფერიკ ფაშას** მოთხოვნა ყარსის, ბათუმისა და არტაანის დაცლის შესახებ ნიშნავდა თუ არა იმას, რომ ოსმალეთი უარს ამბობდა საზავო მოლაპარაკებაზე. ოსმალეთის დელეგაციის თავმჯდომარემ **რაუფ ბეიმ** აკაკი ჩხენკელს წერილობით არ უპასუხა და მხოლოდ ზეპირი პასუხი მოახსენა: ოსმალეთის დელეგაციის ჩასვლა ტრაპიზონში იმის გამომხატულებაა, რომ ოსმალეთს სურს ამიერკავკასიასთან საზავო მოლაპარაკების დაწყება. ოსმალეთის დელეგაციის მეთაური აკაკი ჩხენკელს არწმუნებდა, რომ მან ვეჰიბ ფაშას მოთხოვნის თაობაზე არაფერი იცოდა. 27 თებერვალსვე ამიერკავკასიის სეიმის დელეგაცია მისთვის განკუთვნილ რეზიდენციაში გადავიდა, რაც შეეხება დელეგაციის გამცილებელ რაზმს, იგი ოსმალების მოთხოვნით გემზე დარჩა.

ტრაპიზონის საზავო კონფერენცია 1918 წლის 1 (14) მარტს გაიხსნა. სულ შედგა 6 პლენარული სხდომა და 2 კერძო თათბირი. სამშვიდობო კონ-

ფერენციას თავმჯდომარეობდა ოსმალეთის დელეგაციის თავმჯდომარე რაუფ ბეი. ამიერკავკასიის სეიმის დელეგაცია იმ აზრზე დარჩა, რომ ქალაქი ტრაპიზონი ნეიტრალური ტერიტორია იყო. ამასთან ერთად, რადგან საზავო კონფერენცია ნეიტრალურ ტერიტორიაზე მიმდინარეობდა, საზავო კონფერენციის თავმჯდომარეები მორიგეობით უნდა ყოფილიყვნენ რაუფ ბეი და აკაკი ჩხენკელი. ოსმალებმა ეს წინადადება არ მიიღეს და ამიერკავკასიის სეიმის დელეგაციამაც საკითხი აღარ გაამწვავა. ამიტომ იყო, რომ კონფერენციის ყველა სხდომას რაუფ ბეი თავმჯდომარეობდა.

ტრაპიზონის საზავო კონფერენციის ოფიციალურ გახსნამდე დელეგაციის თავმჯდომარეებმა ნახევრად ოფიციალური საუბარი გამართეს. ამ საუბრის შედეგად გაირკვა, რომ ოსმალეთს ამიერკავკასიასთან „მეგობრული და ხანგრძლივი ზავის“ დადება სურდა. ოსმალეთის დელეგაციის თავმჯდომარე აცხადებდა, რომ ტრაპიზონში დელეგაციის ჩამოსვლის მიზანი „მუდმივი ზავის“ დადება იყო. როგორც შემდეგ გაირკვა ასეთი ზავის დადების რწმუნება ოსმალეთის დელეგაციას არ გააჩნდა და როგორც დელეგაციის თავმჯდომარემ რაუფ ბეიმ აღნიშნა ტრაპიზონის მოლაპარაკებების მიზანს ამიერკავკასიასთან კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარება წარმოადგენდა, რაც შეეხება ზავს რაუფ ბეი ამაზე არაფერს ამბობდა, სიტყვა „ზავიც“ კი არ უხსენებია.

საზავო კონფერენციის მეორე პრელანურულ სხდომაზე ამიერკავკასიის დელეგაციამ წარადგინა დეკლარაცია, რომელიც შემდეგი პუნქტებისაგან შედგებოდა:

1. 1917 წლის ოქტომბრის ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ ამიერკავკასიაში შეიქმნა დამოუკიდებელი მთავრობა (იგულისხმებოდა ამიერკავკასიის კომისარიატი – ვ. გ.), რომელიც პასუხისმგებელია ამიერკავკასიის სეიმის წინაშე;

2. ამიერკავკასია ფაქტობრივად უკვე წარმოადგენს სახელმწიფოს, რომელიც ჩაერთო საერთაშორისო ურთიერთობებში და პროტესტი განაცხადა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების დადების გამო;

3. ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულება დაიდო ამიერკავკასიასთან შეთანხმების გარეშე, რომელსაც, მართალია, ჯერ არ მოუხდენია თავისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დეკლარაცია.

ოსმალეთის დელეგაცია არ დააკმაყოფილა ამიერკავკასიის სეიმის დეკლარაციამ და საზავო კონფერენციის მესამე პლენარულ სხდომაზე ოსმალებმა საპასუხო დეკლარაცია წარმოადგინეს. დეკლარაცია შემდეგი შინაარსისა იყო:

1. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ორ სახელმწიფოს შორის დადებული ხელშეკრულება არ უნდა ეხებოდეს მესამე სახელმწიფოს. საერთაშორისო ურთიერთობებში მიღებული და საყოველთაოდ აღიარებული ამ ნორმით ამიერკავკასია ვერ ისარგებლებს, რადგან მისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა მსოფლიო სახელმწიფოების მიერ არ არის აღიარებული;

2. შეიძლება ამიერკავკასიის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა მომავალში ცნონ მსოფლიოს სახელმწიფოებმა, მაგრამ ამ ცნობას უკუქმედების ძალა არ ექნება და იგი 1918 წლის 3 მარტის ბრესტ-ლიტოვსკის ზავის პირობების ანუღიარებისათვის ვერ გამოდგება;

3. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ოსმალეთის დელეგაცია მიუღებლად მიიჩნევდა ამიერკავკასიის დელეგაციის მოთხოვნას, რომელიც ბრესტ-ლიტოვსკის საზავო მოლაპარაკების მეოთხე მუხლის გაუქმებას მოითხოვდა;

4. ამიერკავკასიისა და ოსმალეთის მომავალი ურთიერთობა ბრესტ-ლიტოვსკის 1918 წლის 3 მარტის საზავო ხელშეკრულების მეოთხე მუხლის საფუძველზე უნდა წარმართულიყო და ეს მუხლი უნდა დადებოდა საფუძველად ამიერკავკასია-ოსმალეთის საზღვრის დადგენას, ასევე ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულებით ოსმალეთისათვის მიკუთვნებულ ტერიტორიაზე (ბათუმი, ყარსი, არტაანი) მცხოვრები ხალხების სახელმწიფო ენის დადგენას და სარწმუნოებრივი პოლიტიკის განსაზღვრას.

საზავო კონფერენციის მეოთხე პლენარულ სხდომაზე ამიერკავკასიის სეიმის დელეგაციამ პრინციპულად არ გაიზიარა ოსმალეთის დელეგაციის მიერ მესამე სხდომაზე წარდგენილი დეკლარაცია და თავისი პოზიცია ასე დაასაბუთა:

1. ბრესტ-ლიტოვსკის 1918 წლის 3 მარტის საზავო ხელშეკრულების დადებამდე ოსმალეთმა თვითონ გამოიჩინა ინიციატივა და კავკასიის ფრონტის სარდლობას და ამიერკავკასიის კომისარიატს ზავის დადების თაობაზე წინადადებით მიმართა;

2. ოსმალეთისა და ამიერკავკასიის საზავო კონფერენცია, რომლის ჩატარების ადგილად ჯერ თბილისი იყო ნავარაუდები, ხოლო საბოლოოდ ქალაქი ტრაპიზონი შეირჩა, ბრესტ-ლიტოვსკის ზავის დადებამდე დაიგეგმა;

3. ამიერკავკასიის კომისარიატმა და ამიერკავკასიის სეიმმა ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ საზავო კონფერენცია საერთაშორისო ურთიერთობებში მიღებული ნორმების დაცვით ჩატარებულიყო;

4. ტრაპიზონის საზავო კონფერენციაზე შეიძლებოდა განხილულიყო

ყველა საკითხი, რაც კი მხარეებს აინტერესებდათ, მაგრამ არ შეიძლებოდა ამიერკავკასიისათვის თავს მოეხვიათ ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების მეოთხე მუხლი.

ოსმალეთის დელეგაციამ ამიერკავკასიის სეიმის დელეგაციას იმავე სხდომაზე უპასუხა. პასუხი წერილობით იყო წარმოდგენილი:

1. ჯერ კიდევ სახელმწიფოდ ჩამოუყალიბებელი და მსოფლიო სახელმწიფოთა მხრიდან არალიარებული ამიერკავკასიის პროტესტს, ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების მიმართ, რომელიც უკვე საერთაშორისო მნიშვნელობის აქტია, სამართლებრივი ძალა არა აქვს;

2. არანაირი მნიშვნელობა არა აქვს როდის გამოთქვამდა ამიერკავკასია პროტესტს, ბრესტ-ლიტოვსკის ზავის დადებამდე თუ ზავის დადების შემდეგ, რადგან არც ზავის დადებამდე და არც ზავის დადების შემდეგ ამიერკავკასია დამოუკიდებელ სახელმწიფოს არ წარმოადგენდა;

3. ტრაპიზონში მიმდინარე საზავო მოლაპარაკება ვერ გადანყვეტს სახელმწიფოთა შორის ურთიერთობას, რადგან ამიერკავკასია ჯერ დამოუკიდებელ სახელმწიფოს არ წარმოადგენს. კონფერენციამ შეიძლება მხოლოდ გადანყვიტოს ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების მეოთხე მუხლიდან გამომდინარე საკითხები (იგულისხმებოდა ყარსის, არტანისა და ბათუმის ტერიტორიების სახელმწიფოებრივი მოწყობა – ვ. გ.).

საზავო კონფერენციის მეხუთე პლენარულ სხდომაზე ამიერკავკასიის სეიმის დელეგაციამ ოსმალეთის დელეგაციას გააცნო ამიერკავკასიის სეიმის 1918 წლის 16 თებერვლის (1 მარტის) ოთხპუნქტიანი დადგენილება ოსმალეთთან დასადები საზავო ხელშეკრულების შესახებ. როგორ ზემოთ აღვნიშნეთ, ამ დადგენილების მეოთხე პუნქტი ითვალისწინებდა ოსმალეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში, ანატოლიის ტერიტორიაზე (ე. წ. ოსმალეთის სომხეთში) სომეხთა ავტონომიის შექმნას. ამ საკითხის დაყენებამ ოსმალეები გააცოფა. დელეგაციამ წარმოუდგენლად მიიჩნია სომეხთა ავტონომიის შექმნა და ამ საკითხის დაყენება ოსმალეთის საშინაო საქმეებში უხეშ ჩარევად მიიჩნია.

საზავო კონფერენციის მეხუთე პლენარულ სხდომის შემდეგ ამიერკავკასიის სეიმის დელეგაციის წევრების ნაწილი თბილისში გამოემგზავრა საზავო მოლაპარაკების მიმდინარეობის თაობაზე სეიმისათვის ანგარიშის წარსადგენად. დელეგაციის ანგარიშის მოსმენის შემდეგ სეიმმა აკაკი ჩხენკელი საგანგებო უფლებებით აღჭურვა. საზავო კონფერენციის მეექვსე და უკანასკნელ სხდომაზე ამიერკავკასიის სეიმის დელეგაციამ ოსმალეთის დელეგაციას თანხმობა განუცხადა ოლთისის ოკრუგის, არტანის ოკრუგის

სამხრეთ ნაწილის, ყარსის ოკრუგის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილის, ყალიზმანის ოკრუგის დასავლეთ ნაწილის გადაცემაზე. ამასთან ერთად ამიერკავკასიის დელეგაციამ მოითხოვა ოსმალეთის ტერიტორიაზე მცხოვრები სომხების საკითხის იმ ფორმით დაყენება, რომელსაც მიუღებლად არ ჩათვლიდა ოსმალეთის მხარე. ამიერკავკასიის სეიმის დელეგაციის მხრიდან ოსმალეთის ტერიტორიული პრეტენზიების ნაწილობრივ დაკმაყოფილების შემდეგ ოსმალეთის დელეგაციის თავმჯდომარემ შესვენების გამოცხადება მოითხოვა, რაც გაპირობებული იყო შემდგომი სამოქმედო ინსტრუქციის მისაღებად დელეგაციის სტამბოლში გამგზავრების აუცილებლობით. 1918 წლის 24 მარტს (6 აპრილს), სალამოს 7 საათზე, ამიერკავკასიის სეიმის დელეგაციამ ოსმალეთის მთავრობისაგან ულტიმატუმი მიიღო. ამიერკავკასიას 48 საათის განმავლობაში უნდა ეპასუხა კითხვაზე: შეასრულებდა თუ არა 1918 წლის 3 მარტის ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების მეოთხე მუხლს. მეორე დღეს, 1918 წლის 25 მარტს (7 აპრილს) აკაკი ჩხენკელმა ოსმალეთის ულტიმატუმის შესახებ ტელეგრაფით შეატყობინა თბილისს. აკაკი ჩხენკელი მიიჩნევდა, რომ ტერიტორიული დათმობები გარდაუვალი იყო. 26 მარტს (8 აპრილს) აკაკი ჩხენკელმა ამიერკავკასიის კომისარიატისაგან ოსმალეთისათვის მაქსიმალური ტერიტორიული დათმობების უფლებამოსილება მიიღო. 26 მარტს (8 აპრილს) აკაკი ჩხენკელმა თბილისს აცნობა, რომ ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების მეოთხე მუხლის ცნობა გარდაუვალი იყო. 28 მარტს (10 აპრილს) 21 საათისათვის აკაკი ჩხენკელს თბილისიდან პასუხი მიღებული არ ჰქონდა. ამ დროისათვის ულტიმატუმის ვადა, რომელიც ოსმალებმა კიდევ 48 საათით გააგრძელეს ინურებოდა. ცხადი იყო, რომ ოსმალები ულტიმატუმის ვადის მეორედ გაგრძელებას აღარ დათანხმდებოდნენ. აკაკი ჩხენკელი დელეგაციის წევრებს მოელაპარაკა, რის შემდეგაც ოსმალეთის დელეგაციის თავმჯდომარეს რაუფ ბეის აცნობა, რომ ამიერკავკასიის სეიმის დელეგაცია ბრესტ-ლიტოვსკის 1918 წლის 3 მარტის საზავო ხელშეკრულების მეოთხე მუხლის მიღებაზე თანახმა იყო. 31 მარტს (13 აპრილს) რაუფ ბეიმ აკაკი ჩხენკელს ოსმალეთის მთავრობის სახელით აცნობა: ოსმალეთსა და ამიერკავკასიას შორის „მეგობრობის ხელშეკრულების“ დადებისათვის აუცილებელი იყო ამიერკავკასიის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დეკლარირება, ანუ ამიერკავკასიის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადება. ასეთ ვითარებაში, 1918 წლის 1 (14) აპრილს ამიერკავკასიის კომისარიატმა დელეგაცია თბილისში გაიხმო. აკაკი ჩხენკელმა ოსმალეთის დელეგაციის მეთაურს განუცხადა: სეიმის მიერ დელეგაციის თბილისში

გახმოვა მოლაპარაკებაზე უარის თქმას არ ნიშნავდა და იგი ოსმალეთის მხარეს პროტესტად არ უნდა ჩაეთვალა.

1918 წლის 31 მარტს (13 აპრილს) ამიერკავკასიის სეიმმა მოწოდებით მიმართა ამიერკავკასიის ხალხებს, რომელშიც აღნიშნული იყო:

„თქვენთვის ცნობილია თუ რა მოთხოვნები წამოგვიყენა ჩვენ ოსმალეთის მთავრობამ.

ჩვენგან ითხოვდნენ ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების ცნობას, ხელშეკრულებისას რომელიც ამიერკავკასიის ხალხების ნების გარეშე დაიდო, ითხოვდნენ იმ ხელშეკრულების ცნობას, რომელსაც ამჟამად რუსეთში არავინ არ ცნობს, ვისთვისაც კი თავისუფლება და სამშობლოს ღირსება ძვირფასია.

ჩვენგან ითხოვდნენ ჩვენი საუკეთესო სიმაგრის – ყარსისა და ჩვენი საუკეთესო პორტის – ბათუმის ჩაბარებას.

ჩვენგან ითხოვდნენ სამი ოლქის – ყარსის, არტაანისა და ბათუმის დაცლას.

ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ იმისათვის, რომ ოსმალეთის მთავრობას მშვიდობიანი გზით, მოლაპარაკების გზით, უარი ეთქვა ამ პრეტენზიებზე. მშვიდობის შენარჩუნების მიზნით ჩვენ წავედით უდიდეს მსხვერპლსა და დათმობებზე. ჩვენ განვუცხადეთ ოსმალეთს, რომ ყველაფერი დაგვეთმო მისთვის, მაგრამ არ შეგვეძლო უარი გვეთქვა ბათუმზე, შავ ზღვაზე ჩვენ ერთადერთ გასასვლელზე, ერთადერთ გზაზე კულტურულ ევროპასთან ურთიერთობისათვის. სადაო საკითხების მშვიდობიანი გზით გადაწყვეტის მთელი ჩვენი მცდელობა ოსმალთა სიჯიუტის გამო ჩაიშალა.

ოსმალეთი კვლავ პირვანდელ მოთხოვნებს აყენებს. ამ მოთხოვნების მიზანია ამიერკავკასიის გარე სამყაროსგან მოწყვეტა, მისი მოხრჩობა და დამონება. ამ მიზნით ოსმალეთის ჯარი შეტევაზე გადმოვიდა, რომლის შეჩერება მხოლოდ იარაღის ძალით შეიძლება.

ჩვენს წინაშე დგას საკითხი: გავაგრძელოთ თუ არა მოლაპარაკება ოსმალეთთან, როცა მისი ძალები ჩვენი ქვეყნის სიღრმეში შემოიჭრნენ, თუ შევწყვიტოთ მოლაპარაკება და ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის დაცვა იარაღს მივანდოთ?“

ამიერკავკასიის სეიმმა ხალხს ომისაკენ მოუწოდა და თავისი პოზიცია ასე განმარტა: სამარცხვინო მონობას ბრძოლაში დალუპვა ჯობსო.

ომი ოსმალეთთან რეალობად იქცა. საქართველო უმძიმეს სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებაში აღმოჩნდა.

წმ. ოსმალეთის მიერ აჭარისა და სამცხე-ჯავახეთის ოკუპაცია.

1. აჭარის ოკუპაცია. ამიერკავკასიის კომისარიატი ოსმალეთთან ბრძოლისათვის მზად არ იყო. ახლად შექმნილი ეროვნული ფორმირებები რიცხოვნობივად მცირე იყო და არც ბრძოლისათვის იყო მზად. ოსმალეთი კი ომისათვის დიდხანს და საგულდაგულოდ ემზადებოდა.

ოსმალეთის სამხედრო-სტრატეგიულ გეგმებში ერთ-ერთი მთავარი ბათუმის მიმართულება იყო. ბათუმის გამაგრებული რაიონი თავისი ფორტებით (ანარია, სამება, კახაბერი, ერგე, ბარცხანა, სტეფანოვკა, ბურუნ-თაბიე, ჰამიდიე და სხვ.) ქმნიდა თავდაცვის სამ ხაზს და მთლიანობაში წარმოადგენდა ერთიან გამაგრებულ რაიონს. სამხედრო სპეციალისტების დასკვნით, ბათუმის გამაგრებული რაიონი უნარიანი სარდლობის, მხედრული დისციპლინის, სამხედრო საჭურვლის, მედიკამენტებისა და სურსათით უზრუნველყოფის პირობებში ექვსი თვის განმავლობაში უზრუნველყოფდა ქალაქის დაცვას. მიუხედავად ამისა ოსმალებმა ბათუმის გამაგრებული რაიონი შედარებით ხანმოკლე ბრძოლების შედეგად დაიკავეს, რაც ორხელისუფლიანობით იყო გამოწვეული. ნოე რამიშვილი ბათუმის გამაგრებული რაიონის გაზრდას ითხოვდა, ევგენი გეგეჭკორი სამიტრედიიდან ბათუმისაკენ მოხალისეთა ახალ-ახალ რაზმებს აგზავნიდა. გამაგრებული რაიონის სარდლობა კი მიიჩნევდა, რომ გარნიზონის გაზრდა საჭირო აღარ იყო, უფრო მეტიც, თავდაცვითი ბრძოლებისათვის 12.000 მეტრძოლიც კი ზედმეტი იყო. სამხედროები დაჟინებით მოითხოვდნენ, რომ რეზერვისათვის ჩაქვის რაიონისათვის მოეყარათ თავი, რათა ოსმალებს ბათუმისათვის ჩრდილოეთის მხრიდან არ შემოეველოთ. ამის აუცილებლობაში ბოლოს ნოე რამიშვილი და ევგენი გეგეჭკორიც დარწმუნდნენ, მაგრამ უკვე დაგვიანებული იყო.

აჭარისა და სამცხე-ჯავახეთის დაკავების მიზნით ოსმალების მიერ დაწყებული საბრძოლო მოქმედებების ქრონიკა ასეთი იყო:

1918 წლის 27 მარტი (9 აპრილი), 14 საათი – შავი ზღვის სანაპიროზე, მდინარე **ჭოროხის** შესართავთან სროლა მიმდინარეობდა. **ბათუმიდან** აღმოსავლეთით მდებარე სიმაღლეები თვითნებურად დატოვა გარნიზონმა, რომელიც დაუყონებლივ დაიკავეს ოსმალებმა. სიმაღლეების დაბრუნების ყველა ცდა წარუმატებლად დამთავრდა. **ჩაქვის** რაიონში ოსმალთა შემოტევა მოგერიებულ იქნა. **26-27 მარტს** ღამით დაუდგენელმა პირებმა მწვანე კონცხთან რკინიგზის ხაზი აყარეს.

1918 წლის 28 მარტი (10 აპრილი), 12 საათი – შავი ზღვის სანაპიროზე რამდენიმე ადგილას სროლა ისმოდა. ოსმალების მიერ ზღვიდან ხმელეთზე გადმოსხდომის მცდელობა აღიკვეთა სამხედრო კრეისერის არტილერიისა და სანაპიროს არტილერიის ერთობლივი მოქმედებით. ზღვის სანაპიროზე, სოფელ **მაკრიალთან**, მდგარ სამხედრო კრეისერს ოსმალებმა ცეცხლი გაუხსნეს. **სარიყამიშთან** და **ყარსის** ჩრდილო-აღმოსავლეთით შეტევა განხორციელდა ქურთთა რაზმებზე, რომლებიც ძარცვით იყვნენ დაკავებული. **სარიყამიშთან** შეტევაზე გადმოსული ოსმალები ძლიერ წინააღმდეგობას ნააწყენდნენ, **ყალიზმანის** გზაზე მიმავალი ქურთი მძარცველების რაზმები უკუგდებულ იქნენ.

1918 წლის 29 მარტი (11 აპრილი), 12 საათი – **ჭოროხის შესართავთან** და **ჩაქვი-ქობულეთის** ხაზზე სროლები მიმდინარეობდა. ოსმალებმა **ბათუმის** სანაპირო სიმაგრეები დაბომბეს. იმავდროულად **ერგეს მთიდან** ქალაქს ცეცხლი გაუხსნა ოსმალეთის არტილერიამ.

1918 წლის 30 მარტი (12 აპრილი), 12 საათი – 29 მარტს, 18 საათზე, ტრაპიზონიდან ვეჭიბ ფაშამ **მიხაილოვსკის** სიმაგრის კომენდანტს დანებება მოთხოვა, ოსმალების მოთხოვნა შესრულდა. 28 მარტს 19 საათზე **სარიყამიშის** მიმართულებით შეტევაზე გადმოვიდა 150-200 ოსმალო ცხენოსანი და ქვეითი, შეტევა უკუგდებულ იქნა.

1918 წლის 31 მარტი (13 აპრილი), 12 საათი – ფრონტებზე რაიმე მნიშვნელოვანი ბრძოლები არ მიმდინარეობდა.

1918 წლის 26 მარტიდან (8 აპრილიდან) ბათუმი ფაქტობრივად ალყაში მოექცა. რკინიგზითა და ავტომაგისტრალით სამტრედიისაკენ მოძრაობა სახიფათო გახდა. ბათუმის გამაგრებული რაიონი უიმედო მდგომარეობაში აღმოჩნდა მას შემდეგ, რაც 28 მარტს (10 აპრილს) ბათუმიდან საფლავმანო კრეისერი „კაროლ კარლი“ და სამხედრო გემების დიდი ნაწილი გაიპარა.

ბათუმში თავდაცვის გაუმჯობესების მიზნით თბილისიდან სხვადასხვა დროს ჩავიდნენ **ევგენი გეგეჭკორი**, **ვალიკო ჯუღელი**, **ნოე ჟორდანი**, **ნოე რამიშვილი**, **ვლასა მგელაძე** და ეროვნული საბჭოს სხვა წევრები.

ბათუმის დასაკავებლად ოსმალეთის სარდლობამ დაახლოებით 4.000 ოფიცერსა და ჯარისკაცს მოუყარა თავი. რეგულარულ ჯარს მხარს უჭერდა რამდენიმე ათასი მოლაშქრე (“ჩეტნიკი”). ეს სამხედრო ძალა ბათუმისათვის დიდ საშიშროებას არ წარმოადგენდა, რომ არა სამხედროების მიერ ფრონტების გამაგრების პროცესში დაშვებული შეცდომები. 1918 წლის 28 მარტს (10 აპრილს) ტრაპიზონში მიმდინარე საზავო კონფერენციაზე ამიერკავკასიის დელეგაციამ ბრესტ-ლიტოვსკის ზავის პირობები ცნო. 29

მარტს (11 აპრილს) **ფერიკ ვეჰიბ მეჰმედ ფაშას** მიერ გამოგზავნილმა ოსმალო ოფიცერმა ბათუმის გამაგრებული რაიონის კომენდანტს ულტიმატუმი გადასცა. ოსმალები 48 საათის განმავლობაში ბათუმის დაცლას, ქალაქიდან ჯარების გაყვანას და 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომამდე არსებული საზღვრის აღდგენას ითხოვდნენ.

1918 წლის 31 მარტს (13 აპრილს) ოსმალებმა ბათუმის გამაგრებული რაიონის დაკავების მიზნით დიდი შეტევა დაიწყეს. ოსმალები სამი მხრიდან უტევენ. 1 (14) აპრილს, დღის 11 საათიდან სამხედრო-სტრატეგიული ვითარება გაუარესდა. ქართულმა ჯარმა სარდლობის ბრძანების გარეშე უბრძოლველად მიატოვეს კახაბრისა და ანარიის ფორტები. უკანდახეული ქართული ჯარი ბათუმს მოაწყდა. 1918 წლის 31 მარტს (13 აპრილს), **D** შუადღისას, ფრონტის ხაზმა ბათუმის რკინიგზის საბარგო სადგურთან და მენავთობეთა დასახლებაში გადმოინაცვლა. დაიწყო სამოქალაქო მოსახლეობისა და ჯარების პანიკური ევაკუაცია. შექმნილ ვითარებაში ბათუმის თავდაცვის შტაბში გადაწყდა ნავსადგურიდან სასწრაფოდ გაეყვანათ ყველა მცურავი საშუალება, ბარჟები და ამწები. უკანასკნელი კატარღით ბათუმი დატოვეს ნოე რამიშვილმა, ქალაქის სათათბიროს თავმჯდომარე ბულგაკოვმა და გენერალმა მდივანმა. 1918 წლის 1 (14) აპრილს ოსმალებმა ბათუმი მთლიანად დაიკავეს.

ოსმალეთის სარდლობამ ბათუმში გადმოსხა და შემდეგ ქობულეთში გადაიყვანა გალიპოლის დივიზია 7.000 ოფიცრისა და ჯარისკაცის შემადგენლობით.

ოსმალეთის ჯარების შეტევა ბათუმის დაკავების შემდეგაც გრძელდებოდა. 1918 წლის 4 (17) აპრილს ოსმალებმა **ქობულეთი** დაიკავეს, ხოლო 8 (21) აპრილს **ოზურგეთის მაზრის** ტერიტორიაზე შეიჭრნენ. 5 (18) აპრილს აბასთუმნელ თათართა რაზმმა (800 მეზრძოლი) იმერეთიდან სამცხე-ჯავახეთში გადასასვლელი **ზეკარის უღელტეხილი** დაიკავა.

1918 წლის 9 (22) აპრილს ვეჰიბ ფაშამ აკაკი ჩხენკელს აცნობა, რომ ოსმალეთის ჯარების მიერ საბრძოლო მოქმედებების განახლება გამონეული იყო ტრაპიზონის საზავო მოლაპარაკებების ჩაშლით. ვეჰიბ ფაშა საზავო მოლაპარაკებების გაგრძელებას და ზავის დადებას ამიერკავკასიის პოზიციას უკავშირებდა და აკაკი ჩხენკელს ურჩევდა საზავო კონფერენციის ჩაშლის შემდეგ შექმნილ ვითარებაში კარგად გარკვეულიყო. ვეჰიბ ფაშა აკაკი ჩხენკელისაგან ითხოვდა:

1. უმოკლეს ვადაში ეცნობებინა თანახმა იყო თუ არა ამიერკავკასია ოსმალეთთან საზავო მოლაპარაკებების გაგრძელებაზე და მზად იყო თუ არა

საზავო მოლაპარაკებაზე დელეგაციის გაგზავნისათვის;

2. მზად იყო თუ არა ამიერკავკასია სამხედრო ძალისაგან დაეცალა ის ტერიტორია, რომელიც ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულებით ოსმალეთს გადაეცა.

როგორც ვხედავთ ოსმალეთი უკან არ იხევდა და პრინციპულად ითხოვდა 1918 წლის 3 მარტის ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების უპირობოდ შესრულებას.

2. სამცხე-ჯავახეთის ოკუპაცია. 1917 წლის 25 ოქტომბრის კონტრრევოლუციური სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ სამცხე ჯავახეთის მუსლიმი ბეიების ინიციატივით ისლამის აღმსარებელმა მოსახლეობამ შეიარაღებული რაზმების შექმნა დაიწყო. მუსლიმთა რაზმებმა უნდობლობა გამოუცხადეს ამიერკავკასიის კომისარიატს და 1917 წლის 27 დეკემბერს ალყა შემოარტყეს **ახალციხეს**. მოალყეები იარაღის საწყობებისა და ჯარის ყაზარმების გადაცემას ითხოვდნენ. აჯანყებულ მუსლიმთა ერთ-ერთი მეთაური ბახში ბეი მაჩაბელი ახალციხის მაზრის კომისარს შალვა მალლაკელიძეს სომეხთა ხოცვა-ჟლეტის მოწყობის აუცილებლობაში არწმუნებდა. 1918 წლის თებერვალში აჯანყებულებმა ახალციხეს ალყა მოხსნეს, თუმცა ტრაპიზონის საზავო კონფერენციის შეწყვეტისა და ოსმალეთის არმიის შეტევის დანებების შემდეგ ისინი კვლავ აჯანყდნენ. უმძიმესი მდგომარეობა შეიქმნა არტაანის, ერუშეთის, შავშეთისა და ფოცხოვის რაიონებში, სადაც მუსლიმმა ბეიებმა ადგილობრივი მოსახლეობა მასიურად ჩააბეს აჯანყებაში. 1918 წლის 26 აპრილს აჯანყებულებმა კვლავ შემოარტყეს ალყა ახალციხეს. ქართული ჯარი გენერალ აბელ (ბალო) მაყაშვილის (1860-1920) მეთაურობით მედგრად იცავდა ახალციხის მაზრასა და ქალაქ ახალციხეს. 1918 წლის 26 მაისს ახალციხის დამცველი ქართული ჯარი და ადგილობრივი ქართველობა ალყაშემორტყმულ ქალაქში შეხვდა. მათ დამოუკიდებლობის გამოცხადების შესახებ რამდენიმე დღის დაგვიანებით შეიტყვეს. 1918 წლის 4 ივნისს საქართველო-ოსმალეთის ბათუმის ზავის თანახმად, მთელი სამცხე ჯავახეთი გარდა აწყურისა და აბასთუმნისა, ოსმალეთის ხელში გადავიდა. ქართულმა ჯარმა ახალციხე დატოვა.

**თავი IV. საქართველოს სახელმწიფოებრივი
დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისს**

**§1. ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადება.
ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული
რესპუბლიკის შექმნა**

ტრაპიზონის საზავო კონფერენციაზე ოსმალეთის დელეგაციამ მრავალგზის მიაქცია ყურადღება იმ ფაქტს, რომ ბრესტ-ლიტოვსკში ხელშემკვერელი მხარეები დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფოები იყვნენ და სახელმწიფოებრიობის არმქონე ამიერკავკასიის პროტესტს სამართლებრივი ძალა არც 1918 წლის 3 მარტამდე და არც შემდეგ არ ექნებოდა. დღის წესრიგში დადგა ამიერკავკასიის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადება.

1918 წლის 9 (22) აპრილს 8 საათსა და 55 წუთზე კარლო ჩხეიძის თავმჯდომარეობით გაიხსნა ამიერკავკასიის სეიმის სხდომა. ხანგრძლივი განხილვის შემდეგ სეიმმა დაადგინა: შეიქმნას დამოუკიდებელი სახელმწიფო – **ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა**. იმავე დღეს სეიმმა მოისმინა ტრაპიზონის საზავო კონფერენციაზე წარგზავნილი დელეგაციის ანგარიში და ოსმალეთთან საზავო მოლაპარაკების გაგრძელების გადაწყვეტილება მიიღო.

1918 წლის 10 (23) აპრილს აკაკი ჩხენკელმა კავკასიის ფრონტზე ოსმალეთის ჯარების, სარდალს ვეჰიბ მეჰმედ ფერიკ ფაშას, დეპუტით აცნობა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადების თაობაზე. აკაკი ჩხენკელი ვეჰიბ ფაშას სთხოვდა ოსმალეთის ჯარები იმ ტერიტორიებიდან გაეყვანა, რომელიც ბრესტ-ლიტოვსკის ზავით ოსმალეთს არ ეკუთვნოდა. იმავე დღეს 10 (23) აპრილს კავკასიის არმიის სარდალმა გენერალ-ლეიტენანტმა **ილია ოდიშელიძემ** საბრძოლო მოქმედებების შეჩერების თაობაზე ბრძანება გასცა. იმავე დღეს ილია ოდიშელიძემ ვეჰიბ ფაშას წინადადება მისცა ოსმალეთის ჯარებსაც შეეწყვიტათ საბრძოლო მოქმედებები. 1918 წლის 11 (24) აპრილს ვეჰიბ ფაშამ აკაკი ჩხენკელს აცნობა:

1. ოსმალეთის ჯარები შეტევას შეაჩერებდნენ, თუკი მონინალმდევე აგრესიულ მოქმედებებს არ გააგრძელებდა;

2. ყარსის მიმართულებით ოსმალეთის ჯარები შეტევას შეწყვეტდნენ მხოლოდ მას შემდეგ, რაც 2 კილომეტრზე მიუახლოვდებოდნენ ციტადელს

და ყარსის გარნიზონს ციხესიმაგრის დაცვის საშუალებას მისცემდნენ;

3. აუცილებელი იყო ამიერკავკასიისა და ოსმალეთის დელეგაციების შეხვედრა ქალაქ ტრაპიზონში, რათა უმოკლეს ვადაში დადებულიყო ორივე მხარისათვის მისაღები ზავი.

1918 წლის 13 (26) აპრილს 17 საათსა და 20 წუთზე კარლო ჩხეიძის თავმჯდომარეობით გაიხსნა ამიერკავკასიის სეიმის სხდომა. სეიმმა დაამტკიცა ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა შემდეგი შემადგენლობით:

1. **აკაკი ჩხენკელი** – მთავრობის თავმჯდომარე და საგარეო საქმეთა მინისტრი;

2. **ნოე რამიშვილი** – შინაგან საქმეთა მინისტრი;

3. **ალექსანდრე ხატისოვი** – ფინანსთა მინისტრი;

4. **ხუდადათ ბეი მელიქ-ასლანოვი** – გზათა მინისტრი;

5. **ფათალი ხან ხოსიკი** – იუსტიციის მინისტრი;

6. **გრიგოლ გიორგაძე** – სამხედრო მინისტრი;

7. **ნოე ხომერიკი** – მიწათმოქმედების მინისტრი;

8. **ნ.-ბ. უსუბუეკოვი** – სახალხო განათლების მინისტრი;

მე9. **მემედ ჰასან ჯაფარყული გაჯინსკი** – ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრი;

10. **ა. ი. სააკიანი** – სურსათის მინისტრი;

11. **რ. ი. კაჩაზნუნი** – სახელმწიფო მზრუნველობის მინისტრი;

12. **ა. ა. ერზინკიანი** – შრომის მინისტრი;

13. **ი.-ბ. ჰაიდაროვი** – სახელმწიფო კონტროლიორი.

ახალგამოცხადებულ ამიერკავკასიის დამოუკიდებელ სახელმწიფოს ბევრი უმძიმესი პრობლემა ჰქონდა გადასაჭრელი, რომელთა შორის უპირველესი ოსმალეთთან მომავალი საზავო მოლაპარაკება იყო.

ტრაპიზონის საზავო კონფერენციის შეწყვეტის შემდეგ სამხედრო-პოლიტიკური ვითარება სამხრეთ კავკასიაში უკიდურესად დაიძაბა. 1918 წლის 11 (24) აპრილს კავკასიის ფრონტის მთავარსარდალმა გენერალ-მაიორმა ევგენი ლევანდოვსკიმ ამიერკავკასიის კომისარიატს მოახსენა: „ამ დროისათვის ყარსის მდგომარეობა უიმედოა და მისი საათები დათვლილია“. ლევანდოვსკის მოხსენების შემდეგ ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის სამხედრო მინისტრი გრიგოლ გიორგაძე ესაუბრა კავკასიის არმიის სარდალს, გენერალ-ლეიტენანტ ილია ოდიშელიძეს. შექმნილი ვითარების ანალიზის შემდეგ გადაწყდა: **ყარსის** გამაგრებულ რაიონში საბრძოლო მოქმედებები შეეწყვიტათ და ოსმალეთის სარდ-

ლობის პირობები მიეღოთ. იმავდროულად გადაწყდა **ალექსანდროპოლის (გიუმრის)** გარნიზონს სიმაგრე დაეტოვებინა და ქვეყნის სიღრმეში დაეხია.

§2. საქართველოს კონსტიტუციის პროექტის განხილვა. პოლემიკა ამიერკავკასიის სამოკავშირეო სახელმწიფოს პერსპექტივის შესახებ

ამიერკავკასიის ახლადშექმნილი სამოკავშირეო სახელმწიფოს მესვეურები ერთ-ერთ უპირველეს ამოცანად თვლიდნენ კონსტიტუციის შემუშავებას. გადაწყდა, უნდა შემუშავებულიყო საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის კონსტიტუციები და ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის კონსტიტუცია. 1918 წლის 2 მაისს საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა დაამტკიცა ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის საკონსტიტუციო კომისიის ქართველი წევრები. სულ ამიერკავკასიის საკონსტიტუციო კომისიაში უნდა აერჩიათ 24 კაცი, აქედან ხუთ-ხუთ წევრს ირჩევდა საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ეროვნული საბჭოები, ხოლო დანარჩენ ცხრას ნიშნავდა ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა. ამიერკავკასიის საკონსტიტუციო კომისიის ქართველ წევრებად არჩეული იქნენ: **გიორგი გვაზავა, პავლე საყვარელიძე, შალვა მესხიშვილი, რაჟდენ არსენიძე, ვლადიმერ გობეჩია**. 9 მაისს გაიმართა საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა, რომელმაც დაადგინა: ჯერ გაიმართოს ზოგადი მსჯელობა საქართველოს კონსტიტუციის შესახებ, ხოლო შემდეგ არჩეული იქნას საქართველოს საკონსტიტუციო კომისია.

იმავე დღეს, 1918 წლის 9 მაისს, გაიმართა საქართველოს ეროვნული საბჭოს მე-14 კრება. დღის წესრიგში იდგა ორი საკითხი: 1. საქართველოს კონსტიტუციის შედგენა; 2. ამიერკავკასიის ერების გადამიჯვნა. კრების გახსნისას მისმა თავმჯდომარემ **გიორგი ლასხიშვილმა** აღნიშნა, რომ შესაძგენია ორი კონსტიტუცია – ამიერკავკასიისა და საქართველოსი. ამ საკითხზე კრების წინაშე მოხსენებით წარსდგა სოციალისტ-ფედერალისტი **გრიგოლ რცხილაძე**. მოხსენების შემდეგ გამართული კამათიდან, რომელშიც მონაწილეობდნენ **რევაზ გაბაშვილი, სერგო ჯაფარიძე, პავლე საყვარელიძე, შალვა მესხიშვილი, შალვა ქარუმიძე, ალექსანდრე ლომთათიძე**

და სხვები, აშკარა გახდა, რომ ამიერკავკასიის სამოკავშირეო სახელმწიფო ძალზე რთული პრობლემის წინაშე იდგა – ძნელი იყო ცალკეული ერების ინტერესების შეთანხმება.

1918 წლის 12 მაისს შედგა საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა. გადაწყდა: საქართველოს ეროვნული საბჭოს კრებაზე საქართველოს კონსტიტუციის შესახებ მოხსენებით წარსდგებოდა სოციალ-დემოკრატი **სერგო ჯაფარიძე**, რის შემდეგაც გაიმართებოდა კამათი. იმავე დღეს, 12 მაისს, გაიმართა საქართველოს ეროვნული საბჭოს მე-15 კრება. კრებაზე საქართველოს კონსტიტუციის პროექტის შესახებ მოხსენებით გამოვიდა სერგო ჯაფარიძე. მოხსენების განხილვისას ცხადი გახდა, რომ ეროვნულ-დემოკრატებს და მათ თანამოაზრეებს არ სურდათ საქართველოს დარჩენა ამიერკავკასიის სამოკავშირეო სახელმწიფოში, ისინი პირდაპირ აყენებდნენ საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადების საკითხს. **გიორგი გვაზავამ** გამოსვლა ასე დაიწყო: „მე დიდის ყურადღებით მოვისმინე წინა ორატორები. გულწრფელად გეტყვი: ბ. სერგო ჯაფარიძემ დაამტკიცა, რომ ჩვენში ფედერაცია შეუძლებელია, ბ.ბ. პ. საყვარელიძემ და გ. რცხილაძემ ნათელჰყვეს, რომ კონფედერაციაც აგრეთვე შეუძლებელია“. მას შემდეგ, რაც დაასაბუთა ამიერკავკასიის ფედერაციული სახელმწიფოს, ასევე ქართველების, სომხებისა და აზერბაიჯანლების კონფედერაციული სახელმწიფოს მიზანშეუწონლობა, გიორგი გვაზავამ განაცხადა: „ბატონებო! დროა შევწყვიტოთ ფანტაზიორობა და დავადგეთ რეალურ გზას. დიდი ხანია ჩვენ ავცდით რეალურ პოლიტიკას და სამშობლო ნიადაგს. ჯერ გვინდოდა დაგვეხსნა მთელი კაცობრიობა, მერე რუსეთი, ახლა კი ვებლაუჭებით მთელ ამიერკავკასიას და გვინდა ყველა ერი ავაშენოთ, გავახაროთ და გავანათლოთ. ჩვენ კი ვივინყებთ ჩვენს სასიცოცხლო ინტერესებს და ისიც კი ვერ მოგვიხმარია, რაცა გვაქვს, ის საერთაშორისო ჩვენი უფლებანი, რაც ოცი საუკუნის განმავლობაში ხმლითა და სისხლით გამოუგლეჯია ბედის ხელიდან ჩვენს წინაპრებს“. გიორგი გვაზავამ სოციალ-დემოკრატები გააფრთხილა: თქვენ გინდათ მოაწყოთ რაღაც ფედერაცია თუ კონფედერაცია და ერთხელ კიდევ დაასამართო საქართველოს ბედი ამ უცნაური პოლიტიკური შენობის წამოხუხულავებით“. გიორგი გვაზავამ ეროვნული საბჭოს კრებას გააცნო ეროვნულ-დემოკრატი პოზიცია: „ა) საქართველო უნდა გამოცხადდეს დამოუკიდებელ სუვერენულ სახელმწიფოდ, ბ) კავკასიის სახელმწიფოთა საერთო საქმეების მოსაწესრიგებლად დაარსებულ უნდა იქნას მუდმივი ორგანო კავკასიის სახელმწიფოთა წარმომადგენლებისაგან“.

კამათი საქართველოს ეროვნული საბჭოს მე-15 კრებაზე ვერ დასრულდა. იგი გაგრძელდა მე-16 კრებაზე, რომელიც 1918 წლის 14 მაისს გაიმართა. ამ დღეს მეტად საინტერესო სიტყვა წარმოთქვა **კონსტანტინე აფხაზმა**. კონსტანტინე აფხაზმა თავისი სიტყვა ძალზე მწვავედ დაიწყო: „უნდა მოგახსენოთ, მე თავმჯდომარის განცხადება შერ შევითვისე. თავმჯდომარემ ბრძანა: ორატორებს ნება აქვთ იალაპარაკონ მარტო კონფედერაციისა და ფედერაციის შესახებ. მე მსურს მალაპარაკოთ საერთოდ სახელმწიფოებრივ წესწყობილებაზე, ვინაიდან სრულებით მეცნიერულად არ იყო დასაბუთებული, რომ ჩვენ სწორედ ესა თუ ის წყობილება მივიღოთ. სახელმწიფო სამართლის შესახებ მეცნიერება გვეუბნება, რომ როდესაც ახალ სახელმწიფოებრივ წყობილების შემოღება ჰსურთ, ამ საკითხს ისტორიულს, ეთნოგრაფიულს და ეკონომიურს თავლსაზრისით უნდა სჭრიდნენ. ამიტომ თუ საერთო სახელმწიფოებრივ წესწყობილებაზე ლაპარაკის ნებას მომცემთ, სიტყვას გავაგრძელებ, თუ არა და იძულებული ვიქნები არ ვილაპარაკო“. თავმჯდომარემ კონსტანტინე აფხაზს სთხოვა, სიტყვა გაეგრძელებინა. ორატორმა კიდევ უფრო მწვავედ განაგრძო: „იმ ფორმას, რომლის შესახებაც აქ იყო ბაასი, მე გვერდი უნდა ავუხვიო, რადგან მათ შესახებ წარმოდგენილ მოხსენებებს, ჩემის რწმენით, ის ნაკლი ჰქონდათ, რომ მათი წაკითხვა შეიძლებოდა როგორც საქართველოს ეროვნულ საბჭოში, თურქისტანსა თუ ციმბირში, მხოლოდ ადგილობრივ ენაზე. მოხსენებაში არ იყო დასაბუთებული ქართველი ერის რაიმე პერსონალური ან ინდივიდუალური თვისება. მოიყვანეს ფორმა და ამ ფორმაზე იყო აწონილ-დაწონილი ყველაფერი“. კონსტანტინე აფხაზმა გადაჭრით გაილაშქრა ამიერკავკასიის ერთ ფედერაციულ სახელმწიფოდ მოწყობის წინააღმდეგ: „თვით ფედერაცია, როგორც სახელმწიფო წესწყობილება, მე ჩვენს ქვეყანაში ფიქციად მიმაჩნია. ფედერაციაში შესვლით უნდა ძლიერდებოდეს ჩვენი პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო მხარე. ერთი მიზრძანეთ, რა ძალას შეიძენს ჩვენი მხდალი ჯარი, როდესაც გვერდით იყოლიებს სომხების მხდალ ჯარს. ან სათათრეთს, ან სომხეთს რა პოლიტიკური ძალა აქვთ, რომ მათ რაიმე შეგეძინონ.“ კონსტანტინე აფხაზმა თავისი სიტყვა ასე დაასრულა: „იქნებ ამ ომმა, ან რევოლუციამ მოგვანიჭოს სრული თავისუფლება და თავისუფლად ამოვისუნთქოთ. ჩვენ მგონი ამ საზღვრებამდის მივალნიეთ. ჩვენი პირი უნდა დასავლეთისაკენ იყოს მიქცეული და ჩვენ უნდა შევექმნათ უნიტარული სახელმწიფო. შემდეგ, თუ ამას მოვესწრებით, ვილაპარაკებ იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოვანესრიგოთ საქმე მეზობლებთან“.

კონსტანტინე აფხაზის აზრი განავითარა **მიხეილ მაჩაბელმა**: „ჩვენ

უნდა გამოვაცხადოთ საქართველო სუვერენულ სახელმწიფოდ. შეუძლებელია ჩვენი სუვერენულ უფლებათა შეზღუდვა“. თავისი სიტყვა ასე დაასრულა **შალვა ქარუმიძემ**: „საბედნიეროდ, ჩვენი ერისათვის უკვე არის ისეთი მომენტი, როდესაც საქართველოს შეუძლია სრული დამოუკიდებლობა გამოაცხადოს“. სოციალ-დემოკრატებს ძალზე მწვავედ შეუტია **გრიგოლ ვეშაპელმა**: „სოციალ-დემოკრატებს ჰგონიათ, რომ მათი ანალიზი საქართველოს საგარეო მდგომარეობისა, რომელსაც ემყარება „ამიერკავკასიის რესპუბლიკის“ გეგმა, ისე სწორეა, რომ მეფე ერეკლეც ამ მენშევიკურ გზას დაადგებოდა, საფლავიდან რომ ამდგარიყო. ჩვენ კი გვგონია, რომ სოციალ-დემოკრატებს დღესაც ისე ცუდათ ესმით კავკასიის საგარეო საქმეები, როგორც ცუდათ ესმოდათ აქამდის ეს საქმეები, რუსეთის რესპუბლიკას რომ ლოცულობდნენ“. გრიგოლ ვეშაპელმა ქართველი სოციალ-დემოკრატების საგარეოპოლიტიკური ორიენტაცია ასე დაახასიათა: „სოციალ-დემოკრატების საგარეო პოლიტიკის მარცხის მიზეზი ის არის, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტია იყო და არის რუსეთის ორიენტაციის პარტია – ამ მხრივ ის მართლაც მემკვიდრეა მეფე ერეკლეს პოლიტიკის, მაგრამ რუსეთის ორიენტაცია მანამდე იყო შესაძლო, სავალდებულო ქართული პოლიტიკისათვის, სანამ თვით რუსეთი ცოცხალი იყო. საქართველოში რუსული პოლიტიკა მაშინ გათავდა, როცა რუსების ჯარების უკანასკნელი ეშელონი მოშორდა ნავთლულს“.

სოციალ-დემოკრატებმა და მათმა თანამოაზრეებმა ფაქტობრივად ვერაფერი დაუპირისპირეს ეროვნულ-დემოკრატების მოსაზრებებს. კამათი საქართველოს ეროვნული საბჭოს მე-16 კრებაზე ვერ დასრულდა. შეთანხმდნენ, საკითხის განხილვა მორიგი კრებისათვის გადაედოთ.

მორიგი, მე-17 კრება კი 1918 წლის 16 მაისის, საღამოს შვიდი საათისათვის დაინიშნა. ისტორიამ სხვაგვარად განსაჯა – საქართველოს ეროვნულ საბჭოს ახალ ვითარებაში მოუხდა შეკრება...

§3. ბათუმის საზავო კონფერენცია

ამიერკავკასია-ოსმალეთის ქალაქ ტრაპიზონში შეწყვეტილი საზავო მოლაპარაკება 1918 წლის 11 მაისს განახლდა ოსმალეთის მიერ ოკუპირებულ ბათუმში. 12 მაისს გაიმართა პირველი და უკანასკნელი პლენარული სხდომა. შემდეგ მხოლოდ კერძო შეხვედრები იმართებოდა. ბათუმის კონფერენციაზე უკვე ცხადი გახდა, რომ ამიერკავკასიის სამოკავშირეო სახელმწიფოს, სამი ძირითადი ერი – ქართველები, სომხები და აზერბაიჯან-

ელები – განსხვავებულ საგარეო-პოლიტიკურ ორიენტაციას აღიარებდნენ. ქართველები **გერმანოფილურ** ორიენტაციას დაადგინენ, სომხები – **ანგლოფილურს**, აზერბაიჯანლები – **თურქოფილურს**. ცხადია, ასეთი ვითარება ართულებდა ერთიანი საგარეო-პოლიტიკური კურსის შემუშავებას.

1918 წლის 13 მაისს ამიერკავკასიის სეიმის დელეგაციამ (თავმჯდომარე აკაკი ჩხენკელი) ოსმალეთის დელეგაციას მემორანდუმი გადასცა, რომელიც სამი პუნქტისაგან შედგებოდა:

1. ამიერკავკასიის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღიარებიდან გამომდინარე და ოსმალეთის დელეგაციის 1918 წლის 13 აპრილის დეკლარაციის თანახმად, ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა „ოთხთა კავშირთან“ (გერმანია, ავსტრია-უნგრეთი, ოსმალეთი, ბულგარეთი) 1918 წლის 3 მარტის ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების საფუძველზე დადებს საზავო ხელშეკრულებას;

2. გამომდინარე იქიდან, რომ ომი ჯერ კიდევ მიმდინარეობს, ომის საბოლოო დამთავრებამდე ძირითად ხელშეკრულებასთან ერთად უნდა იმოქმედოს განსაკუთრებულმა დამატებითმა ხელშეკრულებამ, რომელიც ისევე როგორც ძირითადი ხელშეკრულება, დაიდება ამიერკავკასიის დემოკრატიულ ფედერაციულ რესპუბლიკასა და „ოთხთა კავშირს“ შორის;

3. ეკონომიკური, სამართლებრივი და სხვა საკითხების გადაწყვეტის პროცესში ამიერკავკასიის სამოკავშირეო სახელმწიფოსა და ოსმალეთს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარება უნდა მოხდეს ორ ქვეყანას შორის განსაკუთრებული შეთანხმების საფუძველზე.

მემორანდუმში აღნიშნული იყო, რომ ბათუმის საზავო კონფერენციაზე ავსტრია-უნგრეთისა და ბულგარეთის წარმომადგენლების დაუსწრებლობამ შეიძლება გარკვეული წინააღმდეგობა წარმოშვას ამ ქვეყნების მხრიდან „ოთხთა კავშირსა“ და ამიერკავკასიის სამოკავშირეო სახელმწიფოს შორის მომავალში დასადები საზავო ხელშეკრულების მიმხრობასთან დაკავშირებით.

ამიერკავკასიის სეიმის დელეგაციის 1918 წლის 13 მაისის მემორანდუმს (პირველ მემორანდუმს) ოსმალეთის დელეგაციამ 1918 წლის 15 მაისს უპასუხა. ამ პასუხიდან ცხადი გახდა, რომ ოსმალეთი უკვე ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების მეოთხე მუხლითაც აღარ კმაყოფილდებოდა და მეტ დათმობებს ითხოვდა. კონკრეტულად, ოსმალეთის დელეგაციის პასუხი ასეთი იყო:

1. ოსმალეთის მთავრობა მიიჩნევდა, რომ 1918 წლის 3 მარტის ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულება ოსმალეთისა და ამიერკავკასი-

ის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის საზავო ხელშეკრულების საფუძვლად ვერ გამოდგებოდა;

2. აუცილებელი იყო ოსმალეთსა და ამიერკავკასიის დემოკრატიულ ფედერაციულ რესპუბლიკას შორის, როგორც ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების დამატება, დადებულიყო სპეციალური კონვენცია, რომელიც ასახავდა შექმნილ ვითარებას და ძალაში იქნებოდა ომის საბოლოო დამთავრებამდე;

3. ოსმალეთსა და ამიერკავკასიის დემოკრატიულ ფედერაციულ რესპუბლიკას შორის საბოლოო საზავო ხელშეკრულება მხოლოდ ომის დამთავრების შემდეგ უნდა დადებულიყო.

ოსმალეთის დელეგაცია, როგორც ვხედავთ, ცდილობდა ბათუმის საზავო კონფერენციაზე კიდევ უფრო დაემძიმებინა ის მოთხოვნები, რომლებიც მან ტრაპიზონის საზავო კონფერენციაზე წამოაყენა. 1918 წლის 14 მაისს ოსმალეთის იუსტიციის მინისტრმა და დელეგაციის თავმჯდომარემ ხალილ ბეიმ აკაკი ჩხენკელს ნოტა გადასცა. ნოტაში აღნიშნული იყო, რომ ხალილ ბეიმ მიიღო კავკასიის ფრონტზე ოსმალეთის ჯარების სარდალ ვეჰიბ ფაშას წერილი, რომელშიც აღნიშნული ყოფილა:

1. ვეჰიბ ფაშას ბრძანება მიუღია წინ აღდგომოდა ინგლისის ჯარების საბრძოლო მოქმედებებს ირანში, ასევე რუსეთის მე-6 არმიის შემოტევებს სამხრეთ კავკასიაში;

2. ვეჰიბ ფაშა მისთვის დასახული ამოცანიდან გამომდინარე აუცილებლად მიიჩნევდა ოსმალეთის ჯარების მიერ შეტევეთი საბრძოლო მოქმედებების დაწყებას;

3. ვეჰიბ ფაშა მწუხარებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ ამიერკავკასიის კომისარიატისაგან მან ვერ მიიღო ალექსანდროპოლ – ჯულფას რკინიგზის ხაზის ოსმალეთის ჯარების გადაადგილებისათვის გამოყენების უფლება;

4. ვეჰიბ ფაშა ხალილ ბეის სთხოვდა ალექსანდროპოლ — ჯულფას რკინიგზის ხაზის ოსმალეთის ჯარების გადაადგილებისათვის გამოყენების საკითხი ამიერკავკასიის სეიმის დელეგაციის თავმჯდომარესთან და დელეგაციის სომეხ წევრებთან გაერკვია;

5. ვეჰიბ ფაშა ხალილ ბეის აცნობებდა: თუ ალექსანდროპოლ – ჯულფას რკინიგზის ხაზის ოსმალეთის ჯარებისათვის გადაადგილებისათვის გამოყენების საკითხი დაუყოვნებლივ და მშვიდობიანად არ გადაწყდებოდა, ეს მისთვის გაუგებარი იქნებოდა;

6. ვეჰიბ ფაშა ხალილ ბეის სთხოვდა ამიერკავკასიის სეიმის დელ-

ეგაციისათვის ეცნობებინა: ოსმალეთის ჯარების გადაადგილება ამიერკავკასიის სიღრმეში მეორე დღეს, 15 მაისს, გამთენიისას დაიწყებოდა; თუ ოსმალეთის ჯარები მოწინააღმდეგის მხრიდან წინააღმდეგობას არ შეხვედებოდნენ, ჯარების გადაადგილება ჩაივლიდა მშვიდ ვითარებაში და დაცული იქნებოდა ადგილობრივი მოსახლეობის უფლებები; ოსმალეთის ჯარების გადაადგილება ლოკალურ ხასიათს ატარებდა და მიზნად არ ისახავდა რომელიმე ტერიტორიის ოკუპაციას.

ოსმალეთის დელეგაციის ნოტას ამიერკავკასიის სეიმის დელეგაციის პროტესტი მოჰყვა. აკაკი ჩხენკელის მიერ ხელმოწერილი საპროტესტო ნოტა გადაეცა ოსმალეთის დელეგაციის თავმჯდომარე ხალილ ბეის და ბათუმის საზავო მოლაპარაკებაზე გერმანიის დელეგაციის თავმჯდომარეს, გენერალ-მაიორ **ოტტო ფონ ლოსოვს**. 1918 წლის 16 მაისს ამიერკავკასიის სეიმის დელეგაციამ მეორე მემორანდუმი გადასცა ოსმალეთის დელეგაციას. მემორანდუმში აღნიშნული იყო: ახალი გარემოებები წარმოშვა ოსმალეთის ჯარების მიერ იმ ტერიტორიების ოკუპაციამ, რომელთა დაკავება არცერთი საერთაშორისო შეთანხმებით არ იყო გათვალისწინებული და ამდენად, იგი კანონიერად არ შეიძლებოდა ჩათვლილიყო.

ბათუმის საზავო კონფერენცია პრაქტიკულად ჩიხში შევიდა.

§4. საქართველოს ეროვნული საბჭოს მოღვაწეობა დამოუკიდებლობის აღდგენის წინა ხანებში (1918 წლის 14-25 მაისი)

ვიდრე საქართველოს ეროვნული საბჭო ამიერკავკასიისა და საქართველოს კონსტიტუციების შესახებ მსჯელობდა, სამხედრო-პოლიტიკური ვითარება სულ უფრო კატასტროფული ხდებოდა. 1918 წლის 11 მაისს ბათუმში განახლდა ამიერკავკასია-ოსმალეთის საზავო კონფერენცია. ამიერკავკასიის დელეგაციას აკაკი ჩხენკელი მეთაურობდა. პირველსავე შეხვედრაზე გაირკვა, რომ ოსმალეთი პოზიციას არ ცვლიდა, პირიქით - უფრო მეტს მოითხოვდა. 1918 წლის 12 მაისს ბათუმიდან ეროვნული საბჭოსათვის გამოგზავნილ საიდუმლო წერილში აკაკი ჩხენკელი საქართველოს ეროვნულ საბჭოს აცნობებდა: 1. ოსმალეთი ითხოვს ახალციხეს, ახალქალაქს და ერევნის გუბერნიის თითქმის ყველა მაზრას; 2. ოსმალეთი თავის თავზე იღებს წესრიგის დაცვას ამიერკავკასიაში; 3. ოსმალეთი ითხოვს ომის შემ-

თხვევაში ამიერკავკასიის რკინიგზით სარგებლობის უფლებას. ამავე წერილში აკაკი ჩხენკელი იმედს გამოთქვამდა, რომ გერმანია მხარს დაუჭერდა ამიერკავკასიის დელეგაციას, თუმცა გამორიცხული არ იყო სანინალმდეგოც. წერილში ვკითხულობთ: „ვთქვათ, ეს გეგმა არ გავიდა, გერმანელებმა არ დაგვიჭირეს ისე ძლიერ მხარი, რა ვქნთ? თათრებმა (აზერბაიჯანელებმა - ვ. გ.) გასწირეს სომხები, აზერბაიჯანი ცალკე წავა, შეიძლება ოსმალეთზე გადავიდეს. ეს მოხდება მაშინვე, როგორც კი ომი გამოცხადდება ამიერკავკასიის სახელით. რა უნდა ქნას ქართველმა ერმა? ერთადერთი გზაა: ომში არ გაერიო. ომი ყელს გამოჭრის ერს, მოსპობას უქადის“. იმავე დღეს, 1918 წლის 12 მაისს, აკაკი ჩხენკელი ეროვნულ საბჭოში მეორე საიდუმლო წერილს აგზავნის ბათუმიდან. აკაკი ჩხენკელი მთელი კატეგორიულობით აფრთხილებდა საქართველოს ეროვნულ საბჭოს: „ყოველ შემთხვევაში, თუ გინდ ვერაფერსაც ვერ მივალწიოთ, რაც მოასწავებს გერმანელებისაგან ჩვენს განწირვას, ჩვენ არასგზით არ უნდა ვანარმოოთ ომი. მხოლოდ და მარტო ამ შემთხვევაში შეგვიძლია ვისხნათ ჩვენი ხალხი დალუპვისაგან. გაერთიანებული ამიერკავკასია სულერთია ვერ იარსებებს, თუ სომხების ტერიტორია ჩამოგლიჯეს მას“.

აკაკი ჩხენკელის ორი წერილი ბათუმიდან შექმნილი სამხედრო-პოლიტიკური სიტუაციის უაღრესად ზუსტ ანალიზს იძლეოდა. ამ წერილებში აკაკი ჩხენკელი საქართველოს ეროვნულ საბჭოს ფაქტობრივად სთავაზობს გერმანოფილურ საგარეოპოლიტიკურ კურსს, როგორც ერთადერთ რეალურ გამოსავალს შექმნილი კატასტროფული სიტუაციიდან. ამავე დროს, ისიც ცნობილი იყო, რომ ოსმალეთში აზერბაიჯანი და ანგლოფილური სომხეთი გერმანიაზე ორიენტირებულ საგარეო-პოლიტიკურ კურსზე უარს იტყობდნენ.

ბათუმიდან აკაკი ჩხენკელის ორი წერილის მიღების შემდეგ, 1918 წლის 14 მაისს, სალამოს, შედგა საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა, რომელსაც დაესწრნენ: **გიორგი ლასხიშვილი, გიორგი გვახავა, ვლადიმერ გობენია, გრიგოლ ვეშაპელი, ნოე ხომერიკი, პავლე საყვარელიძე, გრიგოლ რცხილაძე, სილიბისტრო ჯიბლაძე**. გარდა აღმასკომის წევრებისა, სხდომას ესწრებოდნენ: **შალვა მესხიშვილი, გერონტი ქიქოძე** და **აკაკი პაპავა**. თავმჯდომარეობდა გიორგი ლასხიშვილი, მდივანი – დავით ნახუცრიშვილი. საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 14 მაისის სხდომამ ოფიციალურად დაადასტურა გერმანიის ფაქტორზე დაფუძნებული საგარეოპოლიტიკური კურსი. აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა, რომ ბათუმში აკაკი ჩხენკელს სახელმძღვანელოდ

გაეგზავნოს შემდეგი მითითებები:

„1. ეცნობოს გერმანიის საზავო დელეგაციის თავმჯდომარეს, გენერალფონ ლოსოვს, რომ საქართველოს ეროვნული საბჭოს სურვილი და თხოვნაა, ყოველნაირად ხელი შეუწყოს გერმანიამ საქართველოს პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ საკითხების რაც შეიძლება უმტკივნეულოდ გადაწყვეტას.

2. ეთხოვოს გენერალ ლოსოვს მიიღოს სათანადო ღონისძევა, რომ გერმანიის ჯარმა განაგრძოს სვლა ჩრდილო-კავკასიაში, რათა იმდენად დაუახლოვდეს საქართველოს საზღვრებს, რომ შესაძლებელი იყოს მასთან კონტაქტის დაჭერა და საქართველო უზრუნველყოფილი იქნას გარედან მოსალოდნელი რაიმე საფრთხისგან.

3. ეთხოვოს გენერალ ლოსოვს, ხელი შეუწყოს გერმანიაში მყოფ ქართველ სამხედრო ტყვეებს, რაც შეიძლება მალე სამშობლოში სამხედრო წესით, დარაზმულად დაბრუნდნენ.

4. ეთხოვოს გენერალ ლოსოვს, ვიდრე ეს საქმე მოხერხდებოდეს, დასტოვოს საქართველოში მყოფი გერმანელი ტყვეები და მიანდოს გერმანიის ოფიცერთ მათი სამხედრო ორგანიზაცია, რათა საქართველოს მთავრობას შეეძლოს საჭირო შემთხვევაში გამოიყენოს ეს ჯარი შინაურ წესრიგის დასაცავად და ანარქიასთან საბრძოლველად“.

აკაკი ჩხენკელს ხელ-ფეხი გაეხსნა და ენერგიულად შეუდგა გერმანიის დახმარებით საქართველოს ხსნის გეგმის რეალიზებას. 1918 წლის 15 მაისს ბათუმიდან ეროვნული საბჭოსათვის გამოგზავნილ მესამე საიდუმლო წერილში იგი არწმუნებდა საქართველოს ეროვნულ საბჭოს, რომ ამიერკავკასიის სამოკავშირეო სახელმწიფოს გადარჩენა შეუძლებელია: „ყოველთვის უარესს უნდა ელოდე. თურქებს არ სურთ უკვე ამიერკავკასიის მთლიანობა და ისინი სრულიად საბუთიანად ემყარებიან ჩვენი თათრების სურვილს“. აკაკი ჩხენკელი იმასაც იტყობინებოდა, რომ ინგლისის დახმარებით ოსმალეთის შეჩერება არარეალურია: „თურქები თუ ნებით არა, ძალით გაივლიან ამიერკავკასიას. თუ ძალით გავლენ, ჩვენ დაპყრობილი ვართ, ჩააყენებენ ჯარს სამაგრებში (ყარსი და სხვა) და ინგლისელებს არ მოუშვებენ მანამდის, სანამ არ ამოგვფლეთენ“. 15 მაისის წერილში აკაკი ჩხენკელმა კატასტროფიდან თავის დაღწევის ერთადერთ გზად საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადება დასახა: „საქართველოს დამოუკიდებლობა – აი, პირველი ნაბიჯი, რომელიც უნდა გადაიდგას, როცა აქაური მოლაპარაკება შეწყდება. შეწყდება იმიტომ, რომ თურქების პროექტი მიუღებელია. ეს მათ მშვენივრად იციან, მაგრამ მიზნად ხომ ჩვე-

ნი მთლიანობის დამხობა აქვთ“.

მომდევნო დღეებში აკაკი ჩხენკელისა და გენერალ **ოტტო ფონ ლოსოვის** თანამშრომლობა უფრო მჭიდრო ხდება. გენერალმა **ოტტო ფონ ლოსოვმა** აკაკი ჩხენკელს ბევრი ძვირფასი ინფორმაცია მიაწოდა, ბევრ რთულ პრობლემაში გააჩვენა. როგორც ჩანს, სწორედ ფონ ლოსოვმა აცნობა აკაკი ჩხენკელს ოსმალეთისა და რუსეთის მოსალოდნელი საიდუმლო ალიანსის შესახებ, რაც დაღუპვით ემუქრებოდა საქართველოს.

საქართველო-გერმანიის დაახლოებას რეალური საფუძველი ჰქონდა. **საქართველოს გერმანია სჭირდებოდა ოსმალეთის აგრესიისაგან თავდაცვისათვის, ხოლო სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ – დამოუკიდებლობის გარანტიად. გერმანიას საქართველო სჭირდებოდა თავისი აღმოსავლური პოლიტიკის ფორპოსტად.** საქართველოს მნიშვნელობას გერმანიისათვის ისიც ზრდიდა, რომ ინგლისზე ორიენტირებული სომხეთი და ოსმალეთზე ორიენტირებული აზერბაიჯანი ეწინააღმდეგებოდნენ გერმანიის დამკვიდრებას ამიერკავკასიაში. გერმანიას სუსტი პოზიციები ჰქონდა აღმოსავლეთში და ამ რეგიონში წარმატების მოპოვება გარკვეულწილად გაუადვილებოდა თუ საქართველოში მტკიცე პოზიციებს შეიქმნიდა.

აკაკი ჩხენკელის დაჟინებულმა მტკიცებამ, რომ ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის შენარჩუნება შეუძლებელია, ხოლო საქართველოს ხსნა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადებაშია, ეროვნულ-დემოკრატების პოზიციები მნიშვნელოვნად გააძლიერა. სოციალ-დემოკრატებს არ შეიძლებოდა ანგარიში არ გაენიათ აკაკი ჩხენკელის მოსაზრებებისათვის. ასეთ ვითარებაში 1918 წლის 16 მაისს, საღამოს შვიდ საათზე, შეიკრიბა საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ: **ნოე ჟორდანია, გიორგი ლასხიშვილი, ნოე ხომერიკი, გიორგი გვაზავა, გრიგოლ ვეშაპელი, ჰაიდარ ბეგ აბაშიძე, პავლე საყვარელიძე, ვლადიმერ გობეჩია, კონსტანტინე მესხი;** მონვეულები - **იასონ ლორთქიფანიძე და შალვა მესხიშვილი.** თავმჯდომარეობდა **ნოე ჟორდანია,** მდივანი – **დავით ნახუცრიშვილი.** აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე განსახილველი საკითხი ასე იყო ფორმულირებული: „**წინადადება პ. საყვარელიძისა, რომ მიენდოს აღმასრულებელ კომიტეტს ან ცალკე კომისიას საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისათვის მოამზადოს ყოველანაირი ნიადაგი**“.

აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე აზრთა გაზიარების შემდეგ გადაწყდა: აღმასკომის პრეზიდიუმის წევრებს: **ნოე ჟორდანიას, გიორგი**

ლასხიშვილსა და გრიგოლ ვეშაპელს დაევალოთ, დაასახელონ დამოუკიდებლობის მოსამზადებელი კომისიის სამი წევრი. საქართველოს დამოუკიდებლობის მოსამზადებელი კომისია დამტკიცდა შემდეგი შემადგენლობით: **ნოე რამიშვილი, დავით (დათა) ვაჩნაძე და შალვა მესხიშვილი.** აღმასრულებელმა კომიტეტმა ახლად შექმნილ კომისიას დაავალა: 1. ზომების მიღება საქართველოში ლტოლვილთა, მათ შორის შეიარაღებულ ლტოლვილთა, შემოსვლის შესაჩერებლად; 2. ქართულ ჯარსა და საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სამხედრო სექციასთან კონტაქტის დამყარება; 3. აცნობოს სომხეთის ეროვნულ საბჭოს თუ რა სირთულეებს ჰქმნის სომეხი ლტოლვილების შემოსვლა საქართველოში და გაარკვიოს, რა ზომების მიღებას აპირებს სომხეთის ეროვნული საბჭო გართულების თავიდან ასაცილებლად.

საქართველოს დამოუკიდებლობის მოსამზადებელი კომისია ენერგიულად შეუდგა მუშაობას. მოსაგვარებელი იყო უამრავი საკითხი. 1918 წლის 17 მაისს შეიკრიბა საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი. პრეზიდიუმის სხდომას დაესწრნენ: **გრიგოლ ვეშაპელი, კონსტანტინე მესხი, პავლე საყვარელიძე, გიორგი გვაზავა,** ასევე მოწვეულები - **დავით ვაჩნაძე, შალვა მესხიშვილი, გენერალი ვასილ გაბაშვილი, პოლკოვნიკი ვასილ კარგარეთელი** და პოდპოლკოვნიკი **ალექსანდრე ზაქარიაძე.** პრეზიდიუმის სხდომაზე განსახილველი იყო საკითხი: „**მოსენება საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების სამთა კომისიის მოქმედების შესახებ**“. სამთა კომისიამ პრეზიდიუმის სხდომას გადასაწყვეტად წარუდგინა შემდეგი საკითხები: 1. ვის ჩააბარონ თბილისის დაცვა, 2. რომელი ორგანო უხელმძღვანელებს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას. საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა დაადგინა:

1. ქალაქ თბილისში გამოცხადდეს სამხედრო (ან საალყო) წესები.

2. თბილისის კომენდანტად და გარნიზონის უფროსად დანიშნოს გენერალი **ახმეტელი,** მის თანაშემწედ – პოლკოვნიკი **ნაქერელიძე.** გენერალმა ახმეტელმა და პოლკოვნიკმა ნაქერელიძემ იმოქმედონ ქართული კორპუსის მეთაურის, გენერალ **ვასილ გაბაშვილის** ხელმძღვანელობით.

3. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების ხელმძღვანელ ორგანოდ ითვლება იგივე სამთა კომისია, რომელმაც უნდა იმოქმედოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის ხელმძღვანელობით.

ვიდრე თბილისში საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებ-

სათვის ემზადებოდნენ, ოსმალეთის დიპლომატები და სამხედროები დროს არ კარგავდნენ. 1918 წლის 18 მაისს თურქებმა დაიკავეს ალექსანდროპოლი. 18 მაისს ბათუმში ოსმალეთის დელეგაციის მეთაურმა აკაკი ჩხენკელს გადასცა მემორანდუმი, რომელშიც აღნიშნული იყო:

1. ოსმალეთი არავითარ შემთხვევაში არ სცნობს ამიერკავკასიის დემოკრატიულ ფედერაციულ რესპუბლიკას დამოუკიდებელ სახელმწიფოდ;

2. ოსმალეთმა კიდევ რომ სცნოს ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ თურქეთი უარს ამბობს ტერიტორიულ პრეტენზიებზე;

3. ამიერკავკასია არ წარმოადგენს ბრესტ - ლიტოვსკის ზავზე ხელისმომწერ მხარეს, უფრო მეტიც, ამ ზავის დადებისას ის არც წარმოადგენდა დამოუკიდებელ სახელმწიფოს, ამიტომ ამიერკავკასიის დემოკრატიულ ფედერაციულ რესპუბლიკას უფლება არა აქვს გამოთქვას შენიშვნები ზავის პირობებზე, ან ამ პირობების სისრულეში მოყვანის წესზე.

ოსმალეთის დელეგაციის მემორანდუმი მძიმე მდგომარეობაში აგდება ამიერკავკასიის დელეგაციას. მოლაპარაკება აზრს კარგავდა. 1918 წლის 19 მაისს აკაკი ჩხენკელმა მიიღო გენერალ ოტტო ფონ ლოსოვის წერილი. ოტტო ფონ ლოსოვი აკაკი ჩხენკელს აცნობებდა თავის მზადყოფნას, ამიერკავკასია-ოსმალეთის მოლაპარაკებაში შუამავლის როლი შეესრულებინა. ამავე დროს სთხოვდა აკაკი ჩხენკელს გაერკვია, თანახმა იყო თუ არა ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის დელეგაცია გერმანიის შუამავლობაზე. აკაკი ჩხენკელმა ოტტო ფონ ლოსოვის წერილის მიღებისთანავე, 19 მაისს, საღამოს შეკრიბა ამიერკავკასიის დელეგაცია და გარკვეული დებატების შემდეგ დაითანხმა იგი ეცნოთ გერმანიის შუამავლობა. ამიერკავკასიის დელეგაციის დადებითი პასუხი 19 მაისსვე ეცნობა გენერალ ოტტო ფონ ლოსოვს. გერმანია ოსმალეთის მოკავშირე და ბრესტ-ლიტოვსკის ზავზე ხელისმომწერი მხარე იყო, ამიტომ გენერალ ფონ ლოსოვის შუამავლობას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილი ამიერკავკასიის დელეგაციისათვის.

1918 წლის 22 მაისს ბათუმიდან საქართველოს ეროვნული საბჭოსადმი გამოგზავნილ საიდუმლო წერილში შექმნილ სიტუაციას აკაკი ჩხენკელი ასე ახასიათებს: „მე უკანასკნელ წუთამდე არ დამიკარგავს იმედი, რომ შეიძლებოდა შეგვეკრა ზავი ამიერკავკასიის სახელით. მართალია, ჩვენმა თათრებმა (აზერბაიჯანელებმა - ვ. გ.) თავიანთი სეპარატიული ნაბიჯით ძირი გამოუთხარეს დელეგაციის მუშაობას, მაგრამ ვინაიდან გერმანიის დელეგაცია სრულიად არ იზიარებდა ოსმალეთის პოზიციას, ამიტომ რაიმე

იმედიც საფუძვლიანი იყო. თურქებმა მართლაც ვერ გაბედეს, მიუხედავად მუქარისა, ულტიმატუმის გაგზავნა, მაგრამ სამაგიეროდ მათ მიმართეს მეორე ხერხი: ანხორციელებენ ფაქტიურად თავიანთ დაპყრობით პოლიტიკას. ერევნის გუბერნიას წაესიენ, განჯაში თავიანთი მთავრობა დასვეს, რასაც მთელი აზერბაიჯანის მიკედლება ჰყვება. დარჩა მარტო საქართველო, რომელსაც ემუქრებიან ყოველი მხრიდან“. იმავე წერილში აკაკი ჩხენკელი საქართველოს ეროვნულ საბჭოს სამოქმედო გეგმასაც სთავაზობს: „დარჩა, მაშასადამე, განმარტოებული საქართველო, რომლისთვის დარჩენილია სამი შესაძლებლობა: ა) საქართველო აზერბაიჯანთან ერთად ერთ სახელმწიფოს წარმოადგენს. ეს ნიშნავს თურქების სრულ ბატონობას, რაც მიუღებელია. როცა აზერბაიჯანში თურქები სხედან და, ამავე დროს, არსებობს ამიერკავკასიის საერთო მთავრობა, ეს მოასწავებს ოსმალეთის ბატონობის იურიდიულ ცნობას, რასაც ფაქტიური დაპყრობა მოჰყვება. ბ) საქართველო სომხეთთან ერთად ადგენს ერთ სახელმწიფოს. არ არსებობს ფაქტიურად სომხების ტერიტორია ამიერკავკასიაში, ვინაიდან ის თურქების ხელშია. შეუძლებელია, მაშასადამე, მათთან ერთი სახელმწიფოს შექმნა. კიდევ რომ არსებობდეს ეს ტერიტორია, მაშინაც არ შეიძლება სომხებთან სახელმწიფოებრივი კავშირი, ვინაიდან ეს მიუღებელია როგორც თურქებისათვის, ისე თათრებისათვის. დაპყრობა ამ შემთხვევაში კიდევ უფრო აშკარაა. გ) საქართველოს დამოუკიდებლობა, აი ერთადერთი გამოსავალი. ამ შემთხვევაში არა ვართ დაზღვეულნი თურქების შემოსევისაგან, მაგრამ სწორედ ამ უბედურებას წინ უნდა უსწრებდეს დამოუკიდებლობის გამოცხადება, რომ უფლებრივი ნიადაგი მაინც არ დავკარგოთ“. აკაკი ჩხენკელი თავის მოსაზრებას გენერალ ფონ ლოსოვის ავტორიტეტითაც ამაგრებდა: „გენ. ფონ ლოსოვი იყო დღეს ჩემთან. მას გავაცანი ეს აზრები და კატეგორიულად განაცხადა, რომ დარჩენილია ერთადერთი გზა - საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება. მან კიდევ გაუგზავნა ცნობა თავის მთავრობას, რომ ამიერკავკასია არ არსებობს (ოსმალეთის წინადადებამ მოსპო ის). არსებობს მხოლოდ საქართველო, რომელიც გამოაცხადებს ხვალვე დამოუკიდებლობას და გთხოვთ ცნობას და მფარველობას“. წერილის ბოლოს აკაკი ჩხენკელი დაბეჯითებით სთხოვდა საქართველოს ეროვნულ საბჭოს დაუყოვნებლივ გამოაცხადონ საქართველოს დამოუკიდებლობა. წერილი ასეთი სიტყვებით მთავრდებოდა: „ურისკოდ არაფერი არ კეთდება. სახელმწიფო ვის დაუარსებია ურისკოთ! საჭიროა გამბედაობა და კიდევ გამბედაობა!“

ოსმალეთის დიპლომატია კარგად ხედავდა, რომ გერმანიის შუამავ-

ლობა ამიერკავკასია-ოსმალეთის მოლაპარაკებაში მისი მოქმედების თავისუფლებას ზღუდავდა, მაგრამ ერიდებოდა მოკავშირესთან, გერმანიასთან, ურთიერთობის გამწვავებას: მსოფლიო ომი ჯერ კიდევ გრძელდებოდა და არავინ იცოდა, სად და როდის დასჭირდებოდა ოსმალეთს გერმანიის პოლიტიკური თუ სამხედრო მხარდაჭერა.

1918 წლის 23 მაისს აკაკი ჩხენკელი საქართველოს ეროვნულ საბჭოს კიდევ ერთ საიდუმლო წერილს უგზავნის. წერილი პირდაპირ დაუფარავი საყვედურით იწყება: „მე ვფიქრობ, თქვენ უკვე გამოაცხადეთ დამოუკიდებლობა. თუ არა, მაშინ მე არ მესმის თქვენი ტაქტიკა. ერთადერთი გამოსავალი მხოლოდ ესაა. სხვა გზა დახშულია. არც ეს გზა გვიხსნის ყოველი ხიფათისაგან, რადგან ჩვენ გვჩვევია დაგვიანება. ყოველ შემთხვევაში, მე კიდევ მნამს, რომ პასუხისმგებლობა ისტორიისა და ერის წინაშე თავისას იქმს“. წერილში აკაკი ჩხენკელი დანვრილებით აყალიბებს სამოქმედო გეგმას: „საქართველოს მთავრობის პირველი ნაბიჯი შემდეგი უნდა იყოს: სთხოვოს გერმანიას მფარველობა თავისი დამოუკიდებლობის დასაცავად. დადგენილება ამის შესახებ უნდა გადაეცეს გრაფ შულენბურგს. ყველა ეს ხდება საიდუმლოდ. შულენბურგს მიეცემა აქედან ინსტრუქცია, რომლის ძალით ის ამ თქვენს შუამდგომლობას გადასცემს თავის მთავრობას. შეიძლება პასუხის მოსვლამდის უკვე იკისროს გერმანიის იმპერიის წარმომადგენლის როლი. ამ შემთხვევაში ის გამოიყვანს თავის პატარა რაზმს, ტყვეებისგან შემდგარს, და მიეგებება მომხდომ თურქებს და განუცხადებს, რომ საქართველო უკვე გერმანიის მფარველობის ქვეშ იმყოფება. თურქებს არა აქვთ უფლება მისი ტერიტორია გადმოლახონ. მთავრობა მიიღებს მეორე დადგენილებასაც, რომ ის ანდობს თავის წარმომადგენელს ბათუმში გაუკეთოს გერმანიის წარმომადგენელს საიდუმლო ხელშეკრულება როგორც მფარველობაზე, ისე ამ მფარველობის იურიდიულ ფორმაზე, აგრეთვე სხვა ხელშეკრულებანი დროებითი ხასიათისა“. აკაკი ჩხენკელი ოსმალეთის მხრიდან საომარი ოპერაციების გაგრძელებას არ გამოორიცხავდა, ამიტომ აფრთხილებდა საქართველოს ეროვნულ საბჭოს: „შიფრით გადავეცი გენერალ კვინიტაძეს თქვენდა გადმოსაცემად, თუ რა გმართებთ გააკეთოთ სამხედრო თადარიგის მხრით. ომი ამიერკავკასიის სახელით მომაკვდინებელია ჩვენთვის. მტერს შეუძლია წინააღმდეგობა გაუწიოს მხოლოდ დამოუკიდებელი საქართველოს სახელით. თურქებს, ალბათ, გადაწყვეტილი აქვთ მთელი ამიერკავკასია აიღონ. ჩვენ უეჭველად წინააღმდეგობა უნდა გაუწიოთ, რამდენადაც ძალა შეგვენებს. დღეს მხოლოდ თბილისის საკითხია. საჭიროა ის არ ჩაუვადოთ მას ხელში“. როგორც წინათ, ისე ამჯერადაც

აკაკი ჩხენკელი მთელი კატეგორიულობით აღნიშნავდა: „ყოყმანი ამ წუთში დანაშაულია. ჩვენ გვიხსნის მხოლოდ გამბედაობა, სისწრაფე, მტკიცე ნაბიჯები. ყველა ისინი, ვინც ამ წუთში დაძრავს ენას რუსეთის ორიენტაციის შესახებ, შესაბოჭია. ამ მიმართულების გაზეთები ყველა უნდა დაიხუროს“. საქართველოს ეროვნულ საბჭოს, ქართველ პოლიტიკოსებს აკაკი ჩხენკელი მოუწოდებდა: „ბოლშევიზმი სამშობლოს ღალატია - ესაა ერთადერთი თქვენი ლოზუნგი. პანიკა შეუძლებელია. გამოიჩინეთ ნამდვილი სახელმწიფოებრივი სულის სიმშვიდე. ჩვენი ერი გამჭრიახია, შეიგნებს და დაემორჩილება სამშობლოს მხსნელ მთავრობას“.

საქართველოს ეროვნული საბჭო, მისი აღმასრულებელი კომიტეტი და პრეზიდიუმი მთელი დატვირთვით მუშაობდნენ. თბილისში ფრეილინის (დღევანდელი სულხან-საბას) ქუჩაზე საქართველოს ეროვნული საბჭოს რეზიდენციაში დიდი გამოცოცხლება შეიმჩნეოდა. ახლოვდებოდა საქართველოს ახალი ისტორიის ყველაზე დიდი მოვლენა...

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების მზადების პერიოდში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს პოზიციას. 1918 წლის 24 მაისს შედგა თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა, რომელზეც მოხსენებით „ბათუმის საზავო მოლაპარაკების შესახებ“ გამოვიდა **ნოე ჟორდანი**. მომხსენებელმა დაახასიათა შექმნილი სიტუაცია და აღნიშნა, რომ ოსმალეთში ამიერკავკასიასთან ზავის თაობაზე სამი შეხედულება არსებობს: 1. ზავის დადება ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების საფუძველზე; 2. თურქეთისათვის ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებით მინიჭებული ტერიტორიის გაფართოება; 3. მთელი ამიერკავკასიის დაპყრობა. ნოე ჟორდანიას მოხსენებიდან აშკარად ჩანდა, რომ იგი მთლიანად ეთანხმებოდა აკაკი ჩხენკელის შეხედულებებს და, თავის მხრივ, ცდილობდა დაერწმუნებინა თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი იმაში, რომ ამიერკავკასიის სამოკავშირეო სახელმწიფოს არავითარი პერსპექტივა აღარ ჰქონდა. ამიერკავკასია ამჯერად უკანასკნელ დღეებს ითვლის“. ნოე ჟორდანიას ამ დასკვნას კამათი არ გამოუწვევია.

ბათუმის მოლაპარაკებაზე ვითარება კიდევ უფრო დაიძაბა. თურქეთი სულ უფრო მეტად ეურჩებოდა თავის მოკავშირეს - გერმანიას. 1918 წლის 25 მაისს გენერალმა ოტტო ფონ ლოსოვმა აცნობა აკაკი ჩხენკელს, რომ იგი უარს ამბობს ოსმალეთ-ამიერკავკასიის მოლაპარაკებაში შუამავლის როლის შესრულებაზე.

1918 წლის 23 მაისს აკაკი ჩხენკელის მიერ ბათუმიდან გამოგზავნილი წერილი საქართველოს ეროვნულ საბჭოში 24 მაისს მიიღეს. 25 მაისისათვის დაინიშნა აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა. სხვადასხვა მიზეზის გამო სხდომის დაწყება დაგვიანდა. საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა დაიწყო 1918 წლის 25 მაისს 11 საათზე თბილისში, ფრელინის ქუჩაზე მდებარე ეროვნული საბჭოს რეზიდენციაში.

აღმასრულებელი კომიტეტის სხდომას, მისი წევრების გარდა, გამოჩენილი მოღვაწეებიც ესწრებოდნენ. კერძოდ, სხდომას დაესწრნენ: **ნოე ჟორდანია, გიორგი ლასხიშვილი, პავლე საყვარელიძე, კონსტანტინე გვარჯალაძე, ნოე ხომერიკი, ალექსანდრე ლომთათიძე, სილიბისტრო ჯიბლაძე, შალვა მესხიშვილი, კონსტანტინე მესხი, ნოე რამიშვილი, იასონ ლორთქიფანიძე, გრიგოლ ვეშაპელი, გიორგი ყურული, ალექსანდრე ასათიანი, იოსებ მაჭავარიანი, დავით ვაჩნაძე, გიორგი გვაზავა, ირაკლი წერეთელი, ევგენი გეგეჭკორი, კარლო ჩხეიძე, ვლადიმერ გობეჩია.** თავმჯდომარეობდა **ნოე ჟორდანია**, მდივანი – **დავით ნახუცრიშვილი.**

აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა იმით დაიწყო, რომ ნოე ჟორდანიამ დამსწრეთ გააცნო 23 მაისს ბათუმიდან აკაკი ჩხენკელის მიერ გადმოგზავნილი წერილი, რომელშიც, როგორც ზემოთ აღინიშნა, აკაკი ჩხენკელი მთელი კატეგორიულობით ითხოვდა საქართველოს დამოუკიდებლობის დაუყოვნებლივ გამოცხადებას. ნოე ჟორდანიამ აღნიშნა, რომ 25 მაისს, ღამის 10 საათზე, უნდა შეკრებილიყო ამიერკავკასიის სეიმი, რომელიც, როგორც ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო, ამიერკავკასიის სამოკავშირეო სახელმწიფოს გამოაცხადებდა დაშლილად, ხოლო თვითონ მოიხსნიდა უფლებამოსილებას. ამის შემდეგ საქართველოს ეროვნულ საბჭოს უნდა გამოეცხადებინა საქართველოს დამოუკიდებლობა. როგორც ნოე ჟორდანიამ აღნიშნა, სეიმის სხდომა არ შედგა იმიტომ, რომ მუსავატელთა და დაშნაკთა ფრაქციებმა უარი განაცხადეს სეიმის სხდომაში მონაწილეობაზე. აზერბაიჯანელებმა განაცხადეს, რომ მათ საკითხი ამიერკავკასიის სამოკავშირეო სახელმწიფოს დაშლის შესახებ ჯერ არ განუხილავთ და აზრი არ შეუშუშავებიათ, თუმცა წინააღმდეგნი არ არიან საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა. სომხებმა სეიმის სხდომის მეორე დღისათვის გადადების მოთხოვნა იმით დაასაბუთეს, რომ შესამუშავებელი ჰქონდათ განცხადება. ნოე ჟორდანიამ ხაზი გაუსვა იმას, რომ ქართველებს სურვილი ჰქონდათ სომხებთან და აზერბაიჯანელებთან თანხმობით ემოქმედათ, მაგრამ შექმნილ ვითარებაში ეს არ მოხერხდა: ამიერკავკასიის

სეიმის სხდომა 25 მაისს აღარ შედგება, ამიტომ ქართველებმა ცალკე უნდა განიხილონ საკითხი. ნოე ჟორდანიამ აღმასკომის წევრებს აცნობა, რომ 26 მაისს 12 საათზე შედგებოდა ამიერკავკასიის სეიმის სხდომა, სეიმის სხდომის შემდეგ საქართველოს ეროვნული საბჭო გამოაცხადებდა საქართველოს დამოუკიდებლობას.

ნოე ჟორდანიას გამოსვლის შემდეგ გაიმართა მსჯელობა იმის შესახებ, თუ როდის გამოეცხადებინათ საქართველოს დამოუკიდებლობა. აღმასრულებელი კომიტეტის ზოგიერთი წევრი თვლიდა, რომ რადგან დამოუკიდებლობის გამოცხადება სასწრაფოა, დაუყოვნებლივ, იმავე დღეს, 25 მაისს, გამოეცხადებინათ აქტი საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ. ნოე ჟორდანიამ განმარტა: ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის დაშლამდე საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება გაურკვეველობას შექმნის, რადგან იარსებებს ორი მთავრობა - ამიერკავკასიისა და საქართველოსი. გამომდინარე აქედან, ნოე ჟორდანია ითხოვდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების გადადებას მეორე დღისათვის - 26 მაისისათვის. შეთანხმება ვერ მოხერხდა, ამიტომ კენჭისყრაზე დადგა საკითხი: „**საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდეს დღეს თუ ხვალ**“. 25 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას მხარი დაუჭირა 6 კაცმა, 26 მაისს გამოცხადებას - 4 კაცმა. გადაწყდა, აქტი საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ გამოცხადებულიყო 25 მაისს. კენჭისყრის შემდეგ განცხადება გააკეთა ნოე ჟორდანიამ, საქართველოს ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე პასუხისმგებლობას იხსნიდა მოსალოდნელ შედეგებზე.

1918 წლის 25 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება მაინც ვერ მოხერხდა. კენჭისყრიდან სულ მცირე ხანში გაირკვა, რომ დამოუკიდებლობის აქტი ჯერ შემუშავებული არ იყო, რამაც თავისთავად გამოიწვია დამოუკიდებლობის გამოცხადების გადადება 26 მაისისათვის. ნოე რამიშვილის წინადადებით გადაწყდა: 26 მაისს დილით 10 საათზე შეკრებილიყო ამიერკავკასიის სეიმი, ხოლო 12 საათზე - საქართველოს ეროვნული საბჭო.

მას შემდეგ, რაც დადგინდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღე, ნოე ჟორდანიამ შეიტანა წინადადება, გარკვეულიყო ის საკითხები, რომლებიც 26 მაისს უნდა განეხილათ და დაემტკიცებინათ:

1. რომელი კანონები იმოქმედებენ საქართველოში დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ;

2 საფინანსო სისტემა;

3. რკინიგზა;
4. ეროვნული საბჭოს რეორგანიზაცია;
5. მთავრობის ორგანიზაცია.

ყველა ამ საკითხზე საქართველოს ეროვნულმა საბჭომ მიიღო შესაბამისი დადგენილება:

1. დამოუკიდებელ საქართველოში იმოქმედებდა ყველა ის ძველი კანონი და ამიერკავკასიის სეიმის დადგენილება, რომლებიც მოქმედებდა ამიერკავკასიის დემოკრატიულ ფედერაციულ რესპუბლიკაში.

2. ფულის ბეჭდვის წესი დროებით, საქართველოს საფინანსო სისტემის შემუშავებამდე, რჩებოდა ძველი. საქართველოს საფინანსო დაწესებულებებში, სანამ ფულის სისტემა იქნებოდა ძველი, თავიანთი წარმომადგენლები ეყოლებოდათ სომხეთსა და აზერბაიჯანს.

3. რკინიგზის სამმართველო საქართველოს ხელში რჩებოდა. სომხეთსა და აზერბაიჯანთან სადავო საკითხები უნდა გარკვეულიყო მოლაპარაკებით.

4. საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი უნდა გაუქმებულიყო, მის ნაცვლად ეროვნული საბჭოს კრება აირჩევა პრეზიდიუმს. ახლადარჩეულ სამანდატო კომისიას უნდა მოეხდინა ეროვნული საბჭოს წევრთა და კანდიდატთა სიის გადასინჯვა.

5. საქართველოს მთავრობაში უნდა შექმნილიყო შემდეგი სამინისტროები:

- ა) შინაგან საქმეთა
- ბ) საგარეო
- გ) სამხედრო
- დ) ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის
- ე) განათლების
- ვ) მინათმოქმედების
- ზ) იუსტიციის
- თ) გზათა

მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობაში უნდა შესულიყვნენ შემდეგი პირები:

- ა) **ნოე რამიშვილი** - მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარე და შინაგან საქმეთა მინისტრი.
- ბ) **აკაკი ჩხენკელი** - საგარეო საქმეთა მინისტრი.
- გ) **გრიგოლ გიორგაძე** - სამხედრო მინისტრი.
- დ) **გიორგი ჟურული** - ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი.
- ე) **გიორგი ლასხიშვილი** — განათლების მინისტრი.

ვ) **ნოე ხომერიკი** - მინათმოქმედებისა და შრომის მინისტრი.

ზ) **შალვა მესხიშვილი** - იუსტიციის მინისტრი.

თ) **ივანე ლორთქიფანიძე** - გზათა მინისტრი.

აღმასრულებელი კომიტეტის სხდომის ბოლოს წაიკითხეს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის პროექტი, რომელიც კომისიამ შეიმუშავა. აქტის ტექსტის მიმართ გამოითქვა შენიშვნები. გამოთქმული შენიშვნების მიხედვით დამოუკიდებლობის აქტის საბოლოო ტექსტის მომზადება დაევალა ნოე ჟორდანიას.

საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1918 წლის 25 მაისის სხდომა დაמתავრდა ღამის თორმეტის ნახევარზე.

1918 წლის 25 მაისს თბილისის საქალაქო თვითმმართველობამ მონოდებით მიმართა თბილისის მოქალაქეებს. მიმართვაში მოკლედ იყო დახასიათებული შექმნილი სამხედრო-პოლიტიკური სიტუაცია, მინიშნებული იყო იმ დიდ საფრთხეზე, რომელიც საქართველოს და თბილისს ემუქრებოდა ოსმალეთის მხრიდან. საქალაქო თვითმმართველობა მოუწოდებდა თბილისელებს მზად ყოფილიყვნენ მტრისათვის საკადრისი პასუხის გაცემად.

მეორე დღეს 26 მაისი თენდებოდა...

§5. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა (ოფიციალური საოქმო ჩანაწერის მიხედვით)

საქართველოს ეროვნულ საბჭოს სხდომა

კვირა, 26 მაისი, 1918 წელი,

ქალაქი თფილისი, სასახლე

თავმჯდომარეობს ეროვნულ საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე **ნოე ჟორდანიას**.

პრეზიდიუმში არიან: **გიორგი ლასხიშვილი, გრიგოლ ვეშაპელი, პავლე საყვარელიძე.**

მდივნად არის ეროვნულ საბჭოს მდივანი **ილია ზურაბიშვილი.**

კრება ნაშუადღევს 4 საათსა და 40 წუთზე იწყება.

კრების გახსნა

თავმჯდომარე: საქართველოს ეროვნულ საბჭოს სხდომას გახსნილად ვაცხადებ.

ნოე ჟორდანიას სიტყვა

მოქალაქენო! დღეს თქვენ აქ მოწმე იყავით ერთი ისტორიული და ამავე დროს ტრალიკულ აქტისა. ამ დარბაზში მოკვდა ერთი სახელმწიფო და აი, ახლა, ამავე დარბაზში, ეყრება საფუძველი მეორე სახელმწიფოს.

ამ ორ სახელმწიფოთა შორის, რომელთაგანაც ერთი მოკვდა და მეორე იბადება, შეუძლებელია ყოფილიყო ინტერესთა წინააღმდეგობა.

და თუ ოდესმე პირველი აღსდგება მკვდრეთით, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, მათ შორის მუდამ იქნება ინტერესთა თანხმობა (ტაში).

საქართველოს ახალი სახელმწიფო, რომელიც დღეს არსდება, არ იქნება მიმართული არც ერთი ხალხისა, არც ერთის სახელმწიფოს წინააღმდეგ.

მისი მიზანია დღევანდელ ისტორიულ ქართველისაგან დაიფაროს თავისი თავი.

და როცა ამას მოახერხებს, იგი დაეხმარება სხვებსაც, ვინც ჩვენ ქვეყანასთან ერთად ჩავარდა დიდ განსაცდელში! (ტაში).

თქვენ კარგად იცით, საქართველო ჩვეულია ბრძოლას თავის არსებობის დასაცავად. ის საუკუნოებით იბრძოდა, რათა თავისი სულიერი ვინაობა, ნაციონალური ორგანიზმი და ტერიტორია შეენარჩუნებინა. მაგრამ იგი იბრძოდა მხოლოდ თავის დასაცავად და არ ებრძოდა სხვის არსებობას.

ამასთანავე იგი იბრძოდა არა მარტო ქართველთათვის, არამედ იმ ერებისთვისაც, რომელნიც მოსახლეობდნენ მის სახელმწიფოებრივ ფარგლებში; მეტსაც ვიტყვი, - ის იბრძოდა თვის ფარგლებს გარეშეც, აგრეთვე, სხვების დასაცავად.

ეს დიდი ისტორიული მაგალითი ცხოველმყოფელ ანდერძათ დარჩა ქართველ ხალხს და ეს სრული გარანტიაა იმისა, რომ დღევანდელ ქართველ ერს შერჩენილი აქვს მისი ძირითადი ისტორიული მიდრეკილება — შეუსაბამოს ხოლმე თვისი ინტერესი სხვა ერთა ინტერესებს.

სწორედ ამიტომ არც ერთი ერი — ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები, თუ ჩვენს სახელმწიფოს გარეშე მყოფი, არ უნდა განიცდიდეს ჩვენ გამო რაიმე აღელვებას, სულიერ მტკივნეულობას და წყენას.

და განა დღეს სეიმში არ განაცხადეს სხვა და სხვა ორატორებმა, რომ არ არის ისეთი ერი, რომელიც ცუდათ იხსენიებდეს ქართველ ერს?!”

ეს არის იმის თავდები, რომ ახალი სახელმწიფო, ახალი მთავრობა სავესებით გაამართლებს ამ იმედებს.

ჩვენ გვსურს ვიქონიოთ მეგობრული ურთიერთობა ჩვენს გარეშე და ჩვენს შორის მყოფ ერებთან.

ჩვენ მივაქცევთ განსაკუთრებულ ყურადღებას იმ ერის დიდ ტრაგედიას, რომლის ერთი ნაწილი ჩვენს ტერიტორიაზე სცხოვრობს, ხოლო მეორე ნაწილი

ჩვენს გარეშე. ეს არის სომხობა.

ძველს ანდერძს დღევანდელი ქართველობა გაიხსენებს და სომხის ერი იმავე მფარველობას ჰპოვებს ჩვენში, რომელსაც ჰპოვებდა იგი ქართველ მეფეთა შორის! *(ხანგრძლივი ტაში)*.

ჩვენ გვსურს კეთილგანწყობაში ვიყოთ ამიერკავკასიის მოსახლეობის დიდ უმრავლესობასთან, მუსულმანებთან. ჩვენ გვინდა, რომ მათ მოგვბაძონ. დაიარსონ ასეთივე სახელმწიფო და შეერთების ხელი გამოგვიწოდონ *(მხურვალე ტაში)*.

ამასთანავე ეს დამოკიდებულება ჩვენს გარშემო მყოფ ერებისა იქნება უფრო მკვიდრი საფუძველი, რომელიც გაამაგრებს ჩვენს ნორჩ სახელმწიფოს და აგრეთვე ამ ერებსაც და საშუალებას მოუსპობს ჩვენს საერთო მოქიშპეთ ნიხლი ჩაგვცენ და დაგვანგრიონ. ჩვენს სახელმწიფო ფარგლებში მოსახლეობს სხვა და სხვა ერთა უმცირესობა. ვაცხადებ, რომ ეროვნული უმცირესობანი იქნებიან ისევე უფლებამოსილნი, როგორც იქნება ჩვენი სახელმწიფოს ეროვნული უმრავლესობა — ქართველობა.

ეს ერნი, - შეერთებულნი ერთის დროშის ქვეშ, შეჰკრავენ კავშირს იმ ერებთან, რომელნიც ჩვენი ქვეყნის ფარგლების გარეშე იმყოფებიან, - და ამით წარმოიშვება ის სახელმწიფოებრივი კავშირი, რომელიც აღადგენს აქ, ჩვენს წინაშე, დაღუპულს სახელმწიფოს.

ეს სახელმწიფო იქნება **კავკასიის კონფედერატიული კავშირი** *(ხანგრძლივი ტაში მთელს დარბაზში)*.

ამ რიგად, ჩვენი სავალი გზა, ჩვენი იდეალი უნდა იყოს ამ კავშირის შედგენა. ეს კავშირი იქნება ის სახელმწიფოებრივი ორგანიზმი — სახელმწიფოთა კავშირი, - რომელიც საერთო ძალ-ლონე შეკრებილი, წარდგება გარეშე მტერის წინაშე და დაიცავს თავის თავს *(ტაში)*.

აი, მაშინ შეიძლება აღსრულდეს ის, რაც სეიმმა ვერ შექმნა.

და ის, ვინც ახლა შეუგნებლად მიდის ამიერკავკასიის ფარგლების გარეშე — შესაძლებელია კვალად მობრუნდეს და საერთო დროშის ქვეშ დადგეს.

ამით დამყარდება ამიერკავკასიის ერთობა და აქ მოსახლე ერების ძლიერება *(ხანგრძლივი ტაში და ოვაციები)*.

ეხლა მომეციტო ნება გადავიდე იმ საგანზე, რომლისთვისაც ჩვენ აქ შევიკრიბენით.

ჩვენ უკვე გვაქვს შემუშავებული **აქტი საქართველოს დამოუკიდებლობისა**, რომელიც წაკითხული იქნება ახლა.

(ნოე ჟორდანიას ნაშუადღევის 5 საათსა და 10 წუთზე კითხულობს დამოუკიდებლობის აქტს)

აქტის წაკითხვა აივანზე

(მყუდროების დამყარების შემდეგ თავმჯდომარის წინადადებით ეროვნულ საბჭოს მდივანი ილია ზურაბიშვილი სასახლის აივანზე გადის და იქიდან უკითხავს თავმოყრილ ხალხს დამოუკიდებლობის აქტს. აივანზე აქტის კითხვის დროს საპატიო დარაჯთა რაზმი სდგას ორის ეროვნულ დროშით.

აქტის თითოეული დებულება ხალხში დიდს ენტუზიაზმს იწვევს. ვაშას ძახილი, ტაში და ოვაციები განუწყვეტელია).

რუსული თარგმანის წაკითხვა

(ამავე დროს კრების დარბაზში, თავმჯდომარის ამხანაგი გრიგოლ ვეშაპელი, თავმჯდომარის წინადადებით, კითხულობს აქტის რუსულ თარგმანს, რასაც მოჰყვება იგივე ტაში და ოვაციები).

აქტის მიღება და დამტკიცება

თავმჯდომარე: თანახმა ხართ მიიღოთ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი თუ არა? გთხოვთ ასწიოთ ხელი. ვინაა წინააღმდეგი? არავინ. თავი ვინ შეიკავა? არავინ. **საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი ერთხმად იქმნა მიღებული**

(ხანგრძლივი ტაში. ისმის ხმები: გაუმარჯოს საქართველოს! გაუმარჯოს!).

ვთხოვ საბჭოს ყველა წევრებს, რომ კრების შემდეგ მოვიდნენ აქ და აქტს ხელი მოაწერონ.

დროებით მთავრობის შემადგენლობა

თავმჯდომარე: ესლა ნება მიბოძეთ გამოვაცხადო ჩვენის დროებით მთავრობის შემადგენლობა, რომელიც შედგენილია [ეროვნულ საბჭოს] აღმასრულებელ კომიტეტის მიერ, ფრაქციების წარმომადგენლებთან შეთანხმებით.

1. მთავრობის თავმჯდომარე და შინაგან საქმეთა მინისტრი **ნოე რამიშვილი**.

2. საგარეო საქმეთა მინისტრი **აკაკი ჩხენკელი**.

3. სამხედრო მინისტრი **გრიგოლ გიორგაძე**.

4. ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი **გიორგი ჟურული**.

5. განათლების მინისტრი **გიორგი ლასხიშვილი**.

6. მინათმოქმედებისა და შრომის მინისტრი **ნოე ხომერიკი**.

7. იუსტიციის მინისტრი **შალვა მესხიშვილი**.

8. გზათა მინისტრი **ივანე ლორთქიფანიძე**.

(ყველა ზემოთ აღნიშნულ პირთ კრება და დამსწრე საზოგადოება ტაშით და ოვაციებით ეგებება, აკაკი ჩხენკელის გარდა, რომელიც საზავო დელეგა-

ციაში იმყოფება, ყველა დანარჩენი დარბაზში არიან. მინისტრები მთავრობის ადგილს იჭერენ).

მთავრობის დამტკიცება

(თავმჯდომარის შეკითხვაზე კრება ერთხმად ამტკიცებს ზემოთ დასახელებულ პირთა მთავრობათ არჩევას).

არსებულ კანონების დადასტურება

თავმჯდომარე: ახლა საჭიროა, ვიდრე ჩვენ შევუდგებით კანონების გამოცემის მუშაობას, ძალაში დარჩეს ყველა კანონი, რომელიც დღემდე არსებობს და საქართველოში მოქმედებს, სხვათა შორის, სეიმის დადგენილებანიც.

(კრება ერთხმად იღებს ამ წინადადებას).

ფინანსები

თავმჯდომარე: ამის გარდა, ჩვენ უნდა მივიღოთ წინადადება ფინანსების შესახებ. ვინაიდან საფინანსო საქმე მეტის მეტად რთულია, საჭიროა დროებით დარჩეს ძველი წესი ფულის ბეჭდვისა, სანამ ჩვენი საკუთარი სახელმწიფოებრივი ფულის სისტემა შემუშავდება; ე.ი. ამიერკავკასიის ფულის საერთო სისტემა იქნება, მუსულმანებთან და სომხებთან შეთანხმებით.

გიორგი გვაზავა: (ადგილიდან) ეგ საკითხი დღეს გადაიდოს!

თავმჯდომარე: გადადება შეუძლებელია. ფული ყოველ წამს საჭიროა და ჩვენ კი ფულის სისტემას სასწრაფოდ ვერ შევქმნით.

ამასვე თხოულობს მთავრობა.

(კრება ერთხმად იღებს თავმჯდომარის წინადადებას ფინანსური საქმის შესახებ, ე.ი. დროებით დარჩეს ძველი წესი ფულის სისტემის).

სამანდატო კომისია

თავმჯდომარე: აგრეთვე საჭიროა ჩვენს შემდეგ კრებას კანონებრივი ხასიათი მივცეთ. გამოვარკვიოთ ვინ არის წევრი და ვინ კანდიდატი. ამისთვის უნდა ავირჩიოთ სამანდატო კომისია, რომელიც შემდეგ სხდომისთვის წარმოგვიდგენს მოხსენებას. გთხოვთ დაასახელოთ (ასახელებენ):

1. თევდორე კიკვაძეს,
2. რაჟდენ არსენიძეს,
3. შალვა მიქელაძეს,
4. იასონ ლორთქიფანიძეს,
5. გიზო ანჯაფარიძეს,
6. კალენიკ ქავთარაძეს,

7. გიორგი გვაზავას.

(კრება ერთხმად ამტკიცებს ამ შემადგენლობას).

თავმჯდომარე: დღევანდელი წესრიგი დასრულებულია. ამ დღეებში ჩვენი მთავრობა წარმოუდგენს საბჭოს დეკლარაციას.

მისალმებანი

თავმჯდომარე: ახლა ჩვენ უნდა გადავიდეთ კრების საგნის მეორე მხარეზე. აქ იმყოფებიან ერთა წარმომადგენლები, რომელთაც განაცხადეს სურვილი მიესალმონ საბჭოს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების გამო.

მაჰმადიანთა წარმომადგენლის ფათალი ხანი ხოელის სიტყვა

მაჰმადიანთა ცენტრალურ კომიტეტის სახელით მოგილოცავთ, დამოუკიდებელ საქართველოს მოქალაქენო, თქვენს დღევანდელ ბედნიერებას.

100 წელზე მეტია, რაც საქართველო იბრძოდა თავის დამოუკიდებლობისათვის და აი, დღეს აგისრულდათ ის ნატვრა, რომელიც ჩამარხული იყო ყოველ ქართველ მამულიშვილის გულში.

ამიერკავკასიის ერები ცდილობდნენ, რომ შეექმნათ ერთი მთლიანი სახელმწიფო, მაგრამ დღევანდელ პირობებში ჩვენ ეს ვერ შევძელით.

ესლა ჩვენ ვშორდებით ერთმანეთს, რომ შემდეგში უფრო მტკიცედ შევკავშირდეთ, ჩვენი განშორება არ იქნება ხანგრძლივი. უკვე ახლოა ის დღე, როდესაც ჩვენ სახელმწიფოებრივ ცხოვრებას ერთი მიმდინარეობა მიეცემა.

ჩვენ ვგრძნობდით განშორების აუცილებლობას, მაგრამ ისიც გვწამს, რომ მალე ისევ შევკავშირდებით.

ნება მომეცით, ერთხელ კიდევ მოგილოცოთ ამიერკავკასიის ყველა მაჰმადიანის სახელით: გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!

(ტაში).

ადგილობრივ პოლონელთა წარმომადგენლის სიტყვა

(თარგმნილია რუსულით)

ჩვენ, პოლონეთის შვილები, მივესალმებით მეზობელ საქართველოს თავისუფალ შვილებს და ვუსურვებთ ყოველივე სიკეთეს.

გაუმარჯოს საქართველოს!

ოსების წარმომადგენლის სიტყვა

გიორგი გაგლოვი: ამხანაგებო და მოქალაქენო!

ამ ტრიბუნაზე მე განვიცდი იმავე გრძნობას, რომელსაც განიცდით თქვენ. ეს გასაგებიც არის. მე ვარ წარმომადგენელი არა მარტო ოსებისა, არამედ საქართველოს ეროვნულ საბჭოს წევრიც. თვით ეს ფაქტი ამტკიცებს, რომ ამ

ორ ერს შორის არის ისეთი კავშირი, რომელიც აერთებთ მათ. ჩვენ გვწამს, რომ საქართველოს დემოკრატია თავის დროშას დაბლა არ დაუშვებს. საქართველოს დემოკრატიასთან ერთად ამ დროშის ქვეშ ივლის ჩვენი დემოკრატიაც,

ამ იმედებით აღჭურვილი მივსალმები ამ კრებას. იმედია, საქართველო აიცდენს იმ განსაცდელს, რომელიც მას მოელის გარეშე მტრისაგან.

ქართველ მაჰმადიანთა წარმომადგენლის სიტყვა

ჰაიდარ ბეი აბაშიძე: ძვირფასო ძმანო! დღეს თქვენი მოძმე ქართველი მაჰმადიანები გილოცავთ საქართველოს განთავისუფლებას. გილოცავთ მრავალტანჯულ საქართველოს დამოუკიდებლობას!

ჩვენი გული ნალევლით ივსება, როდესაც ვიგონებთ, რომ სამაჰმადიანო საქართველო დღეს თუ არა ხვალ ჭირშიც და ლხინში თქვენთან იქნება.

მამ, გაუმარჯოს დღეს ამ საქართველოს, შემდეგ კი ეროვნულ-ტერიტორიულად შეკავშირებულ საქართველოს!

გერმანიის კაიზერის რწმუნებულის სიტყვა

(თარგმნა გერმანულით გერონტი ქიქოძემ)

თუმცა მე ჩემი მთავრობისაგან არ მაქვს ოფიციალური დავალება, მაგრამ მე პირადად მოგილოცავთ დამოუკიდებლობის დამყარებას და ვუსურვებ ახლად დაარსებულ სახელმწიფოს ყოველივე სიკეთეს და წარმატებას!

ამიერკავკასიის გერმანელთა წარმომადგენელი

(თარგმნა გერმანულით გერონტი ქიქოძემ)

ფრიკი ულოცავს კრებას საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას; გამოსთქვამს სურვილს, რომ საქართველო აღსდგეს ნანგრევებიდან, განახლდეს, როგორც ფენიქსი (ფასკუნჯი) და ბოლოს ერთ ტაძარში გამოსჭედოს თავის ბედი. გაუმარჯოს საქართველოს რესპუბლიკას!

კრების დახურვა

თავმჯდომარე: კრების სახელით მადლობას ვუცხადებ მათ, ვინც ჩვენ მოგილოცა და კრებას ვხურავ.

(კრება საღამოს 5 საათსა და 55 წუთზე იხურება).“

საქართველოს დამოუკიდებლობის

აქტი

მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო.

მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს, ყოველ მხრით მტრისგან შევიწროვებული საქართველო, თვისის ნებით, შეუერთდა რუსეთს იმ პირობით, რომ რუსეთი ვალდებული იყო საქართველო გარეშე მტრისაგან დაეცვა.

რუსეთის დიდის რევოლუციის მსვლელობამ რუსეთში ისეთი შინაგანი ნყობილება შექმნა, რომ მთელი საომარი ფრონტი სრულიად დაიშალა და რუსის ჯარმაც დაუტევა ამიერკავკასია.

დარჩნენ რა თვისის ძალღონის ამარად, საქართველომ და მასთან ერთად ამიერკავკასიამ თვით იდევს თავს საკუთარი საქმეების გაძლოლა და პატრონობა და შესაფერი ორგანოებიც შექმნეს; მაგრამ, გარეშე ძალთა ზედგავლენით, ამიერკავკასიის ერთა შემაერთებული კავშირი დაირღვა და მით ამიერკავკასიის პოლიტიკური მთლიანობაც დაიშალა.

ქართველ ერის დღევანდელი მდგომარეობა აუცილებლად მოითხოვს, რომ საქართველომ საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შექმნას, მისის საშუალებით გარეშე ძალის მიერ დაპყრობისაგან თავი გადაირჩინოს და დამოუკიდებელ განვითარების მტკიცე საფუძველი ააგოს.

ამისდა თანახმად საქართველოს ეროვნული საბჭო, 1917 წლის 22 ნოემბერს არჩეული, საქართველოს ეროვნული ყრილობის მიერ, დღეს საყოველთაოდ აცხადებს:

1. ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

2. დამოუკიდებელ საქართველოს პოლიტიკური ფორმა — დემოკრატიული რესპუბლიკაა.

3. საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა.

4. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას ჰსურს საერთაშორისო ურთიერთობის ყველა წევრთან კეთილმეზობლური განწყობილება დაამყაროს, განსაკუთრებით-კი მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და ერებთან.

5. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველჰყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს, განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალურ მდგომარეობისა და სქესისა.

6. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზედ მოსახლე ყველა ერს.

7. დამფუძნებელ კრების შეკრებამდე მთელის საქართველოს მართვამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო, რომელიც შევსებული იქნება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებით, და დროებითი მთავრობა პასუხისმგებელია საბჭოს წინაშე.

1. შალვა ალექსი-მესხიშვილი
2. ნოე რამიშვილი
3. გიორგი ჟურული
4. გიორგი ლასხიშვილი
5. გრიგოლ ვეშაპელი
6. ივანე ლორთქიფანიძე
7. კონია გვარჯალაძე
8. დავით ჩიქოვანი
9. ნოე ხომერიკი
10. ლეონტი ულენტი
11. პეტრე გელეიშვილი
12. თედორე კიკვაძე
13. დავით ვაჩნაძე
14. ტიტე მარგველაშვილი
15. მინადორა ტოროშელიძე
16. ნოე ჟორდანი
17. ვლ. გობეჩია
18. პავლე საყვარელიძე
19. ისიდორე რამიშვილი
20. სილიბისტრო ჯიბლაძე
21. ა. ჭიაბერაშვილი
22. ვლასა მგელაძე
23. გიორგი გვაზავა
24. იოსებ მაჭავარიანი
25. ალექსანდრე ახმეტელი
26. კოტე მესხი
27. რაფიელ ჩიხლაძე
28. მელიტონ რუსია
29. დავით ონიაშვილი
30. დ. ჯავახიშვილი
31. შალვა მიქელაძე
32. რაჟდენ მ. არსენიძე
33. პ. საბაშვილი
34. შაიდარ აბაშიძე
35. ილია გოგელია
36. ი. ა. ბარათაშვილი
37. კ. ი. ჯაფარიძე
38. მ. კლიშიაშვილი
39. პავლე ინგოროყვა
40. იას. ლორთქიფანიძე
41. ვასო წულაძე
42. ექვთიმე თაყაიშვილი
43. ალ. ბ. მდივანი
44. გრიგოლ რცხილაძე
45. ქრ. რაჭველიშვილი
46. ილიკო ბადრიძე
47. ა. ქილანთაროვი
48. ბიქტორ თევზია
49. ივ. ლევ. ჩერქეზიშვილი
50. გერონტი ქიქოძე
51. (?)
52. ვასილ წერეთელი
53. რეზო გაბაშვილი
54. ალექსანდრე ასათიანი
55. სამ.ჭფორცხალავა
56. ლევან ასათიანი
57. დ. უზნაძე
58. ვ. ბურჯანაძე
59. მ. ზანდუკელი
60. ნიკო ელიავა
61. აკაკი პაპავა
62. სვიმონ მაჭავარიანი
63. არ. ჯაჯანაშვილი
64. იოსებ აბაკელია

- | | |
|---------------------------|-------------------------------|
| 65. იოსები სალაყაია | 77. თ. კონსტანტ. ნიკ. აფხაზი. |
| 66. კონსტ. დავარიშვილი | 78. გერასიმე მახარაძე |
| 67. კალე ქავთარაძე | 79. გრიგოლ ქურდიანი |
| 68. არსენ მამულაიშვილი | 80. ირაკლი წერეთელი |
| 69. კონსტანტინე მაყაშვილი | 81. ილიკო ფირცხალაიშვილი |
| 70. ნოე ცინცაძე | 82. ივ. გობეჩია |
| 71. ალექსანდრე ლომთათიძე | 83. შალვა ქარუმიძე |
| 72. იოსებ გობეჩია | 84. გიორგი ერაძე |
| 73. გრიგოლ ნათაძე | 85. ვასო ცაბაძე |
| 74. ფილიპე გოგიჩაიშვილი | 86. ნიკოლოზ ჩხეიძე |
| 75. მიხეილ მაჩაბელი | 87. ევგენი გეგეჭკორი |
| 76. ვიქტორ ნინიძე | 88. გიორგი ანჯაფარიძე |

(იბეჭდება 1919 წლის გამოცემის მიხედვით: „26 მაისი, 1918. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება. თბილისი, 1919“).

პოლოტიკა

ქართველებს, რომელთაც 1917-1918 წლებში უმძიმეს სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებაში შეძლეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა და შემდგომ ისევ უმძიმეს პირობებში დაიწყეს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მშენებლობა, ტრაგიკული ხვედრი ერგოთ. საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ არასრული სამი წელი (1918 წლის მაისი – 1921 წლის მარტი) იარსება. 1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთმა საქართველოს ოკუპაცია და ანექსია მოახდინა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ და დამფუძნებელი კრების წევრთა უმრავლესობამ ევროპის ქვეყნებს შეაფარეს თავი. მომდევნო ხანებში სამშობლოს დატოვება მოუხდა ისეთ ადამიანებსაც, რომელთაც არანაირი პოლიტიკური ან სამხედრო თანამდებობა არ სჭერიათ. მათი ბრალი მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, რომ სამშობლო უყვარდათ და ვერანაირად ვერ შეეგუებოდნენ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვას. მათი უდიდესი ნაწილი, ვინც საბჭოთა ტერორს არ შეუშინდა და საქართველოში დარჩა, ან ფიზიკურად მოსპეს, ან ციხეებსა და გადასახლებაში იტანჯებოდა. ერთი შეხედვით ისე ჩანდა, რომ თითქოს ეს დიდი მსხვერპლი ქართველმა ერმა ამაოდ გაიღო. გადიოდა ათწლეულები. ევროპაში გადახვეწილი ემიგრანტების პირველი თაობიდან ერთეულებიღა იყო ცოცხალი, უმრავლესობა უცხოეთის მიწამ მიიზარა.

1917 წელს რუსეთის იმპერია აღესრულა, 1990-1991 წლებში იგივე ბედი ეწია საბჭოთა იმპერიასაც. **საბჭოთა იმპერიიდან თავდახსნისათვის ბრძოლაში სულ უფრო და უფრო ნათელი ხდებოდა, თუ რა დიდ ღირებულებას ვფლობდით ჩვენ, ქართველები, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახით, კონკრეტულად კი, იმით, რომ:**

1. 1918 წლის 26 მაისს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტი მიიღო და ლოგიკურ დასასრულამდე მიიყვანა ასწვიდმეტწლიანი ეროვნული მოძრაობა. 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტი 1919 წლის 12 მარტს თავის პირველსავე სხდომაზე დაამტკიცა დემოკრატიული საარჩევნო კანონის საფუძველზე არჩეულმა და სრული ლეგიტიმაციის მქონე უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ – დამფუძნებელმა კრებამ.

2. 1920 წლის 7 მაისის საქართველო-რუსეთის მოსკოვის ხელშეკრულების ძალით, რუსეთის იმპერიის სამართალმემკვიდრემ, საბჭოთა რუსეთმა, დე-იურე ცნო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და დაა-

დასტურა, რომ ქართველი ხალხისა და ქართული მიწის მიმართ არანაირი პრეტენზია არ გააჩნდა.

3. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა დე-ფაქტო და დე-იურე ცნო მსოფლიო სახელმწიფოების დიდმა ნაწილმა.

4. 1921 წლის 21 თებერვალს საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ დაამტკიცა საქართველოს კონსტიტუცია, რომელიც ცივილიზებული, დემოკრატიული ქვეყნების გამოცდილების საფუძველზე იყო შემუშავებული.

5. მართალია, 1921 წლის თებერვალ-მარტის ომში საბჭოთა რუსეთმა ქართული ჯარი და სახალხო გვარდია დაამარცხა, მაგრამ თბილისიდან ბათუმში გადასულმა დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ, მოსკოვის მხრიდან შემოთავაზების მიუხედავად, ოკუპაციისა და ანექსიის ფაქტი არ აღიარა და კაპიტულაციის აქტზე ხელი არ მოაწერა. დამფუძნებელი კრების დადგენილებით, მთავრობა უცხოეთში უნდა წასულიყო და გაეგრძელებინა ბრძოლა ოკუპანტის წინააღმდეგ.

ყოველივე ეს XX საუკუნის 80-იანი წლების ეროვნულ მოძრაობაში შეიძლება სრულად გააზრებული არ იყო, მაგრამ იმ ეპოქის პოლიტიკოსთა დიდ დამსახურებად უნდა მივიჩნიოთ ის, რომ 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმზე გამოტანილი კითხვა ასე იყო ფორმულირებული: **ხართ თუ არა მომხრე აღსდგეს საქართველოს სახელმწიფოებრიობა 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე?** ამას ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა: 1918 წლის 26 მაისის აქტის ავტორებმა ტექსტი ისე შეადგინეს, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ოცსაუკუნოვანი ქართული სახელმწიფოებრიობის სამართალმემკვიდრედ გამოცხადდა, ხოლო 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმით თანამედროვე საქართველო იქცა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართალმემკვიდრედ.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისს, შემდგომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში დაღვრილი სისხლი, 1921 წლის თებერვალ-მარტის რუსეთ-საქართველოს ომში გაღებული მსხვერპლი ამოა არ აღმოჩნდა: დღევანდელი ქართველობა დიდი წინაპრების პოლიტიკური მემკვიდრეა და ეს არის მისი სავიზიტო ბარათი მსოფლიოს ხალხთა თანამეგობრობაში.

ავტორის მიერ საქართველოს სახელმწიფოებრივი
დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ გამოქვეყნებული
მონოგრაფიები, დოკუმენტები და მასალები
საჟურნალო და საგაზეთო სტატიები

I. მონოგრაფიები

1. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა. 1917-1918. გამომცემლობა „ინტელექტი“, თბილისი, 1998. (თანაავტორი აპოლონ სილაგაძე).
2. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა და რუსეთის მეზუთე კოლონა (1917-1921). თბილისი, 1998.
3. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა (1917-1918). თბილისი, 2000. (თანაავტორი აპოლონ სილაგაძე).

II. დოკუმენტები და მასალები

ა) წიგნებში

4. 1918 წლის 26 მაისი (ნარკვევი. დოკუმენტები და მასალები). გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2011.

ბ) ჟურნალებში

5. პირველი ქართული პარლამენტი (საქართველოს ეროვნული საბჭო). – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ისტორიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. 1993, № 3-4, გვ. 142-173.
6. დამოუკიდებლობის წინა დღე (1918 წლის 14-25 მაისის ქრონიკა). – ჟურნალი „ისტორიანი“, 2013, №5, მაისი, გვ. 19-24.

გ) გაზეთებში

7. 1918 წლის 25 მაისი. – გაზეთი „განათლება“, 1992, № 32, გვ. 3.
8. პირველი ქართული ეროვნული ყრილობა. ეროვნულ-პოლიტიკური სექციის სხდომის ოქმი. – გაზეთი „დრონი“, 1993, №6, 10 თებერვალი, გვ. 6.
9. ასე იწყებდა საქართველოს ინტერპარტიული საბჭო. – გაზეთი „განათლება“, 1993, № 10, 26 მარტი, გვ. 3-4.
10. К 125-летию со дня рождения Ное Жордания. – Газета „Свободная Грузия“, 1994, № 71, 4 мая, стр. 3.

11. **Руководители Демократической Республики Грузия. К 120- летию со дня рождения Акакия Чхенкели (1874-1959 гг.).** – Газета „Свободная Грузия,“ 1994, № 82, 20 мая, стр. 3.
12. **„Приняли на себя инициативу объявления независимости Грузии.“** – Газета „Свободная Грузия,“ 1994, № 86, 26 мая, стр. 2.
13. **საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის ტექსტისთვის.** – გაზეთი „განათლება,“ 1994, № 10, 1 ივნისი, გვ. 3.
14. **Мы. нижеподписавшиеся... К тексту Акта независимости Грузии.** – Газета „Свободная Грузия,“ 1997, № 63-66, 26 мая, стр. 6.
15. **Лидеры Грузинской Демократической Республики. Ноэ Рамишвили (1881-1930).** – Газета „Свободная Грузия,“ 1998, № 80-81, 24 марта, стр. 3.

III. სტატიები

ა) ჟურნალებში

16. **ნოე ჟორდანია.** – ჟურნალი „პოლიტიკა,“ 1995, № 1-3, გვ. 43-47.
17. **ახალი ქართული სახელმწიფოებრიობის სათავეებთან (1918-2008).** – ჟურნალი „პირველი სიტყვა,“ 2008, ივნისი, გვ. 13-17.
18. **Российско-Турецкое противостояние на центральном в 1918-1921 годах.** – Кавказ и Глобализация. Журнал социально-политических исследований. Том 3. Выпуск 4. Институт стратегических наук. Швеция, 2009. стр 161-169. (соавтор: Аполон Силагадзе).
19. **იმპერიის ტყვეობიდან დამოუკიდებლობამდე. როგორ იწრთობოდა 26 მაისი.** – ჟურნალი „ისტორიანი“, 2011, №5, მაისი, გვ. 12-18.
20. **დამოუკიდებლობა და პარტიებად დაშლილი საქართველო. (1918 წლის 26 მაისის შეფასებისათვის).** – ჟურნალი „ისტორიანი“, 2012, №5, მაისი, გვ. 12-17.
21. **რუსეთ-ოსმალეთის დაპირისპირება სამხრეთ კავკასიაში (1918-1921)** – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. 2012, № 2, ოქტომბერი, გვ. 61-68.

ბ) კრებულებში

22. **1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის ტექსტისათვის.** – „კილო“ (საისტორიო აღმანახი). 1997, № 1. გამომცემლობა „მეცნიერება,“ თბილისი, 1997, გვ. 4-12.
23. **დამოუკიდებლობის დღედ მიჩნეულ უნდა იქნეს 26 მაისი.** – დამოუკიდებლობის დღე: 26 მაისი თუ 9 აპრილი? გამომცემლობა „ახალი აზრი,“ თბილი-

სი, 2008, გვ. 12-15 (რეზიუმე ინგლისურ ენაზე).

24. **დოკუმენტები და მასალები საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის ისტორიისათვის (1918 წლის 26 მაისი).** – საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი. პუბლიცისტურ მემორიალურ და სამართლის ფაკულტეტის შრომები. III. გამომცემლობა „ქართული უნივერსიტეტი“, თბილისი, 2015, გვ. 71-91.
25. **საქართველო ისტორიულ გზაგასაყარზე (1917-1918).** – საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის შრომები. ტომი I. გამომცემლობა „ქართული უნივერსიტეტი“, თბილისი, 2015, გვ. 34-61.
26. **იმპერიების აღსასრული და ქართული სახელმწიფოებრიობა (1917-1918)** – ქართული დიპლომატია. წელიწდეული. 17. გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 2015, გვ. 162-184.

გ) გაზეთებში

27. **ნოე ჟორდანია. მსოფლმხედველობის ევოლუციის საკითხისათვის.** – გაზეთი „ერი“, 1992, № 13, 17-23 აპრილი, გვ. 2-3.
28. **საქართველოს ბედი არავის ანუხებდა.** – გაზეთი „განათლება“, 1993, № 13, 16 აპრილი, გვ. 4.
29. **26 мая – день восстановления независимости Грузии.** – Газета „Свободная Грузия“, 1993, № 94, 26 мая, стр. 2-3.
30. **Некоторые аспекты национального движения Грузии (1861-1939).** – Газета „Свободная Грузия“, 1994, № 1, 1 января, стр. 2.
31. **ეროვნული მოძრაობა საქართველოში (1917 წლის თებერვალი – 1918 წლის მაისი).** – გაზეთი „კავკასიონი“, 1994, № 12, 23 მარტი, გვ. 6; 1994, № 14, 6 აპრილი, გვ. 6.
32. **პირველი ქართული პარლამენტი (საქართველოს ეროვნული საბჭო).** – გაზეთი „ერთობა“, 1994, № 3, 24-30 აპრილი, გვ. 4-5.
33. **ეროვნული მოძრაობა საქართველოში (1917 წლის თებერვალი – 1918 წლის მაისი).** – გაზეთი „კავკასიონი“, 1994, № 12, 23 მარტი, გვ. 6; 1994, № 14, 6 აპრილი, გვ. 6.
34. **პირველი ქართული პარლამენტი (საქართველოს ეროვნული საბჭო).** – გაზეთი „ერთობა“, 1994, № 3, 24-30 აპრილი, გვ. 4-5.
35. **საქართველოს ახალი ისტორიის დიდი მოვლენა.** – გაზეთი „განათლება“, 1994, № 10, 1 ივნისი, გვ. 1.
36. **დამოუკიდებლობას შეუძლია ჩვენი ხსნა.** – გაზეთი „ახალგაზრდა ივერიელი“,

- 1994, № 14, 23 ივნისი, გვ. 6-7.
37. **Политическая ориентация Грузии. Начало XX века – 1921 год.** – Газета „Свободная Грузия,“ 1995, № 49, 26 мая, стр. 2.
38. **26 мая _национальный праздник Грузии.** – Газета „Свободная Грузия,“ 1996, № 74, 25 мая, стр. 3.
39. **„Акт 26 мая остался вечным праздником...“** – Газета „Свободная Грузия,“ 1997, № 63-66, 26 мая, стр. 6.
40. **Восстановление государственной независимости Грузии. 1917-1918.** – Газета „Свободная Грузия,“ 1998, № 137-138, 26 мая, стр. 4-5. (соавтор Аполон Силагадзе).
41. **საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა.** – გაზეთი „დილის გაზეთი,“ 2002, № 119, 25-27 მაისი, გვ. 4-5.
42. **„Трудный путь поисков союзника –Газета „Свободная Грузия,“ 2001, № 222-223, 19 октября, стр. 4.**
43. **1918 წლის 26 მაისი.** ისეთი როგორც იყო და როგორც უნდა ყოფილიყო. – გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა,“ 2008, № 94, 23 მაისი, გვ. 8; 2008, № 95, 24 მაისი, გვ. 7.
44. **1918 წლის 26 მაისი. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა.** – გაზეთი „აი ია,“ 2011, № 14, 24 მაისი - 6 ივნისი, გვ. 2-4.
45. **როგორ მოვიპოვეთ დამოუკიდებლობა (1918 წლის 26 მაისი).** – გაზეთი „ჩვენი ბასიანი“, 2012, №2, 28 მაისი, გვ. 2-3.
46. **საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისს.** – გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 2015, №92, 21 მაისი, გვ. 7; 2015, №93, 22 მაისი, გვ. 7; 2015, №94, 23 მაისი, გვ. 4-5.

IV. სამეცნიერო კონფერენციის მასალები

47. **საქართველოს საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციის საკითხისათვის (1917 წლის აპრილი – 1918 წლის მაისი).** – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. საქართველოს ისტორიის კათედრა. სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა თეზისები. 25-26 აპრილი, 2001 წ. თბილისი, 2001, გვ. 9-10.
48. **საქართველოს საგარეო-პოლიტიკური ორიენტაცია (1917 წლის მარტი – 1918 წლის მაისი).** – საერთაშორისო კონგრესი „ქართველოლოგიის პრობლემები და პერსპექტივები“. მასალები. I. 11-13 ნოემბერი, 2015. თბილისი, 2015. გვ. 39-41.

სარჩევი

ენისიტიყვა 5

თავი I. 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუცია. სამხედრო-პოლიტიკური ვითარება საქართველოში (1917 წლის თებერვალი - 1918 წლის იანვარი) 8

- §1. 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუცია 8
- §2. სამხედრო-პოლიტიკური ვითარება საქართველოში 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის დროსა და რევოლუციის შემდეგ..... 18
- §3. ქართული ეროვნული მოძრაობის კონსოლიდაცია (1917 წლის აპრილი - ნოემბერი)..... 27
- § 4. 1917 წლის 25 ოქტომბრის კონტრრევოლუციური სახელმწიფო გადატრიალება რუსეთში 46
- §5. ვითარება ამიერკავკასიასა და საქართველოში 1917 წლის 25 ოქტომბრის კონტრრევოლუციური სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ (1917 წლის ოქტომბერი - 1918 წლის იანვარი) 60

თავი II. საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა (1917 წლის ნოემბერი)..... 84

თავი III. ვითარება საქართველოსა და ამიერკავკასიაში საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის წინ (1918 წლის იანვარი-აპრილი)..... 100

- §1. მოლაპარაკების განახლება ოსმალეთთან 100
- §2. 1917 წლის 5 (18) დეკემბრის ერძინჯანის დროებითი ზავის დარღვევა.... 110
- §3. ვითარება ბრესტ-ლიტოვსკის ზავის დადებაამდე 114
- §4. 1918 წლის 3 მარტის ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულება. ვითარება ამიერკავკასიაში ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების დადების შემდეგ..... 122
- §5. ტრაპიზონის საზავო კონფერენცია. 128
- §6. ოსმალეთის მიერ აჭარისა და სამცხე-ჯავახეთის ოკუპაცია. 135

თავი IV. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისს 139

- §1. ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადება. ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის შექმნა 139

§2. საქართველოს კონსტიტუციის პროექტის განხილვა. პოლემიკა ამიერკავკასიის სამოკავშირეო სახელმწიფოს პერსპექტივის შესახებ.....	141
§4. საქართველოს ეროვნული საბჭოს მოღვაწეობა დამოუკიდებლობის აღდგენის წინა ხანებში (1918 წლის 14-25 მაისი)	147
§5. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა (ოფიციალური საოქმო ჩანაწერის მიხედვით)	159
პოლოთქმა	169

კომპიუტერული უზრუნველყოფა
თამარ სტიჟნაძე

დაიბეჭდა:

გამომცემლობა „მერიდიანი“,

აღ. ყაზბეგის გამზ. №47

E – mail: meridiani777@gmail.com ტ. 239-15-22